



ნინო სულავა, ბრაიან გილმორი, ნანა რეზესიძე  
რუსუდან ჩაგელიშვილი, თამარ ბერიძე

მეტალურგიის წარმოშობა და განვითარება  
მთიან კოლხეთში  
(ლეჩხუმი)

Nino Sulava, Brian Gilmour, Nana Rezesidze  
Rusudan Chagelishvili, Tamar Beridze

THE ORIGIN AND DEVELOPMENT OF PREHISTORIC  
COPPER METALLURGY IN MOUNTAINOUS COLCHIS  
(LECHKHUMI)

ნინო სულავა, ბრაიან გილმორი, ნანა რეზესიძე  
რუსუდან ჩაგელიშვილი, თამარ ბერიძე

მეტალურგიის წარმოშობა და განვითარება

მთიან კოლხეთში

(ლექხუმი)

Nino Sulava, Brian Gilmour, Nana Rezesidze

Rusudan Chagelishvili, Tamar Beridze

The Origin and Development of Prehistoric Copper Metallurgy

in Mountainous Colchis

(Lechkhumi)

თბილისი 2020 Tbilisi

წინამდებარე ნაშრომი - „მეტალურგიის წარმოშობა და განვითარება მთიან კოლხეთში (ლექხუმი)“, სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კვლევითი საგრანტო პროექტის - „მეტალურგიის წარმოშობა და განვითარება მთიან კოლხეთში: ახალი აღმოჩენები, კვლევები და პერსპექტივები“ (# 217128), ფუნდამენტური ანგარიშის ელექტრონულ ბეჭდურ ვერსიას წარმოადგენს.

ნაშრომში წარმოდგენილია არქეოლოგების, გეოლოგების (დაზვერვები, გათხრები) და პროექტის კონსულტანტის, არქეომეტალურგის დოქტ. ბრ. გილმორის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები. გამოვლენილია სპილენძის მეთალურგიის არქეომეტალურგიული ძეგლები, დადგენილია მათი თარიღი, სამთამადნო ბაზა, გამოთქმულია მოსაზრებები მთიანი კოლხეთის, ლექხუმის როლზე კოლხური ბრინჯაოს კულტურის კონტექსტში.

ნაშრომი განკუთვნილია საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხებზე მომუშავე ქართველი და უცხოელი სპეციალისტებისათვის, საქართველოს წარსულით დაინტერესებული მკითხველისათვის. ნაშრომი და მისი სამეცნიერო აპარატი ორენოვანია; ნაშრომს დანართის სახით ერთვის სავსელე ანგარიშები საილუსტრაციო მასალითა და ნახაზებით.

პროექტი განხორციელდა სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით საქართველოს ეროვნულ მუზეუმში და საქართველოს ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს წევრების 2020 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით აიტვირთება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ვებგვერდზე.

რედაქტორი: დარეჯან კაჭარავა - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

რეცენზენტები: გურამ კვირკველია - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ნინო ლორთქიფანიძე - ისტორიის დოქტორი

სამხატვრო რედაქტორი: ირაკლი ხუციშვილი

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2020

The present monograph - „The Origin and Development of Metallurgy in Mountainous Colchis (Lechkhumi)“, is an electronic version of the fundamental report - „Metallurgy Origins and Development in Mountainous Colchis: New Discoveries, Research and Perspectives“ (# 217128), of the Shota Rustaveli National Science Foundation's research grant project.

The monograph presents the results of research job conducted by archaeologists, geologists (surveys, excavations), and project consultant archeometallurgist PhD Br. Gilmour. Archaeometallurgical monuments of copper metallurgy have been identified, their date and mining base have been determined, opinions have been expressed on the role of mountainous Colchis, Lechkhumi in the context of Colchian bronze culture.

The monograph is intended for Georgian and foreign specialists working on the history and archeology of Georgia and the Caucasus, as well as for readers interested in Georgia's past. The paper and its scientific apparatus are bilingual (Georgian and English); Field reports with illustrative materials and drawings are attached to the monograph as an appendix.

The project was funded by the Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF) at the Georgian National Museum and by the decision of the members of the Scientific Council of the Georgian National Museum, June 10, 2020, it will be uploaded on the website of the GNM.

Editor: Darejan Kacharava, Doctor of History Sciences

Reviewer: Guram Kvirkvelia, Doctor of History Sciences

Nino Lordkipanidze, Doctor of History

Art Editor: Irakli Khutsishvili

© Georgian National Museum, 2020

## სარჩევი - Contents

შესავალი ..	5
<i>Introduction ..</i>	93
ლექხუმი - მთიანი კოლხეთი ..	12
<i>Lechkhumi - a mountain region of Colchis ..</i>	100
ლექხუმის მდებარეობა და ბუნებრივი პირობები (გეოლოგიური აგებულება, რელიეფი, ჰავა, ჰიდროგრაფია, ნიადაგსაფარი, ლანდშაფტი, ფლორა, ფაუნა და მეურნეობა) ..	15
<i>Location and natural conditions of Lechkhumi (Geological structure, relief, climate, hidrography, soil cover, landscape, flora, fauna and economy) ..</i>	102
ლექხუმი - არქეოლოგია, ისტორია, წყაროები, ტოპონიმის, ეთნოგრაფია	19
<i>Lechkhumi - archaeology and history written sources, toponymy and ethnography ..</i>	106
არქეოლოგია ..	19
<i>Archaeology ..</i>	106
ლექხუმის არქეოლოგიური კვლევის ისტორია	28
<i>Earlier archaeological research in Lechkhumi</i>	113
ისტორია, წყაროები, ტოპონიმის ..	30
<i>History, written sources, toponyms ..</i>	115
ეთნოგრაფია ..	40
<i>Ethnography ..</i>	124
ლექხუმის გეოლოგიური კვლევები ..	43
<i>Geological investigations of the Lechkhumi region ..</i>	126
გეოლოგიური შესწავლილობის ისტორია და წინასწარი კვლევების შედეგები ..	43
<i>Background and results of preliminary geological exploration ..</i>	126
სადაზვერვო-შეფასებითი ექსპედიციები ..	52
<i>Exploration-assessment expeditions ..</i>	136
კამერალურ-ლაბორატორიული კვლევები ..	53
<i>Desktop and laboratory studies ..</i>	136
გეოლოგიური კვლევის შედეგები და დასკვნები ..	58
<i>Results and Conclusions ..</i>	141
ლექხუმის უძველესი მეტალურგიის ძეგლების შესწავლის ისტორია ..	61
<i>Background to the study of the early copper alloys and copper production in Lechkhumi ..</i>	144
არქეოლოგიური დაზვერვები და გათხრები ლექხუმის ტერიტორიაზე ..	65
<i>Archaeological explorations and excavations in the territory of Lechkhumi ..</i>	148
არქეოლოგიური დაზვერვები ..	65
<i>Archaeological exploration, survey and prospection ..</i>	148
არქეოლოგიური გათხრები ..	67
<i>Archaeological excavations ..</i>	151
ლექხუმის არქეომეტალურული ძეგლების ტიპოლოგია და ქრონოლოგია ..	74
<i>Typology and chronology of the archaeometallurgical sites of Lechkhumi ..</i>	159
დანართი # 1 ..	174
<i>Attachment # 1 ..</i>	311
დანართი # 2 ..	189
<i>Attachment # 2 ..</i>	323
დანართი # 3 ..	213
<i>Attachment # 3 ..</i>	350
დანართი # 4 ..	239
<i>Attachment # 4 ..</i>	377
დანართი # 5 ..	280
<i>Attachment # 5 ..</i>	418
წყაროები, ლიტერატურა ..	447
<i>Sources, Literature ..</i>	447



## შესავალი

კავკასიაში ლითონის წარმოების ათვისებისა და განვითარების საკითხი ძველი მსოფლიოს მეტალურგიის ისტორიის შემადგენელი ნაწილია, რაც აღიარებულია ისტორიულ წყაროებზე და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით.

კავკასიაში საქართველო ის რეგიონია, რომლის არქეოლოგიურ ქრონოლოგიაზე მიბმულია მთელი კავკასიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ქრონოლოგია-პერიოდიზაციის საკითხები, რომლებიც ჯერ კიდევ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.<sup>1</sup> პრობლემატურია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ქრონოლოგიის ურთიერთდამოკიდებულება და სინქრონულობა, რაც თავის მხრივ, დამოკიდებულია უძველესი მეტალურგიის ისეთ საკითხზე, როგორიცაა ბრინჯაოს წარმოებიდან რკინის წარმოებაზე გადასვლის საწყისი პერიოდის განსაზღვრა, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ასევე დასავლეთ საქართველოში.<sup>2</sup>

ამ საკითხებზე პასუხის გაცემა უპირველეს ყოვლისა არქეომეტალურგიის ძეგლების შესწავლაზეა დამოკიდებული, რადგან ისინი ყველაზე მეტ შესაძლებლობას იძლევა თანამედროვე ინტერდისციპლინარული კვლევებისათვის და, პირდაპირ არიან დაკავშირებული ისეთ საკითხთან, როგორიცაა არქეოლოგიაში სპილენძ-ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი პერიოდის განსაზღვრა.

კოლხეთი კავკასიაში ჯერჯერობით ერთადერთი რეგიონია, სადაც აღმოჩენილია გვიანბრინჯაოს ხანის ლითონის სადნობი ქურა-სახელოსნოების დიდი რაოდენობა. ეს ფაქტი და ამავე დროს ლითონის არტეფაქტების სიუხვე რეალური საფუძველია და პირდაპირი დასტურია აქ არსებული მძლავრი ლითონწარმოებისა, რაც, თავის მხრივ, მთავარი საყრდენი იყო ამ არეალში კოლხური ბრინჯაოს კულტურის წარმოქმნისა, ჩამოყალიბებისა და გავრცელებისა,<sup>3</sup> რასაც ეთანხმება ის მრავალრიცხოვანი აღიარებული მოსაზრებები, რომელთა მიხედვითაც მეტალურგია („... საერთო საქმიანობა ... სამთამადნო წარმოება, მეტალურგია და ლითონდამუშავება . . .“)<sup>4</sup> არის

<sup>1</sup> აბრამიშვილი რ. 1957. 1961. 1997; ფიცხელაური ვ. 1973; შდრ.: Козенкова В. И. 1982: 52, ტაბ. XXX/2; Козенкова В. И. 1989: 13, 14; Козенкова В. И. 1996: 116, სურ. 441/2; Козенкова В. И. 1998: 59, ტაბ. XIX/7.

<sup>2</sup> შდრ.: მიქელაძე თ. 1974. 1978. 1985; Хахуთაიшвили Д.А. 1987; პაპუაშვილი რ. 1998; სულავა ნ. 2011.

<sup>3</sup> ლორთქიფანიძე ო. 2002: 138; სულავა ნ. 2014ა.

<sup>4</sup> ღამბაშიძე მ. 2017: 7. აგრეთვე იხ.: „ტერმინ „მეტალურგიაში“ იგულისხმება იმ საწარმოო პროცესთა ერთობლიობა, რომლებიც უკავშირდება მადნიდან ლითონის მიღებას, მის ჩამოსხმას და პირველადი

არქეოლოგიური კულტურების განსაზღვრისა და სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების საფუძველი.<sup>5</sup> ოთ. ლორთქიფანიძე კოლხეთის სამეფოს პოლიტიკური კონსოლიდაციის და სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ პირობად ადგილობრივ მაღალგანვითარებულ ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიას მიიჩნევს.<sup>6</sup>

როგორც მთიანი კოლხეთის ერთ-ერთი პირველი მკვლევარი გ. გობეჯიშვილი წერდა - „ზოგიერთი მკვლევარი, რომელიც ქართული ბრინჯაოს მეტალურგიის ძველი ფესვების ადგილობრივობაზე წერს, ძირითადად მიწის ღრმა ფენებიდან ამოთხრილი ლითონის მზამზარეული ნივთების ან, უკეთეს შემთხვევაში, სპილენძის ზოდების დამოწმებით კმაყოფილდება. ჩვენი აზრით, ამგვარი საბუთებით ესოდენ არსებითი საკითხი ამომწურავად ვერ გაშუქდება, ვინაიდან სპილენძის ზოდებსა და მზა ნაწარმს პოულობენ იმ რაიონებშიც, რომელთაც მეტალურგიული კერები ამარაგებდა ლითონით. ეჭვგარეშე რომ გახდეს ძველი წერილობითი ცნობების სიმართლე მეტალურგიის საქმეში ქართველი ტომების დამსახურების შესახებ, საჭიროა დადგინდეს მადნის ადგილობრივ მოპოვებისა და გადამუშავების ფაქტები”,<sup>7</sup> რასაც ჩვენი კვლევის მეთოდოლოგიური მიდგომაც სრულად იზიარებს.

სწორედ დარგის კომპლექსურობის - საერთო საქმიანობა: სამთამადნო წარმოება, მეტალურგია და ლითონდამუშავება, ერთდროულად და ერთად არსებობა ერთ განსაზღვრულ ტერიტორიაზე, იძლევა საფუძველს, დასაყრდენს, რომ ესა თუ ის რეგიონი განვიხილოთ როგორც მეტალურგიის კერა. მხოლოდ ლითონის ნაკეთობების სიუხვე ვერ იქნება საფუძველი რეგიონის მეტალურგიულ კერად გამოცხადებისა.<sup>8</sup>

---

პროდუქტის შექმნას [ინანიშვილი გ. 2014: 43]. ტერმინი „ლითონდამუშავება“ აერთიანებს იმ ტექნოლოგიურ პროცესთა ერთობლიობას, რომლებიც გამოიყენება ნახევარფაბრიკატიდან ან პირველადი სხმულიდან მზა პროდუქტის მისაღებად, რთული პროფილის ნივთების ჩამოსხმისა და ჭედვის გზით (საბრძოლო, სამეურნეო და სარიტუალო დანიშნულების იარაღი, სამკაული) [ინანიშვილი გ. 2014: 44].

<sup>5</sup> ლორთქიფანიძე ო. 2002: 138.

<sup>6</sup> Лордкипанидзе О. Д. 1989: 263.

<sup>7</sup> გობეჯიშვილი გ. 1952: 48.

<sup>8</sup> განსხვავებით ამ ბოლო ხანებში გავრცელებული მოსაზრებებისა, რომლებიც პოლიტიკურ ელფერსაც კი ატარებენ, რასაც საერთო არ შეიძლება ქონდეს მეცნიერებასთან, და მით უმეტეს, ისეთ მეცნიერებასთან, როგორიცაა არქეოლოგია, რომელიც დაფუძნებულია არტეფაქტებზე, მათ ტიპოლოგიაზე, ქრონოლოგიაზე, გავრცელებაზე და გენეზისზე (მაგ.: იხ. რუსი მეცნიერის ა. სკაკოვის ინტერვიუ - Северный Кавказ - «колыбель бронзового века», Антропогенез. РУ/Эксперты отвечают და Мкртчян Т. А. 2003. Армения — колыбель горного дела и металлургии. Горный журнал, #2).

ლითონებით მდიდარი და მძლავრი მეტალურგიის მქონე ლეგენდარული კოლხეთი (სურ. 1), თანამედროვე გარესამყაროსათვის ურარტული<sup>9</sup> და ბერძნული<sup>10</sup> წერილობითი წყაროებისა და მითების მიხედვით სწორედ ამ მონაცემებით - განვითარებული მეტალურგიითა და სახელმწიფოებრივი სიძლიერით,<sup>11</sup> გახდა ცნობილი. ამ ცნობებიდან ყველაზე პოპულარული ჰომეროსის „ოდისეა“-ში მოყვანილი იასონის და არგონავტების მოგზაურობაა (სურ. 2) ზღაპრული ოქროს საწმისის მოსაპოვებლად, რაც შემდგომში უფრო დეტალურად აღწერა ბერძენმა სწავლულმა აპოლონიოს როდოსელმა.<sup>12</sup>



სურ. 1. ანტიკური ხანის კოლხეთი, იბერია და ალბანეთი ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით, დაბეჭდილია ლონდონში, 1770.

<sup>9</sup> Меликишвили Г. А. 1960: 361.

<sup>10</sup> სტრაბონი [I, 2, 39] = ყაუხჩიშვილი თ. 1957.

<sup>11</sup> კოლხეთში სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის არსებობა დემოგრაფიულ სიტუაციაშიც აისახა. როგორც არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, ბერძნული კოლონიზაციის წინ ანუ ძვ.წ. VIII-VII სს-ში შავი ზღვის სანაპიროებიდან მხოლოდ კოლხური სანაპიროა მჭიდროდ დასახლებული (და უნდა ვივარაუდოთ, რომ უფრო ადრეც - ნ.ს.); შავი ზღვის დასავლეთი და ჩრდილოეთი სანაპიროები მთლიანად დაუსახლებელია [Демографическая ситуация . . . 1981; ლორთქიფანიძე თ. 2002: 185, სურ. 155].

<sup>12</sup> აპოლონიოს როდოსელი [აპოლონიოს როდოსელი, „არგონავტიკა“, II, 1245-1260; III, 844-849; აპიანე. 1959: 103; ურუმაძე ა. 1964].



სურ. 2. არგონავტების მოგზაურობის მარშრუტის ერთ-ერთი ვერსია [Liberal Dictionary bebyces - Liberal Dictionary].

არგონავტების მოგზაურობა რომ მხოლოდ მითი არ უნდა ყოფილიყო, ამას მოწმობს ხმელთაშუაზღვისპირეთთან და სამხრეთ ევროპასთან კოლხეთის კონტაქტების დამადასტურებელი მასალები, რომლებიც ყველაზე კარგად წარმოდგენილია - ერთწილადი რკალისებური ფიბულებით, ე.წ. „ფანტასტიკური ცხოველის“ გამოსახულებიანი არტეფაქტებით და ზოომორფულყურიანი კერამიკით.<sup>13</sup> კოლხეთის კონტაქტები, როგორც ეგეოსურ სამყაროსთან, ასევე ჩრდ. იტალია - ბალკანეთის ქვეყნებთან, საზღვაო გზით უნდა განხორციელებულიყო. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში (ახალი ათონი, ფსირცხა, წითელი შუქურა, ყულანურხვა, კისტრიკი) და ცენტრალურ კოლხეთში (ურეკი) დადასტურებული იმპორტული ფიბულები, რომლებიც ავლენენ კავშირებს როგორც ეგეოსურ სამყაროსთან, ასევე იტალია-ბალკანეთის მასალებთან, ამ საზღვაო გზის მიმართულებასაც გვიჩვენებენ. რაოდენ დიდი არეულობა, გაუგებრობა

<sup>13</sup> თუ სხვა მასალებსაც გადავავლებთ თვალს, რაც ჩვენი ამჟამინდელი კვლევის სფეროს სცილდება, დავინახავთ, რომ ეს კონტაქტები სხვა არტეფაქტების მიხედვითაც ვლინდება. მხედველობაში გვაქვს - სათვალისებრი დუგმები, სპირალურბოლოებიანი სამაჯურები და საკისრე რკალები, ბრინჯაოს ვაზები, გრავირების მეთოდი [სულავა ნ. 2011: 219, 211]. აგრეთვე, იხ.: რამიშვილი ქ. 2010; სულავა ნ. 2010; სულავა ნ., . . . 2011, 2013; სულავა ნ. 2018ა; Sulava N. 2016.



და ვერსიების სიმრავლეც არ უნდა იყოს არგონავტების მოგზაურობის მარშრუტებში,<sup>14</sup> ის სივრცე, რომელსაც მოიცავს მათი მოგზაურობა, ემთხვევა ზემოთ დასახელებული არტეფაქტების არეალს; ანუ კავკასია შედიოდა იმ სივრცეში, რომელშიც არამართო მსგავსი არტეფაქტების წარმოების „იდეა“ ტრიალებდა და ვრცელდებოდა, არამედ კულტის - რწმენა-წარმოდგენების თვალსაზრისითაც ახლო ურთიერთობა იყო („ფანტასტიკური ცხოველის“ ფენომენი).<sup>15</sup> როგორც ფიქრობენ, სტრაბონის „გეოგრაფიაში“ დაცული ცნობა, სადაც შავი ზღვის ის მონაკვეთი, რომელიც კოლხეთის სანაპიროს აკრავს, იწოდებოდა „კოლხეთის ზღვად“, უნდა მიუთითებდეს კოლხეთზე, როგორც საზღვაო ქვეყანაზე.<sup>16</sup> ხოლო ვაჭრობა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ძირითადად საზღვაო-სამდინარო გზებით უნდა განხორციელებულიყო.<sup>17</sup> დოკუმენტურად დადასტურება იმისა, რომ საზღვაო კონტაქტები არ იყო ცალმხრივი და მას ორმხრივი ხასიათიც შეიძლება ჰქონდა, ძნელია, მაგრამ ფაქტია, რომ ბულგარეთიდან ცნობილია კავკასიურის ანალოგიური თევზიფხურით რკალშემკული ფიბულა;<sup>18</sup> ხოლო კუნძულ სამოსზე დადასტურებულია კავკასიური წარმოშობის ნივთების (აბზინდები, ზარაკები, ქანდაკებები) აღმოჩენა.<sup>19</sup> კონტაქტების თემას გარკვეულწილად ეხმიანება ბრინჯაოს განძების შესახებ არსებული მოსაზრებებიც. კავკასიის რეგიონში განძები მხოლოდ კოლხეთისათვის არის დამახასიათებელი და გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტთაგანია. კოლხური კულტურის არეალში აღმოჩენილია 150-ზე მეტი განძი. კოლხური ბრინჯაოს კულტურის „განძები“ ბოლოდროინდელი გამოკვლევების თანახმად მიჩნეულია ღვთაებისადმი შეწირულობად (საკრალური დანიშნულების კომპლექსად), ეთნიკური ნიშნის მატარებელია და კოლხური ბრინჯაოს კულტურის არეალს ემთხვევა.<sup>20</sup> ბრინჯაოს განძები, ფართოდაა გავრცელებული ბრინჯაოს ხანის ევროპაში, თუმცა უცხოა სამხრეთ იტალიისა და საბერძნეთისათვის. განძები არ არის

<sup>14</sup> იხ. აპოლონიოს როდოსელი 1975: 16, 156-204, 216, შენ. 13; Dräger P. 1996: 1068, 1069.

<sup>15</sup> სულავა ნ. 2006: 227, 228; სულავა ნ. 2011: 211.

<sup>16</sup> გამყრელიძე გ. 1993: 34-დან.

<sup>17</sup> გამყრელიძე გ. 2005: 181, სურ. 7. ნაშრომი ეძღვნება ანტიკური ხანის ნაოსნობის ისტორიას აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, მაგრამ ვფიქრობთ, იგივე მონაცემები შეიძლება უფრო ძველ ეპოქაზეც გავრცელდეს.

<sup>18</sup> Георгиева М. 1993: 14, კატ. 2. აგრეთვე, უფრო ადრეულ კონტაქტებზე ბულგარეთთან იხ.: სულავა ნ., ხახუტაიშვილი ნ. 2011: იხ.: იქვე მითითებული ლიტ.

<sup>19</sup> Jantzen U. 1972: 80-85, ტაბ. 79-82; Микеладзе Т. 1990: 65, ტაბ. XXXI; ლორთქიფანიძე ო. 2002: 189, 190, სურ. 165.

<sup>20</sup> ლორთქიფანიძე ო. 2001: 178, 180, 187.

დამახასიათებელი სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდ. კავკასიის გვიან ბრინჯაოს ხანის კულტურებისათვის,<sup>21</sup> რაც ამ რეგიონებთან გარკვეული სახის კონტაქტების (კულტურულ-სოციოლოგიური) ამსახველია.<sup>22</sup> საკრალური დანიშნულების კომპლექსად განმების აღქმას კიდევ უფრო აძლიერებს მათ შემადგენლობაში ისეთი ბრინჯაოს ნივთები, რომლებზეც გამოსახულია ე.წ. „ფანტასტიკური ცხოველი“, რომელიც პირდაპირ მიგვანიშნებს რწმენა-წარმოდგენების ანალოგიურ თუ არა, მსგავს ან დროსა და სივრცეში ტრანსფორმირებულ სახეზე.

იმის გარკვევის მცდელობა, თუ რა იდგა რეალურად ამ უძველესი წერილობითი ტრადიციებისა და ლეგენდების უკან და უძველესი მეტალურგიული წარმოების წარმომავლობისა და შემდგომი განვითარების პროცესის ხელახალი სრული შეფასება გახდა საფუძველი ჩვენ მიერ წარმოდგენილი საგრანტო პროექტისა - „**მეტალურგიის წარმოშობა და განვითარება მთიან კოლხეთში: ახალი აღმოჩენები, კვლევები და პერსპექტივები**“,<sup>23</sup> რომლის ფუნდამენტური ანგარიშის ბექდურ ვარიანტსაც წარმოადგენს ეს ნაშრომი.<sup>24</sup>

გასული საუკუნის 70-80-იან წლებში აღმოჩენილი და გათხრილი პრეისტორიული კოლხეთის 400-ზე მეტი არქეომეტალურგიული ძეგლის გამოვლინებითა და შესწავლით საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს მთიან ზოლში (აჭარიდან სამეგრელო-აფხაზეთამდე), სტრაბონის ცნობილი ციტატა - „ . . . ამ ქვეყნის (კოლხეთის) სიმდიდრე ოქროთი, ვერცხლით, რკინითა და სპილენძით გვიხსნის /არგონავტთა/ ლაშქრობის სწორ საბაზს. ამ მიზნით პირველი მგზავრობა ფრიქსემ მოაწყო . . . “,<sup>25</sup> რეალობად იქცა.

მიუხედავად საკმაოდ დიდი ინფორმაციისა, რომელიც დაგროვდა არქეოლოგიური გათხრებითა და სამეცნიერო კვლევებით, ჯერ კიდევ არ არის მკვეთრად

<sup>21</sup> ლორთქიფანიძე ო. 2001: 187-189.

<sup>22</sup> სულავა ნ. 2014გ: 46-53.

<sup>23</sup> სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კვლევითი საგრანტო პროექტი - „მეტალურგიის წარმოშობა და განვითარება მთიან კოლხეთში: ახალი აღმოჩენები, კვლევები და პერსპექტივები“ (# 217128), 09.12.2016.

<sup>24</sup> 2020 წლის თებერვალში ამ ნაშრომის ავტორების მიერ წარდგენილი კვლევითი საგრანტო პროექტი - „სპილენძის არქეომეტალურგიის შესწავლა მთიან კოლხეთში (ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი): მადნებიდან ლითონამდე“ (# FR-19-13022, 04.02.2020), სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსდა; რაც იძლევა შესაძლებლობას, რომ პროექტის დამთავრების შემდეგ (სპონსორის მომდებით) პროექტის ორივე ნაწილი ერთად გამოქვეყნდეს.

<sup>25</sup> სტრაბონი [I, 2, 39] = ყაუხჩიშვილი თ. 1957.

განსაზღვრული თუ რა ნედლეულზე მუშაობდნენ არქეომეტალურგიის ეს მეგლები, რა მადანს ადნობდნენ და რა ლითონს ასხამდნენ, როგორი იყო ის ტექნოლოგიური პროცესები, რომელსაც ძველი მეტალურგები იყენებდნენ, დასაზუსტებელია ქრონოლოგიის საკითხები. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული მეტალურგიული კერები მცირე ზომისაა, მათი სიმრავლე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის გარდამავალ პერიოდში მიუთითებს ამ დროს ფართომასშტაბიანი მეტალურგიული წარმოების არსებობაზე.

ადრეულ კვლევებში იკვეთება ერთი საკმაოდ პრობლემატური საკითხი: რატომ დაუკავშირდა ეს წარმოება რკინის მეტალურგიას, როდესაც ამ ლითონის წარმოების ტექნოლოგია სრულიად განსხვავებულია? შესაძლებელია ეს მცდარი ინტერპრეტაცია ეყრდნობოდა რკინით მდიდარი ქალკოპირიტის მადნების ათვისება-დამუშავების შედეგად მიღებული ასევე რკინით მდიდარი წიდეების კვლევას. მხოლოდ გურიის რეგიონში დაწყებულმა უახლესმა სამუშაოებმა და ძველი მასალის განმეორებითმა კვლევამ ცხადყო, რომ ეს წარმოება მთლიანად ასოცირდებოდა სპილენძის დნობასთან.<sup>26</sup>

წარსულში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა დაზვერვებმა აჩვენა, რომ პრეისტორიული მეტალურგიული ინდუსტრიის გავრცელების არეალი გადაჭიმული იყო შავი ზღვისპირა მთიანი ზოლიდან სამხრეთით ვიდრე მცირე კავკასიონის მთიანი აჭარის რეგიონამდე და ჩრდილოეთით სამეგრელომდე. საკმაოდ მცირე მოცულობის არქეოლოგიური კვლევებია ჩატარებული კავკასიონის მთავარი ქედის ფარგლებში, სადაც სპილენძის მრავალი მადანგამოვლინებაა ცნობილი და დღემდე სპილენძის ზოდებისა და სპილენძის შენადნობებისგან დამზადებული კოლხური არტეფაქტების დიდი კონცენტრაციაა აღმოჩენილი.

თუმცა, ამ რეგიონში პრეისტორიული სპილენძის მეტალურგიის ინდუსტრიის არსებობაზე მიაწინებს არა მხოლოდ შემთხვევით მრავლად ნაპოვნი ლითონის არტეფაქტები და განძები, არამედ მთებში სხვადასხვა ლითონების მადნების გამოვლენის მიზნით ჩატარებული ადრეული გეოლოგიური სამიეზო სამუშაოების ანგარიშები (იხ. ქვემოთ). ამ ანგარიშებში თავმოყრილი მდიდარი ინფორმაცია დღემდე ყურადღების

---

<sup>26</sup> Gilmour Br., . . . 2020: 18-33.

მიღმა იყო დარჩენილი. ამრიგად, კავკასიონის მთავარი ქედის ფარგლებში ნაპოვნი ლითონური არტეფაქტების გარდა პრეისტორიული სპილენძის მეტალურგიული ინდუსტრიის შესახებ ჩვენთვის თითქმის არაფერი არ იყო ცნობილი.

ჩვენი პროექტი, რომლის შესწავლის ობიექტია ლეჩხუმი-მთიანი კოლხეთი, მიზნად ისახავდა საქართველოს ჩრდილოეთ მხარეს ამ მეტწილად შეუსწავლელ (არქეოლოგიური თვალსაზრისით) მთიან რეგიონში (კოლხეთი) პრეისტორიული სპილენძის ექსპლუატაციის შესახებ არსებული ცოდნის შევსებასა და სათანადო გააზრებას.



## ლექსუმი - მთიანი კოლხეთი

ლექსუმში ადრე შემთხვევით აღმოჩენილმა ლითონის არტეფაქტებმა, რომლებიც გამოირჩევა განსაკუთრებული მრავალფეროვნებითა და სიუხვით, მიგვანიშნა, რომ სავარაუდოდ, ეს მხარე მდიდარი უნდა ყოფილიყო არქეომეტალურგიული წარმოების ძეგლებით (განსაკუთრებით სპილენძის მოპოვებისა და დნობის ძეგლებით). აღსანიშნავია, რომ ამ მდიდარი პოტენციალის შესწავლა ბოლო დრომდე არ მომხდარა. ჩვენი პროექტის მთავარი მიზანი იყო სადაზვერვო სამუშაოებისა და გათხრების გზით ამ საკითხთან დაკავშირებული დღემდე არსებული ცოდნის ხარვეზის შევსება.

**მთიანი კოლხეთი**,<sup>27</sup> არქეომეტალურგიის სხვადასხვა ძეგლებით მდიდარი კოლხეთის<sup>28</sup> ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილია. ჩვენი ამჟამინდელი კვლევის ძირითადი ობიექტი მთიანი კოლხეთის შემადგენელი ნაწილი - ლექსუმია (სურ. 3), რომელიც დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა.



ლექსუმის როლის წარმოსაჩენად და შესადარებლად კავკასიის სხვა მხარეებთან, რომლებიც მდიდარია არქეომეტალურგიული ძეგლებით თუ გამოცხადებულია უძველესი მეტალურგიის რეგიონებად (კერებად), აუცილებელია მისი გეოგრაფიული დახასიათება, ბუნებრივი პირობების აღწერა და ისტორიული ფონის მიმოხილვა.

წარმოდგენილ ნაშრომში - „**მეტალურგიის წარმოშობა და განვითარება მთიან კოლხეთში (ლექსუმი)**“, განხილული იქნება ყველა ის საკითხი, რომელიც დაკავშირებულია ამ თემასთან და რეგიონთან. პირველად იქნება უძველესი მეტალურგიის საკითხები განხილული კომპლექსურად - არქეოლოგიურ და გეოლოგიურ კვლევებზე დაყრდნობით.

---

<sup>27</sup> ტერმინი - მთიანი კოლხეთი (ლექსუმი, სვანეთი, რაჭა, მთიანი იმერეთი, მთიანი სამეგრელო, მთიანი აფხაზეთი) არქეოლოგიურ ლიტერატურაში უფრო ისტორიული შინაარსის მატარებელია და გარკვეულ კულტურულ ერთობას გულისხმობს.

<sup>28</sup> სახელწოდება კოლხეთი პირველად მოხსენიებულია ესქილესა და პინდარეს მიერ. უფრო ადრეული მწერლები მას სახელით „აია“ მოიხსენიებენ. როგორც რ. თოფჩიშვილი ადასტურებს, „კოლხიდა და კოლხები ქართველთა ძველი ეგზოეთნონიმები ანუ გარესახელწოდებები იყო“ [თოფჩიშვილი რ. 2010: 51-61]. „კოლხიდა“, „კოლხეთი“ - სახელწოდებას ქართული არ იცნობს, ის არანაირი ფორმით თუ სახით არ გვხვდება ქართულ წყაროებში. სახელწოდება მწიგნობრული გზით იქნა გადმოტანილი ბერძნების მიერ (ნ. ლომოური). ქართველები, კოლხეთის უძველეს ქართულ სამეფოს ეგრისს უწოდებდნენ [საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1973. ლომოური ნ. 1968; აგრეთვე იხ.: ლიტერატურა ეგრისის შესახებ: ჯავახიშვილი ივ. 1960; ჯანაშია ს. 1952; ლომოური ნ. 1979; ლორთქიფანიძე მ., . . . 2012; ბერაძე თ. 1979: 25; ბერაძე თ. 1980: 597].



სურ. 3. ლეჩუმის რუკა ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით  
(1200px-Map\_of\_Georgia\_by\_Prince\_Vakhushti\_Bagrationi. 35).

## ლექსუმის მდებარეობა და ბუნებრივი პირობები

(გეოლოგიური აგებულება, რელიეფი, ჰავა, ჰიდროგრაფია, ნიადაგსაფარი, ლანდშაფტი, ფლორა, ფაუნა და მეურნეობა)

ლექსუმი მოიცავდა ძირითადად ახლანდელი ცაგერის, ნაწილობრივ წყალტუბოს და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას.<sup>29</sup>

ლექსუმის ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, დასავლეთ კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე მდებარე ლექსუმის, ეგრისისა და რაჭის ქედების ზონაში. ლექსუმი ჩრდილო განედის 42° 28' და იმავე განედის 42° 31' შორის, აღმოსავლეთ გრძედის 42° 3' და იმავე გრძედის 42° 5' შორის მდებარეობს.

ლექსუმს დასავლეთით სამეგრელოსაგან ყოფს ასხის მთის მასივი, ჩრდილოეთით სვანეთისაგან — ლექსუმის ქედი, აღმოსავლეთით რაჭისაგან — მდინარე ასკისწყალი, მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე კი თავშავის ქედის სამხრეთი კალთები, სამხრეთით იმერეთისაგან — მდინარე ლეხიდრის მარცხენა ნაპირის გასწვრივ მდებარე სერი და ხვამლის მთის მასივი.<sup>30</sup>

ამჟამად ლექსუმი რაჭა-ლექსუმის და ქვემო სვანეთის მხარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია ცაგერის მუნიციპალიტეტის სახით. მას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ლენტეხის, აღმოსავლეთიდან - ამბროლაურის, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან - წყალტუბოს, სამხრეთ დასავლეთიდან და დასავლეთიდან - ხონისა და მარტვილის მუნიციპალიტეტები. ლექსუმის ფართობი 800 კვ. კმ-ს შეადგენს.

საქართველოს ტექტონიკური დარაიონების მიხედვით ლექსუმი მიეკუთვნება ამიერ-კავკასიის მთათაშუა მასივს და წარმოადგენს რაჭა-ლექსუმის სინკლინის დასავლეთ ნაწილს. მის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს იურული, ცარცული, პალეოგენური, ნეოგენური და მეოთხეული ქანები, რომელიც რაიონის გეოლოგიური

<sup>29</sup> ლექსუმის მხარე 1930 წლამდე მოიცავდა ძირითადად ცაგერის, წყალტუბოსა და ამბროლაურის რაიონების ტერიტორიების ნაწილს. ამჟამად ლექსუმის ერთი ნაწილი - დერჩი, დღნორისა, მექვენა, ბენტუქოულა, ლეხიდრისთავი, ჩორთი, საჩხეულა, ჭაშლეთი, ონჭეიში წყალტუბოს მუნიციპალიტეტს მიეკუთვნება, ხოლო მეორე ნაწილი - ჭყვიში, ჭრებალო, ღვარდია, ჟოშხა, გენდუმი, ქვიშორი - ამბროლაურის მუნიციპალიტეტს. <https://tsageri.gov.ge/page/buneba-da-klimati>

<sup>30</sup> აგრეთვე იხ.: <https://tsageri.gov.ge/page/buneba-da-klimati>

განვითარების შესახებ საინტერესო ინფორმაციას ინახავს. სწორედ ამ ნალექებთანაა დაკავშირებული მრავალფეროვანი სასარგებლო ნამარხები - პოლიმეტალური და ბარიტის მადანგამოვლინებები, საშენი და მოსაპირკეთებელი მასალები (დიაბაზი, კირქვა, ტრავერტინი/სპონტიო) სანახელაო ქვები (აქატი, ამეთვისტო, გაქვავებული ხე, იასპისი, ალუბასტრი) მინერალური და სამკურნალო წყლები.<sup>31</sup>

ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორია ხასიათდება საშუალო და დაბალი სიმაღლის ქედებით, ქვაბულებით, ღრმად ჩაჭრილი ვიწრო ხეობებით. ჭარბობს ეროზიულ-დენუდირებული და კარსტული რელიეფი, ციცაბო და საშუალო დახრილობის მქონე ფერდობები.

ლეჩხუმი მიეკუთვნება კოლხეთის დაბალი და საშუალო მთის ტყის ლანდშაფტების ზონას. ლანდშაფტში მრავალფეროვანია როგორც ბუნებრივი, ასევე ანთროპოგენული კომპონენტები. აქ მოედინება ერთიმეორისაგან წყალგამყოფებით მკვეთრად გამიჯნული მდინარეები - რიონი, ცხენისწყალი, ლაჯანური, ჯონოული, ღვირიში. ხვამლის, ასხის, საირმის, ჭიქელაშის კარსტული რელიეფური ფორმები ჩაჭრილია 200-250 მეტრი სიღრმისა და რამდენიმე მეტრის სიგანის ტვიშის, ორპირის, სარეწკელას, მურის და ღვირიშის კირქვებში განთავსებული კანიონისებური ვიწრობებით; მდიდარია მინერალური, წყაროს წყლებითა და ჩანჩქერებით.

ლეჩხუმის მიკროკლიმატს სამხრეთიდან და დასავლეთიდან მთების - ხვამლისა და ასხის მდებარეობა განაპირობებს, დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ადგილები-საგან განსხვავებით. ჰაერის ზომიერი სინოტივე ლეჩხუმის უმეტეს ნაწილში, განპირობებულია ლეჩხუმის ქედით, რომელიც ხელს უშლის შავი ზღვიდან წამოსული სინოტივის გავრცელებას.<sup>32</sup> დაბალ ზონაში, ზღვის დონიდან 800 მეტრ სიმაღლეზე ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა +11,4°, იანვრის საშუალო - 0°, ივლისის საშუალო ტემპერატურა +22°. ნალექების წლიური რაოდენობა 900-1000 მმ-ია.

მდინარეთა ტერასებზე ალუვიური ნიადაგებია გავრცელებული, მთის კალთებზე სჭარბობს ტყის ყომრალი და კორდიან-კარბონატული, ხოლო მთის ტყის ქვედა

<sup>31</sup> ლეჩხუმის გეოლოგიის შესახებ იხ.: ჩაგელიშვილი რ., . . . 2014: 27-29.

<sup>32</sup> კობახიძე ე. 1961: 34-36.



სარტყელში კი გაეწერებული ტყის ყომრალი და კარბონატული ნიადაგები. 1800 მ-ის ზემოთ სუბალპურ და ალპურ ზონაში მთა-მდელოს კორდიან-ტორფიანი ნიადაგებია.

ლექსუმის ტერიტორიაზე გავრცელებულია წაბლნარ-რცხილნარი, იელის ქვეტყით. ზღვის დონიდან 800-1000 მეტრის სიმაღლეზე და მის ზემოთ ვხვდებით კოლხური ტიპის პოლიდომინატურ ტყეებს. გავრცელებულია წაბლი, მუხა, რცხილა, ნეკერჩხალი, ცაცხვი. სიმაღლის მიხედვით შემდეგ მოდის ძირითადად წიფლნარის ტევრი შქერის ქვეტყით და მუქწიწვოვანები - სოჭი და ნაძვი. ზღვის დონიდან 1800 მეტრის ზევით გვხვდება სუბალპური და ალპური მდელოები.

მიუხედავად მრავალფეროვანი მცენარეული საფარისა, სამეურნეო თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი არქეომეტალურგიული ძეგლების შესწავლისას ტყეებს ეკუთვნით.

მთები და ხეობები მდიდარია სამკურნალო მცენარეებით. ქვეტყეში გვხვდება: მოცვი, ასკილი, ჯონჯოლი, ჩიტკაკალა, ციცაბარდა, მეფშალი, სურო, ძაღლყურძენა. ჭალებში არის - ქაცვი, ეკალა, თხილი; ბალახოვნები - ჭინჭარი, მრავალძარღვა, ქვატეცია, შავბალახა, ულეწავი, კულმუხო, სამყურა და სხვა.

ტყეში ბინადრობენ - დათვი, მგელი, მელა, ფოცხვერი, შველი, კვერნა, ციყვი, მაჩვი; მაღალ ზონაში - არჩვი; მდინარე ლაჯანურის ხეობაში არის გარეული ღორი.

ლექსუმში ზომიერი სარტყელისათვის დამახასიათებელ მთის, ტყისა და ალპური ველის ყველა სახის ფრინველებს ვხვდებით, მდინარეები მდიდარია თევზით - კალმახი, წვერა, ნაფოტა, ღორჯო და სხვა.

ლექსუმის ზომიერი ღრუბლიანობა, მზის ნათების ხანგრძლივობა ხელს უწყობს მრავალწლიანი კულტურებისა და განსაკუთრებით ვაზის გაშენებას.

სამეურნეო თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლექსუმის დაბალმთიანი ნაწილი - მდ. ლაჯანურის ხეობის ქვემო ნაწილი ორბელის ქვაბულისა და ლაბეჭინას სერის ჩათვლით, მდ. ცხენისწყლის ხეობის ცაგერის ქვაბული, ორბელ-ცაგერის ქვაბულთა გამყოფი შუალექსუმის სერი და რიონის ხეობის ნაწილი. ლექსუმის დაბალმთიან ნაწილში ზაფხული ცხელი და ხანგრძლივია, ზამთარი კი ზომიერი. კარგი კლიმატური პირობებისა და ნოყიერი ნიადაგის (ნეშომპალა-

კარბონატული ფენები, საშუალო სისქე და ჰუმუსის დიდი შემცველობა) გამო ლეჩხუმის სახნავ-სათესი მიწებისა და ვენახების დიდი ნაწილი სწორედ აქაა თავმოყრილი.<sup>33</sup>

ლეჩხუმში მოჰყავთ ველურიდან კულტურულ პურეულში გარდამავალი ენდემური ჯიშები - მახა და ზანდური, რის საფუძველზეც ლეჩხუმი მსოფლიო პურეული მცენარეების აკულტურაციის ერთ-ერთ წრეში შეჰყავთ.<sup>34</sup> მარცვლეულიდან ლეჩხუმში მოჰყავთ - სიმინდი, ლობიო, ბარდა.

ტვიშის, ორბელის და ოყურეშის ცნობილი ვენახები გაშენებულია კირქვებზე და მერგელებზე წარმოქმნილ ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებზე, რომლებიც კირნარი ხირხატით (ქვიანი და ქვიშიანი ნიადაგი), რკინის ჟანგის საკმაო რაოდენობით, ჰუმუსისა და აზოტის შედარებით მცირე შემცველობით ხასიათდება. ეს მიკრო რაიონები იძლევიან სახელგანთქმულ ღვინოებს - უსახელოური, ტვიში, ცოლი-კოური, თეთრა და სხვა.<sup>35</sup>

ხეხილის წამყვანი ჯიშებია ჭერამი, ალუბალი, ბალი, სხვადასხვა ჯიშის ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ჭანჭური, თხილი, კაკალი; ბოსტნეულიდან მოდის - კიტრი, პომიდორი, გოგრა, კარტოფილი, სხვადასხვა მწვანილეული.

ლეჩხუმის ბუნებრივი პირობების მოკლე მიმოხილვიდანაც კი კარგად ჩანს, რომ ადამიანის განსახლებისა და ყველა დარგის სამეურნეო საქმიანობისათვის საუკეთესო პირობებია, რასაც არქეოლოგიური მონაპოვარიც ადასტურებს.

---

<sup>33</sup> ნაჭყებია ნ. 1961: 4-5.

<sup>34</sup> ჩიტაია გ. 1944 : 264

<sup>35</sup> კობახიძე ე. 1961: 40.

## ლექსუმი - არქეოლოგია, ისტორია, წყაროები, ტოპონიმისა

**არქეოლოგია.** ლექსუმის არქეოლოგიური მონაპოვარი მცირერიცხოვანი და მცირემასშტაბიანი გათხრების შედეგად აღმოჩენილი და შემთხვევით მოპოვებული მასალის თავმოყრის საფუძველზეა წარმოდგენილი. ეს მასალები დაცულია ცაგერის ისტორიულ მუზეუმში, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში და ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც (სანკტ-პეტერბურგი).

ლექსუმიდან ცნობილი არქეოლოგიური მასალები თითქმის ყველა არქეოლოგიურ პერიოდს მოიცავს - ქვის ხანიდან დაწყებული, გვიანი შუასაუკუნეებით დამთავრებული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს რეგიონი ადამიანის მიერ ათვისებული იყო უძველესი დროიდან.

ლექსუმის პრეისტორიული ეპოქა ქვის ხანის ძეგლებით იწყება,<sup>36</sup> შემდეგ ლითონების ეპოქა წარმოდგენილია ბრინჯაოს ცალკეული არტეფაქტებით და კომპლექსებით, რაც ჩვენი კვლევის სფეროს - უძველესი მეტალურგიის, ფაქტობრივი დადასტურებაა, და რის საფუძველზეც ლექსუმი მკვლევარების მიერ აღიარებულია გვიან ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანის ერთ-ერთ მძლავრ მეტალურგიულ კერად.<sup>37</sup>

ლექსუმში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთებიდან უძველესია სოფ. ორბელში აღმოჩენილი ბრინჯაოს ყუამილიანი ცული. ამგვარი ყუამილიანი ცულები საქართველოში გავრცელებული ცულებიდან ერთ-ერთი უადრესი ფორმაა. ორბელის ცულის აღმოჩენის კონტექსტი უცნობია, ტიპოლოგიური ნიშნების მიხედვით, მხედველობაში გვაქვს ოდნავ შესამჩნევი რელიეფური წიბო ნაკლულ ყუაზე, იგი ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნით უნდა დათარიღდეს.<sup>38</sup>

ლექსუმი რომ კოლხური ბრინჯაოს კულტურის (ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახ. - ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახ.) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია, ამას ნათლად ასახავს, უპირველეს ყოვლისა, ცაგერის ისტორიულ მუზეუმში წარმოდგენილი ამ კულტურისათვის დამახასიათებელი ყველა ძირითადი არქეოლოგიური

<sup>36</sup> ქვის ხანის ძეგლების შესახებ იხ.: ნებიერიძე ლ. 1986: 149, 177-181. სულავა ნ., ... 2012; აღაპიშვილი თ. 2014: 30-32.

<sup>37</sup> Иессен А.А. 1935б: 112, 128. ჯაფარიძე ო. 1950: 52. გობეჯიშვილი გ. 1959: 142; ქორიძე დ. 1965: 142-144; სახაროვა ლ. 1966; Сахарова Л.С. 1966: 9, 11; სახაროვა ლ. 1976ა: 24; სულავა ნ. 2014ა.

<sup>38</sup> სულავა ნ., ... 2012: 21; სულავა ნ. 2014ბ: 40-45.

კომპონენტი – პრეისტორიული მეტალურგიის ძეგლები (ბრინჯაოს ზოდები, წიდეები, საბერველი მილები, ქურის შელესილობის ფრაგმენტები), ბრინჯაოს განძები, კოლხური კერამიკა.<sup>39</sup>

ლექსუმში პრეისტორიული მეტალურგიის ძეგლების კონცენტრაცია, ბრინჯაოსა და რკინის ნაკეთობების სიმრავლე - ბრინჯაოს განძებისა თუ ცალკეული არტეფაქტების სახით, ის საფუძველია, რომელიც პირდაპირ მიუთითებს ლექსუმის როლზე კოლხურ ბრინჯაოს კულტურაში და აქ მცხოვრები ხალხის საქმიანობაზე - სამთო-საწარმოო მეტალურგია მრავალდარგობრივ, განვითარებულ სოფლის მეურნეობასთან ერთად.

ეს მასალა მოიცავს სპილენძის შენადნობების მრავალფეროვან არტეფაქტებს, სპილენძის ზოდების ფრაგმენტებს, ე.წ. „ნამცხვრებს/კვერებს“, წარმოების მეორად ნარჩენებს - წიდეებს და სხვ. ამ მასალის უდიდესი ნაწილი დღემდე შემონახული იყო მიწაში დაფლული განძების<sup>40</sup> ან ცალკეული ნივთების სახით, რომელთა აღმოჩენა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად მოხდა. სულ ახლახანს, (აღნიშნული პროექტის დაწყებამდე) არქეოლოგიური გათხრების დროს გამოვლინდა მეორადი წარმოების სამრეწველო ნარჩენების გროვები (იხ. ქვემოთ).

პრეისტორიული მასალების ამგვარი კონცენტრაცია და მოცულობა მიუთითებს იმაზე, რომ ლექსუმი იყო სპილენძის არამარტო პირველადი წარმოების (დნობა) ცენტრი, არამედ სპილენძის შენადნობებისაგან არტეფაქტების ჩამოსხმის მეორადი წარმოების ცენტრიც (ჩამოსხმა/სამჭედლო წარმოება) ძვ.წ. მეორე ათასწლეულის ბოლოს. ეს კოლხეთის გვიანდელი ბრინჯაოს ხანის კულტურის მატერიალური საფუძვლების რეკონსტრუქციის მთავარი მიზანია.

ლექსუმში შემთხვევითი აღმოჩენებით მოპოვებულია და ცაგერის ისტორიულ მუზეუმში დაცულია სპილენძისა და რკინის მეტალურგიული წარმოების სრული პროცესის ამსახველი არტეფაქტები - სხვადასხვა ზომის ბრინჯაოს ზოდები, დიდი რაოდენობით წიდეები, გამოსადნობი ქურების შელესილობის თიხის ფრაგმენტები, თიხისა და ქვის საბერველები, ლითონის ნაღვენთები, მინიშნება უნდა ყოფილიყო სპილენძის (დნობის) ადგილობრივი წარმოებისა, რაც წარმოდგენილ პროექტამდე არ

<sup>39</sup> ლექსუმის პრეისტორიული მეტალურგიის ძეგლების შესახებ იხ.: სულავა ნ. 2014ა: 33-39.

<sup>40</sup> განძების შესახებ იხ.: ლორთქიფანიძე ო. 2001.



გაკეთებულა, თუმცა, ზოგიერთი წინაპირობა არსებობს ადგილობრივი პრეისტორიული სპილენძის ინდუსტრიის არსებობის შესახებ, რომელიც დაფიქსირდა მე-20 საუკუნის დასაწყისში სპილენძის (და სხვა მეტალის) წყაროების გეოლოგიური მადი-ებლების მიერ გაკეთებული ანგარიშებში (იხ. ქვემოთ).

როგორც არაერთხელ იყო აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში, ლეჩხუმის მთელ რიგ სოფლებში (ოფიტარა, ოყურეში, ლაჭეპიტა, მექვენა, დღნორისა, თეთრი ღელე, ზუბის მიდამოები) სპილენძის უამრავი გამოსავლება დადასტურებული.<sup>41</sup> მათი უძველეს პერიოდში დამუშავების შესაძლებლობას ადასტურებს ამავე გამო-სავლებთან მიკვლეული საწარმოო გადანაყარი – წიდეები, გამოსადნობი ქურების შელესილობის თიხის ფრაგმენტები, თიხისა და ქვის საბერველები, ლითონის ნაღვენთები, ზოდები და დიდი რაოდენობით წიდეები (ლუხვანო, უსახელო, ლაილაში, დერჩი, დღნორისა, ზუბი, ლამგვერია).<sup>42</sup> მუზეუმში დაცულია სპილენძის ზოდების ოცამდე ნიმუში, რომელთაგან უდიდესი 32 კილოგრამს იწონის (სოფ. ზოგიშიდან). საინტერესოა ის დაკვირვებაც, რომ ბრინჯაოს ზოგი განძის (ოყურეშის, ლუხვანოს, სურმუშის განძი) და მეტალურგიის საწარმოო გადანაყარის აღმოჩენის ადგილები ერთმანეთს ემთხვევა.<sup>43</sup>

---

<sup>41</sup> Каландадзе А. 1931; Бежанишвили Н. М. 1933; Топурия П. А. 1931.

<sup>42</sup> სახაროვა ლ. 1962: 36; სახაროვა ლ. 1966: 22; Sulava N., . . . 2013: 375-379.

<sup>43</sup> სახაროვა ლ. 1976ბ: 24.

აღწერა	ინგ. N	ლაბ. N	Fe	Co	Ni	Cu	Zn	As	Ag	Sn	Sb	Pb
სრული ჰემისფერული სპილენძის ზოდი	3-1976:1	HM1022a	2.68	nd	nd	96.1	0.95	0.12	0.07	nd	nd	0.06
ნახევრადჰემისფერული სპილენძის ზოდი	3-1940:2	HM1023a	0.76	nd	nd	98.9	0.64	0.16	0.10	0.05	nd	0.09
ჰემისფერული სპილენძის ზოდი კიდის გარეშე	3-1935:5	HM1024a	1.02	0.04	0.10	98.7	0.10	nd	nd	nd	0.14	0.03
სპილენძის ზოდის სეგმენტი	3-1939:4	HM1025a	0.39	0.03	0.10	99.1	0.10	0.24	0.08	nd	nd	0.07
სპილენძის ზოდის სეგმენტი	3-1976:3	HM1026a	0.14	0.02	0.07	99.6	nd	nd	0.08	tr	tr	0.03
სპილენძის ზოდის უბანი უსწორმასწორო ზედაპირით	3-1940:8	HM1027a	1.19	0.04	0.09	98.0	0.33	0.14	0.04	0.07	nd	0.06
სპილენძის ზოდის უბანი უსწორმასწორო ზედაპირით	3-1976:14	HM1028a	1.68	nd	nd	97.5	0.37	0.06	0.09	0.07	nd	0.23
სპილენძის წიდის- „კვერის“ დიდი ზომის ფრაგმენტი	1701	HM1029a	1.12	0.02	0.14	98.5	nd	nd	0.09	nd	nd	0.16
სპილენძის წიდის- „კვერის“ მცირე ფრაგმენტი	17	HM1030a	1.90	0.02	0.04	96.8	0.23	0.47	0.08	nd	0.15	0.32
პატარა ჰემისფერული სპილენძის ზოდი (სრული)	3-1976:13	HM1031a	0.11	0.01	0.05	99.7	tr	nd	0.05	nd	0.08	0.05
სპილენძის ზოდის უბნის ფრაგმენტი	3-1939:9	HM1032a	0.74	0.02	0.04	98.3	0.45	0.12	0.12	nd	nd	0.19
ძირითადად მთლიანად ჰემისფერული სპილენძის ზოდი	3-1978:6	HM1033a	2.07	0.05	0.07	97.7	tr	tr	0.10	nd	nd	nd
უსწორმასწორო, გლუვი სპილენძის ნატეხი/ბლოკი	3-1976:7	HM1034a	1.28	0.02	0.04	98.3	tr	0.18	0.06	nd	0.08	tr
თითქმის სრული, „ფუნთუშის/კეკის“ ფორმის წიდის „კვერი“- 3 შრე/ფენი	3-1976:12	HM1035a	0.12	0.03	0.19	99.0	tr	0.47	0.04	nd	0.16	nd
დაახლოებით ნახევრად „ფუნთუშის/კეკის“ ფორმის სპილენძის წიდის „კვერი“	1700 series	HM1036a	1.32	0.03	0.15	92.3	0.29	0.10	0.05	0.05	0.14	5.59
ჰემისფერული სპილენძის ზოდის კიდის ფრაგმენტი	1700 series	HM1037a	0.84	nd	nd	98.4	0.61	nd	nd	0.06	0.07	nd
ჰემისფერული სპილენძის ზოდის კიდის ფრაგმენტი	3-1976:11	HM1038a	0.89	nd	nd	98.0	0.69	0.05	0.06	nd	0.08	0.29
ბრტყელი სპილენძის ზოდის თხელი/აკურატული ანათალი	3-1976:1	HM1039a	1.09	nd	nd	98.4	0.46	nd	0.07	nd	nd	nd
ლაგამის თავი	5-1938	HM1040a	0.03	nd	nd	93.4	0.55	nd	0.26	0.91	nd	4.83
სარიტუალო თოხი, ცაგერას განძიდან	5-1938	HM1041a	0.81	nd	nd	98.8	0.41	nd	nd	nd	nd	tr
სარიტუალო ცული დეკორირებული/შემკული ცული ცაგერას განძიდან	5-1938	HM1042a	nd	nd	nd	89.2	nd	0.29	0.13	9.85	0.28	0.28
სარიტუალო ცული დეკორირებული/შემკული ცული ცაგერას განძიდან	5-1938	HM1043a	nd	nd	nd	90.2	tr	1.33	0.05	7.01	0.14	0.36
სპილენძის შენადნობიდან	5-1938:2	HM1044a	nd	nd	0.05	98.8	tr	0.57	0.13	0.07	0.19	0.23

ჩამოსხმული ჭურჭელი ცაგერას განმიდან												
სარიტუალო ცულის ფრაგმენტი ცაგერას განმიდან	5-1938	HM1045a	0.03	nd	0.05	97.8	tr	1.05	0.15	nd	0.30	0.62
სარიტუალო ცულის ფრაგმენტი ცაგერას განმიდან	5-1938	HM1046a	0.30	0.02	0.09	99.2	tr	tr	0.07	nd	0.11	0.22
სარიტუალო თოხი ცაგერას განმიდან	5-1938	HM1047a	0.30	nd	0.03	97.7	tr	1.32	0.11	nd	0.24	0.26
სარიტუალო თოხი ცაგერას განმიდან	5-1938	HM1048a	0.19	nd	0.03	98.2	tr	1.01	0.12	nd	0.14	0.30
უსწორმასწორო სპილენძის წიდის- „კვერის“ ფრაგმენტი	5-1938:23	HM1049a	2.13	nd	nd	97.7	tr	nd	0.08	0.06	nd	0.03
სპილენძის წიდის- „კვერის“ სამკუთხა ფრაგმენტი	5-1938:22	HM1050a	0.55	0.02	nd	99.3	tr	nd	0.14	nd	nd	tr
უსწორმასწორო სპილენძის წიდის- „კვერის“ ფრაგმენტი	5-1938:21	HM1051a	2.50	0.04	nd	95.6	0.60	0.79	0.09	nd	nd	0.38
შენიშვნები: tr = კვალი, nd= არ დადგინდა												

ცხრ. I. ცაგერის მუზეუმში (ლექსუმი) დაცული გვიანი ბრინჯაოს ხანის ლითონის სინჯების ენერგოდისპერსიული რენტგენოფლოუორესცენტური (XRF) ანალიზების შედეგები (მას%).<sup>44</sup>

ჩვენი პროექტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანას წარმოადგენდა ლექსუმიდან ცნობილი გვიან ბრინჯაოს ხანის ლითონის ნივთებზე, როგორცაა სპილენძის ზოდები, მეორადი დამუშავების ე.წ. „ნამცხვრები/კვერები“ და მზა არტეფაქტები, ყოვლისმომცველი ანალიტიკური კვლევების ჩატარება. ეს დაგვეხმარება ლექსუმის ტერიტორიაზე წარმოებული სპილენძისთვის დამახასიათებელი ქიმიური ნიშნების - „ქიმიური ხელწერის“ განსაზღვრაში. შესაბამისად, შესაძლებელი გახდება იმის განსაზღვრა თუ რომელი არტეფაქტები იყო ადგილობრივი წარმოების და რომელი გარედან შემოტანილი. ლექსუმიდან ლითონის ნაწარმის მრავალმხრივი ანალიტიკური კვლევის პირველი ეტაპის შედეგები ნაჩვენებია - ცხრილი I.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ სპილენძის ზოდების ფრაგმენტების შემადგენლობა შეესაბამება, მიმდინარე პროექტის ფარგლებში ლექსუმის ტერიტორიაზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანის სპილენძის სადნობი სხვადასხვა ძეგლებიდან მოპოვებული წიდების ანალიზის (ნახევრად რაოდენობრივი) საერთო შედეგებს. ეს თავის

<sup>44</sup> ანალიზები შესრულებულია დოქტორ ბრაიან გილმორის მიერ (Research Laboratory for Archaeology and the History of Art, University of Oxford).

მხრივ მიუთითებს იმაზე, რომ სპილენძის დნობა, გადამუშავება და ზოდებად ჩამოსხმა ადგილზე ხდებოდა. იგივე შეიძლება ითქვას არტეფაქტების უმეტესობაზე, რომლებიც ასევე დამზადებულია სპილენძისგან მცირე მინარევებით, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი არის თუთია და რკინა. ამ ორი ლითონის წყაროს ასევე ადგილობრივია და უკავშირდება ლეჩხუმში ცნობილ მადანგამოვლინებებს.

წარმოების ადგილობრივი ხასიათის დამადასტურებელ მტკიცებულებათა შორის აშკარა გამოჩანასწავს წარმოადგენს (ლაგამი) და ორი დეკორირებული ცული ცაგერას განძიდან. ორივე ცული დამზადებულია კალიანი ბრინჯაოსგან (7% -10% კალა), ხოლო ლაგამი დამზადებულია ტყვიანარევი სპილენძისგან (დაახლოებით 5% ტყვიის შემცველობით) და (1%) კალა, როგორც უმნიშვნელო მინარევი. ეს სამი არტეფაქტი ასევე შეიცავს მცირე რაოდენობით თუთიას. მაღალი ალბათობით, ეს სამი არტეფაქტი სხვაგან, სავარაუდოდ სამხრეთ კავკასიაშია დამზადებული, სადაც კალა (შესაძლოა იმპორტირებული/შემოტანილი) ხელმისაწვდომი იყო, თუმცა ადგილობრივი მადნები შეიცავდა მცირე რაოდენობით თუთიას და კიდევ უფრო ნაკლებად რკინას.

ეს შედეგები ლეჩხუმის ტერიტორიაზე, პრეისტორიული სპილენძის დნობის ძეგლების (მათ შორის მადნების/მადაროების) და ლითონწარმოების სამეცნიერო კვლევის, მხოლოდ პირველ საფეხურს წარმოადგენს. კვლევები გრძელდება. ამგვარი კვლევის აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ დღემდე საკმაოდ მწირი ანალიტიკური მასალა არსებობს კოლხური პერიოდის მეტალურგიულ წარმოებასთან დაკავშირებით, როგორც ლეჩხუმისთვის, ასევე უფრო ფართო რეგიონალური მასშტაბით. შესაბამისად, ჩვენთვის უცნობია (ან მოითხოვს დაზუსტებას), როგორც ადგილობრივი წარმოების ხარისხი და მასშტაბები, ასევე წარმოებაში გამოყენებული ადგილობრივი შენადნობების სახეობებიც.

უნდა აღინიშნოს, რომ ლეჩხუმის გვიანი ბრინჯაოს ხანის ნივთებიდან გასული საუკუნის 50-იან წლებში ქიმიურად შესწავლილია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ოყურემის განძის არტეფაქტები.<sup>45</sup> ანალიზის შედეგებმა გამოავლინა, რომ

<sup>45</sup> სიტულა (1-36:17): სპილენძი მცირე მინარევებით: დარიშხანი – 0,55%, ტყვია – 0,3%, რკინა, თუთია, ანთიმონი, კალა კვალის სახით; რგოლი (18-32:206): სპილენძი – 87,0%, კალა – 0,88%, დარიშხანი – 0,88%; საყელური რგოლი: (18-32:200): სპილენძი – 86,34%, კალა – 13,4%; ცული (11-32:13): სპილენძი – 94,1%, კალა – 5,7%, დარიშხანი – 0,2%; ცული (11-32:14): სპილენძი – 88,8%, კალა – 10,1%, დარიშხანი –

ისინი დამზადებულია სპილენძისგან დარიშხანის უმნიშვნელო მინარევებით. მხოლოდ ორ ნივთში აღმოჩნდა ანთიმონი კვალის სახით.<sup>46</sup>

ლექსუმში, კოლხური ბრინჯაოს კულტურის არტეფაქტების დიდი რაოდენობით აღმოჩენების მიუხედავად, მეტალურგიულ წარმოებასთან დაკავშირებული ყალიბების აღმოჩენა დადასტურებული არ იყო.

1970-71 წწ-ის არქეოლოგიური გათხრებისას სოფ. ცხეთაში გამოვლინდა ორფენიანი (ძვ.წ. VIII-VII და ძვ.წ. VI-V საუკუნეების) სამოსახლოს მცირე მონაკვეთი. აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების მიხედვით ნამოსახლარზე დამჯდარი მიწათმოქმედი-მესაქონლე მოსახლეობა ცხოვრობდა, რომელიც მეტალურგიასთანაც იყო დაკავშირებული, რაზეც აქ აღმოჩენილი ქვის უნიკალური ყალიბიც მიგვითითებს, რომლის ანალოგიც უცნობია. ყალიბში ჩამოისხმებოდა საინკრუსტაციო მეანდრისებური ფირფიტები, რომელსაც იყენებდნენ ცნობილი კოლხური აბზინდების შესამკობად. ამ დანიშნულების ყალიბის ლექსუმში, მთიან კოლხეთში აღმოჩენა, ვფიქრობთ, ნამდვილად ადასტურებს, რომ მართკუთხა კოლხური აბზინდები კოლხეთში (იქნებ მთიან კოლხეთშიც) მზადდებოდა და აქედან ვრცელდებოდა კოლხური ბრინჯაოს კულტურის არეალში, ხოლო ამ ყალიბის ძვ.წ. VIII-V სს-ით დათარიღებული ნასახლარის ქვედა დონეზე (ძვ.წ. VIII-VII სს) აღმოჩენა ამ აბზინდების თარიღსაც აკონკრეტებს.<sup>47</sup>

როგორც გვეჩვენა აღნიშნული, ლექსუმში, კოლხეთის მთიან ნაწილში აღმოჩენილი უძველესი მეტალურგიული წარმოების არტეფაქტების სიუხვე კიდევ ერთი ნათელი დასტურია იმ რეალობისა, რამაც შექმნა საფუძველი, რომ ლექსუმი კოლხური ბრინჯაოს მეტალურგიის ერთ-ერთ უძველეს კერად ყოფილიყო მიჩნეული.<sup>48</sup>

კოლხური ბრინჯაოს მეტალურგიის ნაყოფია კოლხური ბრინჯაოს ის არტეფაქტები და კომპლექსები, რომლებიც ცნობილია ლექსუმიდან. უპირველეს ყოვლისა, აღსა-

---

0,59%; ცული (11-32:68): სპილენძი - 86,75%, კალა - 12,65%, დარიშხანი - 0,02%; ცული (11-32:19): სპილენძი - 85,0%, კალა - 14,1%.

<sup>46</sup> აბესაძე ც., ... 1958: 50, 51.

<sup>47</sup> სახაროვა ლ., ... 2014: 67-86; სახაროვა ლ. 1976ბ: 96-104; Sulawa N. 2001: 186-187; Sulawa N. 2001ბ: 375. სულავა ნ. 2003: 31-37; Sulawa N. 2008: 299-305; სულავა ნ. 2013: 63. დღნორისას განძი გამოუქვეყნებელია.

<sup>48</sup> Иессен А. А. 1935б: 112, 128; ჯაფარიძე ო. 1950: 52; გობეჯიშვილი გ. 1959: 142; ქორიძე დ. 1965: 142-144; Сахарова Л. С. 1966: 9, 11; სახაროვა ლ. 1976ა: 24.

ნიშნავია ამ მცირე ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბრინჯაოს განძების სიუხვე; სულ აღმოჩენილია 12 განძი.<sup>49</sup>

ცაგერის ისტორიულ მუზეუმში მხოლოდ სამი განძია დაცული – ცაგერას განძი, ხოჯის განძი და ოყურემის ანუ ლაჯობის ძირის განძის ნაწილი. დანარჩენი ბრინჯაოს განძები დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ოყურემის განძის დიდი ნაწილი, სურმუმის განძი), ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში (ლაილაშის 2 განძი, დღნორისას განძი) და სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო ერმიტაჟში (ლაილაშის განძი, სურმუმის განძი, ლუხვანოს განძი, ლეხეროს განძი).<sup>50</sup>

როგორც დადგინდა, კავკასიის რეგიონში განძები მხოლოდ კოლხეთისათვის არის დამახასიათებელი და გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია. კოლხური კულტურის არეალში აღმოჩენილია 150-ზე მეტი ბრინჯაოს განძი. კოლხური ბრინჯაოს კულტურის „განძები“ ბოლოდროინდელი გამოკვლევების თანახმად მიჩნეულია ღვთაებისადმი შეწირულობად (საკრალური დანიშნულების კომპლექსად), ეთნიკური ნიშნის მატარებელია და კოლხური ბრინჯაოს კულტურის არეალს ემთხვევა.<sup>51</sup>

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ბრინჯაოს განძები, ფართოდაა გავრცელებული ბრინჯაოს ხანის ევროპაში, თუმცა უცხოა სამხრეთ იტალიისა და საბერძნეთისათვის. განძები არ არის დამახასიათებელი სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდ. კავკასიის გვიანბრინჯაოს ხანის კულტურებისათვის,<sup>52</sup> განსხვავებით სამხრეთ კავკასიისაგან.

---

<sup>49</sup> სახაროვა ლ. 1976ა; ლორთქიფანიძე ო. 2001; სულავა ნ., . . . 2012; სულავა ნ. 2014გ. დღნორისას განძი გამოუქვეყნებელია, ინახება ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში.

<sup>50</sup> სახაროვა 1976ა: 3-18.

<sup>51</sup> ლორთქიფანიძე 2001: 178, 180, 187.

<sup>52</sup> ჩრდ. კავკასიაში გვიანბრინჯაოს ხანის განძები საკმაოდ იშვიათია [Иессен А. А. 1951: 101, სურ. 34, IV: 1-10], განსაკუთრებით ე.წ. ყოზანური კულტურის არეალში (ბელეშევსკაიას განძი [Крупнов Е. И. 1952: სურ. 26], ბორგუსტანის განძი [Егоров Н. М. 1951: 292-295], ჟემტალის განძი [Крупнов Е. И. 1952]), რასაც თვით ვ. კოზენკოვაც აღნიშნავს [Козенкова В. 1996: 13]. ამ რეგიონიდან ცნობილი რამდენიმე განძი (ჩრდ. კავკასიის დასავლეთ ნაწილში აღმოჩენილი განძების (ნოვოჩერკასის [Иессен А. А. 1953: 49, სურ. 1], გილიაჩის [Иессен А. А. 1951: 89, სურ. 16], აგურის ქარხნის [Иессен А. А. 1951: 90, სურ. 18], კოსტრომის [Иессен А. А. 1951: 116, 118, სურ. 54], უპორნაიას [Козенкова 1996] ჩათვლით დაახლ. 8 განძი) კოლხური „განძებისათვის“ დამახასიათებელ კომპონენტებს შეიცავენ [იხ.: ლორთქიფანიძე ო. 2001: 187-189].



ლექსუმში შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს არტეფაქტები ფართოდ არის წარმოდგენილი კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი როგორც სამეურნეო, ასევე საბრძოლო თუ სარიტუალო დანიშნულების ნივთებითა და სამკაულით. მათ შორის აღსანიშნავია: თოხები, ნამგლისპირები, შუბისპირები, სატეხები, სხვადასხვა ტიპის კოლხური ცულები, ბრტყელი ცულები, ლაგმები, ბალთები, სამაჯურები, საკინძები, რგოლები, მცირე პლასტიკის ნიმუშები (ქანდაკებები), რომლებიც ლექსუმს კიდევ ერთხელ ათავსებს კოლხური ბრინჯაოს კულტურის არეალში.

კოლხური ცულები, სხვადასხვა დანიშნულების ნივთები, ცნობილია ლექსუმის სხვადასხვა სოფლებიდან.<sup>53</sup>

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანი ლექსუმში აღმოჩენილი არ არის,<sup>54</sup> ხოლო შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს არტეფაქტების აღმოჩენის კონტექსტი უცნობია, მიუხედავად ამისა ისინი მაინც ან სამარხეულია ან განძისეული, რადგან ამ კატეგორიის ნივთები მხოლოდ ამ არქეოლოგიური ძეგლებისთვის არის დამახასიათებელი. განსაკუთრებით საყურადღებოა კოლხური ცულების ტიპოლოგიური მრავალფეროვნება, რაც აქ ამ ტიპის იარაღის დროში განვითარებაზე მიუთითებს.

მომდევნო არქეოლოგიური პერიოდის - ანტიკური ხანისა და შუასაუკუნეების მასალები, რომელიც წარმოდგენილია როგორც არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული (ცხეთის ნასახლარი,<sup>55</sup> ცხეთის სამაროვანი,<sup>56</sup> კორვაშის ნასახლარი,<sup>57</sup> დეხვირის ციხეები)<sup>58</sup>, ასევე შემთხვევით მოპოვებული არტეფაქტებით, მეტყველებს იმაზე, რომ ლექსუმი საკმაოდ მჭიდროდ იყო დასახლებული<sup>59</sup> და აქტიურად იყო ჩაბმული საქართველოს ისტორიულ პროცესებში.

<sup>53</sup> სახაროვა ლ. 1966: 21-53, 81-121. სულავა ნ., . . . 2012.

<sup>54</sup> თუ არ ჩავთვლით დანგრეული სამარხის ნაშთს (ბრინჯაოს სპირალური ხვიები, ქინძისთავის ღერაკები, ბრინჯაოს ფრაგმენტირებული ფირფიტები), რომელიც 2017 წელს აღმოჩნდა სოფ. დეხვირთან (ადგილი გვარინა), რომელიც ჯერ არ არის გამოქვეყნებული (სულავა ნ. 2017. ლექსუმის (ცხეთა-დეხვირის) არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2017 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივი).

<sup>55</sup> სახაროვა ლ. 1976ბ: 96-104; სახაროვა ლ., . . . 2014: 67-86; Sulawa N. 2001ა: 186-187; Sulawa N. 2001ბ: 375; სულავა ნ. 2003: 31-37; Sulawa N. 2008: 299-305. სულავა ნ. 2013: 63.

<sup>56</sup> სახაროვა ლ. 1967; სახაროვა ლ., . . . 2014.

<sup>57</sup> გაბიძაშვილი გ., . . . 2004: 121-123.

<sup>58</sup> იხ.: რ. ისაკაძის ანგარიშები (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივი).

<sup>59</sup> ლექსუმის უმთავრეს ხუროთმოძღვრულ ძეგლთა განლაგების სქემაზე იმაზე მიუთითებს, რომ შესაბამისად დასახლებაც მჭიდრო უნდა ყოფილიყო [ბერძენიშვილი დ., . . . 1983: 4].

მასალის მიმოხილვასთან დაკავშირებით დასახელებული ლიტერატურის მიხედვითაც კი ცხადია, რომ ლეჩხუმში ფართომასშტაბიანი კვლევის საგანი არასოდეს ყოფილა.

**ლეჩხუმის არქეოლოგიური კვლევის ისტორია.** ლეჩხუმის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიურ მონაპოვარს სხვადასხვა ასპექტით ყურადღება მიექცა გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული (ა. ა. იესენი,<sup>60</sup> ბ. ბ. პიოტროვსკი,<sup>61</sup> ა. აფაქიძე,<sup>62</sup> ბ. კუფტინი,<sup>63</sup> ო. ჯაფარიძე,<sup>64</sup> გ. ნიორაძე,<sup>65</sup> ტ. ჩუბინიშვილი,<sup>66</sup> ე. ი. კრუპნოვი,<sup>67</sup> დ. ქორიძე,<sup>68</sup> გ. გობეჯიშვილი,<sup>69</sup> ო. ღამბაშიძე,<sup>70</sup> ლ. სახაროვა,<sup>71</sup> ნ. სულავა,<sup>72</sup> გ. გაბიძაშვილი<sup>73</sup>).

1910 წელს ლეჩხუმში დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა ექვთიმე თაყაიშვილმა.<sup>74</sup>

პირველი არქეოლოგიური სამუშაოები<sup>75</sup> ლეჩხუმში, კერძოდ, სოფლების დეხვირისა და ცხეთის ტერიტორიაზე გასული საუკუნის 60-იან და შემდეგ 70-იან წლებში ჩატარდა. მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიცია (არქეოლოგ ლ. სახაროვას ხელმძღვანელობით). ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალა – ძვ.წ. VIII-V სს-ის ცხეთის ნასახლარისა და ანტიკური ხანის ცხეთის სამაროვნისა ინახება ცაგერის ისტორიულ მუზეუმში.<sup>76</sup> ეს

<sup>60</sup> Иессен А. А. 1935б: 128-129; Иессен А. А. 1962: 44;

<sup>61</sup> Пиотровский Б. Б. 1933: 55; Пиотровский Б. Б. 1944: 320-323; Пиотровский Б. Б. 1948; Пиотровский Б. Б. 1949: 126-127; Пиотровский Б. Б. 1959: 242-244.

<sup>62</sup> აფაქიძე ა. 1940.

<sup>63</sup> Куфтин Б. А. 1944а: 324-340. Куфтин Б. А. 1944б: 27.

<sup>64</sup> ჯაფარიძე ო. 1950ა,ბ,გ: 52, 99, 217; ჯაფარიძე ო. 1953: 92-121.

<sup>65</sup> ნიორაძე გ. 1948: 15-17.

<sup>66</sup> ჩუბინიშვილი ტ. 1949: 294.

<sup>67</sup> Крупнов Е. И. 1952: 28-30.

<sup>68</sup> ქორიძე დ. 1955: 166-169.

<sup>69</sup> გობეჯიშვილი გ., . . . 1959: 129-142.

<sup>70</sup> ღამბაშიძე ო. 1963: 30-40.

<sup>71</sup> სახაროვა ლ. 1966; Сахарова Л.С. 1966; სახაროვა ლ. 1976.

<sup>72</sup> სულავა ნ. 2003: 31-37; სულავა ნ. 2013: 62-67; სულავა ნ. 2014ა; სულავა ნ. 2014ბ; სულავა ნ. 2014გ.

<sup>73</sup> გაბიძაშვილი გ., . . . 2004.

<sup>74</sup> თაყაიშვილი ექ. 1937: 440.

<sup>75</sup> რომლებიც მცირევადიანი დაზვერვებისა და გათხრების (მცირე დაფინანსებით) სახით ტარდებოდა, არ იყო სათანადოდ აღჭურვილი. არ არის შემორჩენილი საველე ნახაზები და ფოტოები. ძეგლების ფიქსაცია მხოლოდ საველე დღიურებისა და საველე ანგარიშების დონეზეა ცნობილი.

<sup>76</sup> ცხეთის ნასახლარის ერთი ნივთი - ქვის ყალიბი [სულავა ნ. 2003: 31-37; Sulawa N. 2001ა: 186-187; Sulawa N. 2001ბ: 375; Sulawa N. 2008: 299-305], ინახება სემ-ში (ექსპონირებულია), ხოლო ცხეთის სამაროვნის მტევნისებური ოქროს საყურეები ინახება სემ-ის ოქროს ფონდში [სულავა ნ. 1996].

მასალები, როგორც არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი, და ასევე შემთხვევით აღმოჩენილი, ფუნდამენტურად არის შესწავლილი (ლ. სახაროვა,<sup>77</sup> ნ. სულავა).<sup>78</sup>

შემდეგი არქეოლოგიური სამუშაოები ლეჩხუმში გასული საუკუნის 70-80-იან წლებში (დაზვერვები ხელმძღვ. ა. ნუცუბიძე; დაზვერვები და გათხრები, ხელმძღვ. გ. გაბიძაშვილი) დაკავშირებული იყო მდ. რიონის ხეობაში ნამოხვანჰესის მშენებლობასთან.<sup>79</sup>

ამავე ხანებში საგანგებო ექსპედიცია მიემდგნა ლეჩხუმის უმთავრეს ხუროთმოძღვრულ ძეგლთა აზომვასა და ფიქსაციას (ხელმძღვ. დ. ბერძენიშვილი). ჩატარებული სამუშაო შესაბამის ნაშრომშიც აისახა.<sup>80</sup>

შუასაუკუნეების ძეგლების ფიქსაციასთან დაკავშირებული, სადაზვერვო-გათხრითი ექსპედიცია ჩატარდა 2003-2004 წლებშიც (ხელმძღვანელი არქეოლოგი ჯ. კოპალიანი).

2005 წელს მცირემასშტაბიანი გათხრები ჩატარდა „ლეჩხუმის დაზვერვითი ექსპედიციის“<sup>81</sup> მიერ სოფ. გონას, წმ. გიორგის ეკლესიის ახლოს გამოვლენილ სამაროვანზე (მდ. რიონის ხეობა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი).<sup>82</sup>

2007, 2015-2016 წწ-დან მოყოლებული სადაზვერვო, გაწმენდითი და გათხრითი სამუშაოები მიმდინარეობს ხვამლის მთაზე.<sup>83</sup>

2012 წლიდან ცხეთა-დეხვირის ტერიტორიაზე კვლავ განახლდა არქეოლოგიური სამუშაოები, რომელსაც აწარმოებს საქართველოს ეროვნული მუზეუმის „ლეჩხუმის (ცხეთა-დეხვირის) არქეოლოგიური ექსპედიცია“.<sup>84</sup> არქეოლოგიური სამუშაოები წარმოებს ანტიკური ხანის „ცხეთის სამაროვანზე“, ძვ.წ. VIII-V სს-ის ცხეთა-დეხვირის კოლხური ნასახლარის უბნებზე, გამოვლინდა ახალი სამაროვანი „გვარინა“.<sup>85</sup>

---

<sup>77</sup> სახაროვა ლ. 1962; სახაროვა ლ. 1967.

<sup>78</sup> სულავა ნ. 1988; სულავა ნ. 1989ა; სულავა ნ. 1989ბ; სულავა ნ. 1990; სულავა ნ. 1996.

<sup>79</sup> ნუცუბიძე ა. 1979 - იხ. ა. ნუცუბიძის საველე დღიური; გაბიძაშვილი გ., ... 2004: 121-123.

<sup>80</sup> ბერძენიშვილი დ., ... 1983.

<sup>81</sup> საქართველოს ეროვნული მუზეუმის დაფინანსებით.

<sup>82</sup> სულხანიშვილი დ., ... 2014: 118-134.

<sup>83</sup> ანგარიშები იხ. ონლაინ სკმდეს არქივში, რადგან ექსპედიცია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით მუშაობს.

<sup>84</sup> ხელმძღვანელი საქართველოს ეროვნული მუზეუმის მთავარი კურატორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, არქეოლოგი ნინო სულავა. ექსპედიციას აფინანსებს ცაგერის მუნიციპალიტეტი. ექსპედიციის საპროექტო წინადადებები და ანგარიშები იხ.: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივი [სულავა ნ. 2017: 232-240].

<sup>85</sup> საველე სამუშაოების ანგარიშები იხ.: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივი [სულავა ნ. 2017: 232-240].

რაც შეეხება უძველესი მეტალურგიის ძეგლების შესწავლას ლეჩხუმში, ამ მიმართულებით კვლევები საქართველოს ეროვნული მუზეუმის სადაზვერვო ექსპედიციამ დაიწყო, რომელმაც მთიან კოლხეთში - 2011-2015 წლებში სადაზვერვო სამუშაოებით გამოავლინა 13 დღემდე უცნობი არქეომეტალურგიული ძეგლი.<sup>86</sup> 2016 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმის დაფინანსებით ჩატარდა პირველი ექსპედიცია - „ლეჩხუმის (პრეისტორიული მეტალურგიის შემსწავლელი - დოღურაში 1) არქეოლოგიური ექსპედიცია”,<sup>87</sup> ხოლო 2017-2019 წლების სეზონებზე იგივე ექსპედიცია ფინანსდებოდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კვლევითი საგრანტო პროექტის ფარგლებში.<sup>88</sup> გაგრძელდა სამუშაოები დოღურაში 1-ზე, ასევე, დაიწყო არქეოლოგიური სამუშაოები არქეომეტალურგიულ ძეგლზე დოღურაში 2. ორივე ძეგლი მსგავსია და აღმოჩენილი კერამიკის ფრაგმენტები მიგვითითებდა, რომ საქმე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეომეტალურგიულ ძეგლებთან გვქონდა, რაც დადასტურდა რადიოკარბონული თარიღითაც - ეს ძეგლები ექსპლუატაციაში იყო ძვ.წ 13-9 სს-ში.

ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოებით საფუძველი ჩაეყარა ლეჩხუმის არქეომეტალურგიული ძეგლების კომლექსურად შესწავლას - გამოვლინდა და არქეოლოგიურად შესწავლილ იქნა აქამდე უცნობი არქეომეტალურგიული ძეგლები, პირველად ჩატარდა გეოლოგიური დაზვერვები იმ ნედლეულის წყაროს და ნედლეულის სახეობის დასადგენად, რომელიც ამ ძეგლებზე გამოიყენებოდა.

**ისტორია, წყაროები, ტოპონიმისა.** ლეჩხუმის პრეისტორიულ წარსულზე გარკვეული წარმოდგენა არქეოლოგიური მონაცემების მიმოხილვამ შეგვიქმნა, განსაკუთრებით პრეისტორიული მეტალურგიის შესახებ, რომელიც საფუძვლად უდევს ამ რეგიონის ადრეულ ტრადიციებს და დასაბამს აძლევს ადრეულ ცნობადობას და კოლხურ ბრინჯაოს კულტურას. ამ მონაცემების შევსება შესაძლებელია წყაროებისა და ტოპონიმის მონაცემების ანალიზით.

---

<sup>86</sup> Sulava N. 2013: 375-379.

<sup>87</sup> ექსპედიციების შესახებ ანგარიშები იხილეთ ქვემოთ.

<sup>88</sup> სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კვლევითი საგრანტო პროექტი - „მეტალურგიის წარმოშობა და განვითარება მთიან კოლხეთში: ახალი აღმოჩენები, კვლევები და პერსპექტივები” (# 217128), 09.12.2016.

ლექსუმის - საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული პროვინციის, მოხსენიება ქართულ თუ უცხოურ ისტორიულ წყაროებში, აქ მოსახლე უძველესი ტომების მოძრაობა და ლექსუმის ტერიტორიაზე დაფიქსირებული ტოპონიმიკა ერთმანეთთან არის დაკავშირებული.

ქვეყნის სახელწოდება - *ლექსუმი*, აშკარად არქაულ იერს ატარებს, ეთნიკური ელემენტის შემცველია და ქვეყნის შიგნით ქართველურ ტომთა გადაადგილებაზე<sup>89</sup> უნდა მიგვანიშნებდეს.<sup>90</sup>

სახელწოდება ლექსუმის ეტიმოლოგია, დაწყებული ვახუშტი ბატონიშვილიდან დღემდე, მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევს და იხატება აზრთა სხვადასხვაობაში.

**ვახუშტი ბაგრატიონი** იყო პირველი ვინც ლექსუმის ეტიმოლოგიის ახსნა ცადა. მისი აზრით ამ მხარეს *ლექსუმი* შერქმევია - „*ხომლის* კლდის გამო - ესე არს *ლექ ხომი*“.<sup>91</sup> რას ნიშნავდა *ლექ-ფუძე* ან როგორ მივიღეთ *ხომლიდან ხომი*, გაუგებარია.<sup>92</sup>

**ნ. მარი ლექსუმ** სახელწოდებას ხსნის *ჩხუმ* ვარიანტით, რაც მეგრულად *ჩხუმ-ჩხომი* თევზის სახელია. ნ. მარი თვლიდა, რომ ლექსუმი იმ სპერულ-სუბარული ტომების<sup>93</sup>

---

<sup>89</sup>როგორც თვლიან, ე.წ. გლოტოქრონოლოგიური მეთოდის მონაცემებით, მცირე კავკასიონის დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილში ლოკალიზებული საერთო ქართველური ფუძე-ენის დაშლის პროცესი ძვ.წ. IV - III ათასწლეულებში ივარაუდება. ქართველური ტომების პირველი მიგრაციული ტალღა, რომლის შედეგადაც ძვ.წ. III ათასწლეულისთვის მაინც უნდა მომხდარიყო სვანური ენის გამოყოფა, მიმართული იყო **დღევანდელი კოლხეთის დაბლობისკენ**; სვანურენოვანი მოსახლეობა თავდაპირველად ზღვისპირა ზოლში, რიონ-ენგურის აუზში იყო დამკვიდრებული, რის მოწმობადაც ტოპონიმიკური და არქეოლოგიური მასალაა (კერძოდ, ისპანისა და დიხაგუმუბას ნამოსახლარებზე აღმოჩენილი განსხვავებული კერამიკა) მიჩნეული. ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში ქართულ-ზანური (ქართულ – კოლხური) ერთობის დაშლის შედეგად ჩამოყალიბებულმა მეგრულ-ჭანურმა (კოლხურმა) ერთობამ სვანურენოვანი მოსახლეობა თანდათან შეავიწროვა დიდი კავკასიონის სამხრეთი კალთებისკენ და დამკვიდრდა ვრცელ ტერიტორიაზე, რომელიც კოლხეთის სახელითაა ცნობილი (მოიცავდა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს, კოლხეთის დაბლობსა და ისტორიულ მესხეთს); ხოლო აღმოსავლურ-ქართველური დიალექტის მატარებელი ეთნიკური ერთობის ერთი ნაწილი დამკვიდრდა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც შემდეგ იქმნება ანტიკურ წყაროებში იბერიის სახელით ცნობილი ქართლის სამეფო; ნაწილი დარჩა დასავლეთ მცირე აზიის საზღვრებში, ხოლო სამხრეთით განსახლებულ ნაწილს წყაროები მუშკების სახელით იხსენიებენ. – დაწვრ. იხ. Гамкrellidze T., . . . 1984: 880, შენ. 2, 904-909; ლორთქიფანიძე ო. 2002: 18-19.

<sup>90</sup> სულავა ნ. 1996: 6.

<sup>91</sup> ვახუშტი 1941: 21, 149.

<sup>92</sup> ბედოშვილი გ. 2002: 229-232.

ადგილსამყოფელი იყო, რომელთა ტოტემს თევზი წარმოადგენდა.<sup>94</sup> ჩვენი აზრით, შეიძლება ამ მოსაზრებას გარკვეულწილად ტოპონიმები - ცხეთა, ნასპერი უმაგრებდეს პოზიციას და „ერთ ეთნოკულტურულ წყაროზე მიგვითითებდეს . . . (მესხური ტომები თუ სასპერ-სპერ-ჰბერ-იბერები ან გარკვეული სტადიალურობით ორივე)”.<sup>95</sup>

**ბ. კუფტინმა და ი. ყიფშიძემ** *ლექსუმ* სახელწოდების ახსნა *ჩხუმ-ჩხომ* ვარიანტით გაიზიარეს.<sup>96</sup>

**პ. ინგოროყვა, ი. ორბელი, ივ. შენგელია** *ჩხუმ-ცხუმ*-ს უკავშირებენ *ცხომ-ცხუმ* - სოხუმს, დიოსკურია - ტყუბნის (ტყუპების ქვეყანას) და აქედან კაბირების კულტსაც.<sup>97</sup>

**მ. ჩიქოვანის და დ. მუსხელიშვილის** აზრით, *ლექსუმის* უძველეს სახელწოდებას უნდა ინახავდეს სოფელი ჩქუმი,<sup>98</sup> რომელიც მდ. ჯონოულის ხევიშია.<sup>99</sup>

**ქ. მუშკუდიანის** მიხედვით *ლექსუმი* მეგრულ-სვანური წარმოშობის სახელწოდებაა, მეგრული სიტყვის *ჩხომი*-სა და სვანური *ლუ-პრეფიქსის* შეერთებით მიღებულია - *ლექსუმი*, რაც ქართულად სათევზეს ნიშნავს.<sup>100</sup>

**ივ. ჯავახიშვილს, გ. ჩიტაიას, მ. ალავეძეს, ლ. სახაროვას** მიაჩნდათ, რომ სახელწოდება „*ლექსუმი*” სვანურისგან არის ნაწარმოები.<sup>101</sup> *ლუ-სვანური* გეოგრაფიული სახელების მაწარმოებელი პრეფიქსია, *ჩხუმი/ცხუმ ცხვიმის* შესატყვისია; *ლუ-ცხვიმ* კი სვანურად რცხილნარს ნიშნავს. ასეთ ახსნას მ. ალავეძე ასაბუთებს იმით, რომ *ლექსუმის* ბევრ სოფელს და ადგილს სვანური წარმოშობის საკუთარი სახელი აქვს, რომელიც უმთავრესად ბუნების რომელიმე მონაცემზე ან საქმიანობაზე მიუთითებს;

<sup>94</sup> Мapp Н.Я. 1933: 96.

<sup>95</sup> სულავა ნ. 1996: 97.

<sup>96</sup> Куфтин Б. А. 1949: 235; Кипшидзе И. 1914: 235.

<sup>97</sup> ინგოროყვა პ. 1954: 146-147; Орбели И. А. 1963: 504; შენგელია ივ. 1963: 822.

<sup>98</sup> ლ. სახაროვა 1966 წელს აღნიშნავდა, რომ „თუ რამდენად მართებულია აღნიშნული მოსაზრებები, ამის თქმა ჯერჯერობით ძნელია, რადგან საჭიროა უფრო მეტი და მყარი მასალები მათ სამტკიცებლად. საყურადღებოა ტოპონიმი – *ჩქუმი*, რომელიც უშუალო კავშირში უნდა იყოს სახელწოდება *ლექსუმთან*. სოფ. ჩქუმი მდებარეობს ცხენისწყლის მარცხენა შენაკადის მდ. ჯონოულის სათავესთან ახლოს, მისგან 2,5 კმ-ზე სოფელი ქულბაქია. ნიშანდობლივია, რომ ეს პუნქტები მდებარეობენ იმ გზაზე, რომელიც ასხის მთის ძირში გადის და *ლექსუმის* მხარეს სამეგრელოსთან აკავშირებს [სახაროვა ლ. 1966: 17].

<sup>99</sup> ჩიქოვანი მ. 1939: 46; მუსხელიშვილი დ. 1977: 124-126.

<sup>100</sup> მუშკუდიანი ქ. 1972: 147, 148. ფაქტობრივად, ახლოსაა ნ. მარის შეხედულებასთან.

<sup>101</sup> ჯავახიშვილი ივ. 1951: 422; ჩიტაია გ. 1944: 267; ალავეძე მ. 1958: 147; სახაროვა ლ. 1966: 4;



მაგალითად: ცაგერი/ცაგარ – ეკლნარი, ლაბეჭინა/ლაბეჩ – ქვიანი, ლუხვანო/უხვან – კლდიანი, უცხერი/უცხარ – მსხლიანი, ლეშკედა/ლეშკედო – ჩრდილიანი, ლაილაში – საცხვრე, ლეკურა – ძროხის სამოვარი, ლახამეილაში – საღორია და სხვა.<sup>102</sup>

ის გარემოება, რომ ლეჩხუმი სვანურ-ზანური წარმოების სახელია და იმ დროს უნდა იყოს შექმნილი, როდესაც ლეჩხუმში სვანურ-ზანური ტომები ცხოვრობდნენ, საკმაოდ არ უნდა იყოს. ენობრივი, ტოპონიმური, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მონაცემებიც აქ ამ ტომების თანაცხოვრებაზე მიუთითებენ.<sup>103</sup>

**ს. ყაუხჩიშვილმა** დაასაბუთა (გაიზიარეს - ს. ჯანაშიამ,<sup>104</sup> ნ. ბერძენიშვილმა, ნ. ლომოურმა, დ. ბერძენიშვილმა და სხვ.), რომ *ჩხუმ-ცხუმის* ბერძნულ ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს *სკვიმია*<sup>105</sup>, რომელიც პროკოპი კესარიელის აღწერილობის მიხედვით ამ დროს ლაზეთში შემავალ ქრისტიანულ პროვინციას - ლეჩხუმს - ესადაგება.<sup>106</sup>

**ლ. სახაროვას** აზრით, ეტიმოლოგია სახელწოდებისა *ლეჩხუმი-ლეცხვიმ (ლე-ცხუმ)-სკვიმია* და ბერძნული წყაროები, ამ ტერმინის სიძველეზე მიგვანიშნებს.<sup>107</sup>

საისტორიო წყაროების მიმოხილვიდან ირკვევა, რომ სახელწოდება *ლეჩხუმი ქართულ ისტორიულ წყაროებში* გვიან ჩნდება, კერძოდ, ლეჩხუმის პირველი ხსენება XV საუკუნის სვანებისა და ჯაფარიძეების მტრობის აღწერილობაში გვხვდება.<sup>108</sup>

თუმცა, *ცხუმ-სახელწოდება*, როგორც წყაროებიდან ჩანს, კვლავ განაგრძობს არებობას და გარკვეული შინაარსითაც - თამარის პირველი ისტორიკოსი იხსენიებს ცხუმის საერისთაოს თავკერთან ერთად.<sup>109</sup> საინტერესოა ამ მხრივ *ცხუმ-ციხის* და *ცხუმ-ქალაქის* არსებობაც.<sup>110</sup> **ლ. სახაროვას** აზრით, მოტანილი ცნობები გვაფიქრებინებს,<sup>111</sup>

<sup>102</sup> ალავეძე მ. 1958: 147; ქალდანი მ. 1963: 67-77.

<sup>103</sup> ჩიქოვანი მ. 1949: 46; ალავეძე მ. 1941: 229-247; ალავეძე მ. 1949: 129-165; ალავეძე მ. 1951; ალავეძე მ. 1955: 29; ალავეძე მ. 1958: 144; სახაროვა ლ. 1966: 14-17; სულავა ნ. 1996: 6-8.

<sup>104</sup> ჯანაშია ს. 1952ა: 100; ბერძენიშვილი ნ. 1975: 456; ლომოური ნ. 1968: 72-78, 100; ბერძენიშვილი დ., . . . 1983: 10.

<sup>105</sup> შდრ.: ბერძენიშვილი დ., . . . 1983: 10 და შემდ. *სკვიმია/სკვიმნიასთან* დაკავშირებით - „ტერმინი სკვიმია“, „ . . . პროკოპი კესარიელი ლეჩხუმს სკვიმნიის სახელით მოიხსენიებს“. მუსხელიშვილი დ. 1985: 419 - ლეჩხუმს სკვიმნიის სახელით იხსენიებს.

<sup>106</sup> ყაუხჩიშვილი ს. 1934: 96-97; ყაუხჩიშვილი ს. 1965: 126 - „ლაზეთის „შემდეგ შიდა ხმელეთში მოდის სკვიმია და სვანია“.

<sup>107</sup> Сахарова Л.С. 1966: 4, 5.

<sup>108</sup> სვანეთის წერილობითი ძეგლები 1986: 112-116.

<sup>109</sup> ქართლის ცხოვრება II, 1959: 33-34.

<sup>110</sup> ქართლის ცხოვრება I, 1955: 42-43, 235, 238.

რომ ადრე *ცხუმი* საზოგადო სახელი უნდა ყოფილიყო რაჭა-ლეჩხუმისა და ნაწილობრივ სვანეთისაც (ნიშანდობლივია, რომ სვანეთში არის თემი *ცხუმარი – ცხმარი*), ხოლო შემდეგ გარკვეულ ისტორიულ პროცესებთან დაკავშირებით გაჩნდა თაკვერი, რაჭა და ბოლოს ისევ აღდგა *ცხუმ* – სახელწოდება, მხოლოდ *ლეჩხუმ* – სახელწოდებით და გარკვეული შინაარსით.<sup>112</sup>

პირველად სახელწოდებებს - *თაკვერი/ლეჩხუმი*, ერთად იხსენიებს XVII საუკუნის ისტორიკოსი **ბერი ეგნატაშვილი** - „თაკუერი, რომელსაც აწ ჰქვია ლეჩხუმი”.<sup>113</sup> ე.ი. ქართულმა ისტორიულმა წყარომ იცის, რომ ლეჩხუმს თაკვერი ერქვა.

მ. ალავიძე აღნიშნავდა, რომ ხალხურ მეტყველებში ეს სახელწოდება (თაკვერი - ნ.ს.) არ დასტურდება და გადმოცემითაც არავინ იცის, რომ ლეჩხუმს ან რაჭა-ლეჩხუმს თაკვერი ეწოდებოდა. საყურადღებოა რომ, სოფ. ქვედა ლუხვანოში არის ადგილი, რომელსაც თაკვარელიანი ეწოდება.<sup>114</sup> სოფ. ლუხვანოში აღმოჩენილი ბრინჯაოს განძი<sup>115</sup> და მეტალურგიული წარმოების ნაშთები,<sup>116</sup> ამასთანავე, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ლუხვანოს სვანური მნიშვნელობა (=კლდიან-მთიან ადგილს), მეტალურგიასთან დაკავშირებული საქმიანობის ერთგვარ კომპლექსს ქმნის; შესაძლოა, თაკვერი გამოხატავდა ამ უბნის საქმიანობას, მიუთითებდა ადგილზე – უბანზე – მთაზე, სადაც კვერავენ – **(მ)თა კვერი**.<sup>117</sup>

თაკვერსა და ლეჩხუმს ერთად ახსენებს პირველი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი (XVIII საუკუნე). იგი გვაწვდის შემდეგ ცნობებს:

„გორდიდამ ვიდრე კავკასამდე არს **ხეობა ლეჩხუმისა**, რომელსა უწოდებენ **თაკუერად**. არამედ მოიგო სახელი ესე გარემოსთა მთათაგან, კუერსავით მდებარისა – იხილე ესე მთა კუერი, – ანუ ციხისაგან ფრიად მაგრისა, მუნვე თაკუერისა . . .

<sup>111</sup> განსხვავებით ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებისაგან - იხ.: ჯავახიშვილი ივ. 1951: 422.

<sup>112</sup> სახაროვა ლ. 1966: 15, 16.

<sup>113</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II. 1959. თბილისი. გვ. 346. სახელწოდება „ლეჩხუმის”, „თაკვერის” და საერისთავოს საზღვრების დროში მონაცვლეობის საკითხის შესახებ იხ.: სულავა ნ. 1996: 3-9, 96-100; ლეთოდიანი დ. 2003: 5-35. იხ.: იქვე მითითებული ლიტერატურა.

<sup>114</sup> ალავიძე მ. 1951: 86.

<sup>115</sup> სახაროვა ლ. 1976: 14-16; სულავა ნ. 2014გ: 44-53.

<sup>116</sup> გობეჯიშვილი გ. 1962; Сахарова Л.С. 1966.

<sup>117</sup> სახაროვა ლ. 1966: 14.

ცხენისწყალს მოერთვის, გორდს ზეით, ჩდილოდამ, კავკასის გამომდინარე ხევი, და ამ ხევზედ არს ციხე თაკუერი, მაღალს კლდესა ზედა, დიდშენი და ფრიად მაგარი”<sup>118</sup>;

„პირველად თაკვერს უწოდებდნენ რაჭას ბაგრატიონთამდე, ვითარცა აჩენს ცხოვრება რამეთუ გარდმოვლესო ოსთა გზა თაკუერისაო, ვინაიდგან არს გზა ოსეთისა რაჭა და არა ლეჩხუმი”.<sup>119</sup>

ვახუშტი ბაგრატიონის დახასიათებით - „მოსახლენი არიან აზნაურნი და გლეხნი, რემეთუ არა არს მოსახლე, რომელსა არა ედგას კოშკი ქვითკირისა და შენობანი ყოველნივე ქვითკირისანი. და არს მთითა და კლდითა ფრიად მაგარი, და კაცნი მუნებურნი მბრძოლნი და შემმართებელნი, ჰაეროვანნი, ტანოვანნი, მდნენი და მორჩილნი უფალთა თვსთა”.<sup>120</sup> მისივე ცნობით, ლეონ აფხაზთა მეფის რეფორმების შედეგად, VIII საუკუნის ბოლოს, დასავლეთ საქართველოს საერისთაოთა შორის რაჭა-ლეჩხუმი ერთიან საერისთაოდ ჩამოყალიბდა.<sup>121</sup> ხოლო XIII საუკუნეში, დავით ულუს ძეს, კონსტანტინე მეფეს მისი ძმა მიქაელი განუდგა, „დაიპყრა რაჭა, ლეჩხუმი, არგვეთი” და იქ მეფობდა. ცოტათი ადრე, როდესაც დავით ულუ და დავით ნარინი საქართველოს ორად იყოფენ, ხვამლის კლდის საგანძურსაც ინაწილებენ - „განიყვნეს მეფეთა ქუეყანანი და ქალაქნი ქუთათისი და ტფილისი ორად, სამეფო ორად; საჭურჭლე ორად; არამედ ხომლის ქუაბსა შინა რაიცა იყო, მცირედი გაყვნეს და სხვა დაუტევეს მუნვე”.<sup>122</sup>

თაკვერს იხსენიებს **ჯუანშერი** (XI საუკუნე), რომლის ცნობითაც V საუკუნეში ვახტანგ გორგასალს დასავლეთ საქართველოში ყოლია „სამნადირ ერისთავი შიდა ეგრისა და სუანეთისა; და ბაკურ, ერისთავი მარგვსა და თაკუერისა”.<sup>123</sup>

დ. ბერძენიშვილის აზრით, სვანეთში აქ ლეჩხუმი და მთიანი რაჭა იგულისხმება, რომლის ქვემო ნაწილი თაკვერშია სავარაუდო.<sup>124</sup> ხოლო იგივე ჯუანშერი - VIII ს-ის

<sup>118</sup>ქართლის ცხოვრება 4: 1973: 748,15-26, 749,1; გამყრელიძე გ., . . . 2013. ფაქტობრივად, ვახუშტი ბაგრატიონი ამ აღწერით ლეჩხუმის ლოკალიზაციას იძლევა - ნ.ს.

<sup>119</sup>ვახუშტი 1941: 148. ასეთივე ვარაუდი წამოაყენა ივ. ჯავახიშვილმაც - „იქნებ წინათ „თაკუერი” საზოგადო სახელი იყო რაჭა-ლეჩხუმისა, ხოლო შემდეგ სახელი „რაჭა” შემოიღეს და თაკვერი კი ლეჩხუმს შერჩა” [ჯავახიშვილი ივ. 1948: 48].

<sup>120</sup>ქართლის ცხოვრება 1959: 749.

<sup>121</sup>ვახუშტი 1973: 796.

<sup>122</sup>ვახუშტი 1973: 219.

<sup>123</sup>ქართლი ცხოვრება I. 1955: 185; ბერძენიშვილი ნ. 1975: 456.

ამბების გადმოცემისას დასავლეთ საქართველოში ჩამოთვლის - ეგრისს, სვანეთს, თაკვერს, არგვეთს, გურიას, როგორც ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულებს,<sup>125</sup> რის მიხედვითაც დ. ბერძენიშვილი ასკვნის, რომ თაკვერი ჩამოშორებია არგვეთს (მარგვი), რომელთანაც ერთად ერთი საერისთაო იყო V საუკუნეში.<sup>126</sup>

თაკვერს იხსენიებს **ლეონტი მროველიც** (XI საუკუნე): „მომიცემია შენდა და გქონდეს საუხუცესოდ: ეგრისი, სუანეთი, თაკუერი, არგუეთი და გურია” ან „ოვსნი სიხარულითა წარმოვიდეს . . . და გარდმოვლეს გზა თაკუერისა და მოვიდეს ერისთავთა თანა ეგრისთა”.<sup>127</sup>

როგორც ვხედავთ, ქართულ წყაროებში თაკვერი იხსენიება II-V ს-ის ამბების აღწერისას.<sup>128</sup>

ვახუშტის მიხედვით გამოდის, რომ თაკვერი ჯერ რაჭის, შემდეგ ლეჩხუმის ძველი სახელწოდება ყოფილა; და ჯუანშერის მიერ VIII საუკუნეში თაკვერად წოდებული ქვეყანა ვახუშტის გვიანი ტერმინოლოგიით, რაჭა-ლეჩხუმის საერისთაო ყოფილა.<sup>129</sup>

ამგვარად, ქართული საისტორიო წყაროების ცნობების მიმოხილვის მიხედვით ჩანს, რომ ქართულმა ისტორიულმა წყარომ იცის, რომ დღევანდელ ლეჩხუმს თაკვერი ერქვა. სახელების ცვლილება დაახლოებით XV საუკუნეში უნდა მომხდარიყო.

**უცხოურ წერილობით წყაროებში** სკვიმიასთან გაიგივებული ლეჩხუმი პირველად VI-VII საუკუნის ბიზანტიურ წყაროებში (პროკოფი კესარიელი,<sup>130</sup> იუსტინიანე.<sup>131</sup> თეოდოსი განგრელი)<sup>132</sup> იხსენიება ლაზიკის სახელმწიფოს პოლიტიკური თუ სხვა მოვლენების აღწერისას.<sup>133</sup> უცხოური წერილობითი წყაროების მიხედვით ლეჩხუმი, იგივე სკვიმია VI საუკუნის ეგრისში საკმაოდ დაწინაურებული კუთხეა. იგი

---

<sup>124</sup> ბერძენიშვილი დ., . . . 1983: 10.

<sup>125</sup> ქართლის ცხოვრება, I. 1955: 185.

<sup>126</sup> ბერძენიშვილი დ., . . . 1983: 11.

<sup>127</sup> ქართლის ცხოვრება, I. 1955: 57, 185, 241.

<sup>128</sup> აგრეთვე, იხ.: გამყრელიძე გ., . . . 2013: 228, 229.

<sup>129</sup> ბერძენიშვილი დ., . . . 1983: 11.

<sup>130</sup> პროკოპი კესარიელი 1965.

<sup>131</sup> იუსტინიანე 1965.

<sup>132</sup> თეოდოსი განგრელი 1941.

<sup>133</sup> ყაუხჩიშვილი ს. 1965: 37, 126, 197.

დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი სამთავროთაგანია.<sup>134</sup> ცნობის თანახმად, სპარსეთ-ბიზანტიის ომში, რომლის ასპარეზიც ეგრისის ბარის რაიონები იყო, *სკვიმია* ანუ *ლეჩხუმი* ზურგის ფუნქციას ასრულებდა ბიზანტიელთა მოკავშირე ეგრისისთვის; სპარსელებმა მოკავშირეთა დასამარცხებლად მთებისკენ მიმავალ გზებზე განლაგებული ციხე-სიმაგრეები დაიკავეს, რითაც *სკვიმიაში/ლეჩხუმში* და *სვანიაში/სვანეთში* მიმავალი გზები ჩაკეტეს.<sup>135</sup>

თაკუერის ციხე იხსენიება VII ს-ში იქ მყოფი ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, მაქსიმე აღმსარებლის ერთ-ერთი მოწაფის ანასტასი აპოკრისიარის წერილში, რომელიც თეოდოსი განგრელს 666 წელს სწერდა, რომ თაკუერის ციხეში<sup>136</sup> ცოტაოდენი სიმშვიდე ვპოვეო.<sup>137</sup>

დაახლოებით ამავე ხანებში, სომხური გეოგრაფია დასავლეთ საქართველოს მთიელ ტომებში ერთმანეთის მეზობლად იხსენიებს *სკვიმნებისა* და *თაკვერელების* ტომებს, რომლებიც დასახელებულია მარგველებსა და ალან-დიგორელთა შორის.<sup>138</sup>

ამგვარად ფიქრობენ, რომ ბიზანტიური და სომხური წყაროების *სკვიმნები* ლეჩხუმელები (*ცხუმარები* ?) ცხენისწყლისხეობელები არიან. გამოდის, რომ თაკვერი და თაკვერელები უფრო სამხრეთით უნდა ვივარაუდოთ. ამ თვალსაზრისით შეიძლება საყურადღებოა ჯუანშერის ზემოთ მოტანილი ცნობა, რომ ვახტანგ გორგასალს დასავლეთ საქართველოში ჰყოლია „ . . . ბაკურ, ერისთავი მარგვსა და თაკუერისა”.<sup>139</sup> მაგრამ ამ ვარაუდს ხელს უშლის თაკვერის ლოკალიზაცია მდ. ცხენისწყლის ხეობაში. მუსხელიშვილის მიხედვით, თუ ზუბის ციხის (რომლის გრანდიოზულობა იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ იქ მჯდარა ხელისუფალი)<sup>140</sup> გაიგივება ვახუშტისეულ თაკვერის ციხესთან სწორია, მაშინ შეიძლება დავუშვათ, რომ თაკვერის ციხის ანუ ზუბის ციხის „ხევი“ წარმოადგენდა სწორედ „თაკვერს”.<sup>141</sup>

<sup>134</sup> პროკოპი კესარიელი 1965: 126.

<sup>135</sup> პროკოპი კესარიელი 1965: 197.

<sup>136</sup> თაკუერის ციხის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით იხ.: ვახუშტი - ქც 4: 1973: 748,15-26, 749,1; შარაშენიძე ჯ. 1976: 29; მუსხელიშვილი დ. 1977: 126; ბერძენიშვილი დ., . . . 1983: 29-30.

<sup>137</sup> აგათია სქოლასტიკოსი 1936: 59 (სქ.1).

<sup>138</sup> ბერძენიშვილი დ., . . . 1983: 10, იქვე, დასახელებული ლიტ.

<sup>139</sup> ვახუშტი 1955: 185.

<sup>140</sup> მუსხელიშვილი დ. 1977: 125, 126; ბერძენიშვილი დ., . . . 1983: 29-30.

<sup>141</sup> მუსხელიშვილი დ. 1977: 124-126.

ქართული და უცხოური წყაროების და გამოთქმული მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე დასაბუთებულად მიგვაჩნია, რომ სახელწოდება *ლეჩხუმი* (*ლევხიმ-ცხუმ-სკჰიმია*) უფრო ადრეულია და ქვეყნის პირვანდელი სახელწოდებაა.

სახელწოდებების მონაცვლეობასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ლ. სახაროვას, რომლის მიხედვითაც თაკვერი წარმოადგენდა გარკვეულ გეოგრაფიულ-პოლიტიკურ ერთეულს, საერისთაოს, რომლის დაწინაურებამ და უპირატესობამ განსაზღვრა ქვეყნის სახელწოდება; ხოლო ქვეყანამ მიიღო თავისი ძველი სახელწოდება - ლეჩხუმი, მას შემდეგ, რაც თაკვერის საერისთაომ შეწყვიტა არსებობა, როგორც პოლიტიკურმა ერთეულმა.<sup>142</sup>

გამოდის, რომ სახელწოდება - „თაკვერი“ საქართველოს ისტორიის ის მონაკვეთია, როცა თაკვერის საერისთაო იყო ჩამოყალიბებული პოლიტიკური ერთეულის სახით.<sup>143</sup>

ბოლოდროინდელი ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის კვლევებიდან საინტერესოა გ. მამარდაშვილის დაკვირვებები, რომლის აზრითაც, *თაკვერისა* და *ლეჩხუმის* ურთიერთმიმართების დასადგენად მნიშვნელოვანია *თაკვერის ციხისა* და *მთა კვერის*, *თაკვერის მთის* ადგილმდებარეობის გარკვევა. ვახუშტის მიხედვით თაკვერის ციხე მდებარეობს მდ. ცხენისწყლის და გორდს ზემოთ ჩრდილოეთიდან გამომავალი წყლის შესართავებში.

ამავე ცნობაზე დაყრდნობით და რიგი ტოპონიმიკური დაკვირვების შედეგად ჯ. შარაშენიძე მიიჩნევს, რომ *თაკვერის ციხე* იგივე ზუზის ციხეა, რომელიც მდებარეობს მდ. ცხენისწყლისა და მდ. კვერეშულას შესაყარზე. იგი იშველიებს ადგილობრივ ტოპონიმებს - მდ. კვერეშულა, რომელიც გასდევს გორა *კვერე(ში)გვერდს* და სათავეს იღებს ასხის მთის ადგილ *საკვერიდან*. ამავე ადგილებში, ასხის მთაზე არის საბალახო *თაკვერა*. თვით კვერეშულას ძირი კვერიდანაა წარმოქმნილი - *კვერ-ემ-ულ-ა*,

---

<sup>142</sup> სახაროვა ლ. 1966: 5. სახელწოდება „*ლეჩხუმის*“, „*თაკვერის*“ და საერისთავოს საზღვრების დროში მონაცვლეობის საკითხის შესახებ იხ.: სახაროვა ლ. 1966: 9-17; სულავა ნ. 1996: 3-9, 96-100; ლეთოდიანი დ. 2003: 5-35. იხ.: იქვე ლიტერატურა.

<sup>143</sup> ამ რეგიონის პოლიტიკურ ერთეულად არსებობაზე უნდა მიგვითითებდეს, აგრეთვე, ინსიგნიის ფუნქციის მატარებელი ისეთი არტეფაქტი, როგორიცაა უსახელოს ოქროს მედალიონი [სულავა ნ. 1996: 68-75, 99, 100].



კვერ - ფუძეა, ეშ - ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი სვანურში, ულ - კნინობითი სვანურში = მთა კვერის პატარა მდინარე.<sup>144</sup>

ვახუშტის ამ აზრის საწინააღმდეგოდ შეიძლება ითქვას, რომ მდ. კვერეშულა „ჩრდილოდამ“ კი არ ერთვის მდ. ცხენისწყალს, არამედ მისი მარჯვენა შენაკადია, ე.ი. დასავლეთიდან უერთდება. მდ. ცხენისწყლისა და მისი ჩრდილო შენაკადის მახლობლად მდებარეობს - კინჩხას ციხე, რომელიც დაჰყურებს მთა საკვერისას; კვერის მთა კი ჯ. შარაშენიძის მიხედვით ასხის მთაა.<sup>145</sup>

საინტერესოა დაკვირვება, რომ ვახუშტის განმარტებამ „იხილე მთა იგი კვერი“ და შემდეგ ლეჩხუმის სახელწოდების ხვამლის მთასთან დაკავშირებამ,<sup>146</sup> აგრეთვე, ხვამლის მთის მოხაზულობამ, მისმა როგორც თავშესაფრისა თუ განძთსაცავის,<sup>147</sup> რელიგიურ-სარიტუალო დანიშნულებამ,<sup>148</sup> წარმოშვა ხვამლისა და კვერსავით მდებარე მთის ერთიდაიგივეობის იდეა,<sup>149</sup> რომელთან მისასვლელს ციხე-სიმაგრეთა კომპლექსი იცავდა - დასავლეთის მხრიდან ზუბის და ისუნდრის ციხეები, ხოლო დაუცველი ნაკურალეშის მხრიდან უწვაშის ციხე იცავდა.<sup>150</sup> გ. მამარდაშვილი იხილავს რა თაკვერის არეალსა თუ საზღვრებს და ჩრდილოეთიდან სატრანზიტო გზებს, მიდის იმ დასკვნამდე, რომ „თაკვერის მთად, მასზე და მის გარშემო არსებული ტოპონიმების, მის ძირში ამ რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული და შთამბეჭდავი ციხის მდებარეობის, მასზე გამავალი სატრანზიტო გზებისა და მასთან დაკავშირებული ფორტიფიკაციის გათვალისწინებით, ასხის მთის მიჩნევაა მართებული. შესაბამისად თაკვერის ცენტრი დღევანდელი ლეჩხუმის ტერიტორიაა“.<sup>151</sup>

<sup>144</sup> შარაშენიძე ჯ. 1976: 12-25; მამარდაშვილი გ. 2010: 28.

<sup>145</sup> ბერაძე თ. 1976: 63-75.

<sup>146</sup> ვახუშტი 1973: 748.

<sup>147</sup> ვახუშტი 1973: 752.

<sup>148</sup> გ. მამარდაშვილის აღწერით - „ხვამლის მთა მართლაც შთამბეჭდავია - სალი, თითქმის შვეული კლდეებით, წაკვეთილი თავით მართლაც მოგვაგონებს ხუროს ხელსაწყოს - ჩაქუქს, რასაც ლეჩხუმელები კვერს უძახიან. ხვამლი დიდძალი განძის საცავიცაა - „საქართველოს გაუჭირდეს, ხვამლმა არჩინოს“ - დღესაც გაიგონებთ ლეჩხუმში ამგვარ გამოთქმას. გარდა ამისა ხვამლის მთის სიმიდრეებზე გადმოცემებს წერილობითი საისტორიო წყაროებიც უმაგრებს ზურგს [ვახუშტი 1973: 752]. აქ არსებული წმინდა გიორგის ეკლესია და ხალხში არსებული გადმოცემები, რომ ამ მთას ამინდის განმგებლობის ფუნქცია აკისრია, მას მართლაც აქცევს ერთ-ერთ უმნიშვნელოვნეს ადგილად ლეჩხუმში“ [მამარდაშვილი გ. 2010: 29].

<sup>149</sup> მუშკუდიანი ქ. 2001: 19.

<sup>150</sup> ბერაძე თ. 1976: 23.

<sup>151</sup> მამარდაშვილი გ. 2010: 30.

ანონიმ გეოგრაფზე და ბიზანტიელ ავტორებზე დაყრდნობით, გ. მამარდაშვილის აზრით, სავარაუდოდ VII-XI საუკუნეებში თავკერი ანუ ცხენისწყლის ხეობის შუაწელი, ქვემო რაჭაზე და ლეჩხუმზე გაბატონდა<sup>152</sup> და მთელი რეგიონი თავკერად ამიტომაც იხსენიება.<sup>153</sup>

ამ მოსაზრებას თუ შევადარებთ აქვე გამოტანილ დასკვნას,<sup>154</sup> რომ ქართული საისტორიო წყაროების ცნობების მიმოხილვის მიხედვით ჩანს, რომ ქართულმა ისტორიულმა წყარომ იცის, რომ დღევანდელ ლეჩხუმს თავკერი ერქვა, სახელების ცვლილება დაახლოებით XV საუკუნეში მოხდა; მაშინ გამოდის, რომ ამ მხრივ დაახლოებით 4 საუკუნის ვითარება ჩვენთვის უცნობია.

ლეჩხუმ-თავკერის მონაცვლეობა დაკავშირებული უნდა იყოს გარკვეულ ისტორიულ-პოლიტიკურ პროცესებთან,<sup>155</sup> რაც ჩვენი კვლევის სფეროს ცილდება.

თუმცა, ამ საკითხებში ჩაღრმავება ჩვენი ინტერესების სფეროს იმდენად ესადაგება, რამდენადაც ჩვენთვის საინტერესოა კვერ ტერმინთან დაკავშირებული ახსნა.<sup>156</sup>

**ეთნოგრაფია.** ლეჩხუმის აღწერილობას ყველაზე მოქნილად და ყოვლისმომცველად იძლევა ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი: „თუმცა არს ლეჩხუმი მთის ადგილად თქმული, გარნა არს ვენახიანი, ხილიანი, მოვალს ყოველნი მარცვალნი, თვნიერ ბრინჯ-ბანბისა. გარნა სივიწროვისა და კლდიანობისათვის არა ეგოდენ სიმრავლთ“;<sup>157</sup> „მოსახლენი არიან აზნაურნი და გლეხნი, რემეთუ არა არს მოსახლე, რომელსა არა ედგას კოშკი ქვითკირისა და შენობანი ყოველნივე ქვითკირისანი. და არს მთითა და კლდითა ფრიად მაგარი, და კაცნი მუნებურნი მბრძოლნი და შემმართველნი, ჰაეროვანნი, ტანოვანნი, მდნენი და მორჩილნი უფალთა თვსთა“.<sup>158</sup>

---

<sup>152</sup> ლეთოდიანი დ. 1982: 60.

<sup>153</sup> მამარდაშვილი გ. 2010: 31.

<sup>154</sup> მამარდაშვილი გ. 2010: 31.

<sup>155</sup> ამ რეგიონის პოლიტიკურ ერთეულად არსებობაზე უნდა მიგვითითებდეს, აგრეთვე, ინსიგნიის ფუნქციის მატარებელი ისეთი არტეფაქტი, როგორიცაა უსახელოს ოქროს მედალიონი [სულავა 1996: 75, 100].

<sup>156</sup> თუმცა ამ ბოლო დროს ვიკიპედიის სტატიაში ლეჩხუმზე გაჩნდა ფრაზა: „უძველეს წყაროებში რეგიონს სარკინეთი ეწოდება“, რომელიც სრულიად დაუსაბუთებელია და რას ეყრდნობიან ავტორები, გაუგებარია; იხ.: <https://ka.wikipedia.org/wiki>

<sup>157</sup> ვახუშტი 1941: 149.

<sup>158</sup> ქართლის ცხოვრება 1959:749.

ლექსუმის ეთნოგრაფიაში სხვადასხვა დარგის სამეურნეო თუ საბრძოლო იარაღის შესახებ არქეოლოგიური მონაპოვრის მიხედვითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ. ესენია - სამიწათმოქმედო, საბრძოლო, ხითხურობის იარაღები, ლითონის ჭურჭელი და ცხენის აკაზმულობა.

მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ნ. რეხვიაშვილის ნაშრომი, რომელიც რაჭის მჭედლობის ეთნოგრაფიულ შესწავლას ეძღვნება, და რომელიც ძირითადად წარმოადგენს რკინის მეტალურგიასთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მონაცემების კვლევასა და ანალიზს. ეს ნაშრომი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ რაჭა მჭიდრო ურთიერთობაში იყო ლექსუმთან<sup>159</sup> და ლოგიკურად სიტუაცია ანალოგიური უნდა ყოფილიყო. აღწერილი აქვს მადნის მოპოვება-დამუშავებასთან დაკავშირებული საქმიანობის სახეები, საბადოში მუშაობის წესები, მადნის გადასაზიდი საშუალებები, სამუშაო იარაღები, რკინის მადნის გადამუშავება („დაწურვა“, „გადადნობა“, „დაკვერვა“, ქურების სახეობები - „საწური“, „სადნობი“, სამუშაო იარაღი და მოწყობილობა), სამჭედლოს შემადგენელი კომპონენტები, ხელნაჭედი არტეფაქტები, რკინის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები. საინტერესოა ცნობები, რომ დას. საქართველოს ზოგიერთი სოფლის თითქმის მთელმა მოსახლეობამ მჭედლობა იცოდა; რომ ჩრდ. კავკასიაში გადადიოდნენ ხელოსნები და საცხოვრებლადაც კი რჩებოდნენ.<sup>160</sup>

რეტროსპექტულად რომ განვიხილოთ, ჩვენ არ ვიცით, რამდენად შემორჩა ეს ტრადიციები გვიანი ბრინჯაოს ხანიდან ადრე რკინის ხანაში, როდესაც სპილენძის დნობა და დამუშავება, სავარაუდოდ, ადგილობრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. მაგრამ ჩვენ გვაქვს გარკვეული მინიშნებები და ჩვენი პროექტიც გაცილებით მეტ ინფორმაციას გვაწვდის. ეს შეიძლება იყოს ბრინჯაოს განძის<sup>161</sup> აღმოჩენა და იქვე მეტალურგიული წარმოების კვალი ლუხვანოში<sup>162</sup> (რაც სვანურად ნიშნავს - კლდოვან ან მთიან ადგილს), რომელიც ცაგერის სამხრეთ-დასავლეთით დაახლოებით 5 კილომეტრში მდებარეობს. ეს არის **თაკვერთან** დაკავშირებული ერთ-ერთი ადგილობრივი ტერიტორია და შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ადგილ თაკვერის

<sup>159</sup> გარკვეული პერიოდულობით ერთ რეგიონადაც მოიაზრებოდა.

<sup>160</sup> რეხვიაშვილი ნ. 1953.

<sup>161</sup> სახაროვა ლ. 1976: 14-16; სულავა ნ. 2014c: 44-53.

<sup>162</sup> გობეჯიშვილი გ. 1962; Сахарова Л.С. 1966.

სახელწოდება, შესაძლოა მომდინარეობდეს (მ)თა [მთა] - კვერი [ჩაქუჩი]-გან, რაც შეგვახსენებს, რომ ლითონების დამუშავების ძველი პრაქტიკა და ტრადიცია ამ რეგიონისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. კვერვა ან ჭედვა უფრო აქტუალურია და ასოცირდება (რასაკვირველია, ეთნოგრაფიული თვალსაზრისით) რკინის დამუშავებასთან, სავარაუდოდ, რკინის ხანიდან მოყოლებული; მიმდინარე პროექტი, აგრეთვე, ადრინდელი აღმოჩენები სხვადასხვა სახის სპილენძის ნივთებისა, გვიჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ლითონის დამუშავება გვიან ბრინჯაოს ხანაში ადგილობრივი ცხოვრების წესისათვის, და ალბათ, შემდგომ პერიოდებში დიდი ხნის განმავლობაში.

## ლეჩხუმის გეოლოგიური კვლევები

კოლხეთის მთიან რეგიონში, ლეჩხუმში, პრეისტორიული მეტალურგიული ძეგლების არქეოლოგიური შესწავლის პარალელურად,<sup>163</sup> ნედლეულის წყაროს გამოვლენისა და მისი არქეომეტალურგიულ კერებთან კავშირის დადგენის მიზნით ჩატარდა წინასწარი გეოლოგიური სამუშაოები, სამთამადნო ბაზის მულტიდისციპლინალური შესწავლა.

**გეოლოგიური შესწავლილობის ისტორია და წინასწარი კვლევების შედეგები.** ლეჩხუმის გეოლოგიურ შესწავლას ხანგრძლივი ისტორია აქვს და სათავეს გასული საუკუნის დასაწყისიდან იღებს. უმეტესი ნაწილი XX საუკუნის 80-იან წლებამდეა ჩატარებული (უახლესი კვლევის შედეგების მოპოვება ვერ მოხერხდა). პირველი ცნობები ლეჩხუმის გეოლოგიაზე (სტრატეგრაფიული და ტექტონიკური დახასიათება) ასახულია აკად. ჰ. აბიხის ნაშრომში. შემდგომ ამავე თემაზე მონაცემები გვხვდება ე. ფავრთან, ა. ფურნიესთან, ს. სიმონოვიჩსა და ა. სოროკინთან (იხ.: ტოგონიძე გ. . . . 1933).<sup>164</sup> იმ დროისათვის ყველაზე საფუძვლიანი კვლევა და რაიონის გეოლოგიური რუკა ბ. მეფერტისა<sup>165</sup> და ალ. ჯანელიძის<sup>166</sup> სახელებს უკავშირდება.

საკვლევ რაიონში, უშუალოდ სპილენძის მადანგამოვლინებებისა და ამ ნედლეულის სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიაში გამოყენება, დიდი ხნის წინ, რევოლუციამდელ პერიოდში, იყო ცნობილი. მეტიც, ამგვარი უბნები ყიდვა-გაყიდვის საგნებიც კი იყო. პირველი ლიტერატურული ცნობები გვხვდება 1907 წელს სამთო საქმის ოსტატ/შტეიგერ გ. ბართოლომეევთან. ის მოიცავს სოფელ ოფიტარას მიდამოებში არსებული მადანგამოვლინებების კვლევას. ოფიტარას მიდამოებში (ქუთაისის გუბერნიის ლეჩხუმის მაზრა) გ. ბართოლომეევი აღწერს სამ მადანგამოვლინებას<sup>167</sup> (სურ. 5). პირველ მათგანს ფართო მასივის სახით სოფელ ოფიტარასთან ვხვდებით. მისი თქმით, მასივის ზედაპირი მთლიანად ჟანგისფერია, ხოლო ზოგიერთ უბანზე სადაც ხსნარების უფრო ინტენსიური მოძრაობა უნდა ყოფილიყო, წარმოქმნილიყო უმნიშვნელო სიმძლავრის ქერქი, რომლის ქვეშაც პირიტისა და ქალკოპირიტის

<sup>163</sup> პროექტის ფარგლებში ჩატარდა წინასწარი გეოლოგიური სამუშაოები.


<sup>164</sup> Тогонидзе Г. 1933: 3.

<sup>165</sup> Мефферт Б. Ф. 1930: Табл. I.

<sup>166</sup> Джanelidze А. И. 1940: 230.

<sup>167</sup> Варфоломеев Г. К. 1907: 4.

მარღვაკები და ბუდობები დაფიქსირდა. ლაბორატორიული ანალიზით ამ უბანზე Cu-ის შემცველობა 0.15% დადგინდა.<sup>168</sup> საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის იგი სოფელ ლაჭეპიტასთან (ოფიტარადან სამხრეთ-აღმოსავლეთით 2 კერსის/≈2 კმ დაშორებით) დაკავშირებით. აქ მან სპილენძის არსებობის კვალი ვერ აღმოაჩინა, თუმცა იპოვა წიდეები, რომელთა წარმომავლობის შესახებ მისსავე თქმით არავინ არაფერი იცოდა (ადგილობრივი უხუცესების ჩათვლით). იგი წიდეების აღწერისას აღნიშნავს, რომ ისინი სპილენძის ჟანგებს არ შეიცავდა, იყო მსუბუქი, რაც მადნის სრულყოფილ და უდანაკარგო დნობაზე მიუთითებდა.<sup>169</sup>



სურ. 5. ოფიტარა, ლაჭეპიტას და მეძვენას სპილენძის მადანგამოვლინებების სქემატური რუკა (1907 წ.).<sup>170</sup>

მეორე მხრივ, იმის გამო, რომ ამ უბანზე სპილენძის გამადნობის კვალი არ აღმოჩნდა, გ. ბართოლომეევი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ეს არა სპილენძის, არამედ ვერცხლი-

<sup>168</sup> Варфоломеев Г. К. 1907: 4.

<sup>169</sup> Варфоломеев Г. К. 1907: 8.

<sup>170</sup> Варфоломеев Г. К. 1907: 5.



ტყვიის მადნის დნობის შედეგია. ამის დასტურად აღნიშნავს, რომ წიდეებში ნახა „რადაც ჭურჭლის გაწიდებული/წიდად ქცეული ნატეხი, რომელიც დამსხვრეული ქოთნის კედლის ფრაგმენტს წააგავდა“.<sup>171</sup> რაც შეეხება მადნების გამოსავლებს, მისივე ვარაუდით, მათი მოპოვება უნდა უკავშირდებოდეს ბარიტისა და კვარცის ძარღვებს, წიდეების გავრცელების უშუალო სიახლოვეში. გ. ბართოლომეევის აზრით, დნობა არა ღუმელსა და ორმოში, არამედ თიხის ჭურჭლებში, ტიგელებში, ხდებოდა. მას ხშირად უნახავს სოფ. ლაჭეპიტასა და ოფიტარას შორის მთის მწვერვალებზე ბარიტის ნატეხები ტყვიის ჩანართებით. ამასთანავე, წიდეებში დაფიქსირებულმა საკმაოდ ინტენსიურმა გამინების პროცესმა აფიქრებინა, რომ ვერცხლი და ტყვიის მადანი კვარცის ძარღვებიდან მოიპოვებოდა.<sup>172</sup>

უ. ჩაშჩიხინი<sup>173</sup> თავის ანგარიშში 1919 წელს მექვენის რაიონში გავრცელებული სპილენძის მადნებისა და ბარიტის გამოვლინებების შესახებ აღწერს რამდენიმე გამოსავალს სოფლების ოფიტარას, ლაჭეპიტას, დღნორისასა და მექვენას მიდამოებში. სოფელ ოფიტარას მახლობლად, მინერალურ წყაროსთან,<sup>174</sup> კი უძველესი წიდეების გროვების არსებობასაც აფიქსირებს.

ოფიტარას მიდამოების მადანგამოვლინება 1919 წელს გახდა ასევე გეოლოგ ლ. კონი-უშევსკის<sup>175</sup> კვლევის საგანი. იგი აღნიშნავს მდინარე ლაშე ღელეს შესართავში 0.65 მ სიმძლავრის კალციტის ძარღვში პირიტის ჩანაწინწკლებისა და კვარცის ძარღვაკების არსებობას.

1932 წელს ინჟ. გ. ლოღობერიძის<sup>176</sup> მიერ ოფიტარას სიახლოვეს, უფრო სამხრეთით, დაფიქსირდა გამადნებული უბნები (დაახლოებით 1 ჰა ფართობზე) ბუდობების და 0.2-0.3 მ სიმძლავრის ძარღვების სახით, საიდანაც სინჯების ანალიზებმა აჩვენა სპილენძის 5.79%-იანი შემცველობა. გ. ლოღობერიძის მონაცემებიდან ირკვევა, რომ სამღელეს (სოფ. ლაჭეპიტას მიდამოები) მადანგამოვლინების, 1.6 მ სიმძლავრის ქალკოპირიტით მდიდარი ბარიტის ძარღვის სპილენძის შემცველობა, 2.07%-ს

---

<sup>171</sup> Варфоломеев Г. К. 1907: 8.

<sup>172</sup> Варфоломеев М. К. 1907: 8.

<sup>173</sup> Чашихин У. 1919: 2.

<sup>174</sup> ავტორთა მოსაზრებით, სავარაუდოდ ეს არის ადგილი ლაძგვერია.

<sup>175</sup> Тогонидзе Г. 1933: 6.

<sup>176</sup> Тогонидзе Г. 1933: 7.

შეადგენდა. იგივე უბანზე ლ. კონიუშევსკის<sup>177</sup> მონაცემებით სპილენძის შემცველობა არ აღემატებოდა 3%-ს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რაიონში მომუშავე ყველა გეოლოგი ერთსულოვნად აღნიშნავს საწარმოო წიდეების დიდი რაოდენობას, თუმცა ვერცერთი მათგანი ვერ ადასტურებს უძველესი მადაროების არსებობას. იგივე შეიძლება ითქვას ადგილობრივი მოსახლეობის უძველესი ცნობებითაც.

ა. კალანდაძეს<sup>178</sup> 1931 წელს კომუნალური ურთიერთობების განყოფილების მოხსენებით ბარათში მოყვანილი აქვს 1908-1911 წლების ცნობები სოფ. მექვენასა და ოფიტარაში სპილენძის მადნების გამოვლენის მიზნით ჩატარებული სამიეზო სამუშაოების შესახებ. სამთო სამუშაოებს აქ აწარმოებდა სამთომომპოვებელი ამხანაგობა „ჩიკვაიძე და ა.“ კომპანიას მიწვეული ჰყავდა სამთო საქმის 2 სპეციალისტი - ალავერდის ქარხნის ყოფილი სპეციალისტი გ. ვარფოლომეევი და საგანგებოდ მოწვეული გერმანელი გეოლოგი ფონ-ჰასსაბლატი. მათ დეტალურად შეუსწავლიათ რაიონი, შეუდგენიათ გეოლოგიური რუკა, ჭრილები და სხვა. სამთო-სამიეზო სამუშაოებს ატარებდა ამხანაგობა „ჩიკვაიძე და ა.“ მიერ დაქირავებული მადნის გეოლოგიის საქმის სპეციალისტები: სილოვან ლაჭყებიანი და დავით მიქაბერიძე. მათ მიერ რაიონის ფარგლებში სპილენძის, პირიტის, ქალკოპირიტითა და მალაქიტის მინერალიზაცია გამოვლინდა. ბარიტის ნატეხებში დაადგინეს მალაქიტისა და ქალკოზინის არსებობა, უნახავთ უძველესი წიდეებისა და მათი ნატეხების მცირე გროვები, რომლებიც ამ მიდამოებში სპილენძის კუსტარული სახით დნობას ადასტურებდა. ამავე რაიონში ნახეს ნაცრისფერი თიხები პირიტის მარცვლების ჩანართებით, რომლებიც, სპეციალისტთა აზრით, ალავერდისა და შამლულის შტოკვერკული ტიპის საბადოების გამადნების მსგავსი იყო. თიხებიდან აღებული 2 სინჯი გადაგზავნილი იყო ალავერდის ლაბორატორიაში, მიიღეს შემცველობები: Cu – 0.15% და Cu – 0.35%. ანგარიშში ასევე მოცემულია 1910 და 1911 წლებში ამხანაგობა „ჩიკვაიძე და ა.“ მიერ ქუთაისის ლაბორატორიისთვის მიწოდებული სამი სინჯის ანალიზის პასუხები. აქედან 2 სინჯი მექვენადან იყო, ერთი - ოფიტარადან. ოფიტარას სინჯის ანალიზის პასუხი ასეთია: Cu - 31.8030 % (მდიდარი მადანი) და Cu – 19.7420% (ღარიბი მადანი). განმარტებითი ბარათის ავტორი ა. კალანდაძე

<sup>177</sup> Тогоидзе Г. 1933: 7, 8.

<sup>178</sup> Каландадзе А. 1931: 1, 2; იხ.: სახაროვა ლ. 1966.

იზიარებს ზემოთაღნიშნულ სპეციალისტთა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ოფიტარასა და მექვენას მადანგამოვლინებები იმსახურებენ სპილენძის მოპოვებით დაინტერესებული მეწარმეების („კაპიტალისტების“) სერიოზულ ყურადღებას და მათ დოკუმენტაციას განმარტებით ბარათს ურთავს.<sup>179</sup> ლეჩხუმის მაზრის სოფ. მექვენის მიდამოების სპილენძის მადანგამოვლინებების პერსპექტიულობის შესახებ, მოსაზრება გამოთქმული აქვს სამთო-ტექნიკოსს ვ. სმირნოვსაც.<sup>180</sup>

ოფიტარას მიდამოების მადანგამოვლინებებზე (ოფიტარას სპილენძის მადნიანი რაიონი) საძიებო სამუშაოები ჩატარდა 1932-33 წლებში ოფიტარას სადაზვერვო გეოლოგიური პარტიის მიერ გეოლოგ გ. ტოგონიძის<sup>181</sup> ხელმძღვანელობით. საძიებო სამუშაოები უკავშირდებოდა ბაიოსურ (შუა იურული) ვულკანოგენურ წყებას, რომელიც განსაკუთრებულად გავრცელებულია სოფ. ოყურეშისა და ლაჭეპიტას მიდამოებში. რაიონის დეტალური კვლევით დადგინდა, რომ ქანები ძირითადად პირიტიზირებულია, თუმცა მაინც გამოიყო მეტ-ნაკლებად პერსპექტიული უბნები: მლაშე ფერდის, შავ ღელეს, თეთრი წყაროსა და თეთრი ღელეს უბნებზე. აღებული სინჯების ანალიზმა აჩვენა სპილენძის ძალიან დაბალი შემცველობები (0.2 დან 0.25% მდე). რაიონში არსებული სპილენძის ყველა მადანგამოვლინება არაპერსპექტიულად იყო მიჩნეული, რადგან თითქმის ყველა მათგანი პირიტის ღარიბი მადნის გამოვლინება იყო, იშვიათად ქალკოპირიტის მინარევით. სპილენძით მდიდარი მინერალები (ბორნიტი) მხოლოდ ბარიტის მარღვებში დაფიქსირდა, თუმცა ანგარიშის ავტორები აღნიშნავენ, რომ რაიონი მდიდარია წიდების გროვებით, რომლებიც სპილენძის ღლობის უძველესი შედეგი უნდა ყოფილიყო. ამ წიდების გროვების სივრცეში გაფანტულობა და თავად გროვების რაოდენობრივი სიმცირე აფიქრებინებს ანგარიშის ავტორებს, რომ სპილენძის მადანგამოვლინებებიც საკმაოდ გაფანტულია სივრცობრივად, ამასთანავე მადნის საბადოებიც ძალიან პატარა ზომისაა. გეოლოგებს ასევე უნახავთ თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომლებიც მათი ვარაუდით მადნის გამოდნობისთვის იყო განკუთვნილი. მათივე ცნობით, რაიონში სპილენძის ზოდების პოვნის ადგილებიც ცნობილია. ამ ტერიტორიაზე უძველეს დროში სპილენძის წარმოების არსებობის უტყუარობაში ანგარიშის ავტორებს ეჭვი

<sup>179</sup> Каландадзе А. 1931: 3-6; იხ.: სახაროვა ლ. 1966.

<sup>180</sup> Смирнов В. 1912: 2, 3.

<sup>181</sup> Тогонидзе Г. 1933: 1.

არ ეპარებათ. კითხვაზე სად მოიპოვებოდა სპილენძის მადანი, მათ აქვთ ერთმნიშვნელოვანი პასუხი, რომ ეს სადღაც ახლოს იყო. ამასთანავე ისინი ვარაუდობენ, რომ წიდეების გროვების აღმოჩენის ადგილები, ალბათ, უძველეს დროში ამ ადგილას დასახლების არსებობის მიმანიშნებელი უნდა იყოს. ამ დასახლებებში კი მადანი შემდგომი ღლობისთვის ტრანსპორტირდებოდა.<sup>182</sup> ანგარიშის ავტორებს (ხელმძღვანელი გ. ტოგონიძე, გეოლოგები - ლ. გელოვანი, ა. ჩხეტიანი, კოლექტორი ლ. მორჩაკი)<sup>183</sup> ერთ-ერთი წიდის (ადგილი ისლარი სოფ. ოფიტარას მიდამოები) ანალიზიც გაუკეთებიათ და მასში სპილენძის შემცველობა აღმოჩნდა 0.31%. საყურადღებოა ანგარიშში მოწოდებული კიდეც ერთი ფაქტი, რომელიც ოყურემის მადანგამოვლინების აღწერისას მოჰყავს ავტორს. კერძოდ, ის აღნიშნავს, რომ სოფელ კინჩხაში სპილენძის მინერალიზაცია გამოვლინდა კირქვებში (სავარაუდოდ ცარცული ასაკის - გ. ტოგონიძე), ბაიოსურ პორფირიტული წყების გავრცელების ზონის გარეთ. ამ ტერიტორიაზე ნანახი წიდეების რამდენიმე გროვიდან ერთ-ერთი კარსტული მღვიმის შესასვლელში იქნა აღმოჩენილი. მისი ინფორმაციით, ეს მღვიმე ადგილობრივებს უძველეს მაღაროდ მიაჩნდათ, რაც მისი აზრით მცდარი მოსაზრება იყო. წიდეებზე შეიმჩნეოდა მაღაქიტის წანაცხები, თუმცა რამდენიმე წიდის ქიმიური ანალიზის გასაშუალოებული პასუხით მათში სპილენძის შემცველობა არ გამოვლინდა. გიორგი ტოგონიძე ასკვნის, რომ წიდეების გავრცელების არეალი რაიონში არ შემოიფარგლება ბაიოსური პორფირიტული წყების გავრცელების ზონით და ასევე უკავშირდება მეზობელ რაიონებში გავრცელებულ სხვა ფორმაციებს (სოფელ კინჩხას მიდამოებში - ცარცული კირქვები).<sup>184</sup> ანგარიშში მოყვანილი პრაქტიკული დასკვნები ასევე საინტერესოა პრეისტორიული მეტალურგიის თვალსაზრისით. დასკვნაში აღნიშნულია: „წიდეების გროვების და სპილენძის მადანგამოვლინებების (თუმცა ღარიბი მადნით/დაბალი შემცველობის მადნით) სიუხვე ამ რაიონში მდიდარი (მაღალი შემცველობის) მადანგამოვლინებების არსებობაზე მიუთითებს, რადგან უძველეს დროში ღარიბი მადნები არ შეიძლება ყოფილიყო დამუშავების საგანი”.<sup>185</sup> ეს ფაქტი არქეომეტალურგიის თვალსაზრისით საპირისპიროზე მეტყველებს - პრეისტორიულ დროში, ხშირად სწორედ

<sup>182</sup> Тогоидзе Г. 1933: 14.

<sup>183</sup> Тогоидзе Г. 1933: 2.

<sup>184</sup> Тогоидзе Г. 1933: 15.

<sup>185</sup> Тогоидзе Г. 1933: 16.

ზედაპირული ან მცირე სიღრმეებზე არსებული გამადნეების ათვისება ხდებოდა, ლითონის თუნდაც დაბალი შემცველობებით. აქვე დავამატებთ, რომ ანგარიშის ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს საძიებო სამუშაოებისთვის მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორს - მცენარეული საფარის სიუხვესა და დიდი სიმძლავრის ნიადაგის საფარს,<sup>186</sup> რასაც ჩვენც ვადასტურებთ, და რაც დღესაც ართულებს (ან ზოგჯერ შეუძლებელსაც კი ხდის) უძველესი მადაროების გამოვლენას მოცემულ რაიონში.

ნ. ბეჟანიშვილი 1933 წლის ანგარიშში, ცაგერის რაიონის სოფელ ოფიტარას სპილენძის მადნებთან დაკავშირებით, სოფლის მიდამოებში (მდინარე ლაშე დელესა და მისი მარცხენა შენაკადის და თეთრი დელეს ხეობები), ბაიოსურ პორფირიტულ წყებაში (შუა იურა) სამ მადანგამოვლინებას აღწერს.<sup>187</sup> მისი აზრით, მინერალიზაცია სამივე ადგილას მარღვულ-ჩანაწინწკლოვანია და ძირითადად პირიტით, ქალკოპირიტით, ბორნიტითა და მარკაზიტით არის გამოხატული. ნ. ბეჟანიშვილი ასკვნის, რომ ეს მადანგამოვლინება არასამრეწველო მნიშვნელობისაა და იძლევა რეკომენდაციას ამ უბნებზე დეტალური საძიებო სამუშაოების შეწყვეტის თაობაზე. მისივე აზრით, ამგვარი სამუშაოები რეზერვების მადნიანი ველის ფარგლებში უნდა ჩატარებულიყო.<sup>188</sup>

გეოლოგ პ. თოფურიას 1938 წლის მოკლე ანგარიშში<sup>189</sup> მოყვანილი აქვს მოქალაქე სალინაძის განაცხადისა და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მოწოდებული წიდეების ანალიზის შედეგები. მას თავად წიდეების პოვნის ადგილები არ უნახავს, მაგრამ ქვემო რაჭაში ყოფნისას მოსახლეობამ მიაწოდა აღნიშნული წიდეები, რომლებიც ცაგერის მიდამოებში (უცულათის წვერის ხეობა და სხვა) იყო შეგროვებული. თოფურიას ცნობით, ერთ-ერთი წიდა რაჭისა და ლეჩხუმის საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე იყო აღებული. მაკროსკოპიულად ერთმანეთის მსგავსი წიდეების მიკროსკოპიული კვლევის შემდგომ, მან გამოთქვა მოსაზრება, რომ წიდეები სპილენძის მადნის დნობით უნდა ყოფილიყო მიღებული და რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე სპილენძის დნობის ბაზა არსებობდა. ავტორს უჭირს შეფასება, თუ რამდენად მძლავრი იყო ეს უკანასკნელი, თუმცა ვარაუდობს, რომ სპილენძის

<sup>186</sup>Тогонидзе Г. 1933: 15.

<sup>187</sup>Бежанишвили Н. М. 1933: 2.

<sup>188</sup>Бежанишвили Н. М. 1933: 2.

<sup>189</sup>Топурия П. А. 1938: 2-4.

მოპოვება კუსტარულ ხასიათს ატარებდა. სავარაუდოდ ხდებოდა მცირე მადანგამოვლინებების ათვისება ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. დასასრულს ის იძლევა რეკომენდაციას, რომ წიდების პოვნის რაიონში (ძირითადად ბაიოსური პორფირიტული სერიის გავრცელების ზოლი), უფრო დეტალური ძებნა-ძიებითი სამუშაოები ჩატარდეს.

მდ. ცხენისწყლის ხეობის ზუზისა და ოყურემის უბნების ბარიტ-პოლიმეტალური მადანგამოვლინებების ნივთიერი შედგენილობის შესახებ დეტალური კვლევა ასახულია თ. ბაგრატიშვილის შრომაში.<sup>190</sup> მისი მონაცემებით ბარიტ-პოლიმეტალური მინერალიზაცია ძირითადად უკავშირდება ოყურემის უბანს, ხოლო ზუზის ტერიტორიაზე ამგვარი მხოლოდ ერთი უბანია მდ. ტევრის ხეობა.

ქვემო სვანეთის მადანგამოვლინებების ძებნა-ძიებით სამუშაოებს 1932 წელს საფუძველი ჩაუყარა აკად. პ. გამყრელიძემ<sup>191</sup> (იმ დროისათვის ინჟინერ-გეოლოგი). 1940 წელს საძიებო გეოლოგიური პარტია გ. ბარკალაიას ხელმძღვანელობით რაიონში აწარმოებდა შლიხურ დასინჯვებს, რომლის შედეგადაც მდ. ლაჯანურის მარჯვენა შენაკადებში (მდ. ძულური და მუქვაული) და მდ. ცხენისწყლის მარცხენა შენაკადში (მდ. დოღურაში) აღმოჩენილი იყო სპილენძ-პიროტინული მადნების დიდი ნატეხები.<sup>192</sup> საძიებო სამუშაოებს შემდგომში ატარებდნენ ინჟ.-გეოლოგი გ. ტოგონიძე და ი. მარკოზია.<sup>193</sup> ამ უკანასკნელის მიერ 1952 წელს აღმოჩენილი იქნა ნარღვევის მადანგამოვლინება (დოღურაშის არქეოლოგიური ძეგლის მადნის ერთ-ერთი სავარაუდო წყარო). იმავე წელს სარევიზიო გეოლოგიური პარტიის მიერ კ. ჩხეიძის მეთაურობით აღმოჩენილი იყო სილის დელეს (რცხმელურის) პოლიმეტალური მადანგამოვლინება. საძიებო სამუშაოების თანადროულად ამავე უბნებზე 1952-1961 წლებში კვლევებს აწარმოებდა საქართველოს მეც. აკად. გეოლოგიის ინსტიტუტის ექსპედიცია პროფ. გ. გვახარიას ხელმძღვანელობითა და მეცნიერ-თანამშრომლების თ. ივანიცკისა და ე. ვეზირიშვილის მონაწილეობით. ექსპედიციის მიზანი იყო მადნის ამგები მინერალების ნივთიერი შედგენილობისა და სტრუქტურულ-ტექსტურული თავისებურებების შესწავლა, მადანშემცველი ქანებისა და შეცვლის

<sup>190</sup>Багратишвили Т.Д. 1954: 11.

<sup>191</sup>Гамкрелидзе П. Д. 1932: 3.

<sup>192</sup>Баркалая Г.А. 1941: 28-38.

<sup>193</sup>Иваницки Т., . . . 1954: 4.

პროცესების კვლევა. ჩატარებული სამუშაოების ფარგლებში გამოვლენილი იქნა რიგი პოლიმეტალური მადანგამოვლინებები: ჯოჯოხეთი, დოღურაში, ყვედრეში, სარეკი და სხვ. შედეგები ასახულია ვრცელ ანგარიშში.<sup>194</sup> ქვემო სვანეთის და მათ შორის რცხმელურის მადნეული ველის საბადოთა ჯგუფში შემავალი ნარღვევისა და დოღურაშის მადანგამოვლინებაზე ცნობები მოყვანილია თ. ჯანელიძის<sup>195</sup> სადისერტაციო ნაშრომსა (1965) და სხვა მრავალრიცხოვან ანგარიშებში.<sup>196</sup> 1972 წელს დასრულდა რაჭა-სვანეთის მადნიანი ველის 1:50.000 მასშტაბის აგეგმვა და შეიქმნა რუკა (განმარტებითი ბარათი)<sup>197</sup>.

ჩვენს ხელთ არსებული საკმაოდ მოცულობითი ბიბლიოგრაფიული მასალის ანალიზის შედეგად მკაფიოდ გამოვლინდა რამდენიმე ფაქტი, რომელიც საფუძვლად დაედო ჩვენს კვლევებს: 1. მთიანი კოლხეთის (ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი, ნაწილობრივ იმერეთი და სამეგრელო) ტერიტორიაზე დგინდება სპილენძისა და სხვა ფერადი ლითონების მადანგამოვლინებები, რომლებიც პირობითად შეიძლება დავყოთ სამ ძირითად ჯგუფად: რცხმელურის მადნიანი ველი (ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი), მექვენა-ოფიტარასა და ოყურეში-ზუბის მადანგამოვლინებები; 2. მათ სიახლოვეში მრავლად იყო ნაპოვნი (დღესაც ადგილობრივი მოსახლეობა პოულობს საკარმიდამო ნაკვეთებში) უძველესი პერიოდის მადნის დნობის პროდუქტები წიდების, სპილენძის ზოდების და სხვა არტეფაქტების სახით; 3. დღემდე არავის ქონდა ნანახი უძველესი მადნის კვალი და შესაბამისად, უცნობი იყო თუ როგორ ხდებოდა პრეისტორიულ დროში სპილენძის მადნის მოპოვება; 4. საკვლევ რაიონში აქამდე ცნობილი ყველა მადანგამოვლინება მიჩნეული იყო არასამრეწველოდ, თუმცა, როგორც ჩანს, უძველესი მეტალურგიული ბაზისთვის საკმარისი იყო.

2013-2016 წლებში საქართველოს ეროვნული მუზეუმის სადაზვერვო არქეოლოგიური ექსპედიციებისას მთიანი კოლხეთის ტერიტორიაზე (მათი უმრავლესობა ლეჩხუმში, ასევე ქვემო სვანეთი, იმერეთი) გამოვლინდა პრეისტორიული სპილენძის მეტალურგიის ძეგლები.<sup>198</sup> 2019 წლისთვის მათი რიცხვი 23-მდე გაიზარდა (სურ. 6). ეს მონაცემები და ზემოთ მოყვანილი ბიბლიოგრაფიული მასალის ანალიზი საფუძვლად დაედო პროექტით გათვალისწინებულ წინასწარ გეოლოგიურ კვლევებს,

<sup>194</sup> ივანიცკი თ., . . . 1954: 11.


<sup>195</sup> ჯანელიძე თ. 1965: 73-77.

<sup>196</sup> Вахания Е. К. 1956: 68; Твалчрелидзе Г.А. 1961; ნადირაძე ვ., . . . 1968: 119-122.

<sup>197</sup> Геруцадзе III. X., . . . 1976.

<sup>198</sup> Sulava N., . . . 2013: 375; Rezesidze., . . . 2016: 184.

გამოიკვეთა მთავარი სამიზნე ობიექტები და შემუშავდა მათთან დაკავშირებული საველე და ლაბორატორიულ/კამერალური კვლევის სტრატეგია.



სურ. 6. პრეისტორიული არქეომეტალურგიული ძეგლების გავრცელების რუკა მთიან კოლხეთში (თანამედროვე ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის ტერიტორია)

1 - ლაშკილი; 2 - გვიმზრალა; 3 - დოღურაში I; 4 - დოღურაში III; 5 - დოღურაში II; 6 -სამრეკი; 7 - ლეწფერი I; 8 - ლეწფერი II; 9 - ლეწფერი III; 10 - ლეწფერი IV; 11 - შავბინულა; 12 - ჭიქელაში; 13 - გვერდისთავი; 14 - ქვაწითელი; 15 - ნამჭედური; 16 - მუშულდა; 17 - გაბონალია; 18 - ფუნაცხვარი; 19 - ოყურეში; 20 - ოფიტარა; 21 - ლამგვერია; 22 - წმინდალიანი; 23 - კადარი.

**სადაზვერვო-შეფასებითი ექსპედიციები.** რომლის მიზანი ბუნებრივ გამოსავლებსა და მადაროებში მინერალიზებული და შეცვლილი ზონების, მადნების იდენტიფიცირება, აგეგმვა და აღწერა იყო; გასული საუკუნის დროინდელი სამთო გამონამუშევრების მოძებნა და პრეისტორიული მადაროს არსებობის კვალის დადგენა; GPS და ფოტო



ფიქსაცია, დასინჯვა, მონაცემთა ბაზის შექმნა; ნიმუშების აღება პეტროგრაფიული, სილიკატური და პეტროქიმიური კვლევების ჩასატარებლად.

**კამერალურ-ლაბორატორიული კვლევები.** გულისხმობს მინერალიზაციის ტიპის დადგენას მიკროსკოპიული, გეოქიმიური კვლევის საშუალებით, ატომურ აბსორბციული (AAS), რენტგენოფლოუორესცენტური (XRF) ანალიზის მეთოდების გამოყენებით, რაც მნიშვნელოვანია პოლიმეტალური მადნების არსებობის დასადასტურებლად.<sup>199</sup> რეგიონის მეტალოგენიაზე არსებული მონაცემების ანალიზით დგინდება, რომ მთიან კოლხეთში დღემდე გამოვლენილი ყველა პრეისტორიული არქეომეტალურგიული ძეგლი კავკასიონის სამხრეთ ფერდის მეტალოგენიურ სარტყელშია<sup>200</sup> თავმოყრილი და ქვემო სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის მადნიან ველებს<sup>201</sup> მოიცავს. ქვემო სვანეთის მადნიანი ველი მდინარეების ენგურის, ტეხურისა და ცხენისწყლის აუზების ფარგლებშია მოქცეული. რაჭა-ლეჩხუმის მადნიანი კვანძი კი - მდინარეების რიონისა და ცხენისწყლის შუა დინებებში (სურ. 6). ქვემო სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის მადნიან რაიონში ფართოდაა გავრცელებული ენდოგენური მადნიანი ფორმაციები<sup>202</sup> სპილენძ-პიროტინ-პოლიმეტალურ მინერალიზაციით, სადაც სჭარბობს ტყვია-თუთიის მადნები.<sup>203</sup>

ბიბლიოგრაფიული მასალის ანალიზმა და ჩვენმა დაკვირვებებმა ნათელი გახადა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული ყველა საბადო და მადანგამოვლინება გეოლოგიურად ქვედა იურული (ლიასური) ასაკის თიხაფიქლებს, ქვიშაქვებსა და შუა იურული ასაკის (ბაიოსური პორფირიტული წყების) ვულკანოგენურ და ვულკანოგენურ-დანალექ წყებებსა და მათ გამკვეთ ჰიპაბისურ მაგმურ სხეულებს უკავშირდება.<sup>204</sup>

გეოლოგიური სამუშაოები ძირითადად მდ. ცხენისწყლის მარცხენა შენაკადის, დოღურაშის ღელის მიდამოებში ჩატარდა, რადგანაც აქ დაფიქსირდა სპილენძის

<sup>199</sup> Ixer R. A. 1999: 43-52.

<sup>200</sup> Твалчредидзе Г. А. 1961: 79; ჯანელიძე თ. 1965: 228; Гегучадзе Ш., . . . 1976: 564.


<sup>201</sup> Природные ресурсы Грузинской ССР, Том I, 1958: 122-126; Надирадзе В.Р., . . . 1973: 21.

<sup>202</sup> ენდოგენური საბადოები ყალიბდება დედამიწის ქერქში ნივთიერების დიფერენციაციის და ლოკალიზაციის შედეგად, რაც განპირობებულია დედამიწის შიგა ენერგიით. სადაც გამოიყოფა საბადოთა შემდეგი ჯგუფები: მაგმური, პეგმატიტური, სკარნული, პნევმატოლითური და ჰიდროთერმული საბადოები.

<sup>203</sup> Топурия П. А. 1938: 2-4; ივანიცკი თ., . . . 1954: 120-123; ჯანელიძე თ., . . . 1965: 229-231; Надирадзе В.Р., . . . 1973: 19; Геология СССР, Том X. 1974: 576.

<sup>204</sup> Природные ресурсы Грузинской ССР 1958: 16; Беридзе М. А. 1983: 133.


სადნობი სამი მოედანი (დოლურაში I, დოლურაში II, დოლურაში III). საკუთრივ დოლურაშის ტერიტორია ქვემო სვანეთის მადნიანი ველის, კერძოდ კი, რცხმელურის მადნიანი კვანძის ფარგლებშია მოქცეული. ეს უკანასკნელი სპილენძისა და ტყვია-თუთიის რამდენიმე საბადოსა და მადანგამოვლინებას აერთიანებს: დოლურაში, ნარღვევი, სილის ღელე, ჯოჯოხეთის ხევი, სარეკი, ყვედრეში და სხვა (სურ. 7).



სურ. 7. რაჭა-სვანეთის მადნიანი ველის (კავკასიონის სამხრეთ ფერდობის მეტალოგენური სარტყელი) სქემატური მეტალოგენური რუკა (მოდიფიცირებული ელექტრონული ვერსია)<sup>205</sup> - 1-6 მეტალოგენური სარტყლები და ლითონური სასარგებლო წიაღისეულის გავრცელების უბნები: 1. სპილენძ-პიროტინული; 2. ვერცხლისწყალი-დარიშხანი; 3. ბარიტი-ტყვია-თუთია; 4. იშვიათი მეტალები-სკარნი-მაგნეტიტი; 5. კვარცი-ოქრო; 6. მანგანუმის შემცველი ნალექები; 7-16. მეტამორფულ-დანალექი, დანალექი და ვულკანოგენურ-დანალექი ფორმაციების გავრცელების უბნები: 7. კამბრიულისწინა და ქვედა პალეოზოური ასპიდური ფიქლები; 8. შუა პალეოზოურ-ტრიასული (დიზის სერია) ტერიგენული, სუსტად მეტამორფიზირებული ნალექები; 9. ქვედა-შუა იურული ტერიგენული ნალექები; 10. შუა იურული ვულკანოგენურ-დანალექი ქანები; 11. ზედა იურულ-ქვედა ცარცული კარბონატული ფლიში; 12. ქვედა ცარცული ტერიგენული ფლიში; 13. ზედა იურული ტერიგენული (ლაგუნურ-

<sup>205</sup> Гергучдзе III. X., . . . 1976.

კონტინენტური) ნალექები; 14. ზედა იურულ-ქვედა პალეოგენური კარბონატული (ეპიკონტინენტური) ნალექები; 15. ზედა პალეოგენურ-ქვედა ნეოგენური ტერიგენული ნალექები; 16. ზედა ნეოგენური ტერიგენული ნალექები; 17-18 მაგმური ქანების გავრცელების უბნები: 17. პალეოზოური გრანიტოიდები; 18. შუა იურული გრანიტოიდები; 19-24. მადნიანი ველების გავრცელების უბნები: 19. სპილენძ-პიროტინული: 1) გული, 7) ჩყორნალი-დიდველი, 11) ფილოსანი, 12) დაბიერი-ლენტეხი; 20) არსენოპირიტი-მოლიბდენი: 3) ცანა-ჭოროხი, 6) კირტიშო-ყაროხი; 26) ანთიმონიტი-ვოლფრამი: 2) ყვანარი-მალხორაში, 4) ზოფხითო, 5) საგები-დომბი; 22. ვერცხლისწყალი, ვერცხლისწყალი-დარიშხანი: 8) კოდისძირი-რუსთავი, 9) ტალახიანი, 10) ნაცარა-მოლისი, 14) ლეზურცხილი, 21) გომი; 23. დარიშხანი (რეალგარ-აურიპიგმენტი): 13) ლუხუნი-საყაური, 20) ურაგი-ხიდაშლები; 24. ბარიტი-ტყვია-თუთია: 15) ხაიში, 16) ოჯი-უმრანო, 17) ხუდონი, 18) ტეხური, 19) რცხმელური, 22) კვასისა; 25) სავარაუდო/დადგენილი რღვევების გავრცელება.



სურ. 8 არქეომეტალურგიული ძეგლების (აღნიშნულია წითელი წერტილებით) განაწილება გეოლოგიური რუკაზე.<sup>206</sup>

გასულ საუკუნეში ჩატარებული გეოლოგიური სამიეზო სამუშაოების შედეგად დადგენილია, რომ რცხმელურის მადნიანი ველის მადნები ძირითადად აგებულია პირიტით, სფალერიტით, გალენიტით, პიროტინით, ქალკოპირიტით, კვარცით და

<sup>206</sup> Adamia Sh., . . . 2004.

სხვადასხვა კარბონატებით. მცირე რაოდენობით სტიბიუმის, ვერცხლისა და დარიშხანის მინერალები გვხვდება. ჰიპერგენული მინერალებიდან რკინის, სპილენძის, ტყვიის, თუთიის, დარიშხანისა და სტიბიუმის მეორადი მინერალებია ცნობილი. რცხმელურის საბადოებსა და მადანგამოვლინებებზე ისტორიული მონაცემებით სპილენძის შემცველობა 0.06-0.045%-ია ტყვიის 0.5-6.26%, ხოლო თუთია 0.63-6.75%-ის ფარგლებში მერყეობს. შესწავლილი პარაგენეზისა და მადანმომიჯნავე ქანების შეცვლის პროცესების ხასიათის მიხედვით, საბადო განიხილებოდა, როგორც ჰიდროთერმალური, დაბალი ტემპერატურის პირობებში წარმოშობილი.<sup>207</sup>

საველე სამუშაოებისას მოხდა დოღურაშის, ნარღვევის, ჯოჯოხეთის ღელის მიდამოების გეოლოგიური დაზვერვა. დაისინჯა როგორც შემცველი ქნები, ასევე მინერალიზებული ზონები დოღურაშის და ნარღვევის ტერიტორიაზე. ორივე მდებარეობს მდინარე ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე, სადაც მადანგამოვლინებები ბაიოსის პორფირიტული წყების ჰიდროთერმალურად ძლიერ შეცვლილ, დამსხვრეულსა და გაკვარცებულ ზონებთან არის დაკავშირებული. გამაღწევა მარღვევისა და ლინზისებრი სხეულების სახით არის წარმოდგენილი. მადნეული მინერალებიდან ნარღვევისა და დოღურაშის ტერიტორიაზე განისაზღვრა ქალკოპირიტი, სფალერიტი, გალენიტი და მარკაზიტი. მეორადი მინერალებიდან - ლიმონიტი, სმიდსონიტი და მალაქიტი. მადანმომიჯნავე შეცვლები სერიციტიზაციით, კარბონატიზაციით, გაკვარცების, გაკაოლინიტების და პირიტიზაციის პროცესებითაა გამოხატული. აღსანიშნავია, რომ მადნებს ახასიათებს ზოლებრივი და ბრექჩიული ტექსტურები, რაც მიგვითითებს მადნეული ხსნარების მოძრაობის განმეორებით ხასიათზე.

კვლევის ამ ეტაპზე განხორციელდა შემცველი ქანების პეტროგრაფიული შესწავლა. გამაღწეული უბნებიდან შერჩეულ სინჯებს ჩაუტარდა ანალიზები რენტგენულ ფლუორესცენტური (XRF)<sup>208</sup> და ატომურ აბსორბციული<sup>209</sup> მეთოდებით. მიღებულმა შედეგებმა გამოავლინა სპილენძის, ტყვიის და თუთიის შემცველობების შესახებ არსებულ ისტორიულ მონაცემებთან მკაფიო კორელაცია (ტაბ. 2; იხ.: დანართი # 1,

<sup>207</sup> ივანიცკი თ., . . . 1954: 17, 26.

<sup>208</sup> საქართველოს ეროვნული მუზეუმის და ოქსფორდის უნივერსიტეტის არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიები.

<sup>209</sup> შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი“-ის ქიმიური ლაბორატორია.



ცხრ. 20). დადასტურდა ზემოთ მოყვანილი გეოლოგიურ მონაცემები, რაც თავის მხრივ ამყარებს მოსაზრებას, რომ დასამუშავებელი მადნის წყარო ადგილობრივი წარმოშობისა უნდა იყოს, როგორც დოღურაშის ასევე მთლიანად მთიანი კოლხეთის (მათ შორის ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის) ტერიტორიაზე. ლითონებისა და მადნების წარმომავლობისა და მათი კავშირის დადგენის მიზნით კვლევები მიმდინარეობს და გაგრძელდება მომავალშიც.

შედეგნილობა: ელემენტების წონა პროცენტული რაოდენობის მიხედვით

	Reference/ID	Cu	Zn	Pb	Au	Ag
1	Dog030/17	0.08	0.08	0.06	0.03ppm	5ppm
2	Dog037/18	<0.01	<0.01	<0.01	<0.01ppm	<1ppm
4	Dog040/18(1)	2.88	0.23	0.04	0.01ppm	5ppm
3	Dog040/18(2)	0.03	0.21	0.03	0.01ppm	7ppm
5	Dog045/18(1)	1.79	11.6	8.35	0.5ppm	0.01
6	Dog045/18(2)	2.12	10.1	9.8	0.02ppm	0.01
7	Dog045/18(3)	0.45	4.34	2.8	0.07ppm	0.003ppm
8	Dog046/18(1)	<0.01	<0.01	<0.01	0.07ppm	2ppm
9	Dog046/18(2)	0.03	0.07	0.04	0.1ppm	10ppm
10	Dog048/17	0.02	0.01	0.01	0.02ppm	<1ppm
11	Dog051/17	0.02	0.01	0.01	0.02ppm	<1ppm
12	Dog060/18	<0.01	<0.01	<0.01	0.01ppm	3ppm
13	Dog061/18	<0.01	3.34	0.05	0.01ppm	9ppm
14	Dog062/18(1)	1.34	0.07	0.06	0.02ppm	11ppm
15	Dog062/18(2)	<0.01	<0.01	<0.01	0.03ppm	<1ppm

ახსნა : ppm = წილი მილიონზე  
< = ამაზე ნაკლები

ტაბ. 2. დოღურაშის მიდამოებში მოპოვებული მინერალიზირებულ ქანებზე ჩატარებული ატომურ აბსცორციული ანალიზის შედეგები.

ერთობლივი არქეოლოგიურ-გეოლოგიური კვლევების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ასევე პრეისტორიული მდაროების ძიება და გამოვლენა იყო. საკვლევი რაიონის მეტად რთული ტოპოგრაფიული პირობების, ნიადაგის საკმაოდ მძლავრი ფენისა და ხშირი მცენარეული საფარის გათვალისწინებით ამ ეტაპზე კვლევამ არ მოგვცა დამაიმედებელი შედეგები. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ თითქმის ყველა მნიშვნელოვანი და შედარებით მარტივად მისადგომი მადანგამოვლინება საბჭოთა პერიოდში დაძიებულ იქნა სამთო გამონამუშევრების მეშვეობით, რაც თავისთავად გამოიწვევდა პრეისტორიული მდაროს (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) ნგრევა-განადგურებას. ამგვარი სირთულე თან სდევს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში არქე-

ომეტალურგიულ კვლევებს და ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად არის მიჩნეული უძველესი მაღაროების აღმოჩენის საკითხში.<sup>210</sup> კავკასიონზე (ჩრდილოეთი და სამხრეთი ფერდობები) ე. ჩერნიხის მონაცემებით უძველესი მაღაროების არსებობა დადგენილია მხოლოდ ალპურ ზონებში (მცირე მცენარეული საფარით დაფარული უბნები) დაახლოებით 2500-3000 მეტრის სიმაღლეზე.<sup>211</sup>

**გეოლოგიური კვლევის შედეგები და დასკვნები.** კოლხეთის მთიან რეგიონში (ლექსუმში), პრეისტორიული მეტალურგიული ძეგლების შესწავლის პარალელურად ნედლეულის წყაროს გამოვლენისა და მისი არქეომეტალურგიულ კერებთან კავშირის დადგენის მიზნით 2016-2019 წლებში ჩატარებული წინასწარი გეოლოგიური სამუშაოების შედეგად:

1. დადასტურდა დღემდე არსებული მოსაზრება, რეგიონში გავრცელებული სპილენძის და ფერადი ლითონების მადანგამოვლინებების კავშირის შესახებ პრეისტორიული სპილენძის მეტალურგიის ძეგლებთან. რაც იმას ნიშნავს, რომ მადნის მოპოვება (ნედლი მასალის წყარო), მადნის დამუშავება და სპილენძის სადნობი სახელოსნოები ერთმანეთთან ახლოს იყო. იქიდან გამომდინარე, რომ საკვლევ ტერიტორიაზე საწვავისთვის საჭირო ნედლეული (ხე-ტყე) უხვად მოიპოვებოდა, ხოლო რთული ადგილობრივი რელიეფი გააძნელებდა მასალის ტრანსპორტირებას უფრო შორი მანძილებიდან, სხვა ვარაუდის დაშვება შეუძლებლად მიგვაჩნია.
2. სპილენძისა და სხვა ფერადი ლითონების (ტყვია-თუთია) მინერალიზაცია ძირითადად ე.წ. ბაიოსურ პორფირიტულ წყებას და ლიასური ასაკის თიხა-ფიქლებისა და ქვიშაქვების აშმუშვნილ ზონებს უკავშირდება. მადნიანი სხეულები წარმოდგენილია ორი მორფოლოგიური ტიპით: ძარღვებით და მინერალიზებული ზონებით. მადნები ძირითადად ძარღვულ-ჩანაწინწკლური, ჩანაწინწკლური, ბრექჩიული, ზოლებრივი და კოლომორფულ-ზოლებრივი ტექსტურული ტიპისაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წელს ძეგლი ჭიქელაშის დათვალიერების შედეგად გაჩნდა მოსაზრება, რომ აქ მადნის წყარო შესაძლოა დაკავშირებული იყოს ცარცული ასაკის კირქვებთან. დღესაც, გზის გაყვანის სამუშაოების შედეგად ქანებში გამოვლინდა სულფიდების მსხვილი კონკრეციების შემცველი შრეები. სავარაუდოდ, მაღაროდ

<sup>210</sup> Hauptmann A. 2007: 71; Killik D. 2014: 11-46.

<sup>211</sup> Chernykh E. 1992: 276.

პრეისტორიული მადაროელები იყენებდნენ აღნიშნულ ქანებში წარმოქმნილ კარსტულ ჩაქცევებს/მღვიმეებს. ორი ასეთი სტრუქტურა მკაფიოდ იკვეთება აღნიშნულ ძეგლზე. ამ ვარაუდს ამყარებს მოსაზრება, რომელიც გამოთქმულია ინჟინერ-გეოლოგ გ. ტოგონიძის<sup>212</sup> მიერ.<sup>213</sup>

3. განხორციელდა ყველა ნანახი მადანგამოვლინების GPS კოორდინატების აღება და რაიონის ჩვენ მიერ აციფრულ სქემატურ გეოლოგიურ რუკაზე დატანა.<sup>214</sup>

4. გამოვლინდა ერთი სამთო გამონამუშევარი, რომელიც სავარაუდოდ პრეისტორიულ მადაროს უნდა წარმოადგენდეს. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ დღეს არსებული (სავარაუდოდ XX საუკუნის) მადარო გაიჭრა პრეისტორიულის მადაროს ბაზაზე, რისი პრეცედენტებიც ხშირია მსოფლიოში.<sup>215</sup> ამ მოსაზრების დასადასტურებლად მომავალში დეტალური არქეოლოგიური და გეოლოგიური კვლევებია დაგეგმილი.

5. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ საქართველოში ერთობლივი არქეოლოგიურ-გეოლოგიური კვლევა პრეისტორიული მეტალურგიის ძეგლებზე ლეჩხუმის ტერიტორიაზე არ ჩატარებულა, თუმცა მსოფლიოში ეს კარგად აპრობირებული მიდგომაა. ასეთი კვლევებით მიღებული შედეგების ანალიზი და კორელაცია საშუალებას იძლევა გაიშიფროს პრეისტორიული მეტალურგიის სრული საწარმოო ციკლი (მადნიდან-ლითონამდე) და მისი განვითარება დროსა და სივრცეში.

მადნის მოპოვება-დამუშავებასა და ლითონის დნობას შორის კავშირის დადგენა მთიან კოლხეთში (ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი) განსახორციელებელი კვლევების ახალი მიმართულებაა და მოითხოვს შემდგომ საძიებო სამუშაოებს და ადგილობრივი მინერალური რესურსების დეტალურ კვლევას თანამედროვე ანალიტიკური მეთოდების გამოყენებითა და უძველესი მადაროების სპეციალისტებთან კონსულტაციებზე დაყრდნობით.

ამგვარად, მკაფიოდ ჩანს, რომ ძველად ჩატარებული გეოლოგიური საძიებო სამუშაოების შედეგები გვაწვდის პირველად ინფორმაციას, როგორც ლეჩხუმის რეგიონში არსებულ სპილენძის მადანგამოვლინებებზე, ასევე სავარაუდოდ მათთან დაკავშირებულ სპილენძის დნობის პრეისტორიულ წარმოებაზე. თუმცა, დღემდე ამ

<sup>212</sup> Тогоидзе Г. 1933: 15.

<sup>213</sup> მომავალში ამ მიმართულებითაც განხორციელდება დეტალური გეოლოგიური კვლევები.

<sup>214</sup> Гегучадзе III., . . . 1976: 564.

<sup>215</sup> Hauptmann A. 2007: 69.

ინფორმაციის მნიშვნელობა სათანადოდ არ იყო გამოყენებული არქეოლოგიური თვალსაზრისით. მეტიც, ამ რეგიონში პრეისტორიული სამთო სამუშაოებისა და დნობის ინდუსტრიის არსებობა მივიწყებას მიეცა. სწორედ მრავალი წლის შემდეგ კოლხური (გვიანბრინჯაოს ხანის) მეტალურგიული წარმოების მრავალრიცხოვანი პროდუქტების აღმოჩენამ მიგვანიშნა ლეჩხუმში ადგილობრივი წარმოების არსებობაზე და განაპირობა წარმოდგენილი პროექტის განხორციელების აუცილებლობა, რომელსაც საფუძვლად დაედო კომბინირებული (არქეოლოგიურ-გეოლოგიური) კვლევის ჩატარება. ეს უკანასკნელი მიზნად ისახავდა კოლხური პერიოდის სამთამადნო და მისი შესაბამისი სპილენძის დნობის ინდუსტრიის არსებობის შესწავლას. გამოიკვეთა, რომ მხოლოდ ასეთი მიდგომით გახდებოდა შესაძლებელი წარმოების სრული სურათის აღდგენა სპილენძის მადნებიდან დასრულებულ არტეფაქტებამდე და სრულყოფილი შეფასება.

მადნის მოპოვება-დამუშავებასა და ლითონის დნობას შორის კავშირის დადგენა მთიან კოლხეთში (ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი) განსახორციელებელი კვლევების ახალი მიმართულებაა და მოითხოვს შემდგომ სამიზნო სამუშაოებს და ადგილობრივი მინერალური რესურსების დეტალურ კვლევას თანამედროვე ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით. კვლევის შედეგების ანალიზი და კორელაცია საშუალებას გვაძლევს გავშიფროთ როგორც პრეისტორიული მეტალურგიული წარმოების სრული ციკლი (მადნებიდან-ლითონამდე), ასევე მისი სივრცეში და დროში განაწილების საკითხები. ჯერ კიდევ დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი ლეჩხუმის რეგიონში იმ მიზნით, რომ თავი მოვუყაროთ რაც შეიძლება მეტ მონაცემებს წარმოების სრულყოფილად გააზრებისა და ამ წარმოების მიმდინარეობის თარიღების დასადგენად.



## ლეჩხუმის უძველესი მეტალურგიის ძეგლების

### შესწავლის ისტორია

ლეჩხუმში შემთხვევით აღმოჩენილი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ბრინჯაოს განძების თუ სხვა არტეფაქტების სიმრავლის გამო და მეტალურგიის ნარჩენების (წიდეები, ქურის შელესილობები, თიხის საბერველი მილები) აღმოჩენების საფუძველზე, დიდი დაინტერესება იყო ამ მხარის მიმართ როგორც არქეოლოგების, ასევე გეოლოგების მხრიდან. მაგრამ ამ კვლევას არასოდეს არ ქონია მიზანმიმართული, საფუძვლიანი და ფართო ხასიათი არც ერთი დარგის სპეციალისტების მხრიდან.

1961 წელს გ. გობეჯიშვილის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სოფ. ზედა ლუხვანოს მიდამოებში დაადასტურა სპილენძის წიდეების დიდი გროვები და ამოვსებული ორმოები.<sup>216</sup>

ლეჩხუმის უძველესი მეტალურგიის შესახებ ცნობებს და ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ჩანაწერებს თავის სადისერტაციო ნაშრომში გვაცნობს ლ. სახაროვა.<sup>217</sup> ლ. სახაროვას ცნობით, გასული საუკუნის 60-იან წლებში ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ყოფილა სპილენძის 14 ზოდი - სხვადასხვა ზომის, მომრგვალებული, ერთ მხარეს ბრტყელი, მეორე მხარეს ამოზურცული. უდიდესი მათგანის, რომელიც აღმოჩენილია მდ. ლაჯანურის ხეობაში, სასარაშვილის ღელეში, d - 25 სმ-ია, h - 12 სმ, წონა - 32 კგ. დანარჩენი ზოდების ნაწილი წიდეებთან ერთად აღმოჩენილია სოფ. სურმუშში, ნაწილი კი - სოფ. ჩიხაშში. მუზეუმის მაშინდელი დირექტორის ვ. მახარობლიძის ცნობით, ე.წ. ძულურის ღელეში, თიხნარ მიწაში უპოვიათ ქურისა და მილის ნატეხები; აქვე უნახავთ სპილენძის ნატეხებიც; მისივე ცნობით, ცაგერიდან 16 კმ დაშორებით, ხვამლის მთის ძირში უძველესი მადაროები არსებობს. საინტერესოა, აგრეთვე ცნობა, რომლის მიხედვითაც სოფ. ლაილაშში ადგილობრივ მცხოვრებლებს აღმოუჩენიათ სპილენძის საბადო „გამოქვაბულში“.<sup>218</sup>

გეოლოგების დაინტერესება ლეჩხუმით 1907-1908 წლებიდან იწყება მექვენისა და ოფიტარას სამთამადნო გამოსავლებით.<sup>219</sup>

<sup>216</sup> გობეჯიშვილი გ. 1962: 23.

<sup>217</sup> იხ.: სახაროვა ლ. 1966: 69-121. Сахарова Л.С. 1966.

<sup>218</sup> სახაროვა ლ. 1966: 74, 75.

<sup>219</sup> Каландадзе А. 1931. მექვენის საბადოს ნიმუში შეიცავს - 17.64% სპილენძს, დერჩის საბადოს ნიმუში - 19,80%, ხოლო ოფიტარას საბადოს ნიმუში შეიცავს 27.0% სპილენძს. 1911 წელს მექვენიდან და

გეოლოგიური დაზვერვების მონაცემებიდან, თვით გეოლოგიური აღმოჩენების გარდა, რაც რეალურ სურათს გვაძლევს მხარის სამთამადნო პოტენციალზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გეოლოგები ხშირად ნახულობდნენ არქეოლოგიურ არტეფაქტებსაც - წიდეები, თიხის შელესილობის ფრაგმენტები და სხვ. განსაკუთრებით საყურადღებოა ისიც, რომ ლეჩხუმიდან ცნობილი ბრინჯაოს განძების აღმოჩენის ადგილები და მეტალურგიული ნაშთებისა თუ მადნის აღმოჩენის ადგილები უმეტესად ერთმანეთს ემთხვევა.<sup>220</sup>

როგორც აღვნიშნეთ, ლეჩხუმის ლითონის ნაწარმის ანალიზების შედეგებს, როგორც წარმოების მასალაზე (ზოდები, ე.წ. „ნამცხვრები/კვერები“ და ა.შ.), ასევე გვიან ბრინჯაოს ხანის ლითონის არტეფაქტებზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმის დასადგენად, თუ რა წარმოშობისაა არტეფაქტები - ადგილობრივია თუ შემოტანილი. ზოგიერთი ტენდენცია შესამჩნევია იმ შედარებით მცირე ანალიტიკური შედეგებიდანაც კი, რომელიც ჩვენ უკვე გავაკეთეთ (იხ. ცხრილი 1); ასევე ადრე, გასული საუკუნის 50-იან წლებში, გაკეთებულია ანალიზები ლეჩხუმის ზოგიერთ ლითონის ნივთზე.<sup>221</sup>

ოფიტარიდან წაულიათ ნიმუშები პეტერბურგში და იქ გაუკეთებიათ ქიმიური ანალიზები, რომელთა შედეგები ასეთი ყოფილა:

#### მექენა

	მდიდ. შემც.	საშუალო შემც.	ღარიბი შემც.
სპილენძი	20,820%	9,120%	5,190%
რკინა	27,481%	25,925%	3,527%
თუთია	2,350%	3,103%	1,244%
გოგირდი	28,429%	25,801%	25,99%

#### ოფიტარა

	მდიდ. შემც.	საშუალო შემც.	ღარიბი შემც.
ვერცხლი	0,465%	----	0,0170%
სპილენძი	31,8030%	-----	19,7420%
რკინა	31,0600%	-----	36,9140%
გოგირდი	33,3057%	-----	4,4030%

<sup>220</sup> სახაროვა ლ. 1966: 79, 80.

<sup>221</sup> **ოყურეშის განძი:** ქვაბი (სემ 1-36:178), დარიშხანი – 0,55%, ტყვია – 0,3%, რკინა, თუთია, ანთიმონი, კალა კვალის სახით; რგოლი (18-32:206) შეიცავს 87,0% სპილენძს, 12,0% კალას და 0,88% დარიშხანს. საყელური რგოლი (სემ 18-32:200) შეიცავს 86,34% სპილენძს, 13,4% კალას; ცული (სემ 11-32:13) შეიცავს 94,1% სპილენძს, 5,7% კალას და 0,2% დარიშხანს; ცული (სემ 11-32:14) შეიცავს 88,8% სპილენძს, 10,1% კალას და 0,59% დარიშხანს; ცული (სემ 11-32:68) შეიცავს 86,75% სპილენძს, 12,65% კალას და 0,02% დარიშხანს; ცული (სემ 11-32:19) მოიცავს 85,0% სპილენძს, 14,1% კალას; ცულ-ნამგალა (სემ 11-32:54), რომელიც სხვა ნივთებისაგან განსხვავებით ანთიმონსაც შეიცავს 3,48% რაოდენობით (იხ.: აბესაძე ც., ბახტაძე რ., დვალი თ., ჯაფარიძე ო. 1958: 50-51; აფაქიძე ა. 1944: 231). **ლუხვანოს განძი:** ცული (სემ 31/7671-6) შეიცავს 90,33% სპილენძს, 8,61% კალას და 0,73% ტყვიას; ცული (სემ 33/7671-5) შეიცავს 87,82% სპილენძს, 10,07% კალას და 1,46% ტყვიას; შუბისპირი (სემ 34-7671/ მოიცავს 98,0% სპილენძს,

ჩვენ მიერ ჩატარებული ანალიზების კომპოზიციური შედეგებიდან ნათელია, რომ არცერთი ლითონის ნივთი არ არის დამზადებული დარიშხნიანი სპილენძის შენადნობით, თუმცა დარიშხანი უმეტეს შემთხვევაში გვხვდება, როგორც უმნიშვნელო მინარევის სახით, რაც ასახავს საბადოებში დარიშხნის არსებობას და მის თვისებას, აღსდგეს სპილენძთან ერთად. ლ. სახაროვას დაკვირვებით, ლეჩხუმური ნივთები გამოირჩევიან შესანიშნავი შავი ფერის პრიალა პატინით, ასეთივე პატინა ახასიათებთ ნივთებს ე.წ. სამხრეთ-ოსეთიდან.<sup>222</sup> მაგრამ ამ დასკვნას, რომ ეს შეიძლება იყოს დარიშხნის მაღალი შემცველობის შედეგი, რაიმე ანალიტიკური მტკიცებულება არ გააჩნია. ყველა შემთხვევაში, დარიშხნიანი სპილენძის შენადნობი არის ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის ფენომენი, ხოლო ლეჩხუმის ლითონის ნაწარმი ძირითადად გვიანი ბრინჯაოს ხანიდან ადრე რკინის ხანაზე გარდამავალ ეტაპის მიეკუთვნება. თუმცა, წინამდებარე პროექტის ერთერთ მიზანს წარმოადგენს სწორედ ამ ინდუსტრიის თარიღის გაუმჯობესება და გამყარება.

ჩვენ ხელთ არსებული მრავალი მტკიცებულებების საფუძველზე უკვე შეგვიძლია კონკრეტული დასკვნები გავაკეთოთ. უპირველეს ყოვლისა, დიდ მტკიცებულებას წარმოადგენს ლითონის ნაწარმის განმების ან ცალკეული ნივთების სტილი და ფორმები, რაც გვარწმუნებს, რომ მასიური მეტალურგიული წარმოება ლეჩხუმში, უნდა დაწყებულიყო ოდნავ ადრე ვიდრე გვიანი ბრინჯაოს ხანის დასაწყისია, დაახლოებით ძვ.წ 1500 წ-მდე. ჩვენ არ გვაქვს რაიმე მტკიცებულება დარიშხნიანი სპილენძის (არაბრინჯაო) გამოყენებისა ლეჩხუმში, რაც გასაკვირი არ არის იმის გათვალისწინებით, რომ მისი ექსპლუატაცია კავკასიის რეგიონში, სავარაუდოდ, შეწყვეტილა მინიმუმ 500 წლით ადრე (გვიანი ბრინჯაოს დასაწყისამდე), თუ კიდევ უფრო ადრე არა.

თუ ადრე ამ რეგიონში მადნის წყაროები არ იქნა გამოყენებული, ეს სავარაუდოდ, ზედაპირული (ოქსიდური და სხვ.) სპილენძის მადანგამოვლინებების რთული წვდომის გამო ხდებოდა. უფრო მეტიც, ქალკოპირიტის (არა ზედაპირული) სპილენ-

---

0,7% კალას და 0,3% ტყვიას. ყველა მათგანში არის მცირე მინარევი დარიშხანისა (იხ.: Данилевский В. В. 1935: 246). **სურმუმის განმი:** ლაგამი - (სემ 14-32:4) შეიცავს 98,91% სპილენძს, 0,5% ტყვიას და 0,5% დარიშხანს; ცული (სემ 11-32:51) შეიცავს 78,10% სპილენძს, 9,10% კალას, 2,0% ტყვიას, 0,5% თუთიას და 2,51% დარიშხანს. ბრტყელი ცული (სემ 11-32:55) შეიცავს 88,3% სპილენძს, 11,39% კალას (იხ.: აბესაძე ც., . . 1958: 51).

<sup>222</sup> სახაროვა ლ. 1966: 81.

მის საბადოების ექსპლუატაცია შეუძლებელი იყო მანამ, სანამ აქ არ დაიწყო მადაროების სახით მადნის მოპოვება; ამის შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ საწარმოო გადანაყარის მიხედვითაც. გარდა ამისა, გადანაყარი წილების და ლითონის წარმოების თარიღი, სავარაუდოდ, ემთხვევა ამ არეალში მრავლად მოპოვებულ ლითონის ნაწარმის თარიღსაც. მრავალი სპილენძის ზოდის ფრაგმენტები დაკავშირებული უნდა იყოს სხვადასხვა ლითონის დნობის ადგილებთან, აგრეთვე მრავლად აღმოჩენილ სპილენძის არტეფაქტებთან (ხშირად იმავე განძებიდან). თუმცა, ჩვენ ჯერ არ ვიცით, რომელი მზა არტეფაქტი არის ადგილობრივ დამზადებული და სწორედ ამის ანალიტიკური კვლევაც არის წინამდებარე პროექტის ერთ-ერთი მიზანი.

## არქეოლოგიური დაზვერვები და გათხრები ლეჩხუმის ტერიტორიაზე

**არქეოლოგიური დაზვერვები.** ჩვენ მიერ ჩატარებული არქეოლოგიური დაზვერვების და მთიან კოლხეთში არქეომეტალურგიული კვლევების დასაწყისის საფუძველი გახდა არქეოლოგიური კომპლექსები (ბრინჯაოს განძები) და შემთხვევით მოპოვებული ბრინჯაოსა და რკინის არტეფაქტები, განსაკუთრებით კი, დიდი რაოდენობით აღმოჩენილი უძველეს მეტალურგიასთან დაკავშირებული არტეფაქტები. ყველა ამ კომპონენტზე დაყრდნობით ეს რეგიონი კოლხური ბრინჯაოს კულტურის ნაწილად და უძველესი სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის წარმოშობის ერთ-ერთ კერად უკვე გასული საუკუნიდან იყო აღიარებული.<sup>223</sup> რამდენიმე შემთხვევით აღმოჩენილი რკინის არტეფაქტი გვავრთულებინებს, რომ შესაძლოა ამ რეგიონში არსებობდა შესაბამისი ადრეული რკინის ინდუსტრიის დასაწყისი, მაგრამ ჯერჯერობით ამ რეგიონში ნაპოვნი არ არის არცერთი ადრერკინის ხანის დნობის რაიმე დამადასტურებელი კვალი. შესაძლებელია, რომ რკინის ეს არტეფაქტები მოტანილი იყოს სხვა რეგიონებიდან.

გასული საუკუნის მონაცემებს დაემატა 2011, 2013, 2014, 2015, 2016 წლებში ლეჩხუმში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დაფინანსებით ჩატარებული სადაზვერვო ექსპედიციები, რომელმაც მდ. ცხენისწყლის ხეობაში გამოავლინა უძველესი ბრინჯაო-რკინის მეტალურგიის სახელოსნოების ჯგუფის ნაშთები თავისი სამთო მეტალურგიული ბაზით. არქეოლოგიურმა კვლევებმა დაადასტურა პრეისტორიული სადნობი ქურა-სახელოსნოების ნაშთები (ქურის შელესილობის ფრაგმენტები, წიდები, ნაღვენთები, თიხის მილების ფრაგმენტები), რამაც დღის წესრიგში დააყენა მათი ნედლეულის (მადნები) წყაროს დადგენის საკითხი, რაც პარალელურად გეოლოგიური დაზვერვითაც გამოვლინდა (იხ.: ანგარიში # 1). ვარაუდს, რომ ნედლეულის წყარო (სპილენძი) ლოკალური მასშტაბის უძველესი მეტალურგიული წარმოებისთვის საკმარისი იქნებოდა, ადასტურებს ჩვენს მიერ ჩატარებული წინასწარი გეოლოგიური დაზვერვის შედეგები და მოპოვებული ფაქტიური მასალის ანალიზი. სოფ. ზუბის და მის მოსაზღვრე სოფ. კინჩხას მიდამოებში დაზვერვების შედეგად შეგროვებული არტეფაქტების (ლითონის

<sup>223</sup> Сахарова Л.С. 1966; სახაროვა ლ. 1966.

სადნობი ქურების შელესილობის ფრაგმენტები, წიდეები, ნალვენთები) შესწავლამ რენტგენოფლუორესცენტური (XRF) სპექტრომეტრით აჩვენა მათში ლითონებიდან რკინის (80-95%) ყველაზე დიდი შემცველობა, ხოლო წიდის ზოგიერთ ნიმუშში დადასტურდა სპილენძის შემცველობა (1-3%).<sup>224</sup> სპილენძის წიდებისათვის ეს შედეგი მოსალოდნელია, როდესაც გადასადნობად ქალკოპირიტით მდიდარი მადნებია გამოყენებული.

ამგვარად, საქართველოს ეროვნული მუზეუმის სადაზვერვო ექსპედიციების მიერ მთიანი კოლხეთის ნაწილში - ძირითადად ლეჩხუმის ტერიტორიაზე (მდ. ცხენისწყლის ხეობა), კინჩხის მიდამოებში, ქვემო სვანეთში, მთიანი სამეგრელოს ნაწილში დაფიქსირებულ იქნა პრეისტორიული მეტალურგიის ძეგლები - გამოვლინდა უძველესი მეტალურგიის სახელოსნოების ჯგუფის ნაშთები თავისი სამთო მეტალურგიული ბაზით.


დაზვერვებით დაფიქსირდა მთელი რიგი ძეგლები - ქვემო სვანეთში (ლაშკილი - ქურის სავარაუდო ადგილი, წიდეები; ლეიფხილალა (ქართ. საგვიმბრია) - წიდეები, ლეჩხუმში (ზუბის მიდამოები: ქვაწითელი - წიდეები; მუშულდა - წიდეები, ნამჭედური - წიდეები; გაბონალა - ქურის სავარაუდო ადგილი, წიდეები; ფუნაცხვარი - წიდეები; ლაძგვერია - წიდეები), იმერეთი (წმინდალიანი - ქურის სავარაუდო ადგილი, წიდეები; კადარი - წიდეები) (სურ. 9).

ჩვენს კვლევას ამ რეგიონის ტოპონიმიკური მონაცემებიც და ზოგიერთი მათგანის მეგრულ-სვანური საფუძველით ახსნაც უწყობს ხელს; მაგალითად - *ქვაწითელი* (წითელი ქვა/რკინის ქვა), *ნამჭედური* (ადგილი, სადაც მჭედლობას ეწეოდნენ),<sup>225</sup> *კვერეგვერდი*, *კვერეშულა*, *საკვერია*, *თაკვერი*, *კორვაში* (ადგილები, სადაც კვერვა/ჭედვა ხდებოდა, კვერვასთან დაკავშირებული), *ლაძგვერია*, *ლაშკილი*, *დოდურაში*. აღსანიშნავია წიდის (შლაკის) ადგილობრივი, ლეჩხუმური დასახელება - „*ნაშკიდური*“ (ლიშკადი სვანურად = ჭედვა).

---

<sup>224</sup> Sulava N., . . . 2013.

<sup>225</sup> ეს ტოპონიმი თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით გვხვდება.



სურ. 9. ძეგლების გავრცელება სატელიტურ რუკაზე

ჩატარებული სადაზვერვო სამუშაოებისა და წინასწარული კვლევების შემდგომი და აუცილებელი ეტაპი იყო გამოვლენილი ძეგლების არქეოლოგიური შესწავლა.<sup>226</sup>

**არქეოლოგიური გათხრები.** 2016 წლიდან არქეოლოგიური გათხრები დაიწყო არქეოლოგიური დაზვერვებით დაგროვებული ინფორმაციის საფუძველზე. ჩატარდა ოთხი არქეოლოგიური სეზონი - 2016,<sup>227</sup> 2017,<sup>228</sup> 2018<sup>229</sup>, 2019<sup>230</sup> (ანგარიშები ## 2- 5, იხ. დანართების სახით შესაბამისი ფოტოებითა და ნახაზებით).

<sup>226</sup> დაზვერვებსა და გათხრებში საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, მონაწილეობას იღებდა ინგლისელი კოლეგა, ოქსფორდის პროფესორი ბრაიან გილმორი, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფდა იმ აუცილებელი ანალიზების ჩატარებას, რომელიც საჭიროა გათხრილი მასალის სწორი სამეცნიერო ინტერპრეტაციისათვის.

<sup>227</sup> „ლეჩხუმის (პრეისტორიული მეტალურგიის შემსწავლელი - დოდურაში 1) არქეოლოგიური ექსპედიციის“ 2016 წელს ჩატარებული სამუშაოების ანგარიში იხ.: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივში. ექსპედიცია დააფინანსა საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა.

<sup>228</sup> „ლეჩხუმის (პრეისტორიული მეტალურგიის შემსწავლელი - დოდურაში 1) არქეოლოგიური ექსპედიციის“ 2017 წელს ჩატარებული სამუშაოების ანგარიში იხ.: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივში.

<sup>229</sup> „ლეჩხუმის (პრეისტორიული მეტალურგიის შემსწავლელი - დოდურაში 1) არქეოლოგიური ექსპედიციის“ 2018 წელს ჩატარებული სამუშაოების ანგარიში იხ.: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივში.



არქეოლოგიური შესწავლისათვის შეირჩა არქეოლოგიური ძეგლი - „დოღურაში 1”<sup>231</sup> (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის ცაგერის მუნიციპალიტეტი, ჩხუტელის თემი, ცაგერიდან 7 კმ-ის დაშორებით, მდ. ცხენისწყლის მარცხენა ნაპირას, მისი შენაკადის, დოღურაშის ღელეს მარჯვენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 860 მ სიმაღლეზე მდებარე ტერასაზე). აქ სამუშაოები წარმოებდა 2016-2019 წწ.

მოსახლეობის გამოკითხვის საფუძველზე დაგროვდა ინფორმაცია, რომ დოღურაშის მიდამოებში, რომელიც ეხლა ტყით არის დაფარული (ძირითადად წაბლი), ადრე კი სახნავ-სათესად გამოიყენებოდა, რამდენიმე ადგილას შემჩნეული ქონდათ წიდეების (ადგილობრივი სახელწოდება - „ნაშკიდურები“) დიდი კონცენტრაცია; ახლომახლოს არის წინა საუკუნის მადაროებიც; აგრეთვე, გადმოცემით ვიცით, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში ამ ადგილებში, ტყეში, უპოვიათ 9 ცალი ბრინჯაოს ზოდი, რომელიც ჯართში ჩაუბარებიათ.

ჩვენს მიერ ამ ძეგლის შერჩევა განპირობებული იყო საწარმოო გადანაყარის იმ მასშტაბით, რაც დაზვერვების შედეგად აქ გამოვლინდა, და რაც შემდგომ გეომაგნიტური სკანირებითაც დადასტურდა. აქ მეტალურგიული საქმიანობისათვის ხელშემწყობი ბუნებრივი პირობებიც სახეზე იყო - სადნობი ნედლეული<sup>232</sup>, ხე-ტყე, წყალი, თიხები.<sup>233</sup>

ძეგლი მდებარეობს „დოღურაშის ღელეს“ ხევის პირას, სწორ ბაქანზე, სადაც შეინიშნებოდა დიდი ზომის წიდეების კონცენტრაცია დაახლოებით 100 კვ.მ ფართობზე. ამ ბაქანზე, სადაც მოინიშნა გასათხრელი ფართობი, თხრილების გაკეთებამდე დათვალიერებულ იქნა მისი ფერდობი, რომლის სიმაღლე 30 მ-ია ღელემდე და 15-20° დაქანება აქვს. იგი მოფენილი აღმოჩნდა სხვადასხვა ზომის ზემოდან გადაყრილი წიდეებით და ქურის შელესილობის ნაცრისფერი თიხის ნატეხებით.

<sup>230</sup> „ლეჩხუმის (პრეისტორიული მეტალურგიის შემსწავლელი - დოღურაში) არქეოლოგიური ექსპედიციის” 2019 წელს ჩატარებული სამუშაოების ანგარიში იხ.: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივში.

<sup>231</sup> „დოღურაში 1”-ის ახლოს დაფიქსირდა კიდევ სხვა არქეომეტალურგიის ძეგლები - „დოღურაში 2” და „დოღურაში 3”. არქეოლოგიური სამუშაოები გრძელდება.

<sup>232</sup> იხ.: დანართი # 1.

<sup>233</sup> თიხები მოიპოვება თვითონ სოფ. დოღურაშის მახლობლად, ადგილ ნალობიებზე, 1 კმ-ის დაშორებით „დოღურაში 1”-დან აღმოსავლეთით.



„დოღურაში 1“-ის I თხრილი გაკეთდა უშუალოდ ხევის პირას. სამუშაოების ფართობი საერთო ჯამში შეადგენდა დაახლოებით 150 მ<sup>2</sup>-მდე. ამ ფართობზე გაითხრა დაახლოებით 1-2,5 მეტრამდე სისქის კულტურული ფენა. მოხდა კულტურული ფენის მთლიანად გასუფთავება და გრაფიკულ და ელექტრონულ ფორმატში ზუსტად დაფიქსირება, როგორც აღმოჩენილი კონტექსტებისა, ასევე სტრატეგრაფიული ჭრილებისა. პერიფერიულ მონაკვეთებში გაკეთდა მცირე ზომის (4×2 მ) თხრილები ძეგლის არეალის დასადგენად.

„დოღურაში 1“<sup>234</sup> პირველი არქეომეტალურგიული ძეგლია, რომელიც არქეოლოგიური გათხრებით იქნა შესწავლილი მთიან კოლხეთში, ლეჩხუმში. იგი სრულიად განსხვავდება საქართველოს სხვა რეგიონებში გათხრილი ანალოგიური ძეგლები-საგან.<sup>235</sup> ფენები საკმაოდ დაზიანებულია, ერთმანეთშია არეული დიდი რაოდენობით წიდების, ქურის შელესილობისა და თიხის მილების ნამტვრევები. როგორც ჩანს, იგი ორფენიანი ძეგლია. *in situ* ვითარება დაფიქსირდა ორ თხრილში:

- I თხრილში, სადაც, მის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 30 მ<sup>2</sup>-ზე მეტ ფართობზე გაითხრა 1-1,5 მ-ის სისქის ფენა, რომელიც მთლიანად შევსებული იყო დიდი ზომის წიდებითა და ასეთივე წიდების დაშლის შედეგად წარმოშობილი შავი ღორღისებური მასით, რომელშიც არეული იყო ქურის თიხის შელესილობისა და თიხის მილების ფრაგმენტები. ეს ხელოვნურად შექმნილი ფენა ადგილ-ადგილ (50-70 სმ-ის სიმაღლეზე) გაყოფილი იყო თხელი ყვითელი ფენით, რომელიც, სავარაუდოდ, ქვედა, ძველი ფენის დროებით ჰუმუსით დაფარვის შედეგად შეიქმნა, შემდეგ კი ისევ გააგრძელა ფუნქციონირება;

- II თხრილში, კერძოდ, ხევის პირას გამართულ ქვაყრილთან, სავარაუდოდ „გაუქმებულ ე.წ. ქურაში“ (2016 წ. # 1), რომელიც ჩაჭრილი იყო ყვითელ თიხნარ ფენაში და აბაზანისებური ფორმა (1,50×1,70 mm) ქონდა, ჩაწყობილი იყო დიდი ზომის წიდების რამდენიმე რიგი; წიდების ქვემოდან გამოჩრილი იყო თიხის მილი. „ქურას“, ხევის მხრიდან, შემოუყვებოდა ქვაყრილი; ქურასა და ქვაყრილს შორის ყვითელი თიხის უწესრიგო გროვა იყო; ქვაყრილის ძირშიც დიდი რაოდენობით დამწვარი, გაწითლებული თიხების გროვები იყო; აქაც ასევე, აღმოჩნდა წიდების, ე. წ.

<sup>234</sup> იხ. დანართები ## 2-5 - არქეოლოგიური სავლე ანგარიშები.

<sup>235</sup> შდრ.: Хахутаишвили Д.А. 1987. Khakhutaishvili D. 2009.

ქურის შელესილობისა და დამწვარი ქვების გროვები. თხრილის აღმოსავლეთის მხრიდან გაფართოების შემდეგ, აქაც დადასტურდა ყვითელ თიხნარში ჩაჭრილი აბაზანისებური ფორმის (დაახლ. 1,50×0,70 მ) ქვებით შემოკავებული სავარაუდო „ქურა“ (2018 წ. # 2), კვლავ შიგ ჩაწყობილი მადანშემცველი ქანების ნიმუშებით, წიდეებით, დაშლილი წიდეების ფრაგმენტებით, ნახშირებით, სანაყისებური ქვის იარაღით და თიხის მილით, რომელზეც გველის გამოსახულების რელიეფური დანამერწია.<sup>236</sup> ამ ე.წ. ქურასთან დაფიქსირდა საკმაოდ გრძელი (დაახლოებით 3 მ), სავარაუდოდ, მადნის პირველადი გამოწვის მოედნად ინტერპრეტირებული კერა დიდი რაოდენობით დამწვარი, გაწითლებული თიხების გროვებით. ორივე ე.წ. „ქურას“ (## 1, 2) არ ეტყობა ძლიერი ცეცხლის კვალი, განსხვავებით, სამეცნიერო ლიტერატურიდან ჩვენთვის ცნობილი ქურებისაგან, რომელიც ჩვენი ვარაუდით, უფრო მეტად უნდა იყოს გამომწვარი და ფორმითაც და ზომითაც განსხვავებული უნდა იყოს. ძეგლის - „დოღურაში - 1“, გარკვეული ნაწილი სადნობი ქურების ჩათვლით შემორჩენილი არ არის, როგორც ჩანს, ტერასის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი ჩაქცეულია ხევში.

ჩვენი აზრით, 2016 წელს გამოვლენილი „ქურა“ (# 1(2016)) და 2018 წელს გამოვლენილი „ქურა“ (# 2(2018)) ერთი სისტემის ნაწილია, რომელიც გამართული იყო უშუალოდ ხევის პირას, და სავარაუდოდ, მადნის წინასწარი გამოწვის პროცესთან უნდა იყოს დაკავშირებული. დამწვარი თიხების სიმძლავრე გვაფიქრებინებს, როგორც აღვნიშნეთ, რომ ეს იყო მადნის პირველადი გამოწვის მოედანი, რომელიც ჩრდილოეთის მხრიდან შემოკავებული იყო ქვყარილით. არ არის გამორიცხული, რომ ამ ფართობზე კიდევ იყო რამდენიმე ქურა, რომელიც ხევის ჩამოშლის შედეგად განადგურდა. ამ ქურების ფუნქციის შესახებ ჯერ-ჯერობით რთულია მსჯელობა, როგორც ავღნიშნეთ, სავარაუდოდ, ისინი მადნის წინასწარი გამოწვისათვის იყო განკუთვნილი. ნახშირის ნიმუშები, რომლებიც აღებულია, როგორც „მადნის გამოწვის კერიდან“, ასევე, ერთი დიდი ზომის წიდის შიდა

<sup>236</sup> ანალოგიური დანამერწია საქმენ მილზე რკინის მეტალურგიის ქურა-სახელოსნოდ მიჩნეულ ძეგლებიდან - „ასკანა III, 1“, რომელიც დათარიღებულია ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედით და „მშვიდობაური IV“, რომელიც დათარიღებულია - ძვ.წ. 1240 წ [Хахутаишвили Д.А. 1987: 112, 115, სურ. 28, 151-155, სურ. 51]; ახალი გამოკვლევების მიხედვით იგივე ძეგლები („მშვიდობაური I“) განსაზღვრულია როგორც სპილენძზე მომუშავე სახელოსნოები, ხოლო თარიღია - ძვ.წ. 10-8 სს (ასკანა) [Erb-Satullo Nathaniel L., . . . 2014: 153, 154, # 4 ცხრილი].

ნაწილიდან, გვიჩვენებს, რომ სპილენძის დნობის ეს ადგილი („დოღურაში 1“) მოქმედებდა ძვ.წ. მე -13-9 სს-ში - გვიანი ბრინჯაოს ხანაში.

2018 წელს დაიწყო არქეოლოგიური სამუშაოები ძეგლზე - „დოღურაში 2“<sup>237</sup> რომელიც „დოღურაში 1“-საგან დაშორებულია 3-4 კმ-ით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ეს უბანი მდებარეობს ტერასაზე, რომელიც ზღვის დონიდან 1070 მ-ის სიმაღლეზეა, მისი ფართობია 30×60 მ. ტერასა და აქ ჩვენს მიერ დაფიქსირებული ძეგლი, განსხვავებით „დოღურაში 1“-საგან, მთლიანად დაფარული იყო მაყვლისა და სხვა მცენარეების მაღალი ბუჩქებით, რის გამოც საჭირო გახდა ნაკვეთის გაწმენდა და მომზადება გეოფიზიკური კვლევისათვის.

გეოფიზიკურმა კვლევამ აჩვენა, რომ გასათხრელი ძეგლი მდებარეობდა ტერასის ჩრდილო კიდეებთან და დაახლოებით 10 კვ.მ ფართობს შეადგენდა ხევის მონაკვეთის ჩათვლით. არქეოლოგიური გათხრებისათვის ტერასის მომზადების შემდეგ გაკეთდა რამდენიმე ჭადრაკული თხრილი, რომელიც შემდეგ გაერთიანდა # 2 თხრილის სახით. 0,30 მ ზედა ფენის (ჰუმუსი) მოხსნის შემდეგ, რომელიც შეიცავდა მცირე რაოდენობით წილების ფრაგმენტებსა და წვრილ ქვებს, თხრილის ზომები ჩამოყალიბდა - 4×4 მ. თხრილს ქვემოთ, ხევისაკენ, ჩრდილო-დასავლეთ მხარეს კიდევ 2 კვ. მ ფართობი დაემატა, რომელიც მიუთითებდა წილების გავრცელებას ხევისაკენ. ცხადი გახდა, რომ შერჩეული ფართობი არ იყო დაზიანებული საუკუნეების განმავლობაში ამ ტერასის ზედაპირზე წარმოებული ხვნის შედეგად. კი. ზედა ფენის მოხსნის შემდეგ გამოჩნდა მუქი ფენა, რომელიც შედგებოდა უფრო ძველი წილების, ნახშირებისა და წილების დაშლასთან დაკავშირებული მასისაგან. ამ ფენას მოსდევდა სტერილური, რამდენიმე ადგილას დარღვეული მოყავისფრო თიხნარი ფენა, რომელიც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ აქ შეიძლება ტერიტორიის მეორედ გამოყენებასთან გვერდის საქმე რკინის ხანაში ან თუნდაც კლასიკურ ხანაში.

ამ ორი ფენის მოხსნის შემდეგ უფრო ცხადად გამოჩნდა ძველი ფენა. თხრილის სამხრეთით გამოჩნდა მსხვილი ქვები, შესაძლოა, გამოსაწვავი ქურის ნაშთი, რომელ-თა წყობაც შესაძლოა ნაწილობრივ დარღვეულია ზედა ფენების მიერ. გათხრების

---

<sup>237</sup> იხ. დანართები ## 2-5 - სავსე ანგარიშები.

ბოლო ფაზა წარმოდგენილია ძალიან მუქი ფენით, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით სპილენძის წარმოების ბოლო პერიოდისათვის დამახასიათებელ წიდეებს და წიდეების დაშლის შედეგად მიღებულ ნარჩენებს და ქურის შელესილობის ფრაგმენტებს. ამ ფენაში მოპოვებული კერამიკის (თიხის მილები, ქურის შელესილობები) მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სპილენძის საწარმოს აქტიურობის ბოლო ფაზა უნდა შეესაბამებოდეს სპილენძ-ბრინჯაოს ხანიდან რკინის ხანაზე გარდამავალ პერიოდს.<sup>238</sup>

„დოღურაში 2“-ის არქეოლოგიური შესწავლა, რომელიც უკეთეს მდგომარეობაშია შემონახული ვიდრე „დოღურაში 1, გაგრძელდება.

2018 წელს დაიწყო სამუშაოები მესამე უბანზე - „დოღურაში 3“, რომელიც მდებარეობს „დოღურაში 1“-სა და „დოღურაში 2“-ს შორის და ჩვენს მიერ დაფიქსირებულია 2016 წელს დაზვერვების დროს. ეს ადგილი მდებარეობს მცირე ზომის ტერასაზე (30×20 მ), რომელიც გახსნილია დასავლეთის მხარეს, 1000 მ-ზე ზღვის დონიდან. აქაც გამოყენებული იქნა გეოფიზიკური დაზვერვა, რისთვისაც ტერიტორია გაიწმინდა ბუჩქნარი საფარისაგან. დაზვერვამ კარგი შედეგი მოგვცა დიდი მაგნიტური ანომალიების სახით.<sup>239</sup> ძეგლზე სამუშაოები გაგრძელდება.

2019 წელს სამუშაოები გაგრძელდა „დოღურაში 2“-ზე. ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევებმა დაადგინა, რომ გვიანდელი ბრინჯაოს ხანის დნობის ადგილი მთის ტერასის ჩრდილოეთ მესამედს (ფართობი 20 მ სიგრძით) ფარავდა. როგორც ჩანს, აქ დნობისა და მონათესავე ოპერაციები (პროცესები) დაიწყო ტერასის ნაპირთან ახლოს, მაგრამ შემდეგ გადაიტანეს ტერასის კიდიდან მის შიდა მხარეს (აღმოსავლეთით). აქაც ე.წ. ქურების იგივე სისტემა დაფიქსირდა, როგორც „დოღურაში 1“-ზეა.

2019 წელს გეოფიზიკური და გათხრითი სამუშაოები დაიწყო ჭიქელაშსა<sup>240</sup> და გაბონალიაზე.<sup>241</sup> ამ უკანასკნელზე ორი საკვლევი ადგილი გამოიკვთა. როგორც ჩანს,

<sup>238</sup> თუმცა ეს თარიღი ჯერ განსაზღვრული არ არის. ეს თარიღები გაირკვევა იმ ანალიზების შემდეგ, რაც ჩატარდება ოქსფორდში და, სავარაუდოდ, 2019 წლის გაზაფხულისათვის გახდება ცნობილი.

<sup>239</sup> ვგეგმავთ ამ ძეგლის შესწავლის გაგრძელებას.

<sup>240</sup> მდ. ცხენისწყლის ხეობის მარჯვენა სანაპიროზე, ქალაქ ცაგერის ზემოთ, ზღვის დონიდან 1400 მეტრის სიმაღლეზე.

<sup>241</sup> მდებარეობს სოფ. ზუბის მიდამოებში, მდ. ცხენისწყლის ხეობის მარჯვენა სანაპიროზე, ზღვის დონიდან 1175 მ სიმაღლეზე.

ორივე ეს ადგილი დაკავშირებულია ქალკოპირიტით მდიდარი მადნის ექსპლუატაციასთან. შემდგომში, 2020 წლიდან, დაგეგმილია ამ ადგილებზე არქეოლოგიური გათხრითი და გეოლოგიური სადაზვერვო სამუშაოები სპილენძის დნობისა და სამთამადნო ბაზის კვლევის მიზნით.

ამგვარად, ჩვენი არქეომეტალურგიულ-გეოლოგიური კვლევითი პროექტის ამ ეტაპზე მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი პროგრესი, მაგრამ წინ კიდევ დიდი სამუშაოა, იმისათვის, რომ დავადგინოთ - როგორ, როდის და სად (და შესაძლებელია, რატომ) დადგა ლეჩხუმში სპილენძის წარმოებაში გარდამავალი პერიოდი - გვიან ბრინჯაოდან ადრე რკინის ხანაზე; აგრეთვე, უნდა დავადგინოთ, როგორ მუშაობდა სამთო მრეწველობა, სად მუშაობდა, სად იყო მადაროები, როგორ მუშაობდნენ ისინი და ა.შ.

## ლექსუმის არქეომეტალურგიული ძეგლების ტიპოლოგია და ქრონოლოგია

ლექსუმის არქეომეტალურგიული ძეგლების ტიპოლოგიის, ქრონოლოგიისა და გენეზისის საკითხების დასადგენად, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს ჩვენს მიერ შესწავლილი ძეგლების ტიპი, უნდა განვიხილოთ მისი გარემომცველი რეგიონების ანალოგიური ძეგლების - სამთამადნო წარმოება, მეტალურგია და ლითონდამუშავება (ანუ მადნის მოპოვება, ლითონის მიღება და მზა პროდუქციის შექმნა), შევადაროთ ისინი ერთმანეთს; ასევე უნდა შევისწავლოთ მეორადი ან სპილენძის შემდგომი გადამუშავება და არტეფაქტის წარმოება, რომელიც დნობაზე იყო დამოკიდებული. აუცილებელია გავარკვეოთ თუ როდის და როგორ მუშაობდა სპილენძის წარმოების ინდუსტრია სხვაგან კოლხეთში, განსაკუთრებით მეზობელ რეგიონებში, შევადაროთ ისინი, გავანალიზოთ მათი ქრონოლოგია, შევადაროთ ტექნოლოგია და ვეძებოთ შესაძლო ურთიერთკავშირები; გავანალიზოთ მათი ქრონოლოგიის საფუძვლები და მოვიძიოთ მათი შესაძლებელი გენეტიკური კავშირები.

ჩვენი პროექტის ფარგლებში დადგინდა კავშირი ლექსუმის არქეომეტალურგიულ ძეგლებსა და სპილენძისა და სხვა ლითონების მადანგამოვლინებებს შორის; უნდა განვიხილოთ მეტალურგია,<sup>242</sup> რომელიც ჩვენი პროექტის თემაა და შევცხოთ ლითონდამუშავებას.

ჩვენს მიერ შესწავლილი ძეგლების ტიპი უნდა განისაზღვროს იმისდა მიხედვით თუ რა ლითონზე მუშაობს ის და შესაბამისად უნდა შედარდეს ანალოგიურ ლითონზე მომუშავე ძეგლებთან. „დოღურაში 1” მუშაობს სპილენძზე. შესაბამისად უნდა განვიხილოთ, უპირველეს ყოვლისა, საქართველოში, და შემდეგ კავკასიაში, გამოვლენილი ანალოგიური, სპილენძზე მომუშავე ძეგლები.

---

<sup>242</sup> მეტალურგია (ბერძნ. *metallurgeo* - მოვიპოვებ მადანს, ვამუშავებ ლითონებს. მეტალურგია [< ბერძ. *Metallurgeo* ლითონებს ვამუშავებ] - 1. მძიმე მრეწველობის დარგი, რომელის საქმეა მადნიდან ლითონის მიღება და მისი პირველადი დამუშავება. 2. მეცნიერება, რომელიც სწავლობს ლითონთა სამრეწველო წარმოებისა და მათი პირველადი დამუშავების ხერხებს [უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989]. შდრ.: „ტერმინ მეტალურგიაში” იგულისხმება იმ საწარმოო პროცესთა ერთობლიობა, რომლებიც უკავშირდება მადნიდან ლითონის მიღებას, მის ჩამოსხმას და პირველადი პროდუქტის შექმნას [ინანიშვილი გ. 2014: 43]. ტერმინი „ლითონდამუშავება” აერთიანებს იმ ტექნოლოგიურ პროცესთა ერთობლიობას, რომლებიც გამოიყენება ნახევარფაბრიკატიდან ან პირველადი სხმულიდან მზა პროდუქტის მისაღებად, რთული პროფილის ნივთების ჩამოსხმისა და ჭედვის გზით (საბრძოლო, სამეურნეო და სარიტუალო დანიშნულების იარაღი, სამკაული) [ინანიშვილი გ. 2014: 44].

ძეგლების ხასიათი და აღმოჩენილი მასალა განსაზღვრავს ლითონის სახეობას და წარმოებას. ლეჩხუმში, ჩვენს მიერ ნაპოვნი ყველა უძველესი დნობის ადგილი, სპილენძის დასამზადებლად იყო განკუთვნილი; ხოლო რეგიონში ნაპოვნი კოლხური არტეფაქტების დიდი რაოდენობა ასევე მიუთითებს იმაზე, რომ სპილენძის წარმოება მიეკუთვნება გვიანდელი ბრინჯაოდან ადრე რკინის ხანაზე გარდამავალ ადრეულ პერიოდს. ამაზე მიუთითებს, მაგალითად, ჩვენს მიერ კოლხეთის ჩრდილო ნაწილში გათხრილი „დოღურაში 1 და 2“-ზე მოპოვებული დამახასიათებელი მასალა, რომლის მსგავსიც ნაპოვნი სხვაგანაც, განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიის შავი ზღვის რეგიონში.

რა ვიცი სპილენძის მეტალურგიის შესახებ?

სანამ ლეჩხუმის რეგიონის პრეისტორიული სპილენძის წარმოების ინდუსტრიას შევაფასებთ, ალბათ, პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ ადრეული სპილენძის დნობის ინდუსტრიის საფუძვლები.

მეცნიერები თვლიან, რომ ლითონის ათვისება იწყება თვითნაბადი სპილენძის გაცნობით,<sup>243</sup> რომელიც კარგად იჭედება და საუკეთესო ნედლეულია სამკაულის გასაკეთებლად. ძვ.წ. VI-IV ათასწლეულის თვითნაბადი სპილენძის არტეფაქტებიდან ცნობილია ცივად ჭედვის გზით დამზადებული მძივები და ღერაკები. ამ ხანის არქეოლოგიური მასალის მიხედვით თვითნაბადი სპილენძი პლასტიურობისა და სირბილის გამო იარაღისათვის არ გამოიყენებოდა.<sup>244</sup>

სამეცნიერო მონაცემებით სამხრეთ კავკასიაში უძველესი სპილენძის ნივთები ძვ.წ. VI-V ათასწლეულებიდანაა ცნობილი.

საქართველოს ტერიტორიაზე ლითონის უძველესი არტეფაქტები მარნეულში, შულავერ-შომუთეფეს კულტურის ძეგლებზე ჩნდება - კერძოდ, ხრამის დიდი გორის ნამოსახლარზე (რკალი, დანა, 2 მძივი, 1 ამორფული ნატეხი); ეს მასალა თვითნაბადი სპილენძისაა და ცივი ჭედვით არის დამზადებული. თარიღდება ძვ.წ. VI ათასწლეულით.<sup>245</sup>

აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ლითონის უძველესი არტეფაქტები, აგრეთვე, შულავერ-შომუთეფეს კულტურის ძეგლებზე გვხვდება - კერძოდ, გრიგალარ-თეფეზე

<sup>243</sup> Rickard T. A. 1932: 318.

<sup>244</sup> ღამბაშიძე ი., ... 2010: 97; ინანიშვილი გ. 2014: 47, 48.

<sup>245</sup> Kiguradze T. 1986: ტაბ. 5.

(ძვ.წ. 5600-4900 წწ.), ჩალაღან-თეფეზე (ძვ.წ. 5400-5200 წწ.) და ქიულ-თეფეზე (ძვ.წ. 4700-4500 წწ.).<sup>246</sup>

სომხეთში უძველესი სპილენძის ნივთები (სპილენძის მძივები, სამაჯურის ფრაგმენტი) მალაქიტ-აზურიტის მინერალებთან ერთად არტაშენის (ძვ.წ. 5800-5700 წწ.) და აკანაშენის (ძვ. წ. 6000-5500 წწ.) ნამოსახლარებზე აღმოაჩინეს.<sup>247</sup>

ითვლება, რომ სპილენძის დამზადება დნობის გზით დაიწყო კავკასიის რეგიონში ძვ.წ. V-დან IV ათასწლეულების განმავლობაში და ეს დაკავშირებულია ადგილობრივი სპილენძის ოქსიდის მადნის ადვილად შემცირებადი საბადოების (მათგან განსხვავებული სულფიდის საბადოების) ექსპლუატაციასთან, როგორცაა კუპრიტი და ტენორიტი.

როგორც ფიქრობენ, ძვ.წ. V-IV ათასწლეულებში კავკასიაში ფერადი ლითონდამუშავება იწყება, რაც დაკავშირებული იყო ადგილობრივი, მეტალურგიულად ადვილად აღსადგენი და ადვილდნობადი სპილენძის ოქსიდური მადნების (კუპრიტი ( $\text{Cu}_2\text{O}$ ), ტენორიტი ( $\text{CuO}$ ) ათვისებასთან. ხოლო ძვ.წ. IV ათასწლეულის ბოლოს - III ათასწლეულის პირველ ნახევარში საქართველოს ტერიტორიაზე უკვე სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ათვისება ხდება - ბრინჯაოს წარმოების ლიგატურა ფორმირდება სპილენძის და დარიშხანშემცველი სპილენძის მადნების კაზმისაგან. ანუ სპილენძის მადნების პირველადი დნობა, რაც განაპირობებს მეტალურგიული ლითონური სპილენძის მიღებას, შემდგომ დარიშხნიანი სპილენძისა და ბრინჯაოს ათვისების პროცესში გადაიზარდა. გაჩნდა ტექნიკური და ემპირიული ცოდნა: პირომეტალურგიული წესით სპილენძის ოქსიდური მადნების (მინერალების) გადამუშავება, ხის ნახშირის საწვავად გამოყენება, იქმნება ლითონური სპილენძის ადდგენის თერმოდინამიკური სისტემა; მიღებული მასალის მაღალტემპერატურულ პირობებში ფორმებში ჩამოსხმა.<sup>248</sup>

ამგვარად, 500 წლის განმავლობაში, ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებამდე, სპილენძის შენადნობის ტექნოლოგიაში დაიწყო, როგორც ჩანს, დარიშხანის დამატება; თუმცა როგორ გაკეთდა ეს, უცნობია; სავარაუდოდ, ხდებოდა კავკასიონზე მოპოვე-

<sup>246</sup> Kavtaradze G. 1999: 71-72.

<sup>247</sup> Kavtaradze G.1999; Meliksetian Kh., . . . 2006; ინანიშვილი გ. 2014: 48, 49.

<sup>248</sup> Чайлд Г. 1956.



ბული დარიშხან/ სპილენძის მადნების შერეული დნობით ან სპილენძის მდნარში დარიშხანის მინერალის დამატებით.

ნებისმიერ შემთხვევაში, ამ რეგიონში სპილენძი იწარმოებოდა სულფიდური ზედაპირული საბადოების დნობით, რომლებიც ოქსიდებამდე გამოიფიტებოდნენ (ეს მარტივი პროცესია, რომელიც არ იწვევს წიდის წარმოქმნას). ტექნიკური, ემპირიული და ექსპერიმენტული ცოდნა ალბათ ვითარდებოდა ყველაზე მარტივი მადნის აღდგენით (მინერალებისაგან) სპილენძის ოქსიდისაგან პირომეტალურგიული მეთოდებით (ანუ დნობით), საწვავად და აღმდგენად ხის ნახშირის გამოყენებით მეტალური სპილენძის ამოსაღებად, რომელსაც შემდეგ ჩამოასხამდნენ (სპილენძის დნობის ტემპერატურის ზემოთ გახურების შემდეგ, 1085 °C) ფორმებში. სპილენძის (ან ანთიმონით მდიდარი) ჩამოსხმა უფრო ადვილია, რადგან დნობის წერტილი დაბალია.

როგორც გ. ინანიშვილი აღნიშნავს, ტერმინში - „სპილენძის მეტალურგია“<sup>249</sup> იგულისხმება ლითონის მიღება-დამუშავების სრული ციკლის პირველი ნაწილი: 1. გამოღებული მადნის დახარისხება-გამდიდრება (გამოწვა, ფლოტაცია, ნახშირისა და მადნის ნარევის მომზადება), 2. პირომეტალურგიული პროცესი (ლითონის აღდგენა ქურაში, ტიგელური დნობა, შენადნობის მიღება), 3. პირველადი დამუშავება (ზოდის,<sup>250</sup> ნახევარფაბრიკატის ან ნამზადის ფორმირება).<sup>251</sup>

სპილენძის პირომეტალურგიული მიღების უძველესი მეთოდის, აღდგენითი დნობის მოდელირება ხდება სპილენძ-ბრინჯაოს წარმოებასთან დაკავშირებული არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ძეგლების მონაცემების საფუძველზე - დგინდება ქურის ფორმა, კონსტრუქცია და მასში მიმდინარე პროცესები (ტემპერატურული რეჟიმი, აღდგენის ქიმიური რეაქციები და სხვა).<sup>252</sup>

როგორც დადგენილია, სპილენძის ლითონის მიღების უძველესი მეთოდია სპილენძის ოქსიდური და კარბონატულ-სილიკატური მადნების საწვავთან (ხის ნახშირი) ერთად მეტალურგიულ ქურაში გადამუშავებით მეტალურგიული სპილენძის მიღება.

<sup>249</sup> მეტალურგია ბერძნ. μεταλλουργία - მოვიპოვებ მადანს, ვამუშავებ ლითონს [უცხო სიტყვათა ლექსიკონი. 1973: 261].

<sup>250</sup> ზოდი - ე.წ. სხმული ნამზადი, ლითონი, რომელიც დნობის პროცესის დამთავრების შემდეგ ამოჰქონდათ ორმოდან. ყალიბში - კალაპოტში გაცივებულ თხევად სპილენძს „ზოდი“ ეწოდება. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=39&t=1470>

<sup>251</sup> ინანიშვილი გ. 2014: 50.

<sup>252</sup> ინანიშვილი გ. 2014: 51.

პირველი მეტალურგიული (გამოდნობილი) სპილენძი ოქსიდური და კარბონატული მადნებიდან პირდაპირი აღდგენის გზით იქნა მიღებული. სპილენძის კარბონატული მადნებიდან მის აღსადგენად საკმარისია საწყისი 700-800° ტემპერატურა,<sup>253</sup> ტემპერატურის შემდგომი მომატებით ლითონურ სპილენძს დებულობდნენ; აქედან ეყრება საფუძველი სპილენძის მეტალურგიას.<sup>254</sup>

შემდეგი მეთოდია სპილენძის სულფიდური მადნების გამოყენებით ორსაფეხურიანი დნობა. ამ დროს, გოგირდის რაოდენობის შემცირების მიზნით, ჯერ მადნის წინასწარი გამოწვა ხდება; შემდეგ I საფეხურზე - დნობა შტეინის (დანალექი) მიღებით, ხოლო II საფეხურზე შტეინის გადადნობა სპილენძად. დნობის ამ ხერხს ე.წ. „კონტინენტურს“ (ევროპულს) უწოდებენ. ამ ხერხით სპილენძს კავკასიაში XIX საუკუნის დასაწყისიდან იღებენ. მანამდე სპილენძს აღნობდნენ არა „კონტინენტური“, არამედ ე.წ. „აზიური წესით“, რომელიც ასევე სულფიდური მადნების გამოყენებით ხდებოდა.<sup>255</sup> აზიური ხერხით სპილენძის გამოდნობისას გოგირდის მთლიანი მოცილების მიზნით აუცილებელია სულფიდური მადნების მრავალჯერადი გამოწვა 800-900° ტემპერატურაზე.

გამოდნობა თავდაპირველად მიწის ორმოში დაიწყეს (შესაძლოა მიწის ზედაპირზეც), რომელშიც ათავსებდნენ ოქსიდურ მადანს და ხის ნახშირს. ზოგი მკვლევარის აღწერით, ხის ნახშირი და მადანი ერთმანეთში იყო არეული, ზოგს კი მიაჩნია, რომ ორმოში მორიგეობით აწყობდნენ შეშის ან ხის ნახშირისა და მადნის ფენებს.<sup>256</sup> ასეთ ორმოებს მაღლობ ადგილებში აკეთებდნენ, რათა მაქსიმალურად გამოეყენებინათ ბუნებრივი ბერვა (ქარი, ნიავი). ეს აუცილებელი იყო ნახშირის წვისა და აღდგენითი დნობის რეაქციების დროს საჭირო ტემპერატურის მისაღებად. შემდეგში ჰაერის ნაკადს ორმოს ქვემოდან მიერთებული თიხის მილით აწვდიდნენ. პროცესის დამთავრების შემდეგ მიღებული ლითონი ორმოს ძირიდან ამოჰქონდათ. ასეთი სახის პრიმიტიული სადნობი ორმოები გამოიყენებოდა სპილენძის მეტალურგიის ადრეულ ეტაპზე. დნობის შედეგად მიიღებოდა მინარევების შემცველი ღრუბლი-

<sup>253</sup> Лукас А. 1958: 335; Coghlan H. H. 1942: 27.

<sup>254</sup> იზანიშვილი გ. 2014: 51.

<sup>255</sup> იზანიშვილი გ. 2014: 51; Байков А. А. 1949: 14; Смирнов В. И. 1965: 111.

<sup>256</sup> Лукас А. 1958: 334; Смирнов В. И. 1965: 227; იზანიშვილი გ. 2014: 51, 52.

სებრი მასა.<sup>257</sup> მოგვიანებით სადნობი ორმო ამოგებულია ქვით და შელესილია თიხით, ჩნდება საბერველიც, იქმნება პრიმიტიული სადნობი ქურა.<sup>258</sup>

ძვ.წ. V-IV და ძვ.წ. IV-III ათასწლეულებით დათარიღებული სპილენძის მეტალურგიული წარმოების ძეგლები შესწავლილია ანატოლიაში (დეჯირმენტეფე, ნორშუნთეფე, თეფეჯიკი, არსლანთეფე),<sup>259</sup> სადაც დადასტურებულია - მსხლის ფორმის ღუმელები, წარმოების წილის ნარჩენები, მადანი, ნაღვენთები, ყალიბები და ტიგელები. ბოლოდროინდელი გამოკვლევების მიხედვით თვლიან, რომ აღმოსავლეთ ანატოლიაში შესწავლილი ძვ.წ. V-III ათასწლეულების ძეგლები კავკასიის რეგიონში აღმოჩენილი სინქრონული მეტალურგიული წარმოების ძეგლების ტიპურია და სპილენძ-ბრინჯაოს წარმოების განვითარების ადრეულ საფეხურს განეკუთვნება.<sup>260</sup>

სამხრეთ კავკასიაში დღეისათვის არსებული მონაცემებით სპილენძის სადნობი მეტალურგიული ქურის ნაშთები ცნობილია მტკვარ-არაქსის კულტურის - ძვ.წ. IV - III ათასწლეულით დათარიღებული ძეგლებიდან:

ამირანის გორა (ახალციხე) - თიხის საქშენები, ტიგელი;<sup>261</sup> ბაზადერვიშის ნამოსახლარზე (ყაზახის რ-ნი, აზერბაიჯანი) - სამი ქურის ნაშთი;<sup>262</sup> ბალიჭ-ძეძვების ნამოსახლარი (ბოლნისი) - ქურა, მადნის დასამუშავებელი იარაღები.<sup>263</sup>

შემდგომი პერიოდი, ძვ.წ. III-II ათასწლეულები, ფერადი ლითონდამუშავების მნიშვნელოვანი მიღწევებით გამოირჩევა. მეტალურგიაში იწყება სპილენძის სულფიდური მადნების ათვისება (ძირითადად მუშავდება ქალკოპირიტი). მუშავდება ადგილობრივი დარიშხნის (რეალგარი, აურიპიგმენტი, არსენოპირიტი) და ანთიმონის (ანთიმონიტი) მადანგამოსავლები. მეტალურგიული დნობის კაზმი შედგენილია - სპილენძის, დარიშხნის და ანთიმონის მადნის პროპორციული განაწილებით. იქმნება

<sup>257</sup> Rickard T. A. 1932: 116; Лукас А. 1958: 336; ინანიშვილი გ. 2014: 52.

<sup>258</sup> სინაის ნახევარკუნძულზე (ძველი ეგვიპტე) აღმოჩენილი, სპილენძის უძველესი სადნობი ქურის ნაშთები შეიცავდა 75 სმ სიღრმის ქვით ამოგებულ ორმოს, ორი საბერველით (საქშენით) [Currelly C. T., Petrie W.M.F. 1910: 242-243]. არსებობს მოსაზრებაც, რომ იმთავითვე სპილენძს ადნობდნენ სამეთუნეო ღუმელების მსგავს ქურებში (Риндина Н. В. 1971: 134; Coghlan H. H. 1951: 64-66; Aitchison L. 1960: 36), სადაც ტემპერატურა 1200°C-ით აღწევდა [ინანიშვილი გ. 2014: 52].

<sup>259</sup> Müller-Karpe, 1994: 20, 22, 24; ინანიშვილი გ. 2014: 52.

<sup>260</sup> ღამბაშიძე ი., . . . 2010: 101.

<sup>261</sup> ჩუბინიშვილი ტ. 1963; ჩუბინიშვილი ტ. 1966; Чубинашвили Т.Н. 1971: 103; Кушнарева К.Х., Чубинашвили Т.Н. 1970: 114; ჩუბინიშვილი ტ. 1975; ინანიშვილი გ., . . . 2010: 112, 113, სურ. 4.2/1, 2.

<sup>262</sup> Мунчаев Р.М., . . . 1968: 17-26.

<sup>263</sup> ღამბაშიძე ი., . . . 2010: 107.

სამკომპონენტო (Cu/As/Sb) შენადნობი, რომელსაც გაზრდილი სამსხმელო თვისებები აქვს.<sup>264</sup>

როგორც ცნობილია, ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში კავკასიაში შემოდის ახალი მალეგირებელი ელემენტი - კალა, ჩნდება კალიანი ბრინჯაოს სხმულები. კალის კავკასიაში გამოჩენა დღემდე საკამათოა, რადგან კავკასიაში არც კალის საბადოები და არც მისი სამთო წარმოება არ დასტურდება.<sup>265</sup>

ე. ჩერნიხი ფიქრობდა, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე კალის იმპორტი შესაძლებელია ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის გავლით. ხოლო ამიერკავკასიის კოლხეთის მეტალურგიული ცენტრი კი დამაკავშირებელი რგოლია წინა აზია-მცირე აზია-ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონებს შორის. სავარაუდოა, რომ კოლხეთის ბრინჯაოს წარმოების ცალკეული მეტალურგიული კერებიდან ჩრდილო კავკასიაში იმპორტის სახით შედიოდა კალა, ბრინჯაოს ზოდები, მზა პროდუქცია.<sup>266</sup>

გ. ინანიშვილის მიხედვით, „ძვ.წ. II ათასწლეულის ევრაზიაში კალაანტიმონიანი ბრინჯაოს ინვენტარის ფართო გავრცელების არეალი, კონტინენტზე კალის და ანტიმონის საბადოთა გეოგრაფიული განლაგება და აქ აღმოჩენილი სამთო-მეტალურგიული წარმოების ძეგლების ფუნქციონირების ფაქტიური მონაცემები რეალურს ხდის, რომ კალა ამიერკავკასიის სპილენძ-ბრინჯაოს წარმოებისათვის იმპორტის საგანს წარმოადგენდეს (ანატოლია, ჩრდილოეთ ირანი, შუა აზია),

<sup>264</sup> ინანიშვილი გ. 2014: 63.

<sup>265</sup> ა. იესენი ჯერ თვლიდა, რომ ძვ.წ. II ათასწლეულიდან კავკასიაში ადგილობრივი კალის მოპოვება წარმოებდა ცენტრალური კავკასიონის ორივე კალთაზე იალბუზიდან თერგამდე, ზემო რაჭაში, სამხრეთ ოსეთში, შორაპანში, გორისა და ბორჯომის რაიონებში [Иессен А.А. 1935а: 205], ხოლო შემდეგ პირიქით [Иессен А.А. 1935б: 194, 195]. მეცნიერთა დიდი ნაწილი ვარაუდობს კალის იმპორტს [Черных Е. Н. 1966: 61]. ბ. კუფტინის აზრით, კალა იმპორტის სახით შემოდიოდა კავკასიაში მცირე აზიიდან ან ხმელთაშუა ზღვის აუზიდან [Куфтин Б. А. 1949: 207, 221]. კოტე ფიცხელაური თვლის, რომ კალის იმპორტი ხდებოდა მატერიკული ევროპიდან [Pitskhelauri Kote 2018: 129, 187]. არის მოსაზრება, რომ კალა პირენეის ნახ.-კ.-ზე არსებული გამაძნებელ სისტემიდან მომდინარეობს [Соколов Г. 1972: 8]. გ. ინანიშვილი თვლის, რომ რადგან კალა პირველ რიგში ჩნდება სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის არქეოლოგიურ ძეგლებზე, შემდეგ კი ცენტრალურ და დასავლეთ ამიერკავკასიაში, ეს იმას ნიშნავს, რომ კალა აქ უფრო ადრე შემოდის სამხრეთის (მცირე აზიისა) და აღმოსავლეთის (შუა აზიის, ირანის) მეტალურგიული ცენტრებიდან [ინანიშვილი გ. 2014: 65]. საინტერესოა ფსევდო არისტოტელეს ცნობა - „იუწყებიან მოსინიკური სპილენძი გამოირჩევა თავისი ცხოველი და თეთრი ფერით. სპილენძში ურევან კალას კი არა, ერთგვარ ადგილობრივ მიწას და მასთან ერთად ადნობენ ხოლმე. ამბობენ გამომგონებელმა ამგვარი შენადნობისა ეს საიდუმლო არავის არ გაუმჟღავნა, ამიტომ ამ ქვეყნის სპილენძის ძველი ნაკეთობა საუკეთესო თვისებებით გამოირჩეოდა, მერმინდელი კი არა“-ო [Латышев В.В. 1893: 380].

<sup>266</sup> Черных Е. Н. 1978: 19-23.

ადგილობრივი ანთიმონი კი ევრაზიის ბრინჯაოს წარმოების ცენტრებში ამიერკავკასიური ექსპორტის მეშვეობით უნდა იყოს მოხვედრილი, ლითონური ანთიმონის, ანთიმონიანი ბრინჯაოს სხმულების ან მზა პროდუქციის სახით (მთიანი რაჭის მეტალურგიული კერის პროდუქცია)”.<sup>267</sup>

მთიანი კოლხეთის ნაწილი, ლეჩხუმი, მისი არქეომეტალურგიის ძეგლების, ფაქტობრივად შეუსწავლელობის ფონზე, ვერ მოხვდა აფხაზეთის, სვანეთის, მთიანი რაჭისა და კახეთის სამთო-მეტალურგიული ძეგლების ზონებში,<sup>268</sup> მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ითვლება - „ცენტრალური კავკასიონის ქედის სამხრეთი ნაწილი განსაკუთრებით საინტერესო რეგიონია,<sup>269</sup> სადაც მიკვლეულია ძვ.წ II-I ათასწლეულის რთული კონსტრუქციის და დიდი საწარმოო მასშტაბის მქონე მადარო-გამონამუშევრები, ადგილობრივი მეტალურგიული წარმოების ობიექტებით”.<sup>270</sup>

გეოლოგიური თვალსაზრისით, ცენტრალური კავკასიონის ქედის სამხრეთი ნაწილის სპილენძის გამადნებათა სისტემა მოიცავს მდინარეების: კოდორის, ენგურის, ცხენისწყლის, რიონის, ალაზნის და მათი შენაკადების აუზებს. აქ დადასტურებული მადან-გამოსავლები წარმოდგენილია პირიტპიროტინული ტიპის მინერალებით (ქალკოპირიტი, სფალერიტი, გალენიტი) და დაკავშირებულია უძველეს სამთო-მეტალურგიულ ძეგლებთან (აფხაზეთი, სვანეთი, მთიანი რაჭა), რომლებსაც უკვე შეგვიძლია ლეჩხუმიც დავუმატოთ.

როგორც გვქონდა აღნიშნული, ჩვენს მიერ შესწავლილი ძეგლების ტიპი უნდა განისაზღვროს იმისდამხედვეთ თუ რა ლითონზე მუშაობს ის და შესაბამისად უნდა შედარდეს ანალოგიურ ლითონზე მომუშავე ძეგლებთან.

როგორც მოტანილი პარალელური მასალიდან ჩანს, სპილენძზე მომუშავე მხოლოდ სამი ძეგლია ცნობილი, რომელიც ძვ.წ. IV-III ათასწლეულით არის დათარიღებული:

1. ამირანის გორა (ახალციხე) - თიხის საქშენები, ტიგელი;
2. ბაზადერვიშის ნამოსახლარზე (ყაზახის რ-ნი, აზერბაიჯანი) - სამი ქურის ნაშთი;
3. ბალიჭ-ძეძვების

<sup>267</sup> ინანიშვილი გ. 2014: 65.

<sup>268</sup> ინანიშვილი გ. 2014: 28.

<sup>269</sup> არა გვაქვს ინფორმაცია ჩრდ. კავკასიის ანალოგიურ ძეგლებზე.

<sup>270</sup> ინანიშვილი გ. 2014: 229, 30.

ნამოსახლარი (ბოლნისი) – ქურა, მადნის დასამუშავებელი იარაღები.<sup>271</sup> ყველა ეს ძეგლი აღმოსავლეთ ამიერკავკასიას განეკუთვნება.

ჩვენი კვლევის საგანი, სპილენძის მეტალურგიის ძეგლი მთიანი კოლხეთიდან – „დოღურაში“ კი ძვ.წ. XIII-IX სს-ით დათარიღდა. შესაბამისად შედარება უნდა მოხდეს დანარჩენი კოლხეთის იმ ძეგლებთან, რომლებიც ქრონოლოგიურად ახლოსაა მთიანი კოლხეთის ძეგლებთან.

როგორც ადრე აღვნიშნეთ,<sup>272</sup> ძვ.წ II-I ათასწლეულის კოლხეთი (აჭარა, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი, რაჭა)<sup>273</sup> არქეომეტალურგის ძეგლებით საკმაოდ მდიდარია.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს – აჭარისა და გურიის (ჭოროხის, ჩოლოქ-ოჩხამურის, სუფსა-გუბაზეულის სამთო-მეტალურგიული საწარმოო კერა) ტერიტორიაზე 400-ზე მეტი ძირითადად სპილენძის (და არა, რკინის, როგორც თვლიდნენ ამ ძეგლების პირველი გამთხრელები ი. გპელიშვილი და დ. ხახუტაიშვილი) მეტალურგიის ქურა-სახელოსნოა გათხრილი, შესწავლილი და გამოქვეყნებული.<sup>274</sup> ხოლო სამეგრელოს, ცენტრალური კოლხეთის – ტერიტორიაზე (ხოზი-ოჩხომურის სამთო-მეტალურგიული საწარმოო კერა) სპილენძის მეტალურგიის 3 ქურა-სახელოსნოა გათხრილი (რომელიც აგრეთვე, ადრე მიჩნეული იყო რკინის მეტალურგიის ქურა სახელოსნოდ), შესწავლილი და გამოქვეყნებული.<sup>275</sup> ორი არქეომეტალურგიული ძეგლი გამოკველეულია ჭოდაში (სამეგრელო) 2014 წელს ამ ნაშრომის ერთერთი თანაავტორის ბრ. გილმორის მიერ და მიჩნეულ იქნა სპილენძის მეტალურგიის ძეგლად.<sup>276</sup>

2010, 2012 წლებში ახალი კვლევები ჩატარდა აჭარა-გურიის იმ ძეგლებზე, რომლებიც თავის დროზე შესწავლილი იყო დ. ხახუტაიშვილის მიერ. ორი სავსე სეზონის განმავლობაში რუკაზე დატანილ იქნა 50 არქეომეტალურგიული ძეგლი. ფოკუსირება მოხდა ორი მდინარის – სუფსისა და გუბაზეულის ხეობაზე, რადგანაც აქ იყო

<sup>271</sup> მითითებები იხ.: ზემოთ.

<sup>272</sup> იხ. შესავალი.

<sup>273</sup> ხახუტაიშვილი დ. 1987; Khakhutaishvili D. 2009.

<sup>274</sup> გპელიშვილი ი., . . . 1964: 59-96.

<sup>275</sup> Хакхутаишвили Д.А. 1987; Khakhutaishvili D. 2009; ინანიშვილი გ. 2010: 156 და შემდ.

<sup>276</sup> Gilmour Br., . . . 2020: 18-33.

დაფიქსირებული ყველაზე ადრეული ძეგლები.<sup>277</sup> ყველა წიდის ანალიზმა, რაც აღებულ იქნა სუფსა-გუბაზეულისა და, აგრეთვე, ჩოლოქი-ოჩხამურის ხეობებიდან, შედეგად მოგვცა სპილენძის მეტალურგია, რაც განსხვავდება ადრეული კვლევებისაგან, როცა მიიჩნეული იყო, რომ საქმე ქონდათ რკინის მეტალურგიასთან.<sup>278</sup> როგორც მკვლევარები ასკვნიან, ახალი მონაცემების მიხედვით, წიდების ანალიზების შედეგად დასავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ძეგლებზე ძირითადად სპილენძის მეტალურგიასთან გვაქვს საქმე (რკინაც გვაქვს რამდენიმე ძეგლზე, მაგრამ თარიღი გაურკვეველია). მათი აზრით, გასარკვევია ისეთი საკითხები, როგორიცაა - მადნის მოპოვება, ლითონის დნობის ტექნოლოგია, სპილენძის და რკინის დნობის ტექნოლოგიების კავშირი.<sup>279</sup>

მათ ნაშრომში მოცემული ანალიზების ტაბულის<sup>280</sup> მიხედვით **სუფსა-გუბაზეულის ხეობის ძეგლების** - ასკანა I (ძვ.წ. X-IX სს), ასკანა II (14 წერტ. - ძვ.წ. XV-XIII სს), ასკანა V (14 წერტ.), ასკანა VI (2 წერტ.), ასკანა VII (3 წერტ.), ასკანა XIV (2 წერტ.), ასკანა IX, ასკანა XXI, ასკანა XXIII (2 წერტ.), მშვიდობაური I (ძვ.წ. X-VIII სს), ნაგომარი I (3 წერტ. - ძვ.წ. XVIII-XVII სს; ძვ.წ. X-IX სს), მზიანი XVII (2 წერტ.), მზიანი XVI (2 წერტ.), მზიანი XI (3 წერტ.), მზიანი X (2 წერტ.), ასკანა XVII (12 წერტ.), მზიანი XXV (11 წერტ.), და **ჩოლოქი-ოჩხამურის ხეობის ძეგლების** - ლელვა I (6 წერტ.- ძვ.წ. XI-IX სს), ცეცხლაური I (6 წერტ. - ძვ.წ. X-VIII სს), მადნის სახეობა, რომელზეც ისინი მუშაობდნენ - სპილენძი, გარკვეულია; ხოლო ძეგლები თავო<sup>281</sup> ძმაგულა<sup>282</sup> მუშაობდნენ რკინაზე.<sup>283</sup>

ამგვარად, იმ ძეგლებიდან, რომელთაც თუ თარიღების მიხედვით დავალაგებთ, ყველაზე ძველი თარიღი - ძვ.წ. XVIII-XVII სს, გამოვლინდა ნაგომარი I-ის ზოგიერთ ქურაზე; შემდეგ მას ასაკობრივად ასკანა II მოსდევს, რომელიც ძვ.წ. XV-XIII სს-ს განეკუთვნება; შემდეგ ლელვა I, რომელიც ძვ.წ. XI-IX სს-ით დათარიღდა; შემდეგ

<sup>277</sup> Хакхутаишвили Д.А. 1987:105,106; Khakhutaishvili D. 2009; Erb-Satullo Nathaniel L., . . . 2014: 149.

<sup>278</sup> Тавадзе Ф. Н., 1984; Erb-Satullo Nathaniel L., . . . 2014: 154.

<sup>279</sup> Erb-Satullo Nathaniel L., . . . 2014: 155.

<sup>280</sup> Erb-Satullo Nathaniel L., . . . 2014: # 4 ცხრილი.

<sup>281</sup> თავო — სოფელი ხულოს მუნიციპალიტეტში. მდებარეობს მდინარე აჭარისწყლის მარცხნივ, ზღვის დონიდან 1000 მ. ხულოდან 7 კმ. სოფლის ტერიტორიაზე მიკვლეულია რკინის ზოდები. ვარაუდობენ, რომ აქ რკინის მეტალურგიის ერთ-ერთი კერა იყო.

<sup>282</sup> ძმაგულა - სოფელი საქართველოში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხულოს მუნიციპალიტეტი, სხალთის თემი.

<sup>283</sup> Erb-Satullo Nathaniel L., . . . 2014:153, 154, # 4 ცხრილი.

ისევ ნაგომარი I-ის ზოგიერთი ქურა, რომელიც ძვ.წ. X-IX სს-ით დათარიღდა, შემდეგ მშვიდობაური I და ცეცხლაური I - ძვ.წ. X-VIII სს.<sup>284</sup>

ამგვარად, როგორც ირკვევა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გამოვლენილი არქეომეტალურგიის იმ ძეგლების დიდი ნაწილი, რომელიც იმდროინდელი გამოკვლევების მიხედვით აღიარებული იყო რკინის მეტალურგიის ძეგლებად, სპილენძის მეტალურგიის ძეგლები ყოფილა, რომლებიც ზოგადად ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი მეოთხედიდან ფუნქციონირებენ ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი საუკუნეების ჩათვლით.

ეს ძალიან მნიშვნელოვანი კვლევაა და შესაბამისად შედეგიც, კოლხეთში, სადაც „არ ჩანდა“ სპილენძის მეტალურგიაზე მომუშავე ძეგლები და მხოლოდ რკინის მეტალურგია გვქონდა, გამოჩნდა სპილენძის მეტალურგიის ეტაპიც; გაჩნდა საშუალება დავადგინოთ თარიღების მიხედვით თუ რა ტიპის ქურა სახელოსნოები იყო მაშინდელ კოლხეთში, რომლებიც სპილენძზე მუშაობდნენ და პარალელები გავავლოთ საქართველოს და კავკასიის ანალოგიურ იგივე პერიოდის მასალასთან; ფაქტობრივად, გაიზარდა არეალი და ქრონოლოგია სპილენძის მეტალურგიის ძეგლებისა - ძვ.წ. II ათასწლეული და I ათასწლეულის პირველი საუკუნეები.

როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული სპილენძზე მომუშავე მხოლოდ სამი ძეგლია (ახალციხის ამირანის გორა, ბაზადერვიშის ნამოსახლარი, ბალიჭ-ძეძვები) ცნობილი სამხრეთ კავკასიიდან, რომელიც ძვ.წ. IV-III ათასწლეულით არის დათარიღებული. აჭარა-გურიისა და ლეჩხუმის სპილენძზე მომუშავე ძეგლებით, ფაქტობრივად შეივსო, როგორც არეალი, ასევე ქრონოლოგიური სივრცეც.

რადგან ლეჩხუმის არქეომეტალურგიის ძეგლების ტიპოლოგიური განსაზღვრისათვის პარალელური მასალის სახით უკვე შეგვიძლია გამოვიყენოთ აჭარა-გურიის ის ძეგლები, რომელიც სპილენძის მეტალურგიას მიეკუთვნა, ამიტომ შედარების მიზნით მათ საილუსტრაციო მასალად ვიყენებთ.

ჩამოთვლილი ძეგლებიდან სუფსა-გუბაზეულის ორმდინარეთში გასული საუკუნის 70-80-იან წლებში დ. ხახუტაიშვილის მიერ არქეოლოგიურად შესწავლილია, რკინის

---

<sup>284</sup> Erb-Satullo Nathaniel L., . . . 2014: 153, 154, # 4 ცხრილი.



მეტალურგიის ძეგლებადაა მიჩნეული და დათარიღებულია 12 ძეგლი:<sup>285</sup> 1. ძეგლი „ასკანა I“ (1974 წ.), მიიჩნია რკინის მეტალურგიის ძეგლად, დათარიღდა ძვ.წ. X-IX სს-ით.<sup>286</sup> 2. ძეგლი „ასკანა II, 1“ (1974 წ.), მიიჩნია რკინის მეტალურგიის ძეგლად, დათარიღდა ძვ.წ. XV-XIII სს-ით.<sup>287</sup> 3. ძეგლი „ასკანა II, 2“ (1974 წ.), მიიჩნია რკინის მეტალურგიის ძეგლად, დათარიღდა ძვ.წ. XIV-XIII სს-ით.<sup>288</sup> 4. ძეგლი „მშვიდობაური I“ (1984 წ.), მიიჩნია რკინის მეტალურგიის ძეგლად, დათარიღდა ძვ.წ. X-VIII სს-ით.<sup>289</sup> 5. ძეგლი „ნაგომარი I“ (1984 წ.), მიიჩნია რკინის მეტალურგიის ძეგლად, დათარიღდა ძვ.წ. X-IX სს-ით.<sup>290</sup> 6. ძეგლი „მზიანი I“- ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლო ძვ.წ. VIII ს-მდე,<sup>291</sup> 7. „მზიანი II“ - ძვ.წ. XV ს<sup>292</sup>. 8. „მზიანი III“ - თარიღდება ძვ.წ. II ათასწლეულისა და ძვ.წ. I ათასწლეულის მიჯნით.<sup>293</sup> 9. „მზიანი IV“ - თარიღდება ძვ.წ. XV-XIV სს-ით.<sup>294</sup> 10. ცეცხლაური I (1970 წ.), მიჩნეულია რკინის მეტალურგიის ძეგლად, დათარიღებულია ძვ.წ. X-VIII სს-ით. 11. ცეცხლაური II (1971 წ.),<sup>295</sup> მიჩნეულია რკინის მეტალურგიის ძეგლად, დათარიღებულია ძვ.წ. IX ს-ით.<sup>296</sup> 12. ცეცხლაური III (1974 წ.),<sup>297</sup> მიჩნეულია რკინის მეტალურგიის ძეგლად, თვით ქურა განადგურებულია.<sup>298</sup>

ამ ძეგლებისათვის კანონზომიერებაა, რომ ისინი გამართულია გამდინარე წყალთან ახლოს, ფერდის თავზე, მოსწორებულ ადგილას, ფერდი დაფარულია ხოლმე გადანაყარი მასალით - წიდები, შელესილობის ფრაგმენტები და სხვ.; მოსწორებულ ადგილას მოწყობილია ქურა ან, ხშირ შემთხვევაში, წყვილი ქურა და ე.წ. მაგიდა, რომელიც წარმოადგენს მადნის ან ლითონის ლუგვის დასამუშავებელ ბრტყელი ქვებისაგან შედგენილ ზედაპირს. ეს მაგიდაც და ირგვლივ სივრცეც, ძირითადად გაწითლებულია

<sup>285</sup> ინფორმაცია ახალი თარიღების შესახებ იხ. ზემოთ.

<sup>286</sup> Хахутаишвили Д.А. 1987: 102-106, სურ. 21, 22, 23.

<sup>287</sup> Хахутаишвили Д.А. 1987: 106-109, სურ. 24, 25.

<sup>288</sup> Хахутаишвили Д.А. 1987: 110, სურ. 26.

<sup>289</sup> Хахутаишвили Д.А. 1987: 143-148, სურ. 46, 47, 48.

<sup>290</sup> Хахутаишвили Д.А. 1987: 156-160, სურ. 53, 54, 55.

<sup>291</sup> Хахутаишвили Д.А. 1987: 127, 128.

<sup>292</sup> Хахутаишвили Д.А. 1987: 132.

<sup>293</sup> Хахутаишвили Д.А. 1987: 136.

<sup>294</sup> Хахутаишвили Д.А. 1987: 143.

<sup>295</sup> Хахутаишвили Д.А. 1987: 85-88, სურ. 15-17.

<sup>296</sup> Хахутаишвили Д.А. 1987: 88.

<sup>297</sup> ხახუტაიშვილი დ. 1978: 33, 34.

<sup>298</sup> Хахутаишвили Д.А. 1987: 88, 91. აგრეთვე, იხ.: ძეგლი „ლეღვა I“ (1961 წ.) შესწავლილია ი. გგელიშვილის მიერ. „ლეღვა I-1, 2“ მიჩნეულია რკინის მეტალურგიის ძეგლად, დათარიღებულია ძვ.წ. XII ს-ით [Гзелишвили И.А. 1964: 45-47, სურ. 13 А, 13 Б-В, ტაბ. I I/2,3, IX B/1-5, 10]; დ. ხახუტაიშვილი „ლეღვა I-1“-ს ძვ.წ. X ს-ით ათარიღებდა [Хахутаишвили Д.А. 1987: 94], ხოლო „ლეღვა I-2“-ს კერამიკის გათვალისწინებით ძვ.წ. XI-X სს-ით [Хахутаишвили Д.А. 1987: 97].

დიდი ტემპერატურისაგან; ქურები ამოშენებულია საგანგებოდ შერჩეული ქვებისაგან, ზოგჯერ შელესილია შიდა მხრიდან ან ქურის ფსკერზე ქვებისებური ცეცხლგამძლე თიხის ჭურჭლით ბოლოვდება. ქურის კედლებში დატანებულია თიხის მილები.<sup>299</sup>

როგორც მოტანილი საილუსტრაციო მასალიდან ჩანს, კოლხეთის არქეომეტალურგიის ძეგლები მსგავსია მდებარეობის, გარემო პირობებისა და, სავარაუდოდ, ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით.

ლეჩხუმის, მთიანი კოლხეთის არქეომეტალურგიის ძეგლებიც მდებარეობს ზღვის დონიდან 1000 მეტრამდე ან 1400 მეტრამდე სიმაღლეზე. როგორც აჭარა-გურიის ძეგლები განლაგებული არიან ხევისპირა ან დამრეცი ფერდობის მქონე ბაქნებზე. აუცილებელი პირობაა, რომ ახლომახლოს უნდა იყოს წყალი, ხე-ტყე და მოიპოვებოდეს ცეცხლგამძლე თიხები.

ლეჩხუმის არქეომეტალურგიის ძეგლებზეც ფერდობებზე ფიქსირდება გადანაყარის ფენა (წიდები, შელესილობის ფრაგმენტები, ქვები), ხოლო თვითონ ძეგლებზე ანალოგიურად აჭარა-გურიის ძეგლებისა, დადასტურებულია წიდების, შელესილობის ფრაგმენტების, თიხის მილების, კერამიკის, ქვის იარაღის და მადანშემცველი ქანების ნიმუშები.

ლეჩხუმში ჯერჯერობით ნაპოვნია მხოლოდ აბაზანის ფორმის სავარაუდოდ ე.წ. „ქურები“, ამ ე.წ. ქურებთან დაფიქსირდა საკმაოდ გრძელი (დაახლოებით 3 მ სიგრძის), ასევე სავარაუდოდ, მადნის პირველადი გამოწვის მოედნად ინტერპრეტირებული კერა - მიწაზე გამართული დამწვარი თიხის დიდი მასით შექმნილი, ქვებით გადახურული ან შემოსაზღვრული. ლეჩხუმის მხარეში ჯერ არ არის ნაპოვნი კოლხეთის ანალოგიური სადნობი ქურა ან „ქვის მაგიდა“. ლეჩხუმის სადნობი ღუმელების ტიპი ჯერჯერობით გაურკვეველია და ელოდება იდენტიფიცირებას. ამასთან, ჩვენ საკმაოდ დარწმუნებული ვართ, რომ ლეჩხუმის არქეომეტალურგიულ ძეგლებზე აღმოჩენილი დიდი, უხეში, ნაცრისფერი თიხის „ქურის შელესილობის“ ფრაგმენტები მიგვითითებს აქ დიდი რაოდენობით ქურების არსებობაზე; თუმცა ჯერ კიდევ არ გვაქვს დადგენილი, თუ როგორ მუშაობდნენ ისინი.

ამგვარად, ლეჩხუმის „ქურები“, რომელთა ფუნქცია ჩვენ მადნის წინასწარი გამოწვა გვგონია, მიწაში ამოჭრილი და თიხით ამოლესილი, კიდეებზე ქვის წყობით

---

<sup>299</sup> დაწვრ. იხ.: Хахутаишвили Д.А. 1987; Khakhutaishvili D. 2009.

შემოსაზღვრული, აბაზანისებური ფორმისაა. „დოღურაში 1“-ის შემთხვევაში დადასტურდა ქურების სიახლოვეს პირველადი გამოწვის მოედანი. ამ ეტაპზე არ არის გამოვლენილი სადნობი ქურები და მადნის დასამუშავებელი ქვის მაგიდები.

მიუხედავად იმისა, რომ ლეჩხუმის მთიანი ადგილები განსხვავდება სამხრეთით კოლხეთის სანაპირო ზოლის ტერიტორიებისაგან, სპილენძის დნობის საწარმოო პროცესი ანალოგიური იყო, ხოლო პროდუქტი აქაც სპილენძი იყო. ამგვარად, წარმოების ინდუსტრია ტიგელის საფუძველზე, როგორც ჩანს, ორივე შემთხვევაში ერთნაირი იყო. ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს დადგენილი (ეს არის შემდგომი კვლევების კიდევ ერთი მიზანი) თუ როგორ მუშაობდა ეს ცეცხლგამძლე თიხის ჭურჭელი (არსებითად ერთგვარი „დიდი ქვაბი“) მადნისა და ნახშირისათვის, ღუმელში ჩასადგმელად, აღდგენითი პროცესისათვის და სპილენძის დნობისათვის (როგორც ეს მოცემულია ქვემოთ ნაჩვენებ რეკონსტრუქციაზე, სურ. 10).



სურ. 10 - ღუმელში ჩასადგმელი „ქვაბის“ რეკონსტრუქცია.<sup>300</sup>

თუ ლითონის დნობა იყო ერთსაფეხურიანი პროცესი, ამ შემთხვევაში, ჩვენ საბოლოო პროდუქტად გვექნებოდა ფხვიერი, ერთმანეთში არეული სპილენძის მცირე გრანულები და ამორფული ფორმის სპილენძის დიდი ნატეხები, აგრეთვე, წიდეები, და არა სპილენძის ზოდები, რომლებიც მრავლადაა აღმოჩენილი, როგორც განძებში,

<sup>300</sup> <http://ursa-tm.ru/forum/index.php?%2Ftopic%2F247287-drevnyaya-plavilnaya-pech-na-beregah-volgi%2F>

ასევე ინდივიდუალური მონაპოვრის სახით ლეჩხუმის ტერიტორიაზე. თუმცა, უფრო სავარაუდოა, რომ ლითონის დნობის პროცესი ორ საფეხურიანი იყო და პირველ საფეხურზე მიღებული სპილენძის სულფიდური შტეინი შემდგომ დაიმტვრეოდა და გადადნებოდა ტიგელებში. მეორე საფეხურზე მიიღებოდა სპილენძის გრანულები, და აგრეთვე, ნარჩენები წიდების სახით. თუმცა მადანს ქვის კომპონენტის დიდი ნაწილი, სავარაუდოდ, დნობის პირველ საფეხურზევე შორდებოდა.

დნობის პროცესის დამთავრების შემდეგ (ყველა ეტაპზე) თიხის ტიგელები იმტვრეოდა და ხდებოდა სპილენძის ფრაგმენტების (გრანულები და სხვა) დახარისხება და ერთად შეგროვება შემდგომი გადადნობისათვის, შესაძლოა, „გადამუშავების“ საგანგებო ძირითად ადგილზე. აქ ხდებოდა მადნის გახურება ტიგელებში იმ ზოდების ჩამოსასხმელად, რომლებიც აღმოჩენილია, როგორც განმებში, ასევე ერთეული შემთხვევითი აღმოჩენების/მონაპოვრების სახით. ეს ტიგელები სავარაუდოდ ისეთივე ფორმისა და ზომის უნდა ყოფილიყო, როგორც ზოდები.

ჩვენი ვარაუდით, ქურაში ჩადგმული უნდა ყოფილიყო ტიგელი („ქვაბი“)<sup>301</sup> მადნისათვის, რომელიც ასევე ცეცხლგამძლე თიხისაგან იქნებოდა დამზადებული და ისეთივე იქნებოდა, როგორი ფორმისაც არის ბრინჯაოს ზოდები.<sup>302</sup> ამას მოწმობს დიდი რაოდენობით ცეცხლგამძლე თიხის შელესილობისა თუ ტიგელის მაგვარი ჭურჭლების ფრაგმენტები, რომელთა ფორმების აღდგენა ჯერ ვერ ხერხდება.

ლეჩხუმიდან ცნობილია ცაგერის ისტორიულ მუზეუმში დაცული სპილენძის ზოდების ოცამდე ნიმუში, რომელთაგან უდიდესი 32 კილოგრამს იწონის (ზოგიშიდან); ასევე, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და საქართველოს ეროვნული მუზეუმების კოლექციებში დაცული.

<sup>301</sup> ამ ტერმინს ხმარობდა მარტვილის მუზეუმის დირექტორი ბ-ნი გივი ელიაშვილი, რომელსაც ამგვარი „ქვაბის“ რეკონსტრუქციის მცდელობაც აქვს მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მასალების მიხედვით.

<sup>302</sup> სულავა ნ., ოქრუაშვილი ნ. 2019. უძველესი მეტალურგიული ქურების რეკონსტრუქცია (მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და ცაგერის ისტორიული მუზეუმის მასალების მიხედვით). მოხსენება წაკითხულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტის „არქეოლოგიურ ოთხშაბათობებზე“. ნაშრომი წარდგენილი იყო არქეოლოგიურ კონფერენციაზე სტამბულში - Okruashvili N., . . . 2019. Reconstruction of prehistoric metallurgical furnaces (According to data from Martvili Museum of the Local Lore and Tsageri History Museum), ICA 2019: 13. International Conference on Archaeology December 19-20, 2019 in Istanbul, Turkey. ნაშრომი გადაცემულია გამოსაქვეყნებლად: Sulava N., . . . 2019. Metallurgy of the Colchian Bronze Culture: A typological classification of Copper Ingots (According to the materials of the Martvili Museum of the Local Lore and the Tsageri Historic Museum) - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში.

ცაგერის ისტორიულ მუზეუმში დაცული ბრინჯაოს ზოდების სიდიდისა და მოყვანილობის მიხედვით გამოთქმული გვექონდა ვარაუდი, რომ შეგვიძლია წარმოდგენა შევიქმნათ სადნობი ტიგელის ზომასა და ფორმაზე; ძირწაკვეთილი კონუსის ფორმის ზოდები, რომლებიც ყოველთვის დიდი ზომისაა,<sup>303</sup> გამოიღნობოდა ტიგელში, რომლის ძირსაც ასეთივე ფორმა უნდა ქონოდა; ხოლო შედარებით მცირე ზომის კონუსური ფორმის ზოდები, გამოიღნობოდა კონუსური ფორმის ძირის მქონე ტიგელში.

სპილენძის მეორადი დამუშავების შედეგად სპილენძის დიდი ზოდების მიღება ხდებოდა სპილენძის მცირე ზომის გრანულების გადადნობის შედეგად.<sup>304</sup>

ამრიგად, სავარაუდოა, რომ მთელი პრეისტორიული მეტალურგიის სპილენძის წარმოების ყველა ეტაპი მიმდინარეობდა თიხის ტიგელების გამოყენებით. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ რამდენიმე ზოდის გარეპირზე თიხის (სავარაუდოდ ტიგელის) კვალია დაფიქსირებული, სავარაუდოდ ტიგელის. ტიგელებს ტეხდნენ ყველა ეტაპის ბოლოს და ათავისუფლებდნენ შიგთავსს ანუ ზოდს.

ცაგერის ისტორიული მუზეუმის ზოდების (16 ნიმუში) ტიპოლოგიური კლასიფიკაცია შემდეგ სურათს გვამღევს: I. კონუსური ფორმის ზოდები (ა, ბ, გ, დ), II. ცილინდრული ფორმის ზოდები (ა, ბ), III. გვერდებმომრგვალებული ფორმის ზოდები (ა, ბ). ფაქტობრივად შეიქმნა კლასიფიკაციის საფუძველი სამომავლო სამუშაოებისათვის.

როგორც ზოდების ტიპოლოგიურმა კლასიფიკაციამ აჩვენა, ყველა ზოდი სხვადასხვა ფორმაში ჩამოისხმებოდა.

თუ როგორი იქნება სპილენძის და რკინის დნობის ტექნოლოგიების კავშირი, ეს მომავალი კვლევების საგანია.

ქრონოლოგიის თვალსაზრისით ლეჩხუმის (მთიანი კოლხეთის) არქეომეტალურგიის ძეგლები, რომლებიც სპილენძს იყენებდნენ ნედლეულად ჯდება კოლხეთის ანალოგიური ძეგლების (ძვ.წ. XVIII-XVII სს - ნაგომარი I; ასკანა II - ძვ.წ. XV-XIII სს; ლელვა I - ძვ.წ. XI-IX სს; ნაგომარი I-ის ზოგიერთი ქურა - ძვ.წ. X-IX სს; მშვიდობაური

<sup>303</sup> შდრ.: სულავა ნ., . . . 2012: 19, სურ. 3, 4 და სულავა ნ., . . . 2014: 27.

<sup>304</sup> ცაგერის ისტორიულ მუზეუმში დაცული ზოდებიდან და ზოდების ფრაგმენტებიდან აღებულ იქნა ანალიზების გასაკეთებლად ნიმუშები, რომელთა შედეგებსაც ველოდებით.

I და ცეცხლური I - ძვ. წ. X-VIII სს) კონტექსტში და მათთან ერთად ავსებენ ძვ.წ. II ათასწლეულისა და ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისის მონაკვეთს.

მაგრამ როგორც ჩამონათვალიდან ჩანს, ქურა სახელოსნოები მხოლოდ აჭარისა და სამეგრელოს ტერიტორიაზეა გამოვლენილი და შესწავლილი. დანარჩენი მხარეების მეტალურგია წარმოდგენილია სამთო-გამონამუშევრებით, მეტალურგიასთან დაკავშირებული არტეფაქტებით და მზა პროდუქციით.

ჯერჯერობით, ლეჩხუმში რკინის დნობის კვალი შუასაუკუნეებამდე ნაპოვნი არ არის; თუმცა, რკინის მეტალურგიის შესაძლო არსებობა გათვალისწინებული უნდა იყოს. ამრიგად, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, რა ურთიერთობა შეიძლება არსებობდეს გვიანი ბრინჯაოს ხანის ლეჩხუმის სპილენძისა და რკინის ადრეულ მეტალურგიასთან. როგორც ჩანს, რკინით მდიდარი ქალკოპირიტის მადნების გამოყენება ამ კავშირს შესაძლებელს ხდის, თუმცა იმ ხერხმა, რომლითაც ხდებოდა სპილენძის დნობა ამ მადნების გამოყენებით, შეიძლება გამორიცხოს ეს შესაძლებლობა. სინამდვილეში რკინის არსებობამ შეიძლება ხელი შეუწყოს სპილენძის მოპოვებას. ამის მიუხედავად სპილენძის დნობის მცირე დეტალები და ზოდების მეორადი დამუშავება ჩვენი შემდგომი კვლევების საგანია ლეჩხუმში ისევე, როგორც არტეფაქტების კვლევა.

ამგვარად, მთიან კოლხეთში, ლეჩხუმში აღმოჩენილი ძვ.წ. II-I ათასწლეულის მიჯნის მადნის გამოსადნობი ქურა-სახელოსნოების სისტემა თავისი მასშტაბურობითა და სირთულით პირველია არა მარტო ლეჩხუმისათვის, არამედ მთელი საქართველოსათვის.

პრეისტორიული მეტალურგიის ახლადაღმოჩენილი ძეგლების გათხრით მთიან კოლხეთში, ლეჩხუმში, შეივსო და გაფართოვდა კოლხეთის უძველესი მეტალურგიის რეგიონის (აჭარა, გურია, სამეგრელო, რაჭა, სვანეთი) არეალი.

ლეჩხუმში პრეისტორიული მეტალურგიის ძეგლების კონცენტრაცია, ბრინჯაოსა და რკინის ნაკეთობების სიმრავლე მიუთითებს ლეჩხუმის როლზე კოლხურ ბრინჯაოს კულტურაში და აქ მცხოვრები ხალხის საქმიანობაზე - სამთო-საწარმოო მეტალურგია მრავალდარგობრივ განვითარებულ სოფლის მეურნეობასთან და ხელოსნობასთან ერთად, რაც კარგად დასტურდება აქვე, სოფლების ცხეთისა და დეხვირის ტერიტორიაზე გათხრების შედეგად აღმოჩენილი კოლხური კერამიკის, ქვის

ყალიბისა და ამავე ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს ზოდის, წიდების და ბრინჯაოს ნაკეთობების საფუძველზე.<sup>305</sup>

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ გამოვლინდა მთიან კოლხეთში კოლხური ბრინჯაოს კულტურის მატერიალური საფუძველი, რაც აქამდე მხოლოდ პროდუქციის მიხედვით დასტურდებოდა. ის საფუძველი, რაზეც დგას ნებისმიერი ამ ხანის არქეოლოგიური კულტურა და შესაბამისი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი.

---

<sup>305</sup> სახაროვა ლ. 1976: 96-104. სახაროვა ლ., . . . 2014: 67-86.

Nino Sulava, Brian Gilmour, Nana Rezesidze  
Rusudan Chagelishvili, Tamar Beridze

**The Origin and Development of Prehistoric Copper Metallurgy  
in Mountainous Colchis  
(Lechkhumi)**



## Introduction

Mastering and developing metal production in the Caucasus is a key part of the background of metallurgy of the ancient world as is clear both from early written sources and chance findings of late Bronze Age metalwork. However Georgia is also a region of the Caucasus for which the problems of archaeological chronology and dating of different periods, particularly that of the late Bronze-early Iron Age transition across the whole Caucasus still cause controversy.<sup>306</sup>

This is partly because the interdependence and exact dating of the chronologies of eastern and western Georgia are problematic and uncertain. This in turn impacts on important issues of ancient metallurgy a difficult but important one being determining the initial period of transition from bronze production and use to the rise then dominance of iron in both eastern and western Georgia.<sup>307</sup> Inevitably finding the answer to these questions relies to a great extent on the study of archeometallurgical sites, as they provide by far the the best source if primary evidence for determining the transition period from the Bronze Age to the Iron Age.

Colchis (western Georgia) is still the only region in the Caucasus, where many prehistoric – mainly late Bronze Age – copper smelting sites have been found. This, as well as an abundance of metal artefacts of this transitional Bronze Age/Iron Age region gives us direct evidence and a real basis for reconstructing and understanding this industry about which so little is known. Only recently has even the existence of this industry been realized but now by reconstructing both the intensity and details of this copper smelting industry – and the artefacts that came from it – we will be much better able to show a more complete „picture” of the copper alloy production that underpinned the spread of the Colchian bronze culture in this area which previously was not possible.<sup>308</sup>

---

<sup>306</sup>Abramishvili R. 1957, 1961, 1997; Pitskhelauri K. 1973, cf.: Kozenkova V. I. 1982: 52, Tab. XXX/2; Kozenkova V. I. 1989: 13, 14; Kozenkova V. I. 1996: 75, 76, Fig. 1; Kozenkova V. I. 1996: 116, Fig. 441/2; Kozenkova V. I. 1998: 59, Tab. XIX/7.

<sup>307</sup> Cf.: Mikeladze T. 1974, 1978, 1985; Khakhutaishvili D. A. 1987; Papuashvili R. 1998; Sulava 2011.

<sup>308</sup>Lordkipanidze O. 2002; Sulava N. 2014a.

It is widely recognised that metal exploitation – mining, smelting, casting/smithing, distribution (that is all aspects of metalworking<sup>309</sup>) – are all part of an early industry, in this case late Bronze Age copper alloy working, which is a basis for defining an archaeological cultures and regional political identity or in this case as what we might regard as the beginnings of (Colchian) statehood.<sup>310</sup> Furthermore it has also been suggested that highly developed local (bronze and iron) metal exploitation can be seen as one of the main determining factors of the political consolidation of the region or country referred to in Classical times as the kingdom of Colchis.<sup>311</sup>

Our more comprehensive methodological approach to investigating the evidence behind this issue is shared by one early researcher on the greater Caucasus mountainous region of Colchis ‘Some [other] researchers who claim a local origin for the ancient roots of Georgian bronze metallurgy are generally satisfied with the reference to finished objects or copper ingots dug out of deep soil layers. In our opinion, such an important question could not be fully explained by means of such arguments, because copper ingots and finished artefacts are found even in those regions, which were supplied with metal by [and therefore are away from] metallurgical foci. To establish the truth of the ancient written sources about the part played by Georgian tribes in the origin of metallurgy it is necessary also to examine the evidence of local mining and ore smelting.’<sup>312</sup>

It is the complexity of the industry, the combined activities of mining, smelting and metalworking – their presence at the same time and in the same area – that should allow us to identify a particular region as one representing a metallurgical production centre. It is not sufficient to claim the abundance of metal artefacts as the basis for declaring a particular region as a metallurgical focus.<sup>313</sup>

---

<sup>309</sup>Gambashidze 2017: 7. See as well: „The term „metallurgy” means the complex of those production processes which are associated with obtaining metal from ore, its casting and creation of a primary product”[Inanishvili G. 2014: 43]; „the term metalworking“ covers complex of those technological processes that are used to obtain a final product out of half-finished or primary cast through casting and forging items of a complex profile (tools of military, economical or ritual function, jewelry)”[Inanishvili G. 2014: 44].

<sup>310</sup>Lordkipanidze O. 2002.

<sup>311</sup>Lordkipanidze O. D. 1989: 263.

<sup>312</sup>Gobejishvili G. 1952.

<sup>313</sup>Unlike the recent politically tinged opinions, which can not have anything to do with science, and even more so with such a science as archaeology, which is based on artifacts, on their typology, chronology, distribution and genesis (See: interview of Russian scientist A. Skakov -, „North Caucasus - cradle of the Bronze Age”,

According to Urartian<sup>314</sup> and early Greek<sup>315</sup> written sources and myths, the legendary country of Colchis (Fig. 1) was rich in metal and possessed a correspondingly strong metallurgical basis, and that it became known to the contemporary outside world precisely because of its developed metal production and political strength.<sup>316</sup> The most popular theme from these sources is the journey of Jason and Argonauts (Fig. 2) in search of the Golden Fleece, mentioned in Homer's *Odyssey*, and later described in more detail by the Greek scholar Apollonius of Rhodes.<sup>317</sup>



Fig.1. Ancient Colchis, based on Greek sources; printed in London, 1770.

Антропогенез. РУ/Experts answer, or Mkrtchyan T. A. 2003, Armenia - cradle of mining and metallurgy. Mountain Journal, # 2).

<sup>314</sup>Melikishvili G. A. 1960: 361.

<sup>315</sup>Strabo [I, 2, 39] (1917) (Loeb edition) Jones, H; see also Kaukhchishvili T. (1957), Apollonios of Rhodes.

<sup>316</sup>Existence of state formation in Colchis was also reflected in demographic situation. As evidenced by archaeological materials, before the Greek colonization, that is, in the VIII-VII cc. BC (and we should suppose, that even earlier - N. S.), along the whole coast of the Black Sea only the Colchian coast was densely populated; the west and north coasts of the Black Sea are totally unpopulated [Demographic situation. . . 1981, Lordkipanidze 2002: 185, Fig. 155].

<sup>317</sup>Apollonios of Rhodes [Apollonios of Rhodes „Argonautics” II, 1245-1260; III, 844-849, Apian, The History of the Wars of Mithridates, 103].



Fig. 2. One of the reconstructed versions of the route of the Argonauts' voyage.

The idea that we should not just assume the Argonauts' voyage to be only a myth is given a firmer basis by material evidence confirming the contacts of Colchis with the Mediterranean region, especially southern Europe, in the late Bronze Age. Good evidence is given by one-piece arched fibulae, artefacts of so-called zoomorphic „fantastic animal” form, and also ceramic vessels with zoomorphic handles.<sup>318</sup> Colchis must have had sea-borne contacts with both the Aegean world, Italy and the Balkan countries. Imported fibulae from the north-west Colchis (Akhali Athoni, Psirtskha, Tsiteli Shukura, Kulanurkhva, Kistriki) and the central Colchis (Ureki) which show contacts both with the Aegean world and Italian-Balkan materials, which also indicate which sea routes were involved. No matter how big the confusion, misunderstanding and number of versions about the route of the Argonauts' voyage,<sup>319</sup> the area covered by their voyage coincides with the distribution of the above mentioned artefacts. Thus the Caucasus was part of a wider region where both the influence of such artifacts had spread, but also where there was a shared connection with the related zoomorphic cults and beliefs.<sup>320</sup>

<sup>318</sup>If we look at other materials – beyond the scope of the present study – we will see that these contacts are shown by other artefacts as well. We mean spectacle-shaped eyes, bracelets with spiral endings, neck rings, bronze vases and engraving method [Sulava N. 2011: 219, 211]. See also: Ramishvili K. 2010; Sulava N. 2010; Sulava N., .. 2011, 2013; Sulava N. 2018a; Sulava N. 2016.

<sup>319</sup>See: Apollonios of Rhodes 1975: 16, 156-204, 216, ftnt. 13; Dräger 1996: 1068, 1069.

<sup>320</sup>Sulava N. 2006: 227, 228; Sulava N. 2011: 211.

It appears from classical sources – such as Strabo’s „Geography” – that the eastern Black Sea was also called the Colchian Sea suggesting that Colchis was, in part at least, a maritime country.<sup>321</sup> Also trade along and inland from the east coast of the Black Sea must have been conducted mainly by sea and river routes.<sup>322</sup> There is no documentary confirmation that maritime contacts and trade were two-way (inwards and outwards) and this is difficult to demonstrate. However the fact is that an arched fibula with herring-bone decoration – analogous to the Caucasian forms – is known from Bulgaria,<sup>323</sup> and artefacts of Caucasian origin (clasps, rattles, statues) have been found on the island of Samos.<sup>324</sup> The theme of bronze hoards somehow echoes the theme of contacts. Metalwork hoards in the Caucasus are characteristic only of Colchis and this is one of the most significant as well as characteristic elements of Colchian culture of the Late Bronze Age. More than 150 hoards have been discovered in the Colchian region thus defining the area of Colchian culture. These hoards are now recognized as being of votive origin (an offering to the spirit world) and the range of artefacts found in the hoards give us a good idea of the richness and breadth of metalwork of the Colchian culof the late Bronze Age.<sup>325</sup>

Copper alloy („Bronze”) hoards are widely spread in Bronze Age Europe, but are unknown for southern Italy and Greece. Hoards are also not characteristic of the cultures of the Late Bronze Age of Armenia, Azerbaijan and the North Caucasus,<sup>326</sup> and this suggests a transference of cultural ideas through contacts with norther Italy and central Europe.<sup>327</sup> The perception of hoards as votive deposits is indicated also by the presence of prestigious copper alloy objects such as those decorated with the so-called „fantastic animal”, motifs, which also hints at contemporary beliefs similar to those in Central Europe.

One of the principal aims of the current project is to investigate the reality that lay behind these ancient written traditions and legends. Another cental aim was to investigate and

---

<sup>321</sup>Gamkrelidze G. 1993: 34.

<sup>322</sup>Gamkrelidze G. 2005: 181, Fig. 7. The work is devoted to the history of the Classical period navigation on the east coast of the Black Sea, but we think that the same data can be extrapolated to the earlier period as well.

<sup>323</sup>Georgieva 1993: 14, Cat. 2. On earlier contacts with Bulgaria, see also: Sulava N., ... 2011 and references indicated there.

<sup>324</sup>Jantzen 1972: 80-85, Tab. 79-82; Mikeladze 1990: 65, Tab. XXXI<sub>6</sub>; Lortkipanidze 2002: 189, 190, Fig. 165.

<sup>325</sup>Lordkipanidze O. 2001: 178, 180, 187.

<sup>326</sup>Lordkipanidze O. 2001: 187-189.

<sup>327</sup> Sulava N. 2014c: 46-53.

undertake a complete reassessment of the process details, origins, subsequent development and dating of the non-ferrous metallurgical production tradition that underpinned this early culture. Although Colchian culture has become justly famous until the start of the present work almost nothing was known of its archaeological or geological background and this comprises the central theme of our current Lechkhumi (SRNSF) research grant aided project,<sup>328</sup> the first main stage of which is described in the present work, the print version of the fundamental report of which is the present work.<sup>329</sup>

The well-known quote of Strabo - ...,the *wealth of the regions about Colchis which is derived from the mines of gold, silver, iron and copper suggests a reasonable motive for the (Argonauts') expedition, a motive which induced Phrixus also to undertake this voyage at an earlier date...*<sup>330</sup> first became a reality as a result of the discovery and partial investigation of 400 or more copper smelting sites of transitional late Bronze Age/early Iron Age Colchian date, these being discovered and partially excavated in the 1960s to the 1980s in the hilly or mountain zone near the Black Sea coast of Georgia (from Adjara to Samegrelo-Abkhasia).

Despite the information and evidence that accumulated as a result of this extensive archaeological survey work little more had been done and the industry overall was not understood, neither what was made, how the technological processes worked, what ore was smelted or how. However, the large number of smelting sites that were operating in this late Bronze Age/early Iron Age transition period show the industry to have been very extensive, even if individual sites were themselves small in scale.

Perhaps the biggest puzzle relating to this early work is how the industry can have been mistaken as relating to ironworking, given that the technology relating to its manufacture is so different. It is possible that this mistaken interpretation relates to the exploitation of iron rich chalcopyrite ores which resulted in iron-rich slags. It was not until the start of more

---

<sup>328</sup>The research project grant of the Rustaveli National Science Foundation „The Origin and Development of Metallurgy in Mountainous Colchis: New Discoveries, Studies and Prospects” (# 217128), 09.12.2016.

<sup>329</sup>In February 2020, the research project grant present by the authors of this work - „The Study of Copper Archaeometallurgy in Mountainous Colchis (Lechkhumi - Upper Svaneti): from ore to metal” (# FR-19-13022, 04.02.2020) - was funded by the Rustaveli National Science Foundation, what will allow to publish both parts of the project together (with the assistance of a sponsor) after the implementation of the project.

<sup>330</sup>Strabo [I, 2, 39] (1917) Jones, H (trans), Loeb edition; see also Kaukhchishvili T. (1957).

recent work in the Guria region and a re-examination of some of the earlier material and descriptions – that it was realized that this entire industry related to copper smelting.<sup>331</sup>

This early archaeological survey work showed this prehistoric industry to have been carried out as in the hilly zones inland from the Black Sea as far afield as the lesser Caucasus mountain region of Adjara in the south to Samegrelo in the north. But very little archaeological work had been done in the main Caucasus range where the copper sources were known to exist and where the greatest concentration of copper ingots and Colchian copper alloy artefacts had been found.

However there were clues as to the existence of this prehistoric copper smelting/working industry, not only from the numerous metal artefacts found by chance in hoards, but also in the form of reports of early Geological prospectors looking for a variety of metals (see below) in the mountains although these had not been followed up. Thus, apart from the many chance finds of metallic artefacts we knew almost nothing about the prehistoric copper industry in the main Caucasus mountain range. Our present project – centred on the mountain region of Lechkhumi – was set up to investigate this large and clear gap in our knowledge and understanding of prehistoric copper exploitation in this largely unexplored (at least archaeologically) mountainous (Colchian) region of northeastern Georgia.

---

<sup>331</sup> Gilmour Br., . . . 2020: 18-33.



### Lechkhumi - a mountain region of Colchis

Previous chance findings – especially a rich variety of metal artefacts – have provided us with indications that the central mountain region of Lechkhumi is likely to be plentiful in archaeometallurgical production (especially copper mining and smelting) remains although almost no previous studies have been carried out to investigate this rich potential. The overall aim of our present project has been to fill this gap in our knowledge by means of exploratory survey and excavation.

Lechkhumi (Fig. 3), an area that is known from historical sources, is centrally placed in the mountainous north-eastern region<sup>332</sup> of Colchis<sup>333</sup> (towards the north-west of modern Georgia) and is an area we now know to be rich in archaeometallurgical remains.




Fig. 3. Mid 18<sup>th</sup> century map of Lechkhumi according to Vakhushti Bagrationi.

To show the role of Lechkhumi more effectively and to compare it to other parts of the Caucasus which are known for their archaeometallurgical heritage, or have been declared regions or foci of early metallurgical importance or potential, it is necessary to characterize

<sup>332</sup>Term - Mountainous Colchis (comprises Lechkhumi, Svaneti, Racha, mountainous Imereti, mountainous Samegrelo) has historical meaning in archaeological literature and means a certain cultural unity.

<sup>333</sup>The name Colchis was first mentioned by Aeschylus and Pindar. The earlier writers mentioned it as „Aia“. As R. Topchishvili confirms, „Colchis“ and „Colchians“ were ancient exoethnonyms, that is, foreign names, for Georgians” [Topchishvili R. 2010: 51-61]. Georgian language does not know name „Colchis“, it is not attested in ancient sources in any form. The name was transferred by Greeks through literary tradition (N. Lomouri). As far as we know the ancient Georgian kingdom called Colchis by the early Greeks was referred to as Egrisi by the Georgians who lived there (Lomouri N. 1968); See also Literature on Egrisi: Javakhishvili Iv. 1960; Janashia S. 1952; Lomouri N. 1979; Lordkipanidze M., . . . 2012; Beradze T. 1979: 25; Beradze T. 1980: 597].



and describe its geography, topography and geology and also to review its historical background.

Various problems relating both to this theme and its place in the region will be thoroughly discussed in the present work<sup>334</sup> with the aim of understanding the early importance of metallurgical production here based for the first time on both archaeological and geological studies.

---

<sup>334</sup>Our project entitled „The origin and development of metallurgy in mountainous Colchis (Lechkhumi)“.

## **Location and natural landscape conditions of Lechkhumi**

(Geology, relief, climate, hydrography, soils, landscape, flora, fauna and economy)

პეტროგრაფიული კვლევის შედეგები გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ ლეჩხუმის მიდამოების ამგები შუა და ზედა იურული ასაკის პორფირიტული წყების ქანებია - პიროქსენიანი ბაზალტები, სპილიტები და კვარც კერატოფირები და ქვიშიან-თიხიანი ნალექები. აღნიშნული ქანები გაკვეთილია დიაბაზისა და პორფირული გაკვარცებული სხეულებით, რომელიც სერიციტიზირებული, კარბონატიზირებული და სუსტად კაოლინიტიზირებულია. გამაღწევა სივრცობრივად და პარაგენეტურად დიდი ალბათობით დაკავშირებულია აღნიშნულ ინტრუზივებთან, რომლის ასაკი მიჩნეულია ბათურ-ზედა ბაიოსურად. დაკვირვებების შედეგად გამოვლინდა, რომ მადნების ტექსტურა ძარღვული, ბრექჩიული და ძარღვულ-ჩანაწინწყლულია.

**ატომურ აბსორბციული კვლევის შედეგები.** CMG -ს ლაბორატორიაში შესრულდა ანალიზები კეთილშობილი (Ag) და ფერადი მეტალების (Cu, Pb, Zn, Fe) შემცველობებზე. ნიმუში აღებულია როგორც მინერალიზირებული ზონებიდან და ასევე მისი მიდებარე საღი/შეუცვლელი ქანებიდან.

ატომურ-აბსორბციული მეთოდებით მეტალთა შემცველობებმა განსაკუთრებით სპილენძის, ტყვიის, თუთიისა და ვერცხლის მაღალი შემცველობები აჩვენა. შედეგები მოცემულია ცხრილში (სურ. 20).

Table 1: Metal assay results from ore mineral samples from the Dogurashi area analysed using atomic absorption spectrophotometry (AAS)

		Composition: elements by weight percent (except as stated)				
	Reference/ID	Cu	Zn	Pb	Au	Ag
1	Dog030/17	0.08	0.08	0.06	0.03ppm	5ppm
2	Dog037/18	<0.01	<0.01	<0.01	<0.01ppm	<1ppm
4	Dog040/18(1)	2.88	0.23	0.04	0.01ppm	5ppm
3	Dog040/18(2)	0.03	0.21	0.03	0.01ppm	7ppm
5	Dog045/18(1)	1.79	11.6	8.35	0.5ppm	0.01
6	Dog045/18(2)	2.12	10.1	9.8	0.02ppm	0.01
7	Dog045/18(3)	0.45	4.34	2.8	0.07ppm	0.003ppm
8	Dog046/18(1)	<0.01	<0.01	<0.01	0.07ppm	2ppm
9	Dog046/18(2)	0.03	0.07	0.04	0.1ppm	10ppm
10	Dog048/17	0.02	0.01	0.01	0.02ppm	<1ppm
11	Dog051/17	0.02	0.01	0.01	0.02ppm	<1ppm
12	Dog060/18	<0.01	<0.01	<0.01	0.01ppm	3ppm
13	Dog061/18	<0.01	3.34	0.05	0.01ppm	9ppm
14	Dog062/18(1)	1.34	0.07	0.06	0.02ppm	11ppm
15	Dog062/18(2)	<0.01	<0.01	<0.01	0.03ppm	<1ppm

Key: ppm = parts per million  
 < = less than

ტაბ. 1. დოღურაშის მიდამოებში მოპოვებული მინერალიზირებულ ქანებზე ჩატარებული ატომურ აბსორციული ანალიზის შედეგები.



საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ლექსუმის (პრეისტორიული მეტალურგიის შემსწავლელი - დოღურაში)  
არქეოლოგიური ექსპედიციის

2016 წლის საველე-არქეოლოგიური სამუშაოების

ა ნ გ ა რ ი შ ი

ექსპედიციის ხელმძღვანელი ნინო სულავა

მძლავრ სპილენძ-ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის ბაზაზე წარმოშობილი, ბერძნული და ურარტული წყაროებისათვის ცნობილი ლეგენდარული კოლხეთი, რომელიც ძველმა სამყარომ ბერძნული მითოლოგიური თემებით (არგონავტიკა, პრომეთეს მითი) გაიცნო, კოლხეთში არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა მითიდან რეალობად აქცია.

ლეჩხუმში, ლეგენდარული კოლხეთის მთიან ნაწილში, პრეისტორიული მეტალურგიის ძეგლების (ლითონის სადნობი ქურა-სახელოსნო) დაზვერვების შედეგად ფიქსაციამ კიდევ ერთხელ დაადასტურა<sup>611</sup>, რომ დასავლეთ კავკასიაში გავრცელებული კოლხური ბრინჯაოს კულტურის (თავისი ლოკალური კერებითა და ინფილტრაციის ზონების ჩათვლით) ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი მეტალურგიული ბაზა ლეჩხუმშია. ჩვენს მიერ ჩატარებული სადაზვერვო კვლევებით ლეჩხუმში გამოვლენილია მთელი რიგი ძეგლებისა, რომელთა არქეოლოგიური გათხრა უკვე გადაუდებელი და აუცილებელი საქმეა, მით უმეტეს, რომ ამ რეგიონში ანალოგიური ძეგლი არქეოლოგიურად არასოდეს არ ყოფილა შესწავლილი.

2011, 2013-2014 წლებში ლეჩხუმში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დაფინანსებით ჩატარებული სადაზვერვო ექსპედიციებით, მდ. ცხენისწყლის ხეობაში გამოვლინდა უძველესი ბრინჯაო-რკინის მეტალურგიის სახელოსნოების ჯგუფის ნაშთები თავისი სამთო მეტალურგიული ბაზით. არქეოლოგიურმა კვლევებმა დაადასტურა სპილენძის, რკინის და, შესაძლოა, ბრინჯაოს პრეისტორიული სადნობი ქურა-სახელოსნოების ნაშთები (ქურის შელესილობის ფრაგმენტები, წიდეები, ნაღვენთები), რამაც დღის წესრიგში დააყენა მათი ნედლეულის (ლითონები, მადნები) წყაროს დადგენის საკითხი, რაც პარალელურად გეოლოგიური დაზვერვითაც გამოვლინდა. ვარაუდს, რომ როგორც ნედლეულის წყარო (სპილენძი), ლოკალური მასშტაბის უძველესი მეტალურგიული წარმოებისთვის საკმარისი იქნებოდა, ადასტურებს ჩვენს მიერ ჩატარებული წინასწარი გეოლოგიური დაზვერვის შედეგები და მოპოვებული ფაქტიური მასალის ანალიზი. სოფ. ზუბის და მის მოსაზღვრე სოფ. კინჩხას მიდამოებში დაზვერვების შედეგად შეგროვებული არტეფაქტების (ლითონის სადნობი ქურების შელესილობის ფრაგმენტები, წიდეები,

---

<sup>611</sup> იხ.: Сахарова Л.С. 1966. Позднебронзовая культура ущелья реки Цхенисцкали. Автореф. диссерт. к.и.н. Тбилиси.

ნაღვენთები) შესწავლამ რენტგენოფლოუორესცენტული (XRF) სპექტრომეტრით აჩვენა მათში ლითონებიდან რკინის (80-95%) ყველაზე დიდი შემცველობა, ხოლო წიდის ზოგიერთ ნიმუშში დადასტურდა სპილენძის შემცველობა (41%)<sup>612</sup>.

ამგვარად, ჩატარებული იყო სადაზვერვო სამუშაოები და წინასწარული კვლევები. შემდგომი და აუცილებელი ეტაპი იყო არქეოლოგიური შესწავლა, რომელშიც, საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, მონაწილეობას მიიღებს ინგლისელი კოლეგა, ოქსფორდის პროფესორი ბრაიან გილმორი, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს იმ აუცილებელი ანალიზების ჩატარებას (რომელიც ძვირადღირებული სპეციალური აპარატურით ტარდება), რომელიც საჭიროა გათხრილი მასალის სწორი სამეცნიერო ინტერპრეტაციისათვის.

არქეოლოგიური შესწავლისათვის შერჩეულია არქეოლოგიური ძეგლი „დოღურაში“, რომელიც მდებარეობს მდ. ცხენისწყლის მარცხენა ნაპირას, მისი შენაკადის „დოღურაშის ღელეს“ მახლობლად, ცაგერიდან 7 კმ-ის დაშორებით.

ჩვენს მიერ ამ ძეგლის შერჩევა („დოღურაში“) განპირობებულია იმით, რომ დაზვერვების მიხედვით ვვარაუდობთ, რომ იგი ყველაზე მეტი შედეგის მომცემი იქნება.

ამგვარად, პრეისტორიული მეტალურგიის ძეგლის გათხრით ლეჩხუმში შეივსება კოლხეთის უძველესი მეტალურგიის რეგიონის (აჭარა, გურია, სამეგრელო, რაჭა, სვანეთი) არეალი ლეჩხუმის ახლადმოჩენილი ძეგლებით. dadgindeba liTonis გამოდნობის ის ერთ-ერთი კერა (ლეჩხუმში შემდგომში შესასწავლ სხვა ძეგლებთან ერთად), საიდანაც ლეჩხუმში გამოვლენილი ძვ.წ. VIII-V სს-ის ნასახლარის (ცხეთა-დეხვირის ნასახლარი)<sup>613</sup>, სადაც აღმოჩენილია ყალიბი, მელითონე ხელოსნები, სავარაუდოდ, ასხამდნენ ლითონის ნივთებს.

ჩატარებული სამუშაოების შედეგები გამოქვეყნდება როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ გამოცემებში. ეს იქნება ქართული არქეოლოგიის, რომელიც ემსახურება

---

<sup>612</sup> Sulava N., Chagelishvili R., Kalandadze N., Beridze T. 2013. Newly discovered monuments of the Ancient Iron Metallurgy: Research Perspective and Expected Outcomes. Proceedings of the 12<sup>th</sup> International Congress of Thracology. Targoviste (Romania). შდრ. აქვე, 2016 წლის ანგარიშის ინგლისური ტექსტის ახალ მონაცემებს.

<sup>613</sup> სახაროვა ლ. 1976. ლეჩხუმის 1970-71 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, მაცნე (ისტორიის სერია), # 3. თბ., გვ. 96-104. ჟახაროვა ლ., სულავა ნ. 2014. ცხეთის ნასახლარი (ლეჩხუმის 1970-71 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები), ციმშ I. თბ. გვ. 67-86.

ჩვენი ქვეყნის მიწაში დაფლული ისტორიის გამომზეურებას, კიდევ ერთი დიდი მიღწევა, ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაცია. ძეგლის შენარჩუნების შემთხვევაში (გადახურვა მსუბუქი კოსტრუქციით) შესაძლებელი იქნება მისი ტურისტულ მარშრუტში შეტანა.

2016 წელს საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა და ცაგერის მუნიციპალიტეტმა გამოყო თანხები სოფ. დოღურაშში არქეოლოგიური სამუშაოების საწარმოებლად. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ ინგლისელი კოლეგები ბრაიან გილმორი და ენტონი გილმორი.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ექსპედიცია დაიგეგმა 2016 წლის 5-17 მაისს. არქეოლოგიური კვლევა ჩატარდა ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ დოღურაშის შემოგარენში (ადგილ „დოღურაშის ღელეს“ მახლობლად –

GPS – N 42° 40' 41. 0"/ E 042 47' 05. 4". 860 m).

შესწავლილ იქნა არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად მიღებული ინფორმაციის თვალსაზრისით პერსპექტიული ფართობი; გაკეთდა სამიეზო თხრილები; სამუშაოების ფართობი საერთო ჯამში შეადგენს დაახლოებით 100 მ<sup>2</sup>-ს. ამ ფართობზე გაითხრა დაახლოებით 1-2,5 მეტრამდე სისქის კულტურული ფენა. მოხდა კულტურული ფენის მთლიანად გასუფთავება და გრაფიკულ და ელექტრონულ ფორმატში ზუსტად დაფიქსირება როგორც აღმოჩენილი კონტექსტებისა, ასევე სტრატეგრაფიული ჭრილებისა. პერიფერიულ მონაკვეთებში გაკეთდა მცირე ზომის (4X2 მ) თხრილები ძეგლის არეალის დასადგენად.

განათხარი ფართობიდან მოხდა ინტერდისციპლინარული კვლევისთვის აუცილებელი საანალიზო ნიმუშების აღება (პალინოლოგიური, პალეობოტანიკური, პალეოზოოლოგიური, რადიოკარბონული და სხვ.), რომელსაც ინგლისელი კოლეგები დაამუშავებენ. ჩატარდება მათი ლაბორატორიული შესწავლა (მათ შორის XRF - აპარატზე) და შედარება კოლხეთის ანალოგიურ ძეგლებთან, რაც საშუალებას მოგვცემს განისაზღვროს დოღურაშის ადგილი თანადროულ კოლხურ კულტურაში.

დოღურაშზე ჩატარებული სამუშაოები სრულად შეესაბამება საქართველოს კანონს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ და გვამლევს ახალ ინფორმაციას ძეგლის შესახებ.

ძეგლზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლენილი მოძრავი არქეოლოგიური ძეგლები (არტეფაქტები) ადგილზე დამუშავდება კამერალურად და განთავსდება ცაგერის ისტორიული მუზეუმის ფონდში, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მათი დაცვის სათანადო პირობები.

გათხრების მიმდინარეობის დროს შესრულებული ჭრილების მეშვეობით მოხერხდა ძეგლის სტრატეგრაფიის დადგენა. სტრატეგრაფიული ჭრილების მეშვეობით ინფორმაცია მივიღეთ კულტურული ფენების სიმძლავრისა და გავრცელების არეალის შესახებ; აგრეთვე, უნდა გაირკვეს მათი ქრონოლოგია და კულტურული კუთვნილება კამერალური სამუშაოს ჩატარებისა და ინგლისელი კოლეგების მიერ ანალიზების პასუხების მიღების შემდეგ.

მომზადდა ჩატარებული საველე სამუშაოების სრული დოკუმენტაცია (დღიურები, ფოტომასალა, არქიტექტურული ანაზომ-ჩანახატები, გეგმები, ჭრილები);

განისაზღვრება ძეგლზე მუშაობის სამომავლო სტრატეგია. საკვლევ ტერიტორიაზე (83 კვ.მ) გაკეთდა 7 თხრილი (ნახ. 1-13). შვიდივე თხრილი იმდენად ახლოსაა ერთმანეთთან, ზოგჯერ მხოლოდ უღლებითაა გაყოფილი, რომ კოორდინატები ერთიდაიგივეა - GPS – N 42° 40' 41. 0"/ E 042 47' 05. 4". 860 m).

I თხრილი (დოღურაში I) გაკეთდა უშუალოდ ხევის პირას. 2014 წლის დაზვერვებისას ეს ადგილი ზედაპირულად გადასუფთავების შემდეგ ასე გამოიყურებოდა:



დოღურაში, 2014 წ.

ამ ადგილას შეინიშნებოდა დიდი ზომის წიდეების კონცენტრაცია.

თხრილის გაკეთებამდე დათვალიერებულ იქნა ფერდობი, რომლის პირასაც მდებარეობს მონიშნული გასათხრელი ფართობი. მთელი ფერდი, რომლის სიმაღლე 30 მ-ია ღელემდე, რომელიც დოღურაშის წყალს უერთდება, მოფენილია სხვადასხვა ზომის ზემოდან გადაყრილი წიდეებით და ქურის შელესილობის ნაცრისფერი ნატეხებით.

I თხრილი ფერდობს მიუყვება და ქმნის 15-20 გრადუსიან დაფერდებას, რომელიც თავდება შედარებით ბრტყელი, პატარა მოედნით. თავდაპირველი ზომა 2x2 მ იყო, სადაც ასეთი სიტუაცია დაფიქსირდა - მის S-O კუთხეში წიდეებისა და ნახშირების დიდი კონცენტრაციაა, ფენის სიმძლავრე 0,5 მ-ია. I თხრილის N-W მხრიდან მოზრდილი ზომის წიდეები (d – 20-30-50 sm) ხის ფესვებშია გახვეული. N-S მხრიდან ნიადაგი ხრეშით იყო, ერთმანეთში იყო არეული ნახშირი და დაშლილი წიდეები; თხრილის შუა ნაწილში ამოვიდა დიდი ზომის (d – 50 სმ) დისკოსებური ფორმის წიდეები. ცენტრალური ნაწილიდან აღმოსავლეთით ამოვიდა კერამიკის მცირე ზომის ფრაგმენტები, სავარაუდოდ საქშენი მილის.

I თხრილის ზომები 6x5 მ-ზე გავზარდეთ. თხრილის W ჭრილში, რომლის სიმაღლე თითქმის 1 მეტრია, ჭრილის ზედაპირიდანვე იწყება წიდებიანი და ნახშირებიანი ფენა, რომლის სიმძლავრე 47-50 სმ-ია, შემდეგ მოდის ყვითელი ნიადაგის ფენა 20 სმ-ის სისქისა და ქვემოთ, იატაკამდე ისევ შავი ფენა გრძელდება. როგორც ჩანს, აქ ორ ფენასთან უნდა გვქონდეს საქმე. ქურა (პირობითად) რაღაც გარკვეული პერიოდი ფუნქციონირებდა, შეწყვიტა არსებობა, დაიფარა ჰუმუსით, რომელიც ყვითელ ფენად იქცა, და შემდეგ ისევ გააგრძელა არსებობა. ჭრილის აღმოსავლეთ ნაწილში ქვის წყობის ფრაგმენტი გამოიკვეთა. აღმოსავლეთ ჭრილში, ხევის მხარეს ყვითელი ფენის შემდეგ კვლავ გამოჩნდა დიდი ზომის წიდეები და შავ ხრეშად ქცეული მასა, რომელშიც შერეულია თიხის მილების ფრაგმენტები და ქურის შელესილობის ფრაგმენტები. საბოლოო ჯამში, I თხრილში 4 ფენა გამოიკვეთა: ჰუმუსი, ყვითელი, შავი ფენა, ყვითელი თხელი ფენა, შავი ფენა (რომელიც, სავარაუდოდ, გრუნტზე უნდა იდოს) (სურ. 1-9).

II თხრილი გაკეთდა I თხრილის ზედა მხარეს (W) და მისგან 0,5 მ-ის სიგანის უღლით გამოიყო. მისი თავდაპირველი ზომა 1,80x2,30 მ იყო. თხრილის სამხრეთ მხარეს, ხევის მხრიდან (ფაქტობრივად ხევის პირას) 20-30 სმ სიღრმეზე გამოჩნდა ქვების წყობა – დიდი ზომის (60x50x40 სმ) ქვას, რომელიც თითქმის ხევის პირას იდო, ჩრდილოეთის მხრიდან ერთ სიგრძეზე (W-O მიმართულებით) ჩამოუყვებოდა მოზრდილი ქვების რიგი. აღნიშნულ სიღრმეზე ნიადაგი ყვითელია და არ გვხვდება არც წიდეები და არც ნახშიროვანი ფენა. თხრილი გავზარდეთ S-W მხრიდან (3x4 მ). სავარაუდოდ, აღნიშნულ ქვების რიგს შემოკავებული ჰქონდა ხევის მხარე. ქვების აღების შემდეგ, ყვითელი თხელი ფენის მოხსნის შემდეგ გამოჩნდა შავი ფერის კონგლომერატი, რომელიც შედგებოდა დიდი ზომის ერთმანეთზე დაწყობილი წიდეებისაგან, ნახშირისაგან, ერთმანეთში არეული ხრეშადქცეული დაშლილი წიდეებისა და ნახშირისაგან შექმნილი მასისაგან. პრეპარაციის შემდეგ ამ მასის ქვეშ, 0,5 მ-ის სიღრმეზე გამოჩნდა თიხის მოზრდილი მილი. საბოლოოდ ასეთი სურათი გამოიკვეთა – ყვითელ ქვებნარევ თირიან ფენაში (არადედაქანი) ამოღებული იყო 20 სმ სიღრმის ოვალი (1,50x1,70 მ), რომელიც შევსებული იყო სხვადასხვა ზომის წიდეებით, ნახშირით, დამწვარი ქვებით; ამ გროვის ქვეშ დასავლეთის მხრიდან გამოჩრილი იყო თიხის საბერველი მილი; აღმოსავლეთის მხრიდან შემოწყობილი

ჰქონდა საშუალო ზომის ქვების გროვა; სამხრეთ-დასავლეთი მხრიდან, ხევის პირას იკითხება გაწითლებული რკალისებური ზოლი. წიდების გროვის დაშლის შემდეგ მის შუა ნაწილში დიდი ზომის ქვა გამოჩნდა.

ჩვენის აზრით, მთელი ეს კომპლექსი დანგრეული „ქურა-საამქროა“, რომლის ანალოგიც უნდა იყოს ადრეშუასაუკუნეების ღქურები რაჭიდან<sup>614</sup>. აღსანიშნავია, რომ აქვე ნაპოვნი კერამიკის მცირე ფრაგმენტები (სამზარეულო ჭურჭლის) შუასაუკუნეების თიხის ნაწარმს გავს, თუმცა ადრეული კერამიკის ძალიან ფრაგმენტირებული ნაწილებიც გვხვდება (სურ. 10-19).

III თხრილი გაკეთდა I თხრილის S-W მხარეს, 6 მეტრის დაშორებით, სადაც ზედაპირულად ჩანდა სწორ ხაზზე ჩაწყობილი 4 საშუალო ზომის ქვა, რომელიც ე.წ. „მაგიდის“ (ქურიდან ამოღებული ზოდიდან წიდების ჩამოსაშორებლად) შთაბეჭდილებას ქმნიდა. მისი ზომა 2×2 მ-ია. 0,5 მ-ის სიღმიდან გრუნტი დაიწყო (სურ. 20, 21, 22).

IV თხრილი გაკეთდა I და II თხრილის ზედა მხარეს (N-O მხარეს), I თხრილიდან 3 მ-ის დაშორებით. ზომები: 2×5 მ (სურ. 23, 24).

V თხრილი გაკეთდა I თხრილის ზემოთ (N-O მხარეს), მისგან 0,5 მ-იანი უდლითაა დაშორებული. თხრილის ზომა: 2×3 მ. მთელ თხრილში ყვითელი ფენაა; თხრილის S-O კუთხეში, 80 სმ სიღრმეზე აღმოჩნდა თიხის მილის ფრაგმენტი და შავი ნახშირიანი ფენა (სურ. 25, 26, 27).

VI თხრილი გაკეთდა I თხრილის გვერდით (N-W მხარეს), მისგან 0,5 მ-იანი უდლითაა დაშორებული. თხრილის ზომა: 2×3 მ (სურ. 28).

VII თხრილი გაკეთდა I თხრილის ზემოთ (N-O მხარეს), მისგან 10 მ-ის მოშორებით. თხრილის ზომა: 3×3 მ (სურ. 29) .

ამგვარად, 2016 წლის არქეოლოგიურ სეზონზე ლეჩხუმის (პრეისტორიული მეტალურგიის შემსწავლელი - დოღურაში) არქეოლოგიურმა ექსპედიციამ შეისწავლა ადრეშუასაუკუნეების ხანის (?) მეტალურგიული წარმოების ნაშთი – ქურა და

---

<sup>614</sup> Хахутаишвили Д.А. 1987. Производство железа в древней Колхиде. Тбилиси. სურ. 67; Khakhutaishvili D. 2009. The Manufacture of Iron in Ancient Colchis. Oxford.



სახელოსნო უბანი, გაავლო 7 საძიებო თხრილი (83 კვ.მ). თავის მასშტაბებით ძეგლს - „დოღურაში I“, ჯერჯერობით ანალოგი არ ეძებნება. აქ აღმოჩენილი წიდეების რაოდენობა 8 კუბ. მ შეადგენს. ეს რაოდენობა რამდენიმე ქურის ნამუშევარი უნდა იყოს. რადგან ძეგლის გათხრა დამთავრებული არ არის და რამდენიმე არქეოლოგიურ სეზონს საჭიროებს, არ არის გამორიცხული, რომ იქვე უფრო ადრეული ეპოქის წარმოებასაც მივაგნოთ<sup>615</sup>. აღებული საანალიზო მასალის პასუხებიც (რომელსაც ჩვენი ინგლისელი პარტნიორი და კონსულტანტი პროფ. ბრაიან გილმორი გააკეთებს) დაგვეხმარება იმაში, რომ ჩვენს მიერ გათხრილი ფართობიდან სათანადო ინფორმაცია მივიღოთ.

#### ფოტომასალა:



სურ. 1 - გათხრების დაწყებამდე, დოღურაში I, თხრილი I.



სურ. 2 - დოღურაში I, თხრილი I, ჰუმუსის მოხსნის შემდეგ.

<sup>615</sup> როგორც ოქსფორდში გაკეთებული ანალიზების შედეგად გაირკვა - ძეგლის თარიღია ძვ.წ. XIII-IX სს.



სურ. 3 - დოდურაში I, თხრილი I,  
პირველი ფენა (შავი).



სურ. 4 - დოდურაში I, თხრილი I,  
პირველი ფენა (წიდეები, შავი).



სურ. 5 - დოდურაში I,  
თხრილი I,  
პირველი ფენა (წიდეები, შავი ხრეშისმაგვარი).



სურ. 6 - დოდურაში I, თხრილი I,  
პირველი ფენა (შავი და ყვითელი).





სურ. 7 - დოღურაში I, თხრილი I,  
S-W კუთხე.



სურ. 8 - დოღურაში I, თხრილი I,  
ხედი W-დან.



სურ. 9 - დოღურაში I, თხრილი I,  
ხედი OO-დან.



სურ. 10 - გათხრების დაწყებამდე,  
დოღურაში I, თხრილი II.



სურ. 11 - დოღურაში I, თხრილი II  
(ნახშირიანი ფენის გამოჩენა).



სურ. 12 - დოღურაში I,  
თხრილი I და II (ზედა).





სურ. 13 - დოღურაში I, თხრილი II  
(თიხის საბერველი ჭრილში).



სურ. 14 - დოღურაში I, თხრილი II  
(თიხის საბერველი ჭრილში).



სურ. 15 - დოღურაში I, თხრილი II (თიხის  
საბერველი ჭრილში, წიდევის გროვა).



სურ. 16 - დოღურაში I, თხრილი II  
(თიხის საბერველი ჭრილში, წიდეზის  
გროვა).



სურ. 17 - დოღურაში I, თხრილი II  
(წიდეზის გროვა „ქურაში“, ჩაჭრილი  
ჩრდილოეთის მხრიდან).



სურ. 18 - დოღურაში I, თხრილი II  
(წიდეზის გროვა).



სურ. 19 - დოღურაში I, თხრილი II  
(ქვაცირილი წიდეზის გროვაზე).





სურ. 20. დოდურაში I,  
თხრილი III (გათხრებამდე).



სურ. 21 - დოდურაში I, თხრილი III.



სურ. 22 - დოდურაში I, თხრილი III და  
საერთო ხედი.



სურ. 23 - დოდურაში I, თხრილი V.



სურ. 24 - დოდურაში I, თხრილი V.



სურ. 25 - დოდურაში I, თხრილი V.



სურ. 26 - დოდურაში I, თხრილი V.





სურ. 27 - დოდურაში I, თხრილი V.




სურ. 28 - დოდურაში I, თხრილი VI.




სურ. 29 - დოდურაში I, თხრილი VII.

ნახაზები (## 1-13):



**1**




2












6




7




8



9



10



11





საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ლექსუმის (პრეისტორიული მეტალურგიის შემსწავლელი - დოღურაში)  
არქეოლოგიური ექსპედიციის

2017 წლის საველე-არქეოლოგიური სამუშაოების

ა ნ გ ა რ ი შ ი

ექსპედიციის ხელმძღვანელი ნინო სულავა

მძლავრ სპილენძ-ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის ბაზაზე წარმოშობილი, ბერძნული და ურარტული წყაროებისათვის ცნობილი ლეგენდარული კოლხეთი, რომელიც ძველმა სამყარომ ბერძნული მითოლოგიური თემებით (არგონავტიკა, პრომეთეს მითი) გაიცნო, კოლხეთში არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა მითიდან რეალობად აქცია.

ლექსუმში, ლეგენდარული კოლხეთის მთიან ნაწილში, პრეისტორიული მეტალურგიის ძეგლების (ლითონის სადნობი ქურა-სახელოსნო) დაზვერვების შედეგად ფიქსაციამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დასავლეთ კავკასიაში გავრცელებული კოლხური ბრინჯაოს კულტურის (თავისი ლოკალური კერებითა და ინფილტრაციის ზონების ჩათვლით) ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი მეტალურგიული ბაზა ლექსუმიცაა.<sup>616</sup>

ჩვენს მიერ ჩატარებული სადაზვერვო კვლევებით ლექსუმში გამოვლენილია მთელი რიგი ძეგლებისა, რომელთა არქეოლოგიური გათხრა უკვე გადაუდებელი და აუცილებელი საქმეა, მით უმეტეს, რომ ამ რეგიონში ანალოგიური ძეგლი არქეოლოგიურად არასოდეს არ ყოფილა შესწავლილი.

2011, 2013-2014 წლებში ლექსუმში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დაფინანსებით ჩატარებული სადაზვერვო ექსპედიციები მდ. ცხენისწყლის ხეობაში გამოვლინდა უძველესი ბრინჯაო-რკინის მეტალურგიის სახელოსნოების ჯგუფის ნაშთები თავისი სამთო მეტალურგიული ბაზით. არქეოლოგიურმა კვლევებმა დაადასტურა სპილენძის, რკინის და შესაძლოა ბრინჯაოს პრეისტორიული სადნობი ქურა-სახელოსნოების ნაშთები (ქურის შელესილობის ფრაგმენტები, წიდეები, ნალვენტები), რამაც დღის წესრიგში დააყენა მათი ნედლეულის (ლითონები, მადნები) წყაროს დადგენის საკითხი, რაც პარალელურად გეოლოგიური დაზვერვითაც გამოვლინდა. ვარაუდს, რომ როგორც ნედლეულის წყარო (სპილენძი), ლოკალური მასშტაბის უძველესი მეტალურგიული წარმოებისთვის საკმარისი იქნებოდა, ადასტურებს ჩვენს მიერ ჩატარებული წინასწარი გეოლოგიური დაზვერვის შედეგები და მოპოვებული ფაქტობრივი მასალის ანალიზი. სოფ. ზუზის და მის მოსაზღვრე

---

<sup>616</sup> იხ.: Сахарова Л.С. 1966. Позднебронзовая культура ущелья реки Цхенисцкали. Автореф. диссерт. к.и.н. Тбилиси.

სოფ. კინჩხას მიდამოებში დაზვერვების შედეგად შეგროვებული არტეფაქტების (ლითონის სადნობი ქურების შელესილობის ფრაგმენტები, წიდები, ნაღვენთები) შესწავლამ რენტგენოფლოუორესცენტული (XRF) სპექტრომეტრით აჩვენა მათში ლითონებიდან რკინის (80-95%) ყველაზე დიდი შემცველობა, ხოლო წიდის ზოგიერთ ნიმუშში დადასტურდა სპილენძის შემცველობა (ჩვეულებრივ არა უმეტეს 1-3% მსგავსათ თუთიისა და ტყვიისა, მაგრამ ცვალებადი რაოდენობით) (41%). რაც გამოწვეული ქალკოპირიტის მადნის ადლურ ლითონის დნობის ეტაპზე, როდესაც მადანში გვხვდება თუთია და ტყვია. ხოლო წიდის ზოგიერთ ნიმუშში დადასტურდა სპილენძის შემცველობა (41%).<sup>617</sup>

ამგვარად, ჩატარებული იყო სადაზვერვო სამუშაოები და წინასწარული კვლევები. შემდგომი და აუცილებელი ეტაპი იყო არქეოლოგიური შესწავლა.

როგორც 2016 წლის საველე ანგარიშის მიხედვით, მოგეხსენებათ, 2016 წელს საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა და ცაგერის მუნიციპალიტეტმა გამოყო თანხები სოფ. დოღურაში არქეოლოგიური სამუშაოების საწარმოებლად. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ ინგლისელი კოლეგები არქეომეტალურგი ბრაიან გილმორი და ენტონი გილმორი ოქსფორდიდან. საქართველოს ეროვნულ მუზეუმის ექსპედიცია 2016 წლის 5-17 მაისს ჩატარდა ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ დოღურაშის შემოგარენში; არქეოლოგიური შესწავლისათვის შერჩეული იქნა არქეოლოგიური ძეგლი „დოღურაში“, რომელიც მდებარეობს მდ. ცხენისწყლის მარცხენა ნაპირას, მისი შენაკადის - „დოღურაშის ღელეს“ მახლობლად, ცაგერიდან 7 კმ-ის დაშორებით (GPS – N42° 40' 41. 0" / E 042 47' 05. 4". 860 m) ჩვენს მიერ ამ ძეგლის შერჩევა („დოღურაში - 1“) განპირობებული იყო იმით, რომ წინა წლების დაზვერვების მიხედვით ვვარაუდობდით, რომ იგი ყველაზე მეტი შედეგის მომცემი იქნებოდა.<sup>618</sup>

საერთო ჯამში, ჩვენ მიერ გათხრილმა ტერიტორიამ მოიცვა დაახლოებით 100 კვ. მ. რომელიც შესდგებოდა რამდენიმე სადაზვერვო თხრილისგან. კულტურული ფენა იყო დაახლოებით 1.0 მ-დან 2.5 მ.-დე სიმძლავრის. თხრილების უმრავლესობა

<sup>617</sup> Sulava N., Chagelishvili R., Kalandadze N., Beridze T. 2013. Newly discovered monuments of the Ancient Iron Metallurgy: Research Perspective and Expected Outcomes. Proceedings of the 12<sup>th</sup> International Congress of Tracology. Targoviste (Romania). აგრეთვე, შდრ. აქვე, ინგლისურ ტექსტსა და ანგარიშებში.

<sup>618</sup> იხ.: 2016 წლის საველე ანგარიში.

მთლიანად გაითხარა. როგორც წესი, არქეოლოგიური კონტექსტი გათხრილ იქნა სტრატეგრაფიული თანმიმდევრობით და სიტუაცია დაფიქსირდა ფოტოგრაფიულად და ჩახატულ იქნა, როგორც გრაფიკული, ასევე ელექტრონულ ფორმატში. მცირე ზომის (4 x 2 მ) სატესტო თხრილები გაკეთდა პერიფერიულ ნაწილებში ძეგლის მაშტაბის დასადგენად, აგრეთვე ჩატარებულ იქნა გეოფიზიკური დაზვერვები (მაგნიტური მგრძნობელობა და გრადიომეტრია/მაგნიტომეტრია) იგივე მიზნით, ძეგლის გავრცელების არეალის დასადგენად.

დაბოლოს, 2016 წლის საველე ანგარიშში აღინიშნა, რომ გათხრების სეზონის განმავლობაში აღებულ იქნა ინტერდისციპლინარული კვლევებისათვის ანალიზები და ასევე საიდენტიფიკაციო მასალები (მაგალითად, წიდისა და მადნის ანალიზები, სავარაუდოდ სადნობი ქურის თიხის ფრაგმენტები შესასწავლად, ნახშირი რადიოკარბონის თარიღისათვის და ა.შ.). ასევე ვიმედოვნებთ, რომ პალინოლოგიური, პალეობოტანიკური და არქეოზოოლოგიური კვლევები შესაძლებელი იქნება და მოიცავს მთელ შემოგარენს. გასთვალისწინებელია, რომ ამ სამუშაოს შესრულებას დასჭირდება მთელ რიგ სპეციალურ ლაბორატორიებ, იმისდა მიხედვით, თუ რა არის შესაძლებელი, მათ შორის ბევრი სამუშაო ჩატარდება ბრიტანეთში ჩვენი კოლეგების მიერ (მათ შორის XRF - აპარატზე, ოპტიკური მიკროსკოპია და, აგრეთვე, სადაც შესაძლებელია, ელექტრონული მიკროსკოპით სკანირება (SEM)).

საბოლოო ჯამში, დოღურაში I-ის მასალების, აგრეთვე ლეჩხუმის სხვა არქეომეტალურგიული ძეგლების მასალების შესწავლის შედეგებს შევადარებთ თანადროულ სპილენძის სადნობ ძეგლებთან, რომლებიც მდებარეობდა კოლხეთის ტერიტორიაზე (დასავლეთ საქართველო) გვან ბრინჯაოს ხანში, რაც საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ დოღურაშის ადგილი კოლხურ კულტურაში.

2016 წლის საველე ანგარიშში აღვნიშნავდით, რომ - „ამ არქეოლოგიურ სეზონზე „ლეჩხუმის (პრეისტორიული მეტალურგიის შემსწავლელი - დოღურაში) არქეოლოგიურმა ექსპედიციამ“ შეისწავლა, 7 სადაზვერვო თხრილი (83 კვ.მ). თავის მასშტაბებით ძეგლს - „დოღურაში - 1“, ჯერჯერობით ანალოგი არ ეძებნება. აქ აღმოჩენილი წიდეების რაოდენობა 8 კუბ. მ შეადგენს. ეს რაოდენობა რამდენიმე ქურის ნამუშევარი უნდა იყოს. რადგან ძეგლის გათხრა დამთავრებული არ არის და

რამდენიმე არქეოლოგიურ სეზონს საჭიროებს. აღებული საანალიზო მასალის პასუხებიც (რომელსაც ჩვენი ინგლისელი პარტნიორი და კოსულტანტი დოქ. ბრაიან გილმორი გააკეთებს) დაგვებმარება იმაში, რომ ჩვენს მიერ გათხრილი ფართობიდან სათანადო ინფორმაცია მივიღოთ”.

რამდენიმე თვის შემდეგ, როცა ოქსფორდიდან მივიღეთ ანალიზების პასუხი, გაირკვა, რომ „დოღურაში -1“-ის თარიღია – ძვ.წ. XII-IX სს და სპილენძის წარმოებასთან გვაქვს საქმე. არქეოლოგიური გათხრებით შესწავლილი, თანაც ამ პერიოდის ძეგლის აღმოჩენა, პირველი შემთხვევაა არამარტო ლეჩხუმში.

2017 წელს არქეოლოგიური გათხრები „დოღურაში -1“-ზე, რომელიც უკვე ფინანსდება რუსთაველის სამეცნიერო ფონდის<sup>619</sup> მიერ, ჩატარდა 26 სექტემბერი - 15 ოქტომბრის ჩათვლით (სურ. 1, ნახ. 1, 2, 3, 4).



სურ. 1 „დოღურაში -1”

2017 წლის გათხრების დაწყებამდე

გაგრძელდა სამუშაოები ## 1, 2, 4, 5. თხრილზე. აქვე ავღნიშნავთ, რომ ამ თხრილებს შორის არსებული უღლები მოიხსნა,<sup>620</sup> და თანაც, თხრილები გაფართოვდა. გაკეთდა ახალი # 8, 9 თხრილი.

<sup>619</sup> რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გრანტი „მეტალურგიის წარმოშობა და განვითარება მთიან კოლხეთში: ახალი აღმოჩენები, კვლევები და პერსპექტივები” - (# 217128), 09.12.2016) სამეცნიერო ხელმძღვანელი ისტ.მეცნ.დოქტორი ნინო სულავა.

<sup>620</sup> მომავალი წლის არქეოლოგიური სამუშაოების დროს ამ ტერიტორიაზე, რადგან უკვე გვაქვს ტოპოგრაფიული მონაცემები და თხრილები ერთიანდება, ანგარიში გაკეთდება კვადრატების მიხედვით.

ჩვენს მიერ წარმოებული სამუშაოების ამოცანა იყო 2016 წელს დაწყებული არქეოლოგიური სამუშაოების გაგრძელება, ამავე ფართობზე შესაძლო ახალი ქურების გამოვლენა, საჭიროებისამებრ ფართობის გაზრდა და მასალების აღება ახალი ანალიზებისათვის, საბოლოოდ, ძეგლის სტრატეგრაფიისა და არეალის დადგენა. # 1 და # 2 თხრილებს შორის მოიხსნა უღელი (სურ. 2, ნახ. 3) და გაერთიანდა. მათი გაერთიანებით კიდევ უფრო კარგად გამოჩნდა, რომ # 2 თხრილის ქურიდანვე იწყება დიდი ზომის წიდეების ნაყარი.



სურ. 2 - # 1 და # 2 თხრილებს  
შორის უღელი

# 1 და # 5 თხრილებს შორის აღებული უღლის ქვეშაც (სურ. 3, 4, ნახ. 5) აღმოჩნდა დიდი ზომის წიდეები; იქ, სადაც SW კუთხეში წინა წელს აღმოჩნდა თიხის მილის ფრაგმენტები. შესაძლოა, აქაც დანგრეულ ქურასთან გვქონდეს საქმე.



სურ. 3 – უღელი # 1 და # 5 თხრილს შორის, 4 – წიდეები უღლის ქვეშ.

#1 თხრილის დასავლეთ კიდეზე, წიდეების გავრცელების ფართობის დადგენის მიზნით, ჩავჭერით 1,5x3 მ-ზე ზომის თხრილი (# 9 თხრილი), რომელშიც წიდეების გავრცელების საზღვარი 1,5 მ-ზეა; ფაქტობრივად, # 1 თხრილის კიდიდან კიდევ 1,5 მ-



ზე გრძელდება წიდეების გავრცელება, ხოლო წიდეებიანი ფენის სიღრმე 1 მ-ია. ამ ფართობიდან ამოღებული მხოლოდ მთლიანი წიდეების რაოდენობა 30 ცალს უდრის(სურ. 5, 6, 7; ნახ. 9, 11).



სურ. 5 - # 9 თხრილი




სურ. 6 - # 8 თხრილი



სურ. 7 - მთლიანი წიდეები # 8 თხრილიდან

# 2 თხრილს (რომელიც ხევის პირასაა) SE მხრიდან მივუმატეთ 4×4 მ ფართობი (# 2 „თხრილის გაგრძელება” – სურ. 8; ნახ. 3).





სურ. 8 - # 2 „თხრილის გაგრძელება“ გათხრების დაწყებამდე დავტოვეთ მხოლოდ 50 სმ სიგანის უღელი ((# 2 თხრილს და ამ „თხრილის გაგრძელებას“ შორის). ზედაპირზე იკრიფება მოზრდილი წიდეები და ქვები.

# 2 თხრილი 1 მ-ით არის დაშორებული ხევიდან; ხევის მხრიდან ფიქსირდება მოზრდილი ქვების გროვა (თუ წყობა), რომელსაც SW მხრიდან ადევს ქვებნარევი ყვითელნიადაგიანი ფენა; ეს ფენა იწყება ჰუმუსის შემდეგ 20-25 სმ-ის სიღრმეზე და თხრილში გრძელდება 3 მ-ის სიგრძეზე; თხრილის სიღრმეა 60-65 სმ ხევის მხრიდან (SW) (სურ. 9, 10).



სურ. 9, 10 - # 2 და # 5 თხრილებს შორის უღლის მოხსნისას 60-70 სმ სიღრმეზე ამოვიდა ქურის შელესილობისა და რამდენიმე წიდის ფრაგმენტი.

# 2 თხრილის ზედა გაგრძელებაზე, ხევისპირა ქვაყრილში, რომლის ფუნქციაც ჯერ გაურკვეველია, აღმოჩნდა თიხის მილის ფრ-ი და კერამიკისა თუ შელესილობის მრგვალმუცლიანი ფრ-ი, აგრეთვე, ქურის შელესილობის კიდის ფრაგმენტი.<sup>621</sup> # 2 თხრილზე ხევის მხრიდან (SW) 0,5 მ-ის კიდევ მიმატების შემდეგ ქვაყრილში გამოჩნდა ქურის შელესილობის ფრ-ები, ხოლო ხევის მხრიდან საკონტროლო ჭრილის გაკეთების შემდეგ კვლავ გამოჩნდა შელესილობის ფრაგმენტები. ქვაყრილის ქვეშ, ხევის მხარეს, გამოჩნდა გაწითლებული ბათქაშისებური მასა. ქვაყრილი SW-

<sup>621</sup> გამოვლენილ არქეოლოგიურ მასალებზე კამერალური სამუშაოები ჩატარდება (კერამიკული და სხვა ნაწარმის გრაფიკული და ფოტო ფიქსაცია, დოკუმენტური აღრიცხვა ცაგერის ისტორიულ მუზეუმში; ხოლო არადესტრუქციულ რენტგენოფლოუორესცენტულ აპარატზე (XRF) და სხვა სახის ანალიზები, დათარიღების განსაზღვრა ჩატარდება ოქსფორდში.

სკენ მიემართება. # 2 თხრილის ქვაყრილმა კუთხე „გააკეთა“ და უფრო წესიერი წყობით ჩრდილოეთისაკენ მოუხვია. გათხრების ამ ეტაპზე ძნელია ამ ქვაყრილის ფუნქციის განსაზღვრა. ამგვარად, # 2 თხრილის (სურ. 11, ნახ. 8) სიტუაცია ასეთია: თხრილის დიდი ნაწილი, ხევის პირას, წარმოდგენილია ქვაყრილით, რომელიც თხრილის მთელ სიგრძეზე მიემართება (SW), ქვაყრილის ქვედა მხარიდან (W) მის შუა ნაწილში ჩანს გაწითლებული ფენა, რომელზეც ზემოდან გადადის ეს ქვაყრილი. ქვაყრილის ბოლოს (შარშანდელი ქურის მხრიდან) ეს ქვაყრილი თითქოს შემოკავებულია დიდი ქვით. ეს დიდი ქვა კეტავს ქვაყრილის ზედა მხარეს, უხვევს და კუთხეს აკეთებს (SW).




სურ. 11

# 2 თხრილში ქვაყრილის ნაწილობრივ (დაახლ. 2 მ) აღების შემდეგ, შეწითლებულ ფენამდე, გამოჩნდა დანახშირებული ფენა ზემოდან კოლხური კერამიკის ფრაგმენტებით, ქურის შელესილობის ფრაგმენტებითა და წიდებით. ეს მონაკვეთი დაკონსერვდა მომავალი წლისთვის (სურ. 12, 13; ნახ. 9, 11).



სურ. 12 - # 2 თხრილში ქვყარილის ნაწი-  
ლობრივ ალების შემდეგ.



სურ. 13 - დანახშირებული ფენა ზემოდან  
კოლხური კერამიკის ფრაგმენტებით # 4 და #  
5 თხრილს შორის მოიხსნა უღელი, რომლის  
მოხსნისას, დაახლ. 50-60 სმ-ის სიღრმეზე  
გამოიკვეთა ნახშიროვანი შავი წრე - 1x1 მ-ზე  
(სურ. 14; ნახ. 7).



სურ. 14 - # 4 და # 5 თხრილს შორის უღელი

# 4 თხრილის შუაში, დაახლოებით 1 მ-ის სიღრმეზე, გამოიკვეთა შავი ლაქა, რომლის  
პრეპარაციის შედეგად ეს ლაქა გაფართოვდა ყველა მიმართულებით და საბოლოო  
ჯამში აღმოჩნდა 10-15 სმ-ის სისქის ფენა (სურ. 15), რომელიც კვლავ ე.წ. ყვითელ  
ფენაზე დევს. # 4 თხრილის წინა ბაქანზე (NW) იკითხება მრგვალი შავი ლაქები,



რომელთაგან ერთ-ერთი შემოსაზღვრულია ქვებით (შესაძლოა ქურა იყოს, ანა მადნის პირველადი გამოწვის მოედანი).



სურ. 15 - # 4 თხრილის შუაში შავი ლაქა

# 5 თხრილის შუაში, ყვითელ ნიადაგში, გამოიკვეთა თითქოს წრიულად ჩაწყობილი საშუალო ზომის ქვები (სურ. 15) და მის შიგნით მრგვალი შავი ლაქა – 1-1,20 მ (2016 წელს ამ თხრილში მხარეს დაფიქსირდა თიხის მილები). აქ, 80-100 სმ-ის სიღრმეზე გამოჩნდა ქურის შელესილობის ფრაგმენტები. # 5 თხრილს მხრიდან მთელ სიგრძეზე მივუმატეთ 1 მეტრი. მის მთელ გაყოლებაზე გამოჩნდა შავი ფენა, რომელიც შეიცავს – წიდებს, ქურის შელესილობის ფრ-ებს და ნახშირებს. # 4 და # 5 თხრილების ფართობი გაერთიანების შემდეგ არის –  $4,10 \times 2,30 \times 1,5$  მ ზომის. # 4 და # 5 თხრილის ყვეთელი ნიადაგი გრძელდება # 2 თხრილში და მის ზემოთაც. N მხარეს # 4 და # 5 თხრილების საზღვარზე აღმოჩნდა თიხის მილების ფრ-ები და ქურის შელესილობის ფრ-ი. # 8 თხრილი –  $3 \times 4$  მ, გაკეთდა # 4 თხრილის ზემოთ ( E მხარეს) (სურ. 16; ნახ. 9, 11).



სურ. 16 - # 8 თხრილი

ამგვარად, 2017 წლის ექსპედიციის ძირითადი შედეგები არის ის, რომ გაიზარდა გასათხრელი ფართობი და დაღრმავდა; ამავე ფართობზე გამოვლინდა რამდენიმე ქურის სავარაუდო მდებარეობა; აღმოჩნდა ახალი არტეფაქტები – თიხის საბერველი მილების ფრაგმენტები, ქურის შელესილობის ფრ-ები, წიდეები, და რაც მთავარია, ტიპური კოლხური კერამიკის ფრაგმენტები, რაც დათარიღებისთვისაც გამოდგება; აღებულია დიდი რაოდენობით საანალიზო მასალა – ნახშირების წიდეებისა და შელესილობის ნიმუშებიდან (ოქსფორდში ანალიზების გასაკეთებლად).

რაც ძალიან მნიშვნელოვანია, პროექტში მონაწილე გეოლოგების მიერ (თ. ბერიძე, რ. ჩაგელიშვილი) დაფიქსირდა როგორც დოღურაშის მიმდებარე ტერიტორიაზე, ასევე ოფიტარას მიდამოებში მადანშემცველი ქანები, რომლებზეც ასევე გაკეთდება ანალიზები.

ამგვარად, როგორც აღვნიშნავდით, პრეისტორიული მეტალურგიის ძეგლის გათხრით ლეჩხუმში შეივსება კოლხეთის უძველესი მეტალურგიის რეგიონის (აჭარა, გურია, სამეგრელო, რაჭა, სვანეთი) არეალი ლეჩხუმის ახლად აღმოჩენილი ძეგლებით.

დადგინდება ლითონის გამოდნობის ის ერთ-ერთი კერა (ლეჩხუმში შემდგომში შესაწავლ სხვა ძეგლებთან ერთად), საიდანაც ლეჩხუმში გამოვლენილი ძვ.წ. VIII-V სს-ის ნასახლარის (ცხეთა-დეხვირის ნასახლარი),<sup>622</sup> სადაც აღმოჩენილია ყალიბი, მელითონე ხელოსნები, სავარაუდოდ, ასხამდნენ ლითონის ნივთებს.<sup>623</sup>

საბოლოო მიზანია, ჩატარებული სამუშაოების შედეგების გამოქვეყნება როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ გამოცემებში. ეს იქნება ქართული არქეოლოგიის, რომელიც ემსახურება ჩვენი ქვეყნის მიწაში დაფლული ისტორიის გამომზეურებას და ახალი ფაქტებით შევსებას, კიდევ ერთი დიდი მიღწევა, ჩვენი ქვეყნის

<sup>622</sup> სახაროვა ლ. 1976. ლეჩხუმის 1970-71 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, მაცნე (ისტორიის სერია), # 3. თბ., გვ. 96-104. სახაროვა ლ., სულავა ნ. 2014. ცხეთის ნასახლარი (ლეჩხუმის 1970-71 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები), ცაგერის ისტორიული მუზეუმის შრომები I. გვ. 67-86.

<sup>623</sup> იხ.: სულავა ნ. 2014. ცაგერის ისტორიული მუზეუმის პრეისტორიული მეტალურგიის ექსპონატები. ცაგერის ისტორიული მუზეუმის შრომები, I. თბ., გვ. 35. + სახაროვა ლ., სულავა ნ. 2014. ცხეთის ნასახლარი (ლეჩხუმის 1970-71 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები). ცაგერის ისტორიული მუზეუმის შრომები, I. გვ. 73,74.

პოპულარიზაცია. ძეგლის შენარჩუნების შემთხვევაში (გადახურვა მსუბუქი კოსტრუქციით) შესაძლებელი იქნება მისი ტურისტულ მარშრუტში შეტანა.

განათხარი ფართობიდან მოხდა ინტერდისციპლინარული კვლევისთვის აუცილებელი საანალიზო ნიმუშების აღება (რადიოკარბონული და სხვ.), რომელსაც ინგლისელი კოლეგები დაამუშავებენ. ჩატარდება მათი ლაბორატორიული შესწავლა (მათ შორის XRFF - აპარატზე) და შედარება კოლხეთის ანალოგიურ ძეგლებთან, რაც საშუალებას მოგვცემს განისაზღვროს დოღურაშის ადგილი თანადროულ კოლხურ კულტურაში.

დოღურაშზე ჩატარებული სამუშაოები სრულად შეესაბამება საქართველოს კანონს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ და გვაძლევს ახალ ინფორმაციას ძეგლის შესახებ. ძეგლზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლენილი მოძრავი არქეოლოგიური ძეგლები (არტეფაქტები) ადგილზე დამუშავდება კამერალურად<sup>624</sup> და განთავსდება ცაგერის ისტორიული მუზეუმის ფონდში, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მათი დაცვის სათანადო პირობები.

გათხრების მიმდინარეობის დროს შესრულებული ჭრილების მეშვეობით მოხერხდა ძეგლის სტრატეგრაფიის დადგენა. სტრატეგრაფიული ჭრილების მეშვეობით ინფორმაცია მივიღეთ კულტურული ფენების სიმძლავრისა და გავრცელების არეალის შესახებ; აგრეთვე, უნდა გაირკვეს მათი ქრონოლოგია და კულტურული კუთვნილება კამერალური სამუშაოს ჩატარებისა და ინგლისელი კოლეგების მიერ ანალიზების პასუხების მიღების შემდეგ.

მომზადდა ჩატარებული სავსე სამუშაოების სრული დოკუმენტაცია (დღიურები, ფოტომასალა, ტოპოგრაფიული (ტახომეტრიული აზმევები), არქიტექტურული ანაზომ-ჩანახატები, გეგმები, ჭრილები);

განისაზღვრება ძეგლზე მუშაობის სამომავლო სტრატეგია. საკვლევ ტერიტორიაზე (100 კვ.მ) გაკეთდა 2 ახალი თხრილი. ყველა თხრილი იმდენად ახლოსაა ერთმანეთთან, ზოგჯერ მხოლოდ უღლებითაა გაყოფილი, რომ კოორდინატები ერთიდაიგივეა - GPS – N 42° 40' 41. 0"/ E 042 47' 05. 4". 860 მ). საბოლოო ჯამში ყველა

---

<sup>624</sup> კამერალური სამუშაოები ჩატარდება ცაგერის ისტორიულ მუზეუმში ა.წ. შემოდგომაზე (როგორც წინა წლებში) და დააფინანსებს საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

ეს თხრილი გაერთიანდება და შემდეგი ანგარიშები წარმოდგენილი იქნება კვადრატული ბადის ნუმერაციის მიხედვით.

ამგვარად, 2017 წლის არქეოლოგიურ სეზონზე „ლეჩუმის (პრეისტორიული მეტალურგიის შემსწავლელი - დოღურაში) არქეოლოგიურმა ექსპედიციამ“ შეისწავლა გვიანბრინჯაო-რკინის ხანის მეტალურგიული წარმოების ნაშთები – სახელოსნო უბანი, გაავლო საძიებო 2 თხრილი და გაზარდა საკვლევი არეალი (100 კვ.მ). თავის მასშტაბებით ძეგლს - „დოღურაში I“, ჯერჯერობით ანალოგი არ ეძებნება. აქ აღმოჩენილი წიდების რაოდენობა დაახლოებით 10-15 კუბ. მ შეადგენს (სურ. 17, 18), რაც სავარაუდოდ, რამდენიმე ქურის ნამუშევარი უნდა იყოს. ახლოს მდებარე მრგვალი, ფართო, ნახშირიანი ტერიტორია შესაძლოა გამოიყენებოდა მადნის პირველადი გამოწვის მოედნად. აღმოჩენილია ქურის შელესილობის, საქშენი მიღებისა, და რაც მთავარია, კოლხური კერამიკის ფრაგმენტები. აღებულია საანალიზო მასალის ნიმუშები (რომელსაც ჩვენი ინგლისელი პარტნიორი და კოსულტანტი, არქეომეტალურგი, დოქტ. ბრაიან გილმორი გააკეთებს), რაც დაგვეხმარება იმაში, რომ ჩვენს მიერ გათხრილი ფართობიდან სათანადო ინფორმაცია მივიღოთ, როგორც ძეგლის დათარიღების ასევე მისი საბოლოოდ ინტერპრეტაციის კუთხით.



სურ. 17 – მთლიანი წიდების გროვა




სურ. 18 – მთლიანი წიდა



ნახაზები:

ნახ. 1




бсб. 2

## Dogurashi 1

General plan

1. 10. 2017



sb. 3


# Dogurashi 1

Plan

2. 10. 2017 3. 10. 2017



0 1 5m




Humus		Charcoal layer	
Clay layer		Slag	
Clay-charcoal layer		Stone	

бсб. 4

## Dogurashi 1

Sections

2. 10. 2017    3. 10. 2017




Humus		Charcoal layer	
Clay layer		Slag	
Clay-charcoal layer		Stone	

Dogurashi 1

Plan


4. 10. 2017



Dogurashi 1

Sections


4. 10. 2017




Humus		Charcoal layer	
Clay layer		Slag	
Clay-charcoal layer		Stone	

Dogurashi 1

Plan  
5. 10. 2017







бсб. 9


# Dogurashi 1

Plan

7. 10. 2017 8. 10. 2017



0 1 5m




Humus		Charcoal layer	
Clay layer		Slag	
Clay-charcoal layer		Stone	

Dogurashi 1

Sections

7. 10. 2017    8. 10. 2017



Humus


Clay layer

Clay-charcoal layer

Charcoal layer

Slag


Stone



Dogurashi 1

Sections

9. 10. 2017    10. 10. 2017    11. 10. 2017



საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ლექსუმის (პრეისტორიული მეტალურგიის შემსწავლელი - დოდურაში)  
არქეოლოგიური ექსპედიციის

2018 წლის საველე-არქეოლოგიური სამუშაოების

ა ნ გ ა რ ი შ ი

ექსპედიციის ხელმძღვანელი ნინო სულავა

მძლავრ სპილენძ-ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის ბაზაზე წარმოშობილი, ბერძნული და ურარტული წყაროებისათვის ცნობილი ლეგენდარული კოლხეთი, რომელიც ძველმა სამყარომ ბერძნული მითოლოგიური თემებით (არგონავტიკა, პრომეთეს მითი) გაიცნო, კოლხეთში არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა მითიდან რეალობად აქცია.

ლექსუმში, ლეგენდარული კოლხეთის მთიან ნაწილში 2011, 2013-2015 წწ-ში, პრეისტორიული მეტალურგიის ძეგლების (ლითონის სადნობი ქურა-სახელოსნო) დაზვერვების შედეგად ფიქსაციამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოთქმული მოსაზრება, რომ დასავლეთ კავკასიაში გავრცელებული კოლხური ბრინჯაოს კულტურის (თავისი ლოკალური კერებითა და ინფილტრაციის ზონების ჩათვლით - ნ. ს.) ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი მეტალურგიული ბაზა ლექსუმიცაა.<sup>625</sup>

რამდენიმე წლის წინ დაწყებული სამუშაოების მიზანი იყო ჩვენს მიერ ჩატარებული სადაზვერვო და წინასწარული კვლევებით<sup>626</sup> ლექსუმში გამოვლენილი მთელი რიგი ძეგლების არქეოლოგიური შესწავლა, მით უმეტეს, რომ ამ რეგიონში ანალოგიური ძეგლი არქეოლოგიურად არასოდეს არ ყოფილა შესწავლილი; ისევე, როგორც არქეოლოგიური გათხრების საშუალებით და შემდგომი არქეოლოგიური და გეოლოგიური დაზვერვების გზით პრეისტორიულ სპილენძის დნობასთან დაკავშირებული უძველესი მაღაროს და საბადოების წყაროების დადგენა. ეს ყველაფერი ნამდვილად მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ ამ რეგიონის სპილენძის წარმოების არც ერთი კვლევა ჯერ არ განხორციელებულა. შესაბამისად, თითქმის არაფერია ცნობილი ამ მნიშვნელოვანი ინდუსტრიის შესახებ, რომელიც კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი ადრეული ლეგენდების გათვალისწინებით.

როგორც მოგეხსენებათ,<sup>627</sup> 2016 წელს დაიწყო არქეოლოგიური ძეგლის - „დოღურაში-1“ – შესწავლა, რომელიც მდებარებს ცაგერის მუნიციპალიტეტში, ცაგერიდან 7 კმ-ის დაშორებით, მდ. ცხენისწყლის მარცხენა ნაპირას, მისი შენაკადის - „დოღურაშის ღელეს“ მახლობლად (GPS – N 42° 40' 41. 0"/ E 042 47' 05. 4". 860 მ). გასათხრელი

<sup>625</sup> იხ.: Сахарова Л.С. 1966.

<sup>626</sup> Sulava N., Chagelishvili R., Kalandadze N., Beridze T. 2013. N. Rezesidze, N. Sulava, Br. Gilmour, T. Beridze, R. Chagelishvili, Prehistoric Metallurgy in Mountainous Colchis (Lechkhumi). 2018.

<sup>627</sup> იხ.: 2016 წლის საველე სამუშაოების ანგარიში.



ფართობი მდებარეობს იმ ხევის პირას, რომელშიც მიედინება აღნიშნული დელე; არქეოლოგიური ძეგლი უშუალოდ ხევის პირას სწორ ადგილზე, ტერასაზეა გამართული; ტერიტორიის ირგვლივ წაბლის და ნაძვის ტყეებია. აქ გამოვლინდა სახელოსნო უბანი და ქურა (შესაბამისი მასალა - წიდები, ქურის შელესილობა, თიხის მილები), გავლებულ იქნა სამიეზო 7 თხრილი (83 კვ.მ). თავისი მასშტაბებით ძეგლს - „დოღურაში - 1“, ჯერჯერობით ანალოგი არ ეძებნება. აქ აღმოჩენილი წიდების რაოდენობა 8 კუბ. მ შეადგენს. ეს რაოდენობა რამდენიმე ქურის ნამუშევარი უნდა იყოს.

დადგინდა, რომ „დოღურაში -1“-ის თარიღია – ძვ.წ. XIII-IX სს და აქ სპილენძის წარმოებასთან გვაქვს საქმე (ოქსფორდში გაკეთებული ანალიზების პასუხის მიხედვით). პარალელურად ჩატარდა გეოლოგიური კვლევებიც, რომელმაც გამოავლინა მადანშემცველი ძარღვები და ქანები. არქეოლოგიური გათხრებით შესწავლილი, თანაც ამ პერიოდის ძეგლის აღმოჩენა, პირველი შემთხვევა იყო არამარტო ლეჩხუმში.

2017 წელს არქეოლოგიური გათხრები გაგრძელდა გვიანბრინჯაო-რკინის ხანის მეტალურგიული წარმოების სახელოსნო უბანზე - „დოღურაში -1“, რომელიც უკვე ფინანსდება რუსთაველის სამეცნიერო ფონდის<sup>628</sup> გრანტის ფარგლებში. - გაითხარა 9 სადაზვერვო თხრილი თითქმის 100 კვ. მ. პრაქტიკულად მთელი ტერიტორია, სადაც ნაპოვნია დნობის საწარმო ნარჩენები.

აღნიშნული ტერიტორიის დიდი ნაწილი დაფარული ლითონის დნობის საწარმოო ნარჩენებით, წიდები სხვადასხვა ზომისაა და მყარი (მაგრამ ძირითადად საკმაოდ ფოროვანი), ზოგი მათქანი ძალიან ჭუჭყიანი, მუქი ხრეშიანი მასალისაგანაა დამზადებული, ხოლო ზოგიერთი კი მთლიანად შევსებული, მაგრამ უხეშად მომრგვალებული (ფორმის მიხედვით), ჰგავს ნახევარსფერულ ბრტყელ ნამცხვარს-კვერს. ასევე აღმოჩნდა დიდი რაოდენობით ტიგელების ნაცრისფერი უხეში თიხის ფრაგმენტები და ქურის თიხის საბერველი მილების რამდენიმე ფრაგმენტი, და სხვა დამწვარი ლითონის დნობის საწარმოო ნარჩენები, დამწვარი თიხის პატარა ფრაგმენტები, განსაკუთრებით ცუდადაა შემონახული ნახშირი. აღნიშნული სეზონის

<sup>628</sup> რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გრანტი - „მეტალურგიის წარმოშობა და განვითარება მთიან კოლხეთში: ახალი აღმოჩენები, კვლევები და პერსპექტივები“ - (№ 217128), 09.12.2016) სამეცნიერო ხელმძღვანელი ისტ.მეც.დოქტორი ნინო სულავა.

ბოლოსთვის სულ 10<sup>3</sup>-15<sup>3</sup>მ.მ. წიდის გროვა იქნა გათხრილი -სავარაუდებელია აქ მინიმუმ ერთი ან მეტი ქურის არსებობა, მაგრამ აღნიშნულ სეზონზე არ დაფიქსირდა ძლიერ დამწვარი ადგილები, რაც ქურის არსებობის მანიშნებელი იქნებოდა.

ასევე აღნიშნული სეზონის ბოლოს ტერასის სამხრეთ ბოლოში გათხრილ იქნა 3,5 მ სიგრძის, უხეში „აბაზანის“ (?) ფორმის, წაგრძელებული, სავარაუდოდ, მადნის პირველადი გამოწვის მოედანი, სადაც სავარაუდოდ ხდებოდა ქოლკოპრიტის (სპილენძის / რკინის სულფიდის) მადნის პირველადი გამოწვა, რაც მიზნად ისახავს მადანში არსებული გოგირდის ნაწილის გამოდევნას და მის გადაქცევას ფოროვან და მყიფე მასად შემდგომი დნობისთვის.

ამ აშკარა, უხეში „აბაზანის“ ფორმის ე.წ. მადნის პირველადი გამოწვის მოედნისა და წიდების გროვას შორის ტერასაზე არ არის დარჩენილი ადგილი ქურისათვის და არც რაიმე მადნის დნობის საქმიანობის კვალი არ აღმოჩნდა ამ ტერასის მაღლა. ეს ყველაფერი და აგრეთვე ჰუმუსის არ არსებობა წიდების ყრილის თავზე უნდა მიანიშნებდეს იმაზე, რომ ტერასის ნაწილი ჩაქცეულია ხრამში, სავარაუდოდ ქურების ნაწილი და მადნის დნობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფაქტები დაკარგულია ამის გამო.

თუმცა 2017 წელს წიდიდან და კერიდან აღებულ ნახშირებზე გაკეთდა ოქსფორდის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში რადიოკარბონის ორი ანალიზი. შედეგად მივიღეთ კალიბრირებული თარიღი ჩვ.წ. 1288 - 1118 წ.წ, რაც ნიშნავს, რომ მადნის პირველადი გამოწვის მოედანი სავარაუდოდ გამოყენებული იყო ძვ. XIII-XII სს.-ში. მოგვიანებით, როგორც ჩანს, მას მოგვიანო ხანის წიდების ნაგავსაყრელად იყენებდნენ. ხოლო ნახშირის მეორე ნიმუშმა, ამოღებული დიდი წიდის ბლოკიდან, მოგვცა კალიბრირებული თარიღი ძვ. 1004 – 844 წწ. აქიდან გამომდინარე წიდების ნაყარი სავარაუდოდ ძვ. წ. X-IX სს-ის პირველ ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს.<sup>629</sup>

საერთო ჯამში - რადიოკარბონის თარიღების შედეგების საფუძველზე, მინიმუმ ერთი საუკუნეა პირველადი ლითონის გამოწვის კერასა და ბოლო სპილენძის დნობის ფაზას შორის.

---

<sup>629</sup> იხ.: 2017 წლის საველე სამუშაოების ანგარიში.

ჩვენს მიერ 2018 წელს წარმოებული სამუშაოების <sup>630</sup> ამოცანა იყო: 1. 2016, 2017 წელს დაწყებული არქეოლოგიური სამუშაოების გაგრძელება „დოღურაში 1“-ზე (სურ. 1-4), ამავე ფართობზე შესაძლო ახალი ქურების გამოვლენა, საჭიროებისამებრ ფართობის გაზრდა და მასალების აღება ახალი ანალიზებისათვის, ძეგლის სტრატиграფიის, არეალის და რაობის დადგენა; 2. სამუშაოების დაწყება „დოღურაში 2“-ზე. სამუშაოები სამი მიმართულებით მიმდინარეობდა - არქეოლოგიური გათხრები, გეოფიზიკური კვლევები, <sup>631</sup> გეოლოგიური დაზვერვები.



1



2



3



4

სურ. 1-4. „დოღურაში 1“- გათხრების დაწყებამდე.

2018 წელს სამუშაოები დაიწყო იმით, რომ ჩატარდა გეოფიზიკური სკანირება <sup>632</sup> „დოღურაში 1“-ის, „დოღურაში 2“-ის” და „დოღურაში 3“-ის ტერიტორიაზე.

<sup>630</sup> „ლეჩხუმის (პრეისტორიული მეტალურგიის შემსწავლელი - დოღურაში) არქეოლოგიური ექსპედიციის” 2018 წლის საველე-არქეოლოგიურ სამუშაოებში მონაწილეობდნენ - ხელმძღვ. ისტ. მეცნ. დოქტ. ნ. სულავა, პროექტის კონსულტანტი პროფ. ბრ. გილმორი (ოქსფორდი), არქეოლოგები - ნ. რეზესიძე, რ. ისაკაძე, გეოლოგები - გეოლოგიის დოქტორი რ. ჩაგელიშვილი, თ. ბერიძე, ტოპოგრაფი გ. კოპალიანი, საველე ასისტენტი მ. წულუკიძე, გეოფიზიკოსი მ. კოქსი (ოქსფორდი).

<sup>631</sup> გეოფიზიკური დაზვერვისათვის გამოყენებულ იქნა პროტონული გრადიმეტრიული (მაგნიტომეტრული) გადაღება სამ უბანზე - დოღურაში -1, -2, -3. დაისვა საკვლევი წერტილები.

<sup>632</sup> კვლევა სათანადო აპარატურით ჩატარა სპეციალისტმა ოქსფორდიდან მარკ კოქსმა. გაკეთდა 20 x 10-12 მეტრიანი მაგნიტომეტრული ბადე.

მონაცემების მიხედვით მოხდა შესასწავლი ფართობის გაზრდა „დოღურაში -1“-ზე (150 კვ.მ) და დაიწყო სამუშაოები „დოღურაში -2“-ზე.

2018 წელს გაიწმინდა და გაფართოვდა „დოღურაში -1“-ზე: 2016 წელს გამოვლენილი ქურის მიმდებარე ტერიტორიის ის ნაწილი, რომელიც შესწავლილ იქნა 2017 წელს (ძირითადი თხრილის ხევისპირა S-O ნაწილი), რომელიც წარმოდგენილი იყო მოზრდილი ქვების რაღაც წყობის ნაშთით, რომელსაც ალაგ-ალაგ ფარავდა დამწვარი ალიზებისა და ნახშირების სქელი ფენა და დადგინდა მისი მიმართება ამ ქურასთან, ზოგადად ძეგლთან და ფუნქცია (სურ. 5).



სურ. 5. 2017 წელი, „დოღურაში 1“, ქვების წყობა და დამწვარი ალიზები.

5

ძირითადი თხრილის <sup>633</sup> S-O მხარეს, ხევის პირას, გაკეთდა სამიეზო #1(2018) თხრილი (2,0×3,0×2,70 მ), სადაც გეოფიზიკურმა კვლევამ ყველაზე მეტი სიგნალი მოგვცა.<sup>634</sup>

<sup>633</sup> 2016 წლის 7 თხრილი 2017 წელს გაერთიანდა და ამჯერად ვუწოდებთ „ძირითად თხრილს“.

<sup>634</sup> „დოღურაში 1“-ის გეოფიზიკური კვლევა რთულია, რადგან ტერიტორია ძალიან დამრეცია, რომლის ფერდები მიწის დიდი საფარითაა დაფარული აქ ტყის არსებობის გამო. ტერასა შედარებით მცირეა. გეოფიზიკურმა დაზვერვამ დაადასტურა, რომ ჩვენს მიერ გასათხრელად შერჩეული ფართობი ოპტიმალურია.





6



7



8



9

სურ. 6,7,8,9. სამიეზო #1(2018) თხრილი.

მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,70 მ სიღრმეზე, ამ თხრილის დასავლეთ მხარეს გამოჩნდა ნახშირებ-წიდეზიან-ალიზეზიანი ფენა (სურ. 10, 11).



10



11

სურ. 10,11. ნახშირებ-წიდეზიან-ალიზეზიანი ფენა.

ამ ფენას უშუალოდ ესაზღვრება 2017 წელს გათხრილი ქვყარილიანი ფენა (იხ.: ზემოთ, სურ. 5). აღნიშნული ადგილის გაწმენდისას გამოიკვეთა შემდეგი სურათი: დიდი და საშუალო ზომის ქვები ჩაყრილი იყო #1(2018) თხრილის S-W მხრიდან წაგრძელებული ოვალის (დაახლ. 1,50×0,70 მ) ფორმის მცირე და საშუალო ქვებით შემოკავებულ სივრცეში, რომელიც ეტაპობრივი დაღრმავებისა და გაწმენდის შემდეგ სავარაუდოდ ქურა აღმოჩნდა, რომელიც დაინომრა - # 2 (2018). ამ ჩაყრილი ქვების აღების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ე.წ. ქურა, რომელიც ჩაჭრილი იყო ყვითელ თიხნარ ნიადაგში აბაზანისებურად, სავსე იყო ნახშირებით,<sup>635</sup> დამწვარი მცირე ზომის ქვებით, წიდებით, ქურის შელესილობის ფრ-ებით, ხოლო O მხრიდან შერჩენილი ქონდა თიხის მილის ფრაგმენტი, რომელზეც გველის რელიეფური გამოსახულებაა დაძერწილი (სურ. 12,13,14,15).



12



13



14



15

სურ. 12,13,14,15. ქურა. ქურაში თიხის მილის ფრ-ი.

<sup>635</sup> ნახშირის ნიმუშები აღებულ იქნა ბრ. გილმორის მიერ ოქსფორდში ანალიზების გასაკეთებლად დათარიღებაზე.



#1(2018) თხრილის დასავლეთ მხარეს, 2017 წელს გათხრილი დამწვარი თიხების ფენის გაწმენდისას, წელს გამოიკვეთა ასეთი სურათი: ქვის წყობით, რომელიც შედგებოდა მოზრდილი და საშუალო ზომის ქვებისაგან (სურ. 5,15,16,17,18), გაკეთებული იყო ერთგვარი ბაქანი, რომლის ხევისპირა მხარე (S-W მიმართულებით) ამ გადამწვარი თიხების კონგლომერატისაგან შედგებოდა, ხოლო ქვის წყობის ჩრდილო მხარეს დაუმწვარი თიხის <sup>636</sup> გროვა იყო.



16



17



18




19

სურ. 16-19. საშუალო ზომის ქვებისაგან გაკეთებული ბაქანი. დამწვარი და ყვითელი თიხები.

<sup>636</sup> თიხები მოიპოვება თვითონ სოფ. დოღურაშის მახლობლად, ადგილ ნალობიებზე, 1 კმ-ის დაშორებით „დოღურაში 1“-დან აღმოსავლეთით.



ჩვენის აზრით, 2016 წელს გამოვლენილი ე.წ. ქურა (# 1(2016)) და წელს გამოვლენილი ე.წ. ქურა (# 2(2018)) ერთი სისტემის ნაწილია, რომელიც გამართული იყო უშუალოდ ხევის პირას. დამწვარი თიხების სიმძლავრე გვაფიქრებინებს, რომ ეს იყო მადნის პირველადი გამოწვის მოედანი. არ არის გამორიცხული, რომ ამ ფართობზე კიდევ იყო რამდენიმე ქურა, რომელიც ხევის ჩამოშლის შედეგად განადგურდა. ამ ე.წ. # 2 (2018) ქურის ალაგების პროცესში, მისი შიგთავსიდან (ისევე როგორც პირველადი გამოწვის მოედნიდან) ამოღებულ იქნა გაწითლებული მადანშემცველი<sup>637</sup> ქვები, დაშლილი წიდეების ფრაგმენტები, მთელი წიდეები, ნახშირები, სანაყისებური ქვის იარაღი (სურ. 19).



სურ. 20. სანაყისებური ქვის იარაღი.

20

ე.წ. ქურის კედელი, რომელიც დასავლეთის მხრიდან უფრო მეტად იყო შემორჩენილი, შემოკავებული იყო საშუალო ზომის ქვებით და დამწვარი ალიზებით. სწორედ ამ ალიზების ზედაპირზე დაფიქსირებული იყო თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (სურ. 21,22).



21



22

სურ. 21,22. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

<sup>637</sup> აღებულ იქნა საანალიზოდ.

„დოღურაში 1“-ის მთლიან ფართობზე გაკეთდა საკონტროლო თხრილები იმ წერტილებზე, რომელიც გეოფიზიკურმა სკანირებამ აჩვენა. ე.წ. ქურჩიანი # 1 (2018) თხრილის გარდა გაკეთდა 6 თხრილი - 1,5×2 მ სხვადასხვა სიღრმისა, რომლებიც უშედეგო აღმოჩნდა (სურ. 23-28). ამ კვლევან დაგვარწმუნა, რომ გასათხრელი ფართობი თავიდანვე სწორად იყო შერჩეული.



23



24



25



26



27



28

სურ. 23-28. თხრილები ## 3-7.

ძირითად თხრილზე გაკეთდა 1 საკონტროლო თხრილი # 2 (2018), რომელიც მდებარეობს ძირითადი თხრილის შუაში, დამხრობილია N-დან S-კენ, <sup>638</sup> სიგანეა 1,30 მ, ხოლო სიღრმე - 4,20 მ. ამ საკონტროლო თხრილის, ისევე როგორც 2017 წელს გაკეთებული საკონტროლო თხრილის (# 1(2017)) მიზანი იყო „დიდი წიდეების“ ფენის გავრცელების საზღვრის დადგენა N-O მხარეს. იქმნება ისეთი სურათი, რომ მოზრდილი და საშუალო ზომის ქვებით შემოკავებული იყო ძირითადი თხრილის

<sup>638</sup> მდებარეობს 2017 წელს გაკეთებული # 1 (2017) საკონტროლო თხრილის მოპირდაპირე მხარეს N-O მხრიდან.

ჩრდილო ნაწილი,<sup>639</sup> ხოლო მის სამხრეთ დასავლეთით მდებარეობდა ის ფართობი, რომელიც უკავია „დიდი წიდეების“ ფენა. ეს ფართობი, 1,5 მ-ის სიღრმისა, და დაახლოებით 30 კვ.მ-ი ზომისა, ამოვსებული იყო დიდი ზომის მთლიანი წიდეებითა და დაშლილი წიდეების ხრეშისმაგვარი მასით. ფაქტია, რომ ამ წიდეების შეგროვება და დასაწყობება საგანგებოდ ხდებოდა. რა მიზანს ემსახურებოდა ეს ჯერ-ჯერობით გაუგებარია (სურ. 29,30).<sup>640</sup>



29



30

სურ. 29,30. საკონტროლო თხრილი # 2 (2018).

ძირითადი თხრილის O მხარეს, წინასწარი გამოწვის მოედნის N მხარეს მივუმატეთ ფართობი -  $1,50 \times 2,20 \times 1,70 \times 1,40$  მ. ამ ფართობის დამატება საჭირო აღმოჩნდა ქვყარილის ზედა, ჩრდილო საზღვრის გავრცელების დასადგენად. აქ მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 35 სმ-ზე გამოჩნდა თიხის მილი, რომელიც ამოვსებული იყო ნახშირით, ხოლო 40 სმ სიღრმეზე თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (სურ. 31-).

<sup>639</sup> სადაც უკვე ყვითელ ძირითად ფენაზე ვართ დასული. აქ ფენები ძალზე დარღვეულია და ერთმანეთშია არეული ყვითელი და ნახშირიანი ფენის „დაძრული“ ფრაგმენტები, თიხის მილების ფრაგმენტები, დაშლილი წიდეები.

<sup>640</sup> ჩვენი ოქსფორდელი კოლეგები აპირებენ ექსპერიმენტის ჩატარებას იმ მიზნით, რომ გავერკვეთ თუ რისთვის შეიძლება საჭირო ყოფილიყო ამ წიდეების დაგროვება.





31



32

სურ. 31,32. ბაქანი, თიხის მილი.

ამგვარად, უბანზე - „დოღურაში 1“ გამოვლინდა დიდი რაოდენობით შემორჩენილი წიდეები. მაგრამ ამ პრეისტორიული სპილენძის დნობის ადგილის ერთადერთი სამუშაო არეალის ნაშთები აღმოჩნდა დიდი, უხეშად მართკუთხა, აბაზანის ფორმის კერის სახით, რომელიც ჩვენი ინტერპრეტაციით, გამოიყენება მადნის, სავარაუდოდ ქალკოპირიტის სპილენძის, პირველადი (წინასწარ დაქუცმაცებული) გამოწვის მოედანად.<sup>641</sup> როგორც ჩანს, თანაც საკმაოდ აშკარად, ტერასის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი ჩაშლილია და სავარაუდოდ მთავარი დნობის კვალი დაიკარგა. შესაძლებელია, ამ ტერიტორიის ჩაშლა მრავალი საუკუნის წინ მოხდა, რადგანაც დღესდღეობით არანაირი კვალი ამ ტერიტორიის ჩარეცხვისა არ ჩანს.

2018 წელს დაიწყო სამუშაოები მეორე უბანზე - „დოღურაში 2“, სადაც წინა წელს გაკეთებული იყო ერთი მცირე ზომის საკონტროლო თხრილი - # 1(2017) (სურ. 33).



33

სურ. 33. საკონტროლო თხრილი - # 1(2017).

<sup>641</sup> ანალიზების შედეგები (დათარიღება, გეოლოგიური მონაცემები) წარმოდგენილი იქნება რამდენიმე თვის შემდეგ, 2019 წლის საქართველოს ეროვნული მუზეუმის საანგარიშო სესიაზე.

ეს უბანი მდებარეობს ტერასაზე (N: 42° 40' 40.0". E: 042° 47' 34.2". Height: 1071m), რომელიც ზღვის დონიდან 1100 მ-ის სიმაღლეზეა, მისი ფართობია 30×60 მ-ზე. ტერასა და აქ ჩვენს მიერ დაფიქსირებული ძეგლი მთლიანად დაფარული იყო მაყვლისა და სხვა მცენარეების მაღალი ბუჩქებით, რის გამოც საჭირო გახდა ნაკვეთის გაწმენდა (სურ. 34) და მომზადება გეოფიზიკური კვლევისათვის (სურ. 35).



34



35

სურ. 34,35. ნაკვეთის გაწმენდა და მომზადება გეოფიზიკური კვლევისათვის.

თავდაპირველი გაწმენდის შემდეგ უბანი მომზადდა გეოფიზიკური კვლევისათვის (30 მეტრიანი მაგნიტომეტრული ბადე), რომელმაც აჩვენა, რომ გასათხრელი ძეგლი მდებარეობდა ტერასის ჩრდილო კიდეგან და დაახლოებით 10 კვ.მ-ს შეადგენდა ხევის მონაკვეთის ჩათვლით (სურ. 36).



36

სურ. 36. მ. კოქსი ატარებს კვლევას.

არქეოლოგიური გათხრებისათვის ტერასის მომზადების შემდეგ გაკეთდა რამდენიმე ჭადრაკული თხრილი, რომელიც შემდეგ გაერთიანდა # 2 თხრილის სახით (სურ. 37,38).





37



38



39



40

სურ. 37,38,39,40. „დოღურაში 2“, ჰუმუსის მოხსნის შემდეგ.

0,30 მ ზედა ფენის (ჰუმუსი) მოხსნის შემდეგ, რომელიც შეიცავდა მცირე რაოდენობით წილების ფრაგმენტებსა და წვრილ ქვებს, თხრილის ზომები ჩამოყალიბდა - 4,0×4,0 მ (სურ. 39,40).



41



42

სურ. 41,42. „დოღურაში 2“, თხრილი #2(2018).

თხრილს ქვემოთ, ხევისაკენ, ჩრდილო-დასავლეთ მხარეს კიდევ 2 კვ.მ ფართობი დაემატა, რომელიც მიუთითებდა წილების გავრცელებას ხევისაკენ. ცხადი გახდა, რომ შერჩეული ფართობი არ იყო დაზიანებული საუკუნეების განმავლობაში ამ ტერასის ზედაპირზე წარმოებული ხვნის შედეგადაც კი.



43



44

სურ. 43,44. მუქი ფენა (წიდეები, ნახშირები, წიდების დაშლასთან დაკავშირებული მასა).

ზედა ფენის მოხსნის შემდეგ გამოჩნდა მუქი ფენა, რომელიც შედგებოდა უფრო ძველი წიდების, ნახშირებისა და წიდების დაშლასთან დაკავშირებული მასისაგან (სურ. 43,44). ამ ფენას მოსდევდა სტერილური, რამდენიმე ადგილას დარღვეული მოყავისფრო თიხნარი ფენა, რომელიც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ აქ შეიძლება ტერიტორიის მეორედ გამოყენებასთან გვექონდეს საქმე რკინის ხანაში ან თუნდაც კლასიკურ ხანაში.

ამ ორი ფენის მოხსნის შემდეგ უფრო ცხადად გამოჩნდა ძველი ფენა. თხრილის სამხრეთით გამოჩნდა მსხვილი ქვები, შესაძლოა, გამოსაწვავი ქურის ნაშთი, რომელთა წყობაც შესაძლოა ნაწილობრივ დარღვეულია ზედა ფენების მიერ (სურ. 45).



45



46

სურ. 45, 46. მსხვილი ქვები (გამოსაწვავი ქურის ნაშთი?).



გათხრების ბოლო ფაზა წარმოდგენილია ძალიან მუქი ფენით, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით სპილენძის წარმოების ბოლო პერიოდისათვის დამახასიათებელ წიდეებს და წიდეების დაშლის შედეგად მიღებულ ნარჩენებს და ქურის შელესილობის ფრ-ებს (სურ. 47-50).



47



48



49



50

სურ. 47-50. წიდეები, ქურის შელესილობები, მადანშემცველი ქანები.

ამ ფენაში მოპოვებული კერამიკის (თიხის მილები, ქურის შელესილობები) მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სპილენძის საწარმოს აქტიურობის ბოლო ფაზა უნდა შეესაბამებოდეს სპილენძ-ბრინჯაოს ხანიდან რკინის ხანაზე გარდამავალ პერიოდს, თუმცა ეს თარიღი ჯერ განსაზღვრული არ არის. ეს თარიღები გაირკვევა იმ ანალიზების შემდეგ, რაც ჩატარდება ოქსფორდში და, სავარაუდოდ, 2019 წლის გაზაფხულისათვის გახდება ცნობილი.

„დოღურაში 2“-ის არქეოლოგიური შესწავლა, რომელიც უკეთეს მდგომარეობაშია შემონახული ვიდრე „დოღურაში 1“, გაგრძელდება.

წელს დაიწყო სამუშაოები მესამე უბანზე - „დოღურაში 3” (N: 42° 40' 32.2". E: 042° 47' 21.3". Height: 1000 m), რომელიც მდებარეობს „დოღურაში 1”-სა და „დოღურაში 2”-ს შორის და ჩვენს მიერ დაფიქსირებულია 2016 წელს დაზვერვების დროს. ეს ადგილი მდებარეობს მცირე ზომის ტერასაზე (30×20 მ), რომელიც გახსნილია დასავლეთის მხარეს. აქაც გამოყენებული იქნა გეოფიზიკური დაზვერვა, რისთვისაც ტერიტორია გაიწმინდა ბუჩქნარი საფარისაგან. დაზვერვამ კარგი შედეგი მოგვცა დიდი მაგნიტური ანომალიების სახით და ვგეგმავთ ამ ძეგლის შესწავლასაც.



სურ. 51. „დოღურაში 3”.


51


ამგვარად, გაგრძელდა პრეისტორიული მეტალურგიის ძეგლის- „დოღურაში 1”-ის შესწავლა, დაიწყო „დოღურაში 2”-ის შესწავლა. გაკეთდა გეოფიზიკური დაზვერვები, როგორც ამ ორ ძეგლზე, ასევე „დოღურაში 3”-ის ტერიტორიაზე. აიკრიფა საანალიზო მასალა ორივე, გათხრების პროცესში მყოფი ძეგლებიდან (წიდეები, ქურის შელესილობის ფრაგმენტები, ნახშირები). არქეომეტალურგიული ძეგლების მიმდებარე რეგიონში მადანშემცველი და ამგები ქანებიდან მოხდა ნიმუშების შეგროვება (სულ 50 ცალი ნიმუში). დამზადდება გამჭვირვალე ანათალი პეტროგრაფიული კვლევების ჩასატარებლად და 15 ცალი ნიმუში კი გაიგზავნება სმჯ-ის ლაბორატორიაში მეტალთა პროცენტული შემცველობის დასადგენად. შესრულებულია ძეგლების საველე ნახაზები (ნახ. 1-24) და ფოტოდოკუმენტაცია.


მოპოვებული მასალა გადაეცა ცაგერის ისტორიულ მუზეუმს, სადაც კამერალური სამუშაოები ჩატარდება 2019 წლის გაზაფხულზე.


საველე ნახაზები:

ნახ. 1-15 - „დოღურაში 1“.










# თხრილი I-1


16. 09. 2018



გეგმა





## ჭრილი 1-1





4-1





































ნახ. 16-24 - „დოღურაში 2”.







17




18












21



22





საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ლექსუმის (პრეისტორიული მეტალურგიის შემსწავლელი) არქეოლოგიური  
ექსპედიციის

2019 წლის საველე-არქეოლოგიური სამუშაოების

ანგარიში

ექსპედიციის ხელმძღვანელი ნინო სულავა

## შესავალი

მძლავრ სპილენძ-ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის ბაზაზე წარმოშობილი, ბერძნული და ურარტული წყაროებისათვის ცნობილი ლეგენდარული კოლხეთი, რომელიც ძველმა სამყარომ ბერძნული მითოლოგიური თემებით (არგონავტიკა, პრომეთეს მითი) გაიცნო, კოლხეთში არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა მითიდან რეალობად აქცია.

ლექსუმში, ლეგენდარული კოლხეთის მთიან ნაწილში 2011, 2013-2015 წწ-ში, პრე-ისტორიული მეტალურგიის ძეგლების (ლითონის სადნობი ქურა-სახელოსნო) დაზვერვების შედეგად ფიქსაციამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოთქმული მოსაზრება, რომ დასავლეთ კავკასიაში გავრცელებული კოლხური ბრინჯაოს კულტურის (თავისი ლოკალური კერებითა და ინფილტრაციის ზონების ჩათვლით - ნ. ს.) ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი მეტალურგიული ბაზა ლექსუმიცაა<sup>642</sup>.

რამდენიმე წლის წინ დაწყებული სამუშაოების მიზანი იყო ჩვენს მიერ ჩატარებული სადაზვერვო და წინასწარული კვლევებით<sup>643</sup> ლექსუმში გამოვლენილი მთელი რიგი ძეგლების არქეოლოგიური შესწავლა, მით უმეტეს, რომ ამ რეგიონში ანალოგიური ძეგლი არქეოლოგიურად არასოდეს არ ყოფილა შესწავლილი გათხრების საშუალებით.

როგორც მოგეხსენებათ<sup>644</sup>, 2016 წელს დაიწყო არქეოლოგიური ძეგლის - „დოღურაში - I” - შესწავლა, რომელიც მდებარეობს ცაგერის მუნიციპალიტეტში, ცაგერიდან 7 კმ-ის დაშორებით, მდ. ცხენისწყლის მარცხენა ნაპირას, მისი შენაკადის - „დოღურაშის დელის” მახლობლად (GPS – N 42° 40' 41. 0"/ E 042 47' 05. 4". 860 მ). გასათხრელი ფართობი მდებარეობს იმ ხევის პირას, რომელშიც მიედინება აღნიშნული დელე; არქეოლოგიური ძეგლი უშუალოდ ხევის პირას სწორ ადგილზე, ტერასაზეა გამართული; ტერიტორიის ირგვლივ წაბლის და ნაძვის ტყეებია. აქ გამოვლინდა სახელოსნო უბანი და ქურა (შესაბამისი მასალა - წიდეები, ქურის შელესილობა, თიხის

<sup>642</sup> იხ.: Сахарова Л.С. 1966.

<sup>643</sup> Sulava N., Chagelishvili R., Kalandadze N., Beridze T. 2013. Rezesidze N., Sulava N., Gilmour Br., Beridze T., Chagelishvili R. 2018.

<sup>644</sup> იხ.: 2016 წლის საველე სამუშაოების ანგარიში.

მილები), გავლებულ იქნა 7 სამიეზო თხრილი (83 კვ.მ). თავისი მასშტაბებით ძეგლს - „დოღურაში - I“, ჯერჯერობით ანალოგი არ ეძებნება. აქ აღმოჩენილი წიდეების რაოდენობა 8 კუბ. მ შეადგენს. ეს რაოდენობა რამდენიმე ქურის ნამუშევარი უნდა იყოს.

დადგინდა, რომ „დოღურაში - I“-ის თარიღია – ძვ.წ. XIII-IX სს. და აქ სპილენძის წარმოებასთან გვაქვს საქმე (ოქსფორდში გაკეთებული ანალიზების პასუხის მიხედვით). პარალელურად ჩატარდა გეოლოგიური კვლევებიც, რომელმაც გამოავლინა მადანშემცველი ძარღვები და ქანები. არქეოლოგიური გათხრებით შესწავლილი, თანაც ამ პერიოდის ძეგლის აღმოჩენა, პირველი შემთხვევა იყო არამარტო ლეჩხუმში.

2017 წელს არქეოლოგიური გათხრები გაგრძელდა გვიანბრინჯაო-რკინის ხანის მეტალურგიული წარმოების სახელოსნო უბანზე - „დოღურაში - I“, რომელიც უკვე ფინანსდება რუსთაველის სამეცნიერო ფონდის <sup>645</sup> გრანტის ფარგლებში. ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები, გეოლოგიური დაზვერვები <sup>646</sup>.

ჩვენს მიერ 2018 წელს წარმოებული სამუშაოების<sup>647</sup> ამოცანა იყო: 1. 2016, 2017 წელს დაწყებული არქეოლოგიური სამუშაოების გაგრძელება „დოღურაში I“-ზე, ამავე ფართობზე შესაძლო ახალი ქურების გამოვლენა, საჭიროებისამებრ ფართობის გაზრდა და მასალების აღება ახალი ანალიზებისათვის, ძეგლის სტრატეგრაფიის, არეალის და რაობის დადგენა; 2. სამუშაოების დაწყება „დოღურაში II“-ზე. სამუშაოები სამი მიმართულებით მიმდინარეობდა - არქეოლოგიური გათხრები, გეოფიზიკური კვლევები <sup>648</sup>, გეოლოგიური დაზვერვები.

ამგვარია 2016-2018 წწ-ის არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე მიმოხილვა.

---

<sup>645</sup> რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გრანტი - „მეტალურგიის წარმოშობა და განვითარება მთიან კოლხეთში: ახალი აღმოჩენები, კვლევები და პერსპექტივები” - (№ 217128), 09.12.2016) სამეცნიერო ხელმძღვანელი ისტ. მეც. დოქტორი ნინო სულავა.

<sup>646</sup> იხ.: 2017 წლის საველე სამუშაოების ანგარიში.

<sup>647</sup> „ლეჩხუმის (პრეისტორიული მეტალურგიის შემსწავლელი - დოღურაში) არქეოლოგიური ექსპედიციის” 2018 წლის საველე-არქეოლოგიურ სამუშაოებში მონაწილეობდნენ - ხელმძღვ. ისტ. მეცნ. დოქტ. ნ. სულავა, პროექტის კონსულტანტი პროფ. ბრ. გილმორი (ოქსფორდი), არქეოლოგები - ნ. რეზესიძე, რ. ისაკაძე, გეოლოგები - გეოლოგიის დოქტორი რ. ჩაგელიშვილი, თ. ბერიძე, ტოპოგრაფი გ. კოპალიანი, საველე ასისტენტი მ. წულუკიძე, გეოფიზიკოსი მ. კოქსი (ოქსფორდი).

<sup>648</sup> გეოფიზიკური დაზვერვისათვის გამოყენებულ იქნა პროტონული გრადიმეტრიული (მაგნიტო-მეტრული) გადაღება სამ უბანზე - დოღურაში - I, - II, - III. დაისვა საკვლევი წერტილები.



2019 წელს არქეომეტალურგიული კვლევის სფეროში „ლეჩუმის (პრეისტორიული მეტალურგიის შემსწავლელმა) არქეოლოგიურმა ექსპედიციამ“<sup>649</sup> სამუშაოები ჩატარა 1-დან 7 ოქტომბრის ჩათვლით<sup>650</sup>.

ზაფხულის/შემოდგომის დასაწყისში პროექტით<sup>651</sup> გათვალისწინებული სამუშაოები, ძირითადად, ორ ნაწილად იყო დაყოფილი: გამოვლენილი საიტის არქეოლოგიური კვლევა-გათხრითი სამუშაოები და ფართო ტერიტორიის გეოლოგიური გამოკვლევები.

საიტზე არქეოლოგიური სამუშაოები ასევე დაიყო ორ მთავარ ნაწილად: ეს იყო პირველ რიგში, ბრინჯაოს/სპილენძის წარმოების ან დნობის იმ ადგილების დეტალური გამოკვლევა და გათხრები, რომლებიც გამოიკვეთა და იქნა შეფასებული, როგორც შემდგომი გამოკვლევისა და წინასწარი გამოძიების შედეგად შემდგომი მუშაობის ადგილი; მეორე რიგში, მოხდა ბოლო პერიოდში გამოვლენილი სპილენძის დნობის ადგილების წინასწარი გამოკვლევა (მათ შორის საცდელი თხრილებით).

მესამე, ჩატარდა გეოლოგიური გამოკვლევა და გამოძიება პროექტის არქეომეტრიული სამშენებლო ნაწილის განმავლობაში გამოვლენილი ტერიტორიებისა - გვიან ბრინჯაოს ხანაში გამოყენებული მადნების ძებნა.

მთავარი ადგილი, სადაც მიმდინარე წელს ჩატარდა დეტალური გათხრები, არის დოღურაში II<sup>652</sup>, ყველაზე მოშორებული და ყველაზე მაღალი, სამი გამოვლენილი და დაფიქსირებული პრეისტორიული სპილენძის დნობის ადგილებიდან დოღურაშის მხარეში. ეს ადგილები განაწილებულია დაახლოებით 1 კილომეტრ ფართობზე (ზღვის დონიდან 900–დან 1100 მ სიმაღლეზეა განლაგებული), თუმცა ისინი ბევრად უფრო დაშორებული ჩანს ერთმანეთისაგან მთის რთული ბილიკების გამო.

---

<sup>649</sup> „ლეჩუმის (პრეისტორიული მეტალურგიის შემსწავლელი ) არქეოლოგიური ექსპედიციის“ 2019 წლის საველე-არქეოლოგიურ სამუშაოებში მონაწილეობდნენ - ხელმძღვ. ისტ. მეცნ. დოქტ. ნ. სულავა, პროექტის კონსულტანტი პროფ. ბრ. გილმორი (ოქსფორდი), არქეოლოგები - ნ. რეზესიძე, ჯ. ჩხვიმიანი, გეოლოგები - გეოლოგიის დოქტორი რ. ჩაგელიშვილი, თ. ბერიძე, ტოპოგრაფი გ. კოპალიანი, საველე ასისტენტები - მ. წულუკიძე, ენტ. გილმორი (ოქსფორდი).

<sup>650</sup> სიდეხ-თვის 2019 წლის ანგარიში შესრულებულია ბრ. გილმორის მიერ წარმოდგენილი საველე ანგარიშის მიხედვით; იხ.: აქვე, დამატება # 5 ინგლისურ ენაზე.

<sup>651</sup> რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გრანტი - „მეტალურგიის წარმოშობა და განვითარება მთიან კოლხეთში: ახალი აღმოჩენები, კვლევები და პერსპექტივები“ - (## 217128), 09.12.2016) სამეცნიერო ხელმძღვანელი ისტ. მეც. დოქტორი ნინო სულავა.

<sup>652</sup> უბნის - დოღურაში II, ხელმძღვანელი პროფ. ბრ. გილმორი.

გათხრითი სამუშაოები აქ დაიწყო 2018 წლის სექტემბერში<sup>653</sup>, სადაც ადრეულმა შედეგებმა აჩვენა, რომ ამ საიტსაც ჰქონდა მსგავსი ზომა, ხასიათი და მსგავსი თარიღი - ბრინჯაოდან რკინის ხანაში გარდამავალი პერიოდი, როგორც დოღურაში I-ს<sup>654</sup>.

2018 წლის სამუშაოდან აშკარა იყო, რომ დოღურაში II-ის პრეისტორიული დნობის ადგილი გაცილებით უკეთესად არის გადარჩენილი, ვიდრე დოღურაში I-ში მდებარე საიტი, რომლის დიდი ნაწილი განადგურდა მოგვიანებით ეროზიით.

წლეუანდელი მუშაობის ძირითადი მიზანი იყო 2018 წელს დოღურაში II-ის ტერიტორიაზე გეოფიზიკის მიერ გამოვლენილი მაგნიტური ანომალიების ცენტრალური არეალის გამოკვლევა; საიტის გეგმარებისა და სირთულის უკეთესად წარმოდგენა, აგრეთვე, თარიღების მტკიცებულების უკეთესად მოძიება.

დოღურაში II-ში ჩატარებული დეტალური გათხრითი სამუშაოების გარდა, ჩატარდა წინასწარი გამოკვლევის გათხრითი სამუშაოები კიდევ ორ ადგილზე, რომლებიც აღმოჩენილია და იდენტიფიცირებულია ჩვენს მიერ 2014 - 2019 წლის სადაზვერვო სამუშაოების დროს.

პირველი მათგანი, შემდგომი წინასწარი მოკვლევისთვის დაგეგმილი ადგილი იყო **გაბონალიას** უბანი ზღვის დონიდან 1175 მ სიმაღლეზე, რომელიც მდებარეობს სოფ. ზუბის მიდამოში, ცაგერიდან დაახლოებით 10 კმ-ის დაშორებით სამხრეთ-დასავლეთით, მდ. ცხენისწყლის ხეობის მარჯვენა სანაპიროზე.

მეორე, წინასწარი მოკვლევისთვის დაგეგმილი დნობის ადგილი იყო **ჭიქელაში**, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 1400 მეტრის სიმაღლეზე, მდ. ცხენისწყლის ხეობის მარჯვენა სანაპიროზე, ქალაქ ცაგერის ზემოთ, პატარა მთის ქედის შიგნით, მთის პირას, დასავლეთ მხარეს. ამ მთის ქედზე მდებარეობს პატარა (ახლახან რესტავრირებული) ეკლესია, ხოლო ჩვენს მიერ გამოვლენილი ძეგლი 300-მეტრზე მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთით, ქედის ჩრდილოეთით.

---

<sup>653</sup> იხ.: 2018 წლის ანგარიში სმდეს-ოს არქივში.

<sup>654</sup> დოღურაში I-ზე წელს არ ჩატარებულა გათხრები გეოფიზიკური კვლევების აუცილებლობის გამო.


## დოღურაში II (ნახ. 1-11)



1

სურ. 1. დოღურაში II - ხედი სამხრეთით მთის ტერასის გასწვრივ, 2018 წლის გათხრების დაკონსერვებული არეალი.

ეს ადგილი მდებარეობს მთის ტერასაზე, მის დასავლეთით; მისი ფართობია დაახლოებით - სიგრძე 60 მ, სიგანე 25 მ; მდებარეობს 1075 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ეს ადგილი კარგად არის შემონახული, თუმცა მხოლოდ 2014 წელს იქნა გამოვლენილი ტერასის ჩრდილოეთ ნაწილის ზედაპირზე აქ მიმოფანტული უძველესი სპილენძის დნობის წიდეები. დნობის ადგილის ზომა და ზუსტი პოზიცია, რომელიც დაფარული იყო ტერასის შემდგომი ზედა ფენის 30 სმ სისქის ფენის ქვეშ, უცნობი იყო, სანამ გრაფიკული კვლევა გრადიომეტრიის გამოყენებით (მაგნიტომეტრია) არ ჩატარდა 2018 წლის სექტემბერში (ნახ. 1).



←ტერასის გარე კიდე

სურ.2. დოღურაში II: მაგნიტური ანომალიები (ფერადი წითელი/ცისფერი) ზედა ფენის ქვეშ, რომელიც გამოვლენილია მაგნიტომეტრით 2018 წლის სექტემბერში. ტერასის დასავლეთ გარე მხარე (ქვემოდან), მისი შვერილი ამ ხედის ბოლოშია. ნაჩვენები ფართობი დაახლოებით 20 კვ.მ-ია.

2018 წელს მაგნიტური ანომალიების ჯგუფის მიხედვით, რომელიც უახლოეს მთის ტერასის პირასაა (ნახაზის ქვედა ნაწილი, რომელიც ჩანს ნახ. 2-ზე), მონიშნული იყო ფართობი 2018 წლის პირველი გათხრების ადგილისთვის (ფართობი 1), რომელმაც გამოავლინა დიდი 3x1 მ აბაზანის ფორმის, დიდი ალბათობით, მადნის გამოსაწვავი ქურა თუ კერა, რომელიც ტერასის გარეთა კიდის პარალელურად არის მიმართული და მისგან აღმოსავლეთით, დაახლოებით 6 მ მდებარეობს, გათხრების არეალის აღმოსავლეთით. ეს, სავარაუდოდ, ქურების თუ კერების ადრინდელ ფაზას წარმოადგენდა, რომელიც მიტოვებული იყო აქ, ამ კერაზე, როდესაც მიტოვებული იქნა ძირითადი სამუშაო ფართობი, ზონა აღმოსავლეთით (ტერასის შიგნით) და ეს ადრეული კერა თუ ქურა დაფარა მოგვიანებით დნობის ნარჩენების (წიდა, დაშლილი, ხრეშისებურ მასად ქცეული წიდეები და მასთან დაკავშირებული ნარჩენები, შელესილობის ნატეხები) მრავალი ტონის ქვეშ. გათხრების ამ არეალმა (ფართობი 1) მოიცვა ტერასის 6 კვ.მ (მაქსიმალური) აღმოსავლეთ-დასავლეთი ტერიტორია, რომელიც ვრცელდება მთის ტერასის პირას, ჩრდილოეთ – სამხრეთიდან 4 მეტრზე (ნახ. 3).

ამრიგად, 2019 წელს ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევებმა დაადგინა, რომ გვიანდელი ბრინჯაოს ხანის დნობის ადგილი მთის ტერასის ჩრდილოეთ მესამედს (ფართობი 20 მ სიგრძით) ფარავდა. როგორც ჩანს, აქ დნობისა და მონათესავე ოპერაციები დაიწყო ტერასის ნაპირთან ახლოს, მაგრამ შემდეგ გადაიტანეს ტერასის კიდიდან მის შიდა მხარეს (აღმოსავლეთით).



3

სურ. 3. დოღურაში II: ხედი აღმოსავლეთით, რომელიც ნაწილობრივ გათხრილია ადრე (2018), მადნის გამოსაწვავი კერა წინა პლანზე (გათხრების არეალის აღმოსავლეთ მხარეს 1), აღმოსავლეთის კუთხეში, მადნის გამოსაწვავი კერის მოგვიანებითი ფაზის ნაშთებისკენ (?), მე - 2 ფართობი.

ამ აღმოჩენების საფუძველზე 2019 წლის სექტემბერში შეიქმნა გათხრების მეორე ადგილი - მართკუთხა ზონა (4 მ აღმოსავლეთ-დასავლეთით და 6 მ ჩრდილო-სამხრეთიდან გაიხსნა), ფართობი 1-ის მხარეზე, ტერასის მთის მხარეს. მიზანი იყო გრადიომეტრიის შედეგად გამოვლენილი მაგნიტური ანომალიების ცენტრალური არეალის (იხ.: ნახ. 2) გამოძიება, რომელიც 2018 წლის გათხრითმა სამუშაოებმა გამოავლინა, კერძოდ, რომ ეს შეიძლება იყოს გვიან ბრინჯაოს ხანაში აქ ჩატარებული დნობის ოპერაციების საბოლოო ფაზის ნაწილი. ამ ახალი ტერიტორიის გამოსაკვლევად სპეციფიკური მიზანი იყო უფრო მეტი დიაგნოსტიკური და მონაცემთა დამუშავების ნარჩენების მოძიება, რაც დაგვეხმარება დნობის პროცესების უკეთ გააზრებაში, აგრეთვე უფრო მეტი ან უკეთესი დათარიღების უზრუნველყოფაში, დარჩენილი (სტრატეგიფიცირებული) ნახშირის აღდგენით ბრინჯაოს ხანის დნობის ოპერაციებიდან.

2019 წლის სეზონის გათხრების სამუშაოები კონცენტრირებულ იქნა ამ ახალ არეალში - არეალი 2; თუმცა, მცირე ზომის (1,5 × 2 მ) საცდელი ტერიტორია ასევე გათხრილ იქნა მთის ტერასის შიგნით, ფართობიდან დაახლოებით 8 მეტრში, არეალი 2-ის აღმოსავლეთით, მის გარეთ. მაგნიტური ანომალიების საშუალებით (გრადიომეტრით ნაპოვნი - იხ. ნახ. 2) მე -2 რეგიონის 2019 წლის გათხრების დროს გაირკვა, რომ ფართობი 1-ის აღმოსავლეთის მხარის გასწვრივ ნაპოვნი (სავარაუდოდ) გამოსაწვავი კერები შეიცვალა კიდევ ერთი სავარაუდოდ მადნის გამოსაწვავი კერით, რომელიც აღმოჩნდა ახალი გათხრების დროს არეალის აღმოსავლეთ კუთხეში ( სურ. 3). ასევე გაირკვა, რომ ბრინჯაოს ხანის ერთ-ერთი მთავარი სამუშაო ადგილი უფრო მაღალ დონეზეა, ვიდრე ეს გვიანდელი კერა, რომელიც დახრილია მისკენ (როგორც ეს ნაჩვენებია სურ. 3-ზე).

2019 წლის გათხრების დიდი ნაწილი (ზედა ფენის მოხსნის შემდეგ) დიდი რაოდენობით დაშლილი წილების მიერ შექმნილი ხრეშის ფენის გათხრას გულისხმობდა, რომელიც დნობის ადგილის არათანაბარი უბნებით იყო წარმოდგენილი, რაც ადრე, სავარაუდოდ, გამოიყენებოდა ტერასის ამ ადგილის მოსწორებისათვის, ალბათ (შესაძლოა, მოგვიანებით სასოფლო-სამეურნეო), გამოყენების მიზნით. ჯერჯერობით უცნობია, როგორ გამოიყურებოდა სპილენძის დნობის ღუმელები ან როგორ მუშაობდნენ ისინი.



4

სურ. 4. დოღურაში II - ხედი თუ როგორ გამოიყურება ტერასის ჩრდილო-დასავლეთის მხარე ჩრდილოეთიდან 2019 წლის სამუშაოების დასრულების შემდეგ. წინა პლანზე ჩანს 2019 წლის მცირე საცდელი ტერიტორია, გათხრილი აღმოსავლეთით წარმოქმნილი მაგნიტური ანომალიების არეალში. ძირითადი ადგილის გათხრები (1 და 2) ჩანს პოლიეთილენის ფენით დაფარულ ფონზე (კონსერვაცია მომავალი წლისათვის).

როგორც ილუსტრაციიდან ჩანს (სურ. 4), ამ თხრილში ხელუხლებელი ფენა გამოჩნდა უშუალოდ ჰუმუსის მოხსნისთანავე, რამაც ცხადყო, რომ, როგორც ეს გეოფიზიკის შედეგებმაც აჩვენა, პრეისტორიული სპილენძის დნობის ადგილს უკავია ტერასის პირსა და ამ თხრილს შორის მდებარე ტერიტორია.

#### ჭიქელაში (ნახ. 12-15)

აქ დნობის ადგილი პირველად ჩვენი ექსპედიციის მიერ დაფიქსირდა 2019 წლის მაისში. ნაწილობრივ შეირჩა შემდგომი კვლევის ადგილი. ადგილობრივი ტოპოგრაფია საკმაოდ განსხვავდებოდა ლეჩხუმის მთის მხარეში არსებული პრეისტორიული სპილენძის დნობის უმეტესი ადგილებისგან. ის განსხვავებულია სხვა საიტებისაგან და საკმაოდ კარგადაა შემონახული. მდებარეობს ქედის გასწვრივ ბუნებრივ ღრუში, ახლომდებარე ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით. საიტი არაჩვეულებრივია აგრეთვე იმის გამო, რომ ღრუ შედარებით ღიაა (არ არის დაფარული ხეებით ან ბუჩქებით), განსაკუთრებით სამხრეთ მხარეს, სადაც სპილენძის დნობის ნარჩენები წიდების სახით ნაპოვნია ზედაპირზე, ბუნებრივ ტერასაზე, სადაც სავარაუდოდ მდებარეობს დნობის ადგილი. ასევე საინტერესო იყო დიდი, არარეგულარული ორმო-ღრუ ჩრდილო-აღმოსავლეთით და ორი მსგავსი, მაგრამ უფრო პატარა ორმო-ღრუ სამხრეთ-დასავლეთ მხარეს. თავიდან დავუშვით შესაძლებლობა, რომ ეს შეიძლება ყოფილიყო პრეისტორიული მაღაროების ნაშთები, მაგრამ შემდგომი გამოკვლევით აშკარა გახდა, რომ ეს ბუნებრივი ხვრელები იყო



სუსტ წერტილში მიწის ნაკვეთის ჩამოშლით წარმოქმნილი. ცხადი გახდა, რომ ეს ღრუ მდებარეობს იმ წერტილთან, სადაც გეოლოგიური ცვალებადობაა ცარცული ქვიშაქვისა და იურას კირქვებისა, სადაც გვხვდება ე.წ. „ნიჟარის“ ხვრელები (და ზოგჯერ გამოქვაბულებიც)



სურ. 5. ჭიქელაში - ხედი ჩრდილოეთით, აღმოსავლეთ ნახევარში (ან ქვემო ღრუში) ბუნებრივი ტერასისგან წინა პლანზე, წიდეებით ზედაპირზე.

5

ჭიქელაში მდებარე ბუნებრივი ღრუ, ფაქტობრივად, იყოფა ორ პატარა ღრუდ, რომელთა შორისაც დაბალი ქედია (უნაგირს ჰგავს), რომელიც გადის ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით შუაგულში; პრეისტორიული სპილენძის დნობის ნარჩენი წიდეები გვხვდება ტერასიდან დაღმართზე, ორი ღრუს აღმოსავლეთის ნაწილის სამხრეთ მხარეს (ნახ. 5). ყველაზე დაბალ წერტილში აღმოსავლეთ ღრუდან შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ეს ადგილი პრეისტორიული მაღაროს ადგილია, თუმცა ეს შესაძლებლობა ჯერ კიდევ დასაზუსტებელია. თუ ეს არ დადასტურდა, მაშინ ადგილობრივი მაღაროს ძებნა გაგრძელდება; უჩვეულოდ ღია ადგილობრივი ტოპოგრაფია გვაფიქრებინებს, რომ ეს უფრო ადვილია, ვიდრე მცენარეული საფარით დაფარულ ადგილებში, სადაც სავარაუდოდ გვიანი ბრინჯაოს დნობის ნარჩენებია ნაპოვნი.

ჩატარდა ორი სახის გეოფიზიკური კვლევა ჭიქელაშის სხვადასხვა ნაწილში. კვლევის ძირითადი ხაზი გადიოდა აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით ორივე ღრუზე და ჩატარდა 100 მ-იანი მაგნიტურმგრძნობიარე (მაგნიტური) კვლევა, რამაც მოულოდნელი შედეგი გამოიღო; გაირკვა, რომ მთელი ღრუს ჩრდილო ნაწილს გაცილებით მაღალი მგრძნობელობა აქვს (ანუ ქვემო კლდე ბევრად უფრო მაგნიტურია) ვიდრე ამ ტერიტორიის სამხრეთ ნაწილს. ეს მიგვითითებს იმაზე, რომ



საზღვარი (ამ შემთხვევაში უფრო მაღალი მაგნიტური) ქვიშაქვასა და იურას კირქვას შორის გადის საერთო ღრმულის ძირში. მაგნიტური მგრძნობელობის კვლევამ ასევე აჩვენა, როგორც მოსალოდნელი იყო, რომ სამხრეთ ტერასაზე მგრძნობელობის უფრო მაღალი ფართობი, სავარაუდოდ, იმ ადგილს აღნიშნავს, სადაც გვიან ბრინჯაოს ხანაში სპილენძის დნობა ხდებოდა. ტერასული ფართობის გრადიომეტრიამ (მაგნიტომეტრიამ) დაადასტურა, რომ ეს ტერიტორია მომავალი არქეოლოგიური კვლევის ობიექტი იქნება. აქ გაკეთებულ იქნა სამი საცდელი - 2 მ × 1,5 მ - თხრილი (აღმოსავლეთის ბუნებრივ ღრუში). პირველი (სურ. 6 - მარცხენა) იყო ბუნებრივი ტერასის პირას, საიტის ამ ნაწილის სამხრეთ მხარეს, ზემოთ, სადაც ზედაპირზე ჩანს პრეისტორიული სპილენძის დნობის წიდის ფრაგმენტები. მეორე მსგავსი საცდელი თხრილი იყო ქვედა მხარეს, სადაც ზედაპირზე წიდეები იყო შესამჩნევი (სურ. 6 - ცენტრალური). ამ აღმოსავლეთის ღრუდან ჩრდილოეთ მხარეს, მესამე საცდელი თხრილი იყო გათხრილი. დადასტურდა, რომ ისიც მაგნიტური მგრძნობელობის შემცველია.



სურ. 6. ჭიქელაში - სამი საცდელი თხრილი, მიმართული სამხრეთიდან ჩრდილოეთით.

10 სმ სისქის ჰუმუსოვანი ზედა ფენის ქვეშ ეს პირველი საცდელი თხრილები (სამხრეთ ტერასის მახლობლად) წარმოდგენილი იყო ძალიან შავი ფენით, დნობასთან დაკავშირებული ნარჩენების მცირე ფრაგმენტული ნაშთებით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ თვით დნობა ხდებოდა ტერასის გასწვრივ<sup>655</sup>.

მეორე თხრილი გაკეთდა ტერასის დაღმართზე დაახლოებით 5 მეტრის მოშორებით, პრეისტორიული სპილენძის დნობის წიდის ნარჩენების სახეობისა და მისი ტერასაზე გავრცელების დასადგენად, წიდეების ფენის სისქის შესამოწმებლად. ამ შემთხვევაში ფენა კიდევ უფრო სუსტია, დაახლოებით 5 სმ სისქის. ზედა ნაწილში

<sup>655</sup> რაც გახდება შემდგომი, უფრო დეტალური გათხრების ადგილი.

ზოგ ადგილას ფენა გადარეცხილია და ჩანს წიდის შავი ფენა. საგულისხმოა, რომ წიდებიანი ფენის საკმაოდ ზედაპირული განლაგება (10-15 სმ სიღრმეზე) მიაწინებს ჭიქელაშის გვიანი, შემდგომი დნობის გაცილებით მცირე მასშტაბებზე, განსხვავებით დოლურაში I და II-ის და მიუთითებს ლეჩხუმის რეგიონში საძიებო მუშაობის დროს ნაპოვნი სხვა პრეისტორიული დნობის ანალოგიურ ადგილებზე. ამ თხრილების ქვედა ფენები შედგებოდა სქელი, ძლიერ მოყვითალო თიხისგან, რომელიც არათანაბრად დაფარული იყო ზემოდან დნობის ნამსხვრევებით (წიდებით)<sup>656</sup>.

#### გაბონალია I და II (ნახ. 16-19)

ეს ტერიტორია, სოფ. ზუბი, ადგ. გაბონალია, პირველად ჩვენს მიერ დაფიქსირებულ იქნა 2013 წელს, ხოლო მეორედ მოვინახულეთ 2014 წელს. თავდაპირველად ისიც მივიჩნიეთ სპილენძის დნობის ადგილად ისევე, როგორც ლეჩხუმის რეგიონში გამოვლენილი გვიანდელი ბრინჯაოს ხანის/ადრეული რკინის სხვა დანარჩენი ძეგლები. მაგრამ ეხლა ვვარაუდობთ, რომ ეს საიტი შეიძლება მიეკუთვნებოდეს რკინის ხანას (სურ. 7). თავად საიტის ძირითადი ნაწილი, რომელიც მდებარეობს თანამედროვე გრუნტიან გზაზე, აღმართზე, შედარებით კარგად არის შემონახული. ერთი მხარეს ჩაღრმავება შესაძლოა ადრეულ სამთო წარმოება/მოპოვებასთან იყოს დაკავშირებული.



7

სურ. 7. გაბონალია I - ხედი ჩრდილოეთით, უყურებს კარგად შემონახულ დნობის ადგილს. ამ საიტის წიდები ვრცელდება დაღმართზე, სადაც იგი მოჭრილია თანამედროვე გრუნტიანი გზით.

<sup>656</sup> ამ საიტისთვის დაგეგმილი სამომავლო სამუშაოები მოიცავს სამხრეთ – აღმოსავლეთ ტერასაზე გეოფიზიკის მიერ მითითებული ტერიტორიის გათხრების პროცესს, რომელიც წარმოადგენს პრეისტორიული სპილენძის დნობის სამუშაო ადგილს. განზრახული სამუშაოები ასევე მოიცავს მცირე ადგილობრივი მაღაროს შემდგომ მოძიებას, აქ დნობის წარმოქმნის სპილენძის მადნის წყაროს დასადგენად.



8

სურ. 8. გაბონალია II - დასავლეთი ხედი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენად დააზიანა ძეგლი გზამ, რომლის ორივე მხარეს და მის უკან (დასავლეთით) ვრცელდება კულტურული ფენები.

ორი პატარა საცდელი თხრილი გაკეთდა გზიდან ჩრდილო-დასავლეთით (ნახ. 8).



პირველმა ტესტმა აქ აჩვენა, რომ ძეგლი მეტწილად განადგურებულია მოგვიანებითი (საგზაო) სამუშაოებით.

მეორე საცდელი თხრილი გაკეთდა აღმართზე, სადაც გამოვლინდა წილების შედარებით თხელი ფენა, დაახლოებით 10 სმ; ძეგლის უმეტესი ნაწილი დარღვეულია გზის სამუშაოებით. ამ საცდელი თხრილის მხოლოდ ერთ კუთხეში იყო ისეთი დნობის ნარჩენები, რომლებიც შეიძლება დაუზიანებლად ჩავთვალოთ. როგორც ჩანს, საიტი დარღვეული იქნება ორ ადგილას, რადგან აქ გამავალი გზა ორ მარყუქს აკეთებს.

ამრიგად, გაბონალიაზე ჩვენ გვაქვს პრეისტორიული სპილენძის დნობის ორი ადგილი - უფრო მაღლივი ადგილი - გაბონალია I, რომელიც უკეთესადაა შემონახული, ვიდრე ქვედა უბანი - გაბონალია II; ორივე ადგილი დაკავშირებული უნდა იყოს ერთიდაიგივე სპილენძის სულფიდის (ქალკოპირიტის) საბადოს გამოყენებასთან.

დოღურაში - 2. 2019

გენგემა




BS-1  
✦


0 100 500cm

# დოდურაში - 2. 2019


საცდელი თხრილი



ჭრილი 1-1




0 50 250 cm



# დოღურაში - 2. 2019


ძირითადი თხრილი 19. 09. 2019





დოღურაში - 2. 2019


ძირითადი თხრილი 19. 09. 2019






დოღურაში - 2. 2019

ძირითადი თხრილი 20. 09, 2019




# დოღურაში - 2. 2019

ძირითადი თხრილი 24. 09. 2019



დოღურაში - 2. 2019


ძირითადი თხრილი 24.09.2019






დოღურაში - 2. 2019

ძირითადი თხრილი 25.09.2019











14





15




## გაბონალია 2019

24. 09. 2019

გუნგემა



თხრილი I





0 50 250 cm

გაბონალია 2019

24. 09. 2019


თხრილი II



## გაბონალია 2019

24. 09. 2019

გზისპირა ბუნებრივი ჭრილი




- ჰუმუსი
- ნახშირიანი შავი ფენა
- დამწვარი კერამიკიანი წითელი ფენა
- წითელი ფენის ხუსტი კვალი
- ყავისფერი ფენა

0 50 250 cm

## გაბონალია 2019

24. 09. 2019

სიტუაციური გეგმა





### Geological fieldwork 2017-2019

For 2017 fieldwork two locations were selected – village Dogurashi, villages Opitara-Lachepita and their vicinities (fig.1).




Figure 1. Satellite map of the study area. Red squares indicate the areas of conducted during the fall 2017 geological fieldwork: I – Dogurashi, II – Opitara-Lachepita.

The place Dogurashi (location area of three archaeometallurgical sites Dogurashi I, II and III) occupies the northernmost part of the Lechkumi region, the left bank of the river Tskhenistskali and includes the village Dogurashi and the river Dogurashis-gele gorge with its numerous small tributaries. The area is built up by Middle Jurassic rocks which almost everywhere form high ridges and are dissected by narrow and deep, hardly accessible gorges. Steep slopes are usually covered by wood. Middle Jurassic rocks here are represented by porphyritic igneous rocks, tuff-breccias, shallow intrusive bodies (sills and dykes) of diabase, tuff-sandstones and sandstones. Onion skin weathering is common for diabase bodies. The rocks are strongly weathered and have greenish color. They could be observed only in the river gorges or in the outcrops along the ground road cuts. This “porphyritic” suite is covered by dense network of fractures which are often filled by quartz, calcite and barite veins with related base metals inclusions. The Middle Jurassic “porphyritic” suite is conformably overlain by the Cretaceous epicontinental carbonate rocks.

One cross section nearby the head of the left tributary of the river Dogurashis-gele in the vicinity of Dogurashi I site was described in the study area in detail. The section was

interesting as it passes the Soviet period mine (adit) (fig. 2) which is driven in the silica flooded and hydrothermally strongly altered porphyritic volcanic rocks. Water stands in the mine working and mineralized spring flows out of it. Samples were collected from the mine as well as from outcrops in the river gorge.

Another cross section was described parallel to the mentioned stream in the gorge south of the first cross-section. At the confluence of this stream silicified porphyry rocks cropped out comprising metals inclusions. In the way-up succession near the head of the gorge sedimentary rocks – sandstones and tuff-sandstones were exposed.

The third cross-section was described at the location Namarilevi where barite mine working was in Soviet period. The mine is collapsed and it was impossible to examine it. The rock debris at the entrance of the working was sampled for analysis. Stream sediments of the river Dogurashis-gele were examined and sampled as well as all key outcrops of the gorge.



Figure 2. Soviet period mine working and mineralized rock on the right bank of the Dogurashis-gele.

Villages Opitara and Lachepita are located in the southernmost part of Lechkhumi region, 4 km away from Kutaisi-Tsageri highway. Here crop out Middle Jurassic (Bajocian) tuffs and tuff breccias with porphyry textures, tuff-sandstones and shales which in turn conformably pass into Cretaceous carbonate rocks.

In order to check the data obtained from the careful analysis of the available bibliography on the ore occurrences of this area we visited the outcrops exposed in the rivers Lashe-gele, Shavgele, Tetri-gele, Rtkhmelebis-gele and Cheula gorges. Almost all outcrops were sampled (fig. 3) for laboratory studies and GPS coordinates were collected.

6 mine workings were found and visited in the study area: two barite mines nearby the village Lachepita, one adit on the top of the hill south of village Lachepita and three



workings in the entrance of the village opitara, in the Rtkhmelebis-gele gorge. The mine working near the village Lachepita were destroyed and accordingly inaccessible. Samples were collected from the rock debris in front of the adits. 500 meters long mine working at the top of the hill was driven in the Middle Jurassic sandstones and tuffsandstones. Here limonitized rocks and calcite veins were observed and sampled. Three mine workings including two abandoned ones (fig. 4) in the Rtkhmelebis gele gorge are the subjects of our special interest. Mineralization (chalcopyrite and pyrite) here mainly is related to quartz and calcite veins. With the help of local people we also visited the place on the right bank of the Shav-gele stream where we found slags, crucible fragments, smelting debris and pottery.



Figure 3. Mineralized rocks, the rivers Shavi-gele and Lashe-gele gorges (Opitara).



Figure 4. Three mine workings in the Rtkhmeluri river gorge (village Opitara).



**During undertaken in 2017 fieldwork** 10 mine workings were found, visited and described (6 in Opitara-Lachepita area and 4 in Dogurashi area); in total 80 samples were collected for the laboratory studies, 50 samples were selected for thin section microscopy (fig. 5) and 20 samples – for petrochemical analysis.



Figure 5. a. Samples collected during 2017 fieldwork b. Samples prepared for thin section microscopy studies.

**In September 2018** fieldwork was conducted in the environs of villages Dogurashi (Dogurash, location Nargvevi) and Kvedreshi (fig. 6).



Figure 6. Satellite image of the area of fieldwork undertaken in 2018 - village Dogurashi, JoJokhetis Khevi, Nargvivi and village Kvedreshi environs.

The location Nargvevi is the subject of special interest and importance as here the hydrothermally altered rocks were observed. These are mainly quartz porphyry igneous rocks and quartz sandstones affected by phyllic (quartz+sericite+pyrite), carbonate and argillic (kaolinite) alteration. The rocks are brecciated (fig. 8 a, b). Pyrite is widespread in the rocks.

15 samples were collected at Nargvevi which comprise sphalerite, galena, chalcopryrite and pyrite (fig. 7).




Figure 7. Rock samples from Dogurashi and Nargvevi areas with base metal mineralization: a. Chalcopryrite, b. Galena, sphalerite, c. Sphalerite, galena, chalcocite.



Figure 8. a. Altered rocks b. Fractures filled with galena, sphalerite and pyrrhotite c. Hydrothermal breccia

According to available bibliography data<sup>657</sup> is known that Nargvevi ore occurrence is represented by mineralized intensively shared (tectogenic) zones where thin vein or lens like sulfide bodies could be observed with lead-zinc-copper mineralization.

Three independent but similar type mineralized zones were defined at Natgvevi location. These zones are related to the strongly shared huge zone of along-strike extent (apparently a fault) represented by the broad area of brecciation and intensive hydrothermal alteration.

<sup>657</sup> Ivanitski T, Vezirishvili E. 1954: p. 18-19



Only one (upper) from these three zones comprises important mineralization and is introduced by ore breccia where altered and silica flooded rock fragments are cemented by sulfide-carbonate mass with lead, zinc and high-grade copper. Mineralization is hosted by Bajocian “porphyritic” suite. Hostrocks are affected by hydrothermal (quartz+sericite) and carbonate alteration as well.

Mineral composition of ores is following: sphalerite, galena, pyrite and marcasite together with quartz and carbonate. Secondary minerals are limonite, smidsonite and malachite. Breccia and banded textures of ores indicates to

In total 50 rock samples were collected from the outcrops at Nargvevi, Dogurashi and Kvedreshi environs (fig. 9). 30 samples were selected for thin section microscopy studies and were submitted to the laboratory of Al. Tvalchrelidze Caucasian Institute of Mineral Resources for thin section preparation; 15 samples were selected and submitted to the Ltd “Caucasian Mining Group” (CMG) laboratory in order to detect grades for 5 metals.



Figure 9. Rock samples collected during 2018 fieldwork.

### ***Fieldwork 2019***

One of our main tasks within the project framework was the identification of prehistoric mines in the study area and their geological and archaeological study. It should be emphasized, that up to present prehistoric mines have not been found in Lechkhumi. It is well known that mine workings of later periods are often located nearby or in many cases in places of the prehistoric mines as criteria for the discovery of ore occurrences above the surface or at shallow underground levels are have remained unchanged through time<sup>658</sup>. Numbers of exploration mine workings were constructed in the last century as a result of undertaken prospecting on ores in the Lechkhumi-Kvemo Svaneti region. We have visited and examined some of them and the area beyond as well. We intended to check our opinion that they might be constructed in places of former prehistoric mines. In the village Opitara and in particular in the stream Rtkhmelebis-gele gorge opposite to abandoned Soviet mine we found a small mine working (Fig. 10) which in in our opinion was fairly older and was

---

<sup>658</sup> Hauptmann, A. 2007: p. 11

located 2,5 m higher above the river bed (erosional base level). It has an oval shaped entrance which smooth walls (ribs) roof and floor and looks different from all soviet period mine workings visited by us before. Careful examination of this shaft revealed that it is fairly short and filled by sand-clay mass apparently the result of seasonal river flooding. We didn't find working tools (stones, bones) of prehistoric miners on the surface, however it is planned to conduct detailed reconnaissance activities in this cave. We suppose that in the study area prehistoric mines were rather small in sizes and shallow and they were used to exploit veins and mineralized strata of small thicknesses.




Figure 10 a. Possible prehistoric mine working in Rtkhmelebi cave; b sketch drawing of the same working (portal and its vertical section)

### Desktop and laboratory studies

**The results of petrography studies.** The thin section microscopy studies of the samples Dor 28/17, Dor 29/17, Dor 30/17, Dor 31/17, Dor 33/17 collected from the outcrops in old mine workings and adjacent areas on the left bank of the Dogurashi river revealed that all mines (adits/shafts) in Dogurashi area were driven in mediumgrained, dense volcanic rocks – spilites and quartz keratophires with common to them potphyry texture with phenocrysts of alkali plagioclase. Plagioclase phenocrysts exhibit zoning and twinning. In some parts plagioclase is intensively altered into clay. From mafic minerals is present pale brown augite, which is mainly altered and replaced by chlorite or calcite. Quartz grains are observed in thin sections (in amount 5-40%). Ore minerals are scattered as dust or grains, sometimes they form small accumulations (fig. 11).






Figure 11. Photomicrograph of silicified alkali basalt a.b xpl; X40

In the same rock samples collected from or nearby the mine workings is clearly observed that they are hydrothermally altered. Such style of alteration is common in sulfide ores as a result of oxidation and chemical dissolution. Under the water, oxygen and carbon dioxide impact accumulation of iron oxides and hydroxides takes place on the surface. The rocks are strongly fractured. Fractures are filled by veins of quartz, chlorite and quartz, calcite and quartz and calcite. All of them are sulfidized.

In the vicinities of the Dogurashi II site columnar jointed dyke (fig. 12) crops out which also is exposed on the ground road. The rock is grey, dense and medium grained. Grains are evenly distributed in the rock. The description of the sample Dor 39/17 revealed that the rock is diabase with interstitial texture where augite and labradore form ophitic growths (fig. 13).



Figure 12. Diabase dyke at Dogurashi II.






Figure13. Photomicrograph of diabase a. xpl; b. ppl X40

Melanocratic (blackish) fresh rocks with greasy luster were observed in Opitara environs. According to petrographic descriptions these are heperthene (rombic pyroxene) basalts (thin sections Op 1/17, Op5/17, Op6/17, Op27/17). These hepersthene fresh basalts have potphyry texture with hyalophilitic texture of the groundmass. The latter comprises microliths of plagioclase, magnetite grains and greenish-brown glass. The phenocrysts in the rock are represented by plagioclase of labrador-bithovnite series and rombic pyroxenes – hypersthene and enstatite (fig. 14).




Figure 14. Photomicrograph of a fresh Hypersthene basalt a. xpl-x40 b. ppl-x100

The same hyperthene basalts are the samples Op3/17, Op4/17, Op4'/17, Op24/17, Op25/17, Op26/17, Op27/17 but they are affected by alteration: plagioclase is altered to clay, pyroxenes are opacitized and carbonatized. Accumulations of ore minerals are well-observed as well (fig. 15). It should be emphasized that all 3 mine workings in Rtkhmelebis-gele gorge are constructed in this rock.





Figure 15. Photomicrographs of hydrothermally altered hyperthene basalt X40.

In the Dogurashi and Opitara areas in the stratigraphically way-up section silicified volcanic bodies grade into quartz sandstones (thin sections Dor 16/17, Dor 17/17, Dor 34/17, Dor 35/17, Dor 37/17, Dor 41/17, Dor 44/17; Dor 47/17; Dor 51/17; Dor 52/17, Lp10/17, Lp11/17; fig. 16). In the thin sections Dor 45/17 and Dor 46/17 from the location Namarilevi near the exposures of old barite mine workings high concentration of ore minerals was detected. Isotropic cubic crystals of pyrite are fairly well-observed (Dor 46/17, fig. 17.). Rather long mine working is driven in Upper Jurassic sedimentary rocks strata at Lachepita – sample Lp14/17.




Figure 16. Photomicrograph of quartz sandstone a.) ppl b.) xpl, x40.




Figure 17. a) Photomicrograph of rich in iron oxides sandstone, ppl  
b.) photomicrograph of quartz sandstone with pyrite, ppl, x40.

During our expeditions barite, calcite and quartz veins from Dogurashi and Opitara-Lachepita areas were sampled (Dor42/17, Dor43/17, Lp7/17., Lp8/17, Lp12/17; fig. 18) as well.




Figure 18. Photomicrographs of barite and calcite veins, xpl. x40

In the environs of the river Shavgele near the village Opitara basalts are cross-cut by silicified porphyry rock body - Op23/17 (fig. 19.). Its contacts with the host rock are strongly altered (Op20/17, Op21/17, Op22/17) and brecciated. The spaces in quartz veins are filled with secondary minerals: sulfides – chalcopyrite, chalcocite, pyrite and iron hydroxides.




Figure 19. Photomicrograph of the cross-cutting porphyry rock. xpl. x40.

The results of petrographic studies enable to assume that the rocks of Middle and Upper Jurassic “porphyritic” suite in Lechkhumi region are represented by pyroxene basalts, spilites and quartz-keratophyres and sandy-clayey sediments. These rocks are cross-cut by diabase and silica flooded porphyry rock bodies affected by phyllic, argillic and carbonate alteration. Mineralization is apparently spatially and paragenetically related to these Bathonian-upper Bajocian intrusions). Our observations revealed that ores have vein, breccia and vein-disseminated textures.

**Atomic absorption spectrophotometry (AAS) assay results.** From 15 selected ore mineral samples all were assayed at the CMG laboratory using atomic absorption spectrophotometry (AAS) on precious (Ag) and base metals (Cu, Pb, Zn, Fe) content. 5 samples from 15 were selected from mineralized zones (Op20/17 Op22/17 Op24/17 Op25/17 Dor30/17 Dor36/17 Dor40/17 Dor49/17 Dor50/17 Dor54/17) and adjacent areas.

AAS analyses showed high grades of metal content and especially of copper, lead, zinc and silver. The results are shown in the table below (table. 1).



Table 1: Metal assay results from ore mineral samples from the Dogurashi area analysed using atomic absorption spectrophotometry (AAS)

Composition: elements by weight percent (except as stated)						
	Reference/ID	Cu	Zn	Pb	Au	Ag
1	Dog030/17	0.08	0.08	0.06	0.03ppm	5ppm
2	Dog037/18	<0.01	<0.01	<0.01	<0.01ppm	<1ppm
4	Dog040/18(1)	2.88	0.23	0.04	0.01ppm	5ppm
3	Dog040/18(2)	0.03	0.21	0.03	0.01ppm	7ppm
5	Dog045/18(1)	1.79	11.6	8.35	0.5ppm	0.01
6	Dog045/18(2)	2.12	10.1	9.8	0.02ppm	0.01
7	Dog045/18(3)	0.45	4.34	2.8	0.07ppm	0.003ppm
8	Dog046/18(1)	<0.01	<0.01	<0.01	0.07ppm	2ppm
9	Dog046/18(2)	0.03	0.07	0.04	0.1ppm	10ppm
10	Dog048/17	0.02	0.01	0.01	0.02ppm	<1ppm
11	Dog051/17	0.02	0.01	0.01	0.02ppm	<1ppm
12	Dog060/18	<0.01	<0.01	<0.01	0.01ppm	3ppm
13	Dog061/18	<0.01	3.34	0.05	0.01ppm	9ppm
14	Dog062/18(1)	1.34	0.07	0.06	0.02ppm	11ppm
15	Dog062/18(2)	<0.01	<0.01	<0.01	0.03ppm	<1ppm

Key: ppm = parts per million  
 < = less than

Table 1. AAS results for mineralized rock samples from Dogurashi area

Georgian National Museum

**Report**

on Archaeological Fieldwork of the 2016 Archaeological Expedition of  
Leckhumi (Studying the Prehistoric Metallurgy - Doghurashi)

Expedition Leader **Nino Sulava**

## Introduction

Archaeological discoveries in Colchis have turned the land of Colchis – well known from both Urartian and more especially Greek mythological themes such as Jason and the Argonaut and the myth of Prometheus – from legend into reality, a reality which belongs to the late Bronze Age at the time when iron, still rare, is beginning to be used more. The upper reaches of the Rioni river (the Phasis river of the Greek accounts) is central to these legendary descriptions this being the same region where a great many of the artefacts which define or provide the evidence for the late Bronze Age culture of Colchis have been found.

